სოფ. სანთის მიდამოებში მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლია აღრიცხული და შესწავლილი. სოფლის ჩრდილოეთით გაწოლილი ქედის თხემზე „ციკლოპური“ სიმაგრე და ნამოსახლარია განლაგებული. სოფლის სამხრეთით, XX საუკუნის 30-იან წლებში ბ.კუფტინმა ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანები გათხარა; დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით გვიანი ბრინჯაოს ხანის და ადრეშუასაუკუნეების სამაროვნებს მიაკვლია.

ენერგოკორიდორის თავდაპირველი მარშრუტი უფრო ჩრდილოეთით გადიოდა. ამდენად იგი ყორღანების და ნერონ-დერესის ხევის ნაპირებზე მდებარე ანტიკური ხანის ნამოსახლარისა და სამაროვნის ზონაში ექცეოდა. ჩვენი და BP-ის შესაბამისი სამუშაო ჯგუფის ერთობლივი საველე სამუშაოების შედეგად ენერგოკორიდორმა, არქეოლოგიური ძეგლების გათვალისწინებით, გარკვეული ცვლილება განიცადა.

მიუხედავად იმისა, რომ ენერგოკორიდორი მნიშვნელოვნად დასცილდა არქეოლოგიურ ძეგლებს, ერთ მონაკვეთზე მაინც დარჩა გარკვეული ეჭვი, ამიტომ 2002 წელს ექსპედიციამ მცირე სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარა (იხ. 2002 წლის ანგარიში).


2003 წელს „ტოპ-სოილის“ მოხსნისას 129,750 კილომეტრზე ყვითელ ნიადაგში წაგრძელებული ლაქები დაფიქსირდა (სურ. 14, 15).

საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2004 წლის 11-13 მაისს.

საველე კვლევა-ძიების მიზანს წარმოადგენდა 129,750 კმ გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა.

დასკვნა

129,750 კმ განთავისუფლებულია არქეოლოგიური ძეგლებისაგან.



სურ. 13. რუკა 10. სანთა. ტობოგემა

სურ. 14. სანთა. ენერგოკორიდორის ხედი დასავლეთიდან. არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე.



სურ. 15. სანთა. სადრენაჟო არხის ხედი ჩრდილოეთიდან.

§ 4. ჯინისის ნამოსახლარი

უბნის ზოგადი აღწერილობა

ენერგოკორიდორის 136 კილომეტრზე გამოვლენილი ნამოსახლარი წალკის რაიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სოფ. ჯინისის უკიდურეს ჩრდილოეთ განაპირას, ჯინისი-გუმბათის სამანქანო გზის დასავლეთით, მარცხენა მხარეს 30 მ-ის დაშორებით მდებარეობს (სურ. 16, 17).

არქეოლოგიური ძეგლის სავარაუდო ნიშნები აქ 2003 წელს გამოვლინდა ე.წ. "ტოპ - სოილის" ალების დროს. მოშავო ლაქების კიდეები ენერგოკორიდორში გაყვანილი სამანქანო გზის ჩრდილოეთით დაფიქსირდა, რომლებიც გაზსადენის მხარეს დაგროვილი მიწის ქვეშ ექცეოდა.

2004 წელს ენერგოკორიდორის ჩრდილოეთ ნაწილში დაგროვილი მიწის ალების და დარჩენილი ჰუმუსის მოხსნის შემდეგ, მოყვითალო დედაქანში მოშავო ფერის ოვალური ფორმის "ლაქები" და ქვის გაურკვეველი წყობები დაფიქსირდა (სურ. 18, 19, 20).

ძეგლზე არქეოლოგიური გათხრები რამდენიმე ეტაპად წარიმართა.

I კამპანიის ჩატარების შემდეგ გამოვლინდა ნამოსახლარის 5 ნაგებობის ნაშთი, სადაც გამოიკვეთა ქვის რამდენიმე კედლის წყობა. საერთოდ "ტოპ-სოილი" აქ აღებულია 0,30-0,50 მეტრის სიმაღლეზე, რის გამოც ნამოსახლარის ზედა ფენა განადგურებულია. მიწის ნაყარში შეგროვილი იქნა კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც შუა და გვიანი ბრინჯაოს, განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების პერიოდებს მიეკუთვნება.

II კამპანიის დროს განახლდა ნამოსახლარის გათხრები. უნდა აღინიშნოს, რომ მძიმე სამშენებლო ტექნიკის მოძრაობამ შესასწავლი ფართობის ზედაპირი ისე ძლიერად დატკეპნა, რომ ამ "ქერქოვანი" ფენის მოხსნაზე, არქეოლოგიური სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, საკმაოდ ბევრი დრო დაიხარჯა.

საკვლე და შემდგომი კვლევა-ძიების შედეგები

კონტრაქტები (HL-049, HL-068, HL-072, HL-073 და HL-074) ითვალისწინებდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ენერგოკორიდორის 136-ე კილომეტრზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების დროს გამოვლენილი მოშავო ფერის ლაქების, ქვის კედლების ხასიათისა და დანიშნულების გარკვევას; ამ მონაკვეთის არქეოლოგიური ძეგლებისაგან განთავისუფლებას.

არქეოლოგიური ობიექტის შესახებ ენერგოკორიდორის მშენებლობამდე ინფორმაცია არ მოგვეპოვებოდა.

მშენებლობის დროს გამოვლენილი ქვის წყობები და შავი ლაქები სავარაუდოდ ნამოსახლარს და სამეურნეო ორმოებს მიეკუთვნებოდა, რაც გათხრების პროცესში დადასტურდა.

ენერგოკორიდორის მოცემულ მონაკვეთზე გამოვლენილი ნამოსახლარი ძირითადად განლაგებულია მის ჩრდილოეთ ნაწილში და გაზსადენის სექტორს მოიცავს.

არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე საკვლევ ფართობზე მხოლოდ ქვაყრილების ფრაგმენტები და შავი ლაქები ჩანდა. მათი ანთროპოგენურობა ეჭვს არ იწვევდა, თუმცა მათი ხასიათის ზუსტი განსაზღვრა შესწავლის გარეშე ძნელი იყო. წინასწარული ვარაუდით ეს ქვაყრილები ნამოსახლარს ეკუთვნოდა.

ამდენად მიკვლეული ობიექტის შესწავლის დაწყებისას რამდენიმე ძირითადი კითხვა იდგა:

1. რა ხასიათის ძეგლია (ქვაყრილები ნამდვილად განეკუთვნებოდა თუ არა ნამოსახლარს).
2. ნამოსახლარის არსებობის შემთხვევაში გასარკვევი იქნებოდა დასახლების ხასიათი, ნამოსახლარის ინტენსივობა და ძეგლის სტრატეგრაფია.
3. როგორია ნაგებობათა არქიტექტურა, მშენებლობის ტექნიკა, კედლების წყობა, ინტერიერი და სხვ.
4. რომელ ეპოქას მიეკუთვნება.
5. ნამოსახლარისა და სამაროვნის ურთიერთმიმართების გარკვევა.
6. რა სახის ახალი ინფორმაცია შეიძლება მოვიპოვოთ.
7. ნამოსახლარის გავრცელების საზღვრების დადგენა.



სურ. 17. ჯინისის ნამოსახლარის სავარაუდო ტერიტორიის საერთო ხედი სამხრეთიდან. უკანა პლანზე ჩანს სოფელი გუმბათი.

საკვლევი კითხვების საპასუხოდ გამოყენებული ანალიზისა და მეთოდების აღწერილობა:

1. ფართობები აიგეგმა ტოპოგრაფიულად. გასათხრელი ფართობი 18 X 24 მ ნაკვეთებად დაიყო, რომლებიც 6 X 6 მ კვადრატებად დანაწილდა. ხოლო კვადრატები 2 X 2 მ მონაკვეთებად დანაწევრდა. დაფიქსირდა ძეგლების მდგომარეობა გათხრებამდე.
2. გამოვლენილი ობიექტები შესწავლილი იქნა ძეგლის სტრატეგრაფიული შესწავლის მეთოდით, შედგა შესაბამისი გეგმები და ჭრილები, შესრულდა ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია. გამოვლენილი ობიექტები და არტეფაქტები აღწერილი იქნა საველე პირობებში.
3. გამოვლენილ ნაგებობებში დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი და ძვლოვანი მასალა.
4. ძეგლის საკვლევი ფართობიდან აღებულია ნიმუშები პალეობოტანიკური და პალინოლოგიური გამოკვლევებისთვის.
5. სამაროვნის მიკვლევის მიზნით ვიზუალურად შემოწმდა ენერგოკორიდორის ახლოს მდებარე ტერიტორია. ამ მიზნით შემდგომში ჩასატარებელია აეროარქეოლოგიური კვლევა.
6. ნამოსახლარის საზღვრების დადგენის მიზნით ენერგოკორიდორის მონაკვეთში გაჭრილი იქნა რამდენიმე სადაზვერვო თხრილი



სურ. 18. ჯინისის ნამოსახლარის აღმოსავლეთი კიდე-
გაზსადენის მილების შედუღების პროცესი. ხედი დასავლეთიდან.



სურ. 19. ენერგოკორიდორის 136-137 კმ. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

შესასწავლ მონაკვეთზე გაითხარა 4 სახლი, მათ შორის ერთი (№ 4) ნაწილობრივ (მისი დიდი ნაწილი ენერგოკორიდორის ფარგლებს სცილდება (ტაბ. II, XIII).

სახლების მოკლე აღწერილობა:

- ა) ყველა სახლი გამართულია მოყვითალო დედაქანში ამოჭრილ ოთხკუთხა მოყვანილობის სხვადასხვა ზომის ორმოში, რომლის პირზე ამოყვანილია ძირითადად ერთ მწკრივიანი ქვის კედელი, შემაკავშირებელ მასალად მიწა-თიხის ხსნარია გამოყენებული. კედლების შიდა პირი შედარებით სწორპირიანია. ქვის კედლების გადაბმის ადგილები ზოგი მომრგვალებულია, ზოგი კი შედარებით სწორკუთხაა.
- ბ) კედლების შიდაპირთან და იატაკზე განლაგებულია ბრტყელი ქვები და პატარა ზომის ორმო-ბუდეები სახურავის კონსტრუქციის დასამაგრებელი ელემენტის - ხის ბოძების ჩასადგმელად.



სურ. 20. ჯინისის ნამოსახლარის ენერგოკორიდორში მოქცეული ფართობი არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე. ხედი აღმოსავლეთიდან.

ნამოსახლარზე მოპოვებული კერამიკული მასალა დამტკვრეულია. თიხის ჭურჭელი ძირითადად წარმოდგენილია დერგებითა და ქოთნებით, დამზადებულია მინარევებიანი თიხისაგან, გამომწვარია შავად ან რუხად.

ჯინისის ნამოსახლარის სტრატეგრაფია და აღმოჩენილი არტეფაქტები საშუალებას გვაძლევს ძეგლი წინასწარულად ძვ.წ. XVII-XVI სს და VIII-VII სს დავათარილოთ.

გათხრების შედეგად არქეოლოგიური ძეგლებისაგან განთავისუფლებულია ენერგოკორიდორის ნათობსადენისა და გზის მონაკვეთები.

ძეგლი დატანილია წალკის არქეოლოგიურ რუკაზე. მომზადებულია მასალები „დაცვითი ზონის“ დასადგენად.

თაზი II

ბარემო პირობები

2004 წელს ენერგოკორიდორში ჩატარებულმა საველე სამუშაოებმა თითქმის მთელი წალკის რაიონი მოიცვა. ამიტომ ქვემოთ ზოგადად მიმოვიხილავთ რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს. კონკრეტული ძეგლების შესახებ ინფორმაციას კი შესაბამის თავებში მოგაწვდით.

რაიონი სამხრეთ საქართველოში, მცირე კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს.

საქართველოს სამხრეთი ნაწილი სომხეთის, სამხრეთ-დასავლეთი აზერბაიჯანისა და აღმოსავლეთ ანატოლიის მთაგრეხილებთან და ზეგნებთან ერთად ანტიკავკასიონს შეადგენს.

მეოთხეულ პერიოდში, გამყინვარების უკანასკნელ ეპოქაში ანტიკავკასიონის მხარეში გამყინვარებას განიცდიდნენ მხოლოდ უმაღლესი მასივები და თხემები. წალკის რეგიონისათვის ეს იყო სამსარის ქედი, რომელიც დასავლეთიდან საზღვრავს მას.

მეოთხეული პერიოდი კაინოზოური ერის (გრძელდება 60-70 მილიონი წელი) უკანასკნელ, მესამე პერიოდს მიეკუთვნება, რომელიც დედამიწის გეოლოგიური ისტორიის უკანასკნელი პერიოდია და დღესაც გრძელდება. ამ პერიოდში ჩნდება ადამიანი – Homo erectus (2-1,5 მილიონი წლის წინ). ეს არის პლეისტოცენის ადრეული საფეხური და ისტორიული ქრონოლოგიით ქვედა პალეოლითს მიეკუთვნება.

იმ კატასტროფის შედეგად, რომელიც კავკასიის ფლორამ და ფაუნამ შუა პლიოცენის ბოლოში განიცადა, მათი შედგენილობა უკვე დღევანდელს დაემსგავსა.

თრიალეთის ქედის მთისწინეთი მესამეული წარმონაქმნია. მესამეული პერიოდი კაინოზოური ერის პირველი პერიოდია. იგი განლაგებულია ცარცული სისტემის (დაიწყო 135-137 მილიონი წლის წინ და 70 მილიონი წელი გრძელდებოდა) ნალექებზე და დაფარულია მეოთხეული პერიოდის ნალექებით.

მცირე კავკასიონის ფარგლებში მესამეული (ძირითადად პალეოგენური) წყებებით აგებულია თითქმის მთელი აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემა. სამსარის ქედი, ჯავახეთის ქედის უმეტესი ნაწილი და წალკის ქვაბული მესამეული ვულკანური ფორმაციის ე.წ. „გოდერძის წყებას“ მიეკუთვნება. ეს წყება შედგება ნაირ-ნაირი ტიპის ლავებისაგან (ბაზალტები, ანდეზიტ-ბაზალტები, ანდეზიტები, ანდეზიტ-დაციტები, ლიპარიტ-დაციტები).

მეოთხეული ვულკანიზმის ყველაზე ვრცელი და რთული მხარე სამხრეთ საქართველოს ზეგანია, რომლის ერთ-ერთ ნაწილს წალკის პლატოც წარმოადგენს.

რეგიონს რთული ტექტონიკური აგებულება აქვს. მცირე კავკასიონის მთიანეთი საქართველოს ტერიტორიაში შემოდის თავისი ჩრდილო ნაწილით – განედურად გაჭიმული აჭარა-თრიალეთის მთიანი მხარით.

აჭარა-თრიალეთის მთათა სისტემა, რომელიც შავი ზღვის სანაპიროდან თბილისამდე განედურად გაწოლილი, მტკვრის მიერ გაჩენილი ბორჯომის ხეობით გაყოფილია ორ ნაწილად. ამ სისტემის აღმოსავლეთი ნაწილი წარმოდგენილია თრიალეთის ქედით, რომლის თხემიც განყოფის მდინარეების ტანას, თეძმისა და

გუჯარეთისწყლის აუზებს მდინარეების ჯავახეთის მტკვრის, ალგეთისა და ხრამის აუზებისაგან.

სამსარის ქედისა და ჯავახეთის ქედის აღმოსავლეთით, ხრამის (ქცია) აუზში მდებარეობს სამხრეთ საქართველოს ზეგანის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელშიც რამდენიმე ოროგრაფიული ერთეული გამოიყოფა. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, წალკის ქვაბული (პლატო), რომლის უდაბლესი პუნქტიც ზღვის დონიდან 1480 მ სიმაღლეზე იმყოფება.

წალკის ქვაბული, რომელსაც სამხრეთ საქართველოს ვულკანური ზეგნის განაპირა ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი უჭირავს, თავისი სტრუქტურითა და რელიეფით არეკლავს მის ქვეშ ნაწილობრივ მოქცეული თრიალეთის ნაოჭა სისტემის სამხრული ზონის ტექტონიკურ რეჟიმს. „გოდერძის წყების“ შემადგენელი ნეოგენური ლავური განფენები და მათთან დაკავშირებული, იმავე ასაკის კონტინენტური ნაფენები წალკის რაიონის ფარგლებში ქმნიან ეჟექტური ნაოჭების სისტემას ღერძების გაბატონებული ჩრდილო-აღმოსავლური და აღმოსავლური მიმართულებით. გრძელი და ვიწრო ანტიკლინები მორფოლოგიურად სერებს შეესაბამებიათ, ხოლო ბრაქისინკლინები, სინკლინები ქვაბულებსა და ხეობებს. ქვაბულები ნაწილობრივ ამოვსებულია ტბიურ-მდინარეული ნალექებით, ხოლო სერები გახერხილია ეროზიული ხეობებით. სინკლინურ ქვაბულთა შორის აღსანიშნავია ბეშთაშენისა და კარიაკის ქვაბულები, ანტიკლინურ სერთაგან კი წალკის, ბეშთაშენისა და სხვა სერები.

წალკის რაიონის ჰიდროგრაფიული ქსელი ევრაზიის გაუდინარი შიდა აუზის შემადგენელი ნაწილია. ამ აუზის მნიშვნელოვანი მდინარეა მტკვარი (საერთო სიგრძე - 1515 კმ), რომლის მარჯვენა შენაკადების სისტემაში შედის წალკის რაიონზე გამდინარე წყლები. ამ მდინარეთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მდ. ქცია ანუ ხრამი (220 კმ), მდ. ალგეთი (128 კმ). მდ. ალგეთი თრიალეთის ქედიდან, კლდეკარის ციხის ძირში იღებს სათავეს და წალკის რაიონს აღმოსავლეთიდან საზღვრავს. მდ. ქციაც თრიალეთის ქედიდან იღებს სათავეს. წალკის რაიონში თავკვეთილის მთასთან, ნარიანის ველის გავლის შემდეგ შემოდის. სოფ. ავრანლომდე, მცირე მონაკვეთების გამოკლებით, ღრმა ხეობებში მოედინება, შემდეგ გამოდის ავრანლო-ნარდეგანის დაბლობზე, ბეშთაშენის ქვაბულის გავლით შედის ქ.წალკაში, სოფ. დაშ-ბაშთან „დახრამდების“ (ვახუშტი ბაგრატიონი), საიდანაც ბაზალტური ლავის განფენაში ჩაჭრილ ღრმა კანიონების გავლით გადის ქვემო ქართლის ვაკეზე და მდ. მტკვარს უერთდება. სოფ. არახლოს ქვემოთ ხეობა განიერდება, კალაპოტი იტოტება. ქვედა დინებაზე გამართულია ხრამის სარწყავი სისტემა, რომელიც მარნეულისა და ბოლნისის რაიონებს ემსახურება. ქ. წალკასთან მდინარე კაშხლითაა გადაკეტილი და შექმნილია წალკის წყალსაცავი, რომელიც ხრამი I და ხრამი II ჰიდროელექტროსადგურებს ამარაგებს წყლით. წალკის წყალსაცავი ბეშთაშენის სინკლინურ ქვაბულშია მოთავსებული.

მდ. ქცია წალკის რაიონის ძირითად სამდინარო არტერიას წარმოადგენს, რომლის გასწვრივაც ადამიანი უძველესი დროიდან სახლობდა.

წალკის ზეგანზე ძირითადად ტექტონიკური ტიპის ტბები გვხვდება. ამ ტიპის ტბებს მიეკუთვნებიან ბარეთისა და სანთის (უზუნგელი) და ზოგიერთი მცირე ზომის ტბები. ამ უკანასკნელთა დიდი ნაწილი უკვე დაშრობის პირასაა მისული (კარიაკის, დაშ-ბაშის, იმერას და სხვა).

წალკის კლიმატი კონტინენტური ჰავით ხასიათდება. საკმაოდ მაღალი მთაგრებილით გარშემორტყმულსა და თავადაც მაღლა მდებარე ამ მხარეში გარედან შემოჭრილი ჰაერის ნაკადების ეფექტი იწვევს ადგილობრივი ოროგრაფიული პირობების ზემოქმედებით. წლის ცივ ნახევარში აქ რადიაციული გაცივების შედეგად ხშირად ვითარდება ტემპერატურული ინვერსიები, რომელთაც თან სდევს წყნარი, უღრუბლო და ცივი ამინდი. ზამთრობით ზეგანი საგრძნობლად უფრო ცივია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს სხვა, ამავე სიმაღლეზე მდებარე რაიონები. ჰაერის ტემპერატურის რხევის ამპლიტუდა ამ მხარეში 25-26 გრადუსს აღწევს. წალკის ქვაბულს ახასიათებს ზომიერად ნოტიო ჰავა ცივი ზამთრით და ხანგრძლივი ზაფხულით, სუბტროპიკული ზეგნის მშრალი ჰავისაკენ გარდამავალი, ნალექიანობის ორი მაქსიმუმით წელიწადში. იანვრის საშუალო ტემპერატურა -3-8 გრადუსია, ივლისისა 15-20 გრადუსი; აბსოლუტური მინიმუმები - 25-30 გრადუსს უდრის. ატმოსფერულ ნალექთა წლიური რაოდენობა 500-600 მმ-ია, მაქსიმალური თვიური ნალექიანობა 100-120 მმ (ივნისი) და 50-70 მმ (სექტემბერი). მინიმალური თვიური ნალექიანობა 15-25 მმ (იანვარი) და 30-40 მმ (აგვისტო). აბსოლუტური სინოტივე 13 საათზე იანვარში 60-65 %, აგვისტოში 55-60 %. მდგრადი თოვლის საბურველის ხანგრძლივობა 2-5 თვე.

წალკის ზეგანის ნიადაგური საბურველი რთულია. გეოლოგიური სტრუქტურა და ლითოლოგიური გავლენა თავს იჩენს ნიადაგთა ქიმიურ შემადგენლობაში. ბაზალტებზე ჩამოყალიბებული ნიადაგები განირჩევიან კარბონატული შემადგენლობით.

წალკის რაიონის ნიადაგური არე მთა-ტყის და მთა-მდელოს ნიადაგებით ხასიათდება, რაც მისი მაღალი ჰიფსომეტრული მდებარეობით არის გამოწვეული. აქ სამი ძირითადი ზონა გამოიყოფა:

1. თრიალეთის ქედის ძირი ჰიფსომეტრულად „აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეებისა და მთისწინეთის გარდამავალი ტყესტეპის და ტყის ნიადაგების“ ზონაში ექცევა. „თრიალეთის ქედის მთისწინეთი“ დაფარულია ტყის ყავისფერი ნიადაგებით, რომელთა შორისაც ფართო გავრცელება აქვთ მცირე სისქის მქონე, სუსტად განვითარებულ სახესხვაობებს.
2. „თრიალეთის ქედის მთა-მდელოთა რაიონი“, რომელიც ხასიათდება მთის შავმიწების ფართო განვითარებით, რაც დაკავშირებულია დიდ სიმაღლეებზე მდებარე, ვულკანური გენეზისის მქონე ვაკეების არსებობასთან. ამ ნიადაგების გავრცელების ზონა 1200-2400 მ სიმაღლეებს მოიცავს.
3. სამხრეთ საქართველოს მთის შავმიწებისა და მდელოს ნიადაგების ზონის „წალკა-ღმანისის რაიონი“ 2000-2100 მ სიმაღლეზე ვრცელდება და ძირითადად შავმიწა ნიადაგებით არის შემოსილი. ეს ნიადაგები კარბონატული, საშუალო და გამოტუტვილი ნიადაგების ტიპებს მიეკუთვნებიან.

თრიალეთის ქედი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებას. იგი გამოირჩევა მრავალსართულიანი ლანდშაფტით საშუალომთიანი რელიეფით, ნესტიანიდან კონტინენტურისაკენ ცვალებადი ჰავით, ლანდშაფტური სარტყლებით ტყიანიდან ალპურამდე, ახალგაზრდა ვულკანური ფორმებით და აღმოსავლეთისაკენ კლებადი მეზოფილური (კოლხეთის ტიპის) ფლორით.

თრიალეთის ქედის რეგიონი შუალედური, გარდამავალი კლიმატური ხასიათით გამორჩეულია მცირე კავკასიონის ოლქის შემადგენელ რეგიონთა სისტემაში. აქ

არის მთიანი კოლხეთის მცენარეულობის გავრცელების უკიდურესი აღმოსავლეთი არე. რეგიონის რელიეფი სხვადასხვა დონეებზე მდებარე მოსწორებული დენუდაციური ზედაპირების გავრცელებითაც გამოირჩევა. თრიალეთის ქედი მცირე კავკასიონის ერთადერთი ისეთი რაიონია, სადაც მეოთხეული ვულკანიზმის გამოვლინებებმა მორფოლოგიური კვალი დატოვეს, მთიან-ეროზიულ რელიეფზე დადგმული ნაგებობების სახით.

თრიალეთის ქედის ბუნება სამეურნეო საქმიანობით ძლიერაა გარდაქმნილი. ამ ცვლილებათა მნიშვნელოვანი წილი უკანასკნელ ასწლიან პერიოდზე მოდის. მოხუცთა მოგონებანი და ტაძრებისათვის მსხვერპლად მიტანილი ნადირთა რქები მოწმობენ, მაგალითად, ირმების სიმრავლეს თრიალეთის ქედის ტყეებში XIX საუკუნის ბოლომდე. ნადირთა სიმრავლეზე ვახუშტი ბაგრატიონიც მიუთითებს. გარეული ცხოველების მრავალფეროვნებაზე წალკის რაიონში გათხრილ არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალის სიმრავლეც მიუთითებს. მაგალითად, შეიძლება მოვიტანოთ ჯინისის ნამოსახლარი, სადაც დადასტურებულია ირმის, შვლის, ნიამორის თუ ჯიხვის, დომბის და სხვ. ცხოველების ძვლები. რეგიონში დღესაც გხვდება დათვი, მგელი, ტურა, მელა, მაჩვი, შველი, გარეული ღორი, კურდღელი.

რაიონის ზოგი ნაწილის (მაგალითად, ატენის ხეობა, ბედენის პლატოს სამხრეთი ნაწილი) ტყეები ახლო წარსულში გაიკაფა. წალკის რაიონის მოსახლეობის გადმოცემით (სოფ. რეხა, ხანდო, ოლიანქი, ნარდევანი) რაიონში XX ს-ის დასაწყისისათვის კიდევ იყო შემორჩენილი ტყიანი კორომები, სადაც საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებისათვის ხის მასალას ამზადებდნენ. თუმცა რაიონის უმეტესი ნაწილი XVIII საუკუნისათვის უკვე უტყეო ჩანს [ვახუშტი .. გვ. 319].

თრიალეთის ქედის გეოლოგიური აღნაგობა მსგავსებას იჩენს აჭარა-იმერეთის ქედის სტრუქტურასთან, რომელთან ერთად იგი აჭარა-თრიალეთის ერთობლივ ნაოჭა სისტემას ქმნის. აქაც საქმე გვაქვს პალეოგენთან, რომელიც ნაოჭთა მარაოსებურ სისტემად არის შეჭმუჭნილი და უმთავრესად ვულკანოგენური ფაციესებითაა წარმოდგენილი. ეოცენურ ვულკანოგენურ წყებებთან ერთად, რომელთა შემადგენლობაში სხვადასხვა პროპორციით შეზავებულია პორფირიტული ლავური განფენები, ტუფბრექჩიები, ტუფები, ტუფოგენური ქანები და ზღვის ნორმალური ნალექები, აქ გავრცელებულია ზედაცარცული კირქვები, პალეოცენისა და ოლიგოცენის ტერიგენული (ფიქალ-ქვიშაქვური) წყებები, ხოლო დასავლეთ ნაწილში უახლესი ანდეზიტური ლავებიც.

რელიეფის ძირითად ფონს ქმნის საშუალომთიანი ეროზიული ქედ-ხეობების ერთობლიობა, ჩამოყალიბებული მიოცენური დროიდან, დანაწევრების გარდიგარდმო და გასწვრივი ელემენტების შეთანაწყობით (პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ძამის, თეძმის ქვემო წელის, კავთურას უმეტესი ნაწილის ხეობები; მეორეს კი გუჯარეთისწყლის, ვერეს, ნაწილობრივ თეძმისა და ალგეთის ხეობები). ამ ფონზე წყვეტილად განვითარებულია მოსწორებული ბრტყელი ზედაპირები, ვულკანური ნაგებობანი, მდინარეული ტერასები, მეწყერები, ხელოვნური გამოქვაბულები და სხვა.

თრიალეთის ქედის თხემს ბორჯომიდან თბილისამდე 120 კმ სიგრძე აქვს. თხემის მიმართულება ზოგადად განედურია. ბოლო ნაწილებში კი მოსაზღვრე ბარის ვაკეებისაკენ იხრება. ქედის დასავლური და აღმოსავლური ბოლოები განტოტვილია.

წყალგამყოფ ქედზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, თანამიმდევრულად განლაგებულია შემდეგი მწვერვალები და უღელტეხილები: მ.ოშორა (სოფ. აწყურის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 2603 მ), მ. ორთათავი (2513 მ), მ. დამწვარიათალი (2708 მ), მ. ყარაყაია (2853 მ, ქედის უმაღლესი მწვერვალი), უღელტეხილი ცხრაწყარო (2458 მ), მ. ცხრაწყარო (2720 მ), მ. საყველოსმთა (2808 მ), მ. კენჭიყარო (2500 მ), მ. ქვაჯვარა (2600 მ), ნ. ჯამჯა (2320 მ), მ. არჯევანი (2759 მ), მ. მზისცხვირი (2250 მ), მ. დიდგორი ვერისა (1893 მ), მ. ნიშნისმთა (1520 მ) და სხვ.

რეგიონის ფარგლებში წარმოდგენილია ორი ლანდშაფტური სარტყელი – ტყიანი და ალპური. ტყიან სარტყელს ჰიფსომეტრულ შუალედში 1000-1200 მ-დან (ბორჯომის ხეობაში 800-900 მ-დან) სარტყლის ზედა საზღვრამდე ახასიათებს წიფლნარი და შერეული წიფლნარ-მუქწიწვიანი ტყეები ყომრალი ნიადაგებით. სოჭი და ნაძვი გავრცელებულია ხეობათა უმრავლესობაში, ბორჯომულასა და გუჯარეთისწყლის ხეობებიდან კავთურას ხეობამდე. ნაძვნარის მოზრდილი მასივი ალგეთის ხეობის სათავეშიც არის, სამხრეთ ფერდობზე. მთელ რიგ რაიონებში ტყე გაჩეხვის, ხანძრებისა და პირუტყვის ძოვების შედეგად განადგურებულია, სადაც მეორადი მდელობია წარმოქმნილი. ტყის ზედა საზღვარი ბევრგან ხელოვნურადაა დადაბლებული, ხოლო ტყეებში ველობებია (ახოები) გაჩენილი. ქედის აღმოსავლეთ ნაწილში მუხნარ-რცხილნარებიც არის გავრცელებული.

წალკის რაიონი შიდა ქართლისაგან თრიალეთის ქედითაა გამოყოფილი, რომელთანაც რამდენიმე გადასავლელი აკავშირებს. დღეს მოქმედი გადასასვლელი, რომელიც ავრანლო-რეხა-ხანდოს გზის გაგრძელებაზეა, რეგიონს გუჯარეთის ხეობასთან აკავშირებს. შუასაუკუნეებში ინტენსიურად მოქმედი კლდეკარის უღელტეხილი კი, რომელიც თეძმისა და კავთურას ხეობებისაკენ გადადის, დღეს ნაკლებად ფუნქციონირებს და ძირითადად საურმე-საცხენოსნო მიმოსვლისათვის გამოიყენება.

თრიალეთი ჯავახეთს ორი გადასასვლელით უკავშირდება. ერთი ყიზილქილისა-საბიდახჩა-ტაბაწყურზე მიემართება, მეორე კი ნარდევანიდან ჭიქიანის უღელტეხილის გავლით ფარავანთან გადაის.

სამხრეთით მიმავალი გზა ჭოჭიანის ხეობის გავლით დმანისისაკენ მიემართება.

ქვემო ქართლის ვაკისაკენ მიმავალი ერთი გზა ბედენის უღელტეხილის გავლით თეთრიწყარო-სამშვილდეზე გადაის. მეორე კი მანგლის-ფარცხისის გზას გაივლის და სოფ. კოდასთან თბილისი- მარნეულის ცენტრალურ მაგისტრალს უერთდება.

თრიალეთის გეოგრაფიული მდებარეობა და მასზე გამავალი გზები, ამ რეგიონს გზაჯვარედინის ფუნქციას აკისრებს. თრიალეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება, ბუნებრივ რესურსებთან ერთად, საუკუნეთა მანძილზე ამ მდგომარეობითაც იყო განპირობებული.

თრიალეთის ბუნებრივი პირობები ადამიანის განსახლებისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის მეტად ხელსაყრელი იყო და ასეთად რჩება დღესაც. ადამიანის ხანგრძლივმა და ინტენსიურმა საქმიანობამ რეგიონის ლანდშაფტს დიდი კვალი დაამჩნია.

უკანასკნელ წლებში მიმდინარე მოვლენებმა კი რეგიონის ეკონომიკას გარკვეული დალი დაამჩნია. ინტენსიური მეურნეობიდან მოსახლეობა ექსტენსიურზე გადავიდა, რამაც სამიწათმოქმედო კულტურის დაქვეითება გამოიწვია.

თაზო III

პრეისტორიული და ისტორიული ფონი

წალკის რაიონში აღმოჩენილი უძველესი ფაუნის ნაშთები ბეშთაშენთან (ხმალკბილა ვეფხვი, სამხრეთული სპილო და სხვ.), იმერასთან (სამხრეთული სპილო) და სოფ. დარაკოვთან (ცხენი) არის აღმოჩენილი, რომლებიც 1,5 მილიონი წლის ფარგლებში თავსდება. ეს ორი უკანასკნელი აღმოჩენა დაკავშირებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან (იხ. 2003 წლის ანგარიში).

თრიალეთში ადამიანი ძველი ქვის ხანიდან დასახლებულა. სოფ. ავრანლოსთან აღმოჩენილი ანდეზიტ-ბაზალტისაგან დამზადებული ხელცულები და სხვა იარაღები აშელის ეპოქის (2 000 000 – 100 000 წლის წინ) გვიან საფეხურს განეკუთვნებიან. შუა პალეოლითის (100 000 – 35 000 წლის წინ) მუსტიეს ეპოქისათვის დამახასიათებელი იარაღები კი მრავალ პუნქტშია (ელი-ბაბა, ბეშთაშენი, სანთა, ავრანლო, ოზნი, ჯინისი, იმერა) დადასტურებული. ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი იარაღები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის ზონაშიც (იმერა – KP-110, ელი-ბაბა – KP-116, აი-ილია – KP-123, სანთა – KP-129) აღმოჩნდა.

მეზოლითის პერიოდი (12 000 – 8 000 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე) პლეისტოცენის (ქვედა, შუა და ზედა პალეოლითი) დასასრულსა და ჰოლოცენის (გამყინვარების მომდევნო ეპოქა, რომელიც დაიწყო 10-12 ათასი წლის წინ და დღესაც გრძელდება) დასაწყისს ემთხვევა. ამ ეპოქის ძეგლები თრიალეთში აღმოჩენილია ეძანში (ბარმაქსიზი), ზურტაკეტში, თაქ-ქილისაში, ბეშთაშენში. მილსადენის დერეფანში ამ ეპოქის იარაღები აღმოჩნდა აი-ილიას ნამოსახლარის გათხრებისას (KP-123).

გვიანი ნეოლითის თუ ადრე ენეოლითის (8 000 – 3 500 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე) მცირერიცხოვანი მასალები აი-ილიას მთის თხემზე (KP-123) ჩატარებული გათხრებისას იქნა მოპოვებული.

ადრე ბრინჯაოს ხანის (3 500 – 2 500 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე) ძეგლები მიკვლეულია და ზოგი გათხრილია: ბეშთაშენში, ოზნიში, ავრანლოში, დაშ-ბაშში, ქ. წალკაში, ბაშქოიში, ბეშთაშენში, სანთაში, ავრანლოში.

შუა ბრინჯაოს (2 500 – 1 800 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე) ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში თრიალეთური კულტურაა გავრცელებული. კულტურის სახელწოდება თრიალეთის პლატოზე გათხრილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლიდან (ბ. კუფტინი) იღებს სათავეს, რამდენადაც პირველად აქ იქნა მიკვლეული შუა ბრინჯაოს ხანის პირველი და მეტად საყურადღებო ძეგლები.

ბ. კუფტინის მიერ XX ს-ის 30-40-იან წლებში ჩატარებული სამუშაოების დროს სხვადასხვა ეპოქის მრავალი არქეოლოგიური ძეგლი იქნა დაფიქსირებული. შემდეგში რეგიონის არქეოლოგიურ შესწავლას თრიალეთის (ხელმძღვ. ო.ჯაფარიძე. სწავლობდა შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებს), სამხრეთ საქართველოს (ხელმძღვ. მ. გაბუნია. შეისწავლა ქვის ხანის ძეგლები) და წალკა-თრიალეთის (ხელმძღვ. გ. ნარიმანიშვილი) ექსპედიციები ახორციელებდნენ.

სხვა ეპოქის ძეგლებთან ერთად ექსპედიციებს შესწავლილი აქვთ გვიანი ბრინჯაოს ადრეული საფეხურის (ძვ. წ. 1 700 – 1 400 წწ), გვიანი ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. XIV-X სს), ადრე რკინის ხანისა (ძვ. წ. IX-VIII სს) და რკინის ფართო ათვისების ხანის (ძვ. წ. VII-VI სს) არქეოლოგიური ძეგლებიც. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავიათ ბარეთის, ელი-ბაბას, ახალდაბის, სანთის, აშკალას,

გუმბათის, ავრანლოს, ოზნის და ნარდეკანის „ციკლოპურ“ სიმაგრეებსა და ნამოსახლარებს, წინწყაროს, სანთის, მარალინ-დერესის, თაქ-ქილისას, დარაკოვის, ბეშთაშენის, საფარ-ხარაბასა და ელი-ბაბას სამაროვნებს.

ანტიკური ხანის ძეგლები მიკვლეული და ნაწილობრივად შესწავლილი ბეშთაშენში, სანთაში, ნერონ-დერესის ხევის პირთან, კარიაკში და სხვ.

ადრეულ შუა საუკუნეებში წალკის ტერიტორია ინტენსიურადაა ათვისებული. ახალი რელიგიის, ქრისტიანობის შემოღებასთან ერთად რეგიონში იწყება დიდი სააღმშენებლო საქმიანობა, რომელიც განსაკუთრებით თვალში საცემი ხდება IX საუკუნიდან. ამ დროიდან თრიალეთი განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის. მისი მმართველები, ბაღვაშები საქართველოს სამეფო ტახტის დაკავებასაც ცდილობდნენ, რომელთა სეპარატისტულ ქმედებასაც დავით აღმაშენებელმა დაუსვა წერტილი. დავითის შემდეგ თრიალეთი სამეფო დომენად გამოცხადდა.

გვიან შუა საუკუნეებში მტერთა უსასრულო შემოსევების შედეგად თრიალეთი თანდათან გაუკაცრიელდა და XIX ს-ის დასაწყისისათვის მოსახლეობისაგან თითქმის დაიცალა.

საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლამ წალკაშიც გამოიწვია ცვლილებები. კერძოდ 1829 წლიდან მოკიდებული რუსეთ-თურქეთის ყოველი ომის შემდეგ ინტენსიურად ხდებოდა თურქეთში მცხოვრები ბერძნებისა და სომხების ჩამოსახლება.

დღეისათვის ბერძნული მოსახლეობა თავის ისტორიულ სამშობლოს, საბერძნეთს უბრუნდება. მიმდინარეობს საქართველოს მთიან რეგიონებში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის განსახლება.

თაზო IV

საველე და კამერალური კვლევის მეთოდები

§ 1. იმერას სამაროვანო

საველე კვლევის მეთოდები:

1. KP 107-დან KP 110-მდე მონაკვეთზე გაითხარა 7 სამარხი, გავლებულ იქნა 10 თხრილი.

KP 107-109 მდებარეობს ბედენის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, KP 110 კი - ვაკეზე.

2. ენერგოკორიდორის 107-110 კილომეტრები დაიყო უბნებად, ნაკვეთებად და კვადრატებად. განისაზღვრა უბნების მდებარეობა ბალტიის ზღვის დონიდან. ყველა უბნისათვის დაფიქსირდა ნულოვანი წერტილი, საიდანაც აითვალა აღმოჩენილი არტეფაქტების სიღრმეები. ცალკეული ობიექტებისათვის შედგა გეგმები და შესაბამისი ჭრილები. საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა სიღრმეებისა და დონეების კორექცია.

3. გათხრების დაწყების მომენტისათვის ენერგოკორიდორის ნავთობის მილის და სამანქანო გზის მონაკვეთებში მოხსნილი იყო ჰუმუსური ფენა, რომელიც დასაწყობებული იყო გაზსადენის ზონაში. ნავთობის მილი კი ჩადებული იყო შესაბამის თხრილში.

ენერგოკორიდორის ის მონაკვეთები, სადაც მიმდინარეობდა გათხრები აიგეგმა ტოპოგრაფიულად. გასათხრელი ფართობები დანაწილდა ნაკვეთებად და კვადრატებად.

4. ქვის იარაღები აღებული იქნა ნაკვეთების, კვადრატების, სამარხებისა და თხრილების ნომრების მიხედვით. სამარხებში აღმოჩენილი მასალები დატანილია გეგმებზე.

კერამიკული ჭურჭლების ნაწილი ძლიერ იყო დაზიანებული, ისინი ჩაიხატა საველე პირობებში, დაფიქსირდა ფოტოფირებზე. შემორჩენილი ნაშთები, შიგთავსთან ერთად, აღებული იქნა მთლიანად, შეიფუთა და შეინახა ექსპედიციის ბაზაზე.

ოსტეოლოგიური მასალა ცუდად იყო დაცული. ნიმუშების აღება ლაბორატორიული კვლევისათვის ვერ მოხერხდა.

ყველა მოპოვებულ მასალას მიენიჭა დროებითი საველე ნომერი, აღიწერა საველე პირობებში და გატარდა შესაბამის დავთრებში.

კამერალური კვლევის მეთოდები:

1. სამაროვანზე მოპოვებული მასალები სხვადასხვაგვარად დამუშავდა:

სამარხებში აღმოჩენილი კერამიკიდან ამოღებული იქნა მიწა, რომელიც გადაეცა პალინოლოგიური და პალეობოტანიკური კვლევისათვის. ვიზუალურად იქნა შესწავლილი ზედა და შიდაპირი. გარეცხვის შემდეგ მოხდა მათი რესტავრაცია;

სამკაული გაირეცხა სპირტით, გასუფთავდა და მომზადდა საკონსერვაციოდ.

ყველა არტეფაქტი დაინომრა, აღიწერა და გატარდა ღვეთარში; ჩაიხატა; გადაღებულ იქნა ნეგატიური, პოზიტიური და ციფრული ფოტოები.

უბანზე მოპოვებული პალინოლოგიური მასალები დამუშავდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის პალეობოტანიკური განყოფილების პალინოლოგიურ ლაბორატორიაში. სამუშაოებს აწარმოებდნენ გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი ელისო ყვავაძე და ლაბორანტი თამუნა ხახუტაშვილი (იხ. შესაბამისი ანგარიში).

პალეობოტანიკური გამოკვლევა მიმდინარეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ინტერდისციპლინარული კვლევის განყოფილებაში ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ნანა რუსიშვილის ხელმძღვანელობით (იხ. შესაბამისი ანგარიში).

პალეოზოოლოგიური მასალები დამუშავდა და განისაზღვრა არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, მოწვეული თანამშრომლის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ოლეგ ბენდუქიძის მიერ (იხ. შესაბამისი ანგარიში).

ქვის იარაღების ტრასოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ინტერდისციპლინარული კვლევის განყოფილებაში ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ქეთევან ესაკიას მიერ (იხ. შესაბამისი ანგარიში).

2. მონაცემები კომპიუტიზირებულია Microsoft Word; Microsoft Excel; Adobe Photoshop; Autodesk Land Destop 3; AutoCAD; Hp scanjet; Nero პროგრამებში.
3. სამაროვანზე მოპოვებული მასალები დაცული იქნება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

§ 2. საფარ-ხარაბას სამაროვანი

საველე კვლევის მეთოდები:

1. სამაროვანზე გაითხარა ორი (№№ 30, 31) სამარხი. სამარხები განლაგებულია სოფ. საფარ-ხარაბას ჩრდილოეთით მდებარე ვაკეზე.
2. სამაროვნის ტერიტორია აიგემა ტოპოგრაფიულად, შედგა გენგემა. სამარხები გაითხარა ვერტიკალური სტრატეგრაფიის მეთოდის გამოყენებით.
3. სამარხები გამოვლინდა მშენებლების მიერ ნავთობის მილისათვის თხრილის გაჭრის დროს.

4. სამარხებში გამოვლენილი მასალები დატანილი იქნა გეგმებზე. გათხრების მიმდინარეობის პროცესი აღბეჭდილ იქნა შავ-თეთრ და ფერად ნეგატიურ და ფერად პოზიტიურ ფოტოფირებზე. მოხდა სამარხების აღწერა. ნივთებს მიენიჭა საველე ნომრები. № 30 სამარხში აღმოჩენილი ურმის დეტალები გამაგრდა ადგილზე, შემდეგ მოიჭრა მიწის ფენასთან ერთად.

კერამიკა ამოღებული იქნა შიგთავსთან ერთად. მიცვალებულისა და საქონლის ძვლები მოთავსდა შესაბამის ყუთებში.

სამაროვანზე მოპოვებული მასალები და საველე დოკუმენტაცია გადმოტანილ იქნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრში ლაბორატორიული დამუშავებისათვის.

კამერალური კვლევის მეთოდები:

1. არტეფაქტები, პალეოლოგიური და პალეობოტანიკური ნიმუშები, კერამიკა და სხვათა დამუშავების მეთოდები იმერას სამაროვნისათვის გამოყენებული მეთოდების იდენტურია.
2. მონაცემები კომპიუტიზირებულია Microsoft Word; Microsoft Excel; Adobe Photoshop; Autodesk Land Destop 3; AutoCAD; Hp scanjet; Nero პროგრამებში.
3. სამაროვანზე მოპოვებული მასალები დაცული იქნება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

§ 3. სადრენაჟო სისტემა სოფ. სანთასთან

საველე კვლევის მეთოდები:

1. KP 129-ზე გამოვლინდა და გაითხარა სადრენაჟო სისტემის ნაშთები. ლანდშაფტი წარმოადგენს სამხრეთისაკენ ოდნავ დახრილ მინდორს, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი დაჭაობებულია.
2. გაითხარა არხის ნაწილი. დაფიქსირდა, რომ არხი ენერგოკორიდორს კვეთს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ენერგოკორიდორის ჩრდილოეთ მონაკვეთში გაიჭრა საკონტროლო თხრილი, სადაც დაფიქსირდა არხის პროფილი და დანალექი ფენების დონეები.
3. არხის მოშავო-მოყავისფრო ლაქები ენერგოკორიდორის გაზსადენის მონაკვეთში მიმდინარე მიწის სამუშაოების დროს დაფიქსირდა. მონაკვეთი დატანილ იქნა ტოპოგრაფიულ რუკაზე, შედგა გათხრილი მონაკვეთის გენგეგმა და ჭრილები.
4. აღებული იქნა ფხვიერი მიწის ნიმუშები.

კამერალური კვლევის მეთოდები:

1. არტეფაქტები და სხვა მასალა არ აღმოჩენილა.
2. მონაცემები კომპიუტერიზებულია Microsoft Word; Microsoft Excel; Adobe Photoshop; Autodesk Land Destop 3; AutoCAD; Hp scanjet; Nero პროგრამებში.

§ 4. ჯინისის ნამოსახლარი

საველე კვლევის მეთოდები:

1. ნამოსახლარზე გაითხარა ხუთი სახლი, გავლელულ იქნა სადაზვერვო თხრილები. ნამოსახლარი განლაგებულია სოფ. ჯინისის ჩრდილოეთით მდებარე ვაკეზე, მდ. გუმბათისწყლის მარცხენა ნაპირზე.
2. ენერგოკორიდორის 136-ე კილომეტრი დაიყო ნაკვეთებად და კვადრატებად. განისაზღვრა მისი მდებარეობა ბალტიის ზღვის დონიდან. დაფიქსირდა ნულოვანი წერტილი, საიდანაც აითვალა აღმოჩენილი სახლების და არტეფაქტების სიღრმეები. ცალკეული სახლებისათვის შედგა გეგმები და შესაბამისი ჭრილები. სახლებში და ნამოსახლარის ტერიტორიაზე გათხრილი ორმოები დატანილი იქნა შესაბამისი სახლების გეგმებზე და გენგეგმაზე. ყოველი ორმო დამოუკიდებლად გამოიხაზა. ნამოსახლარზე მოპოვებული არტეფაქტები აღებული იქნა სახლების, ნაკვეთების, კვადრატების და ღონეების მიხედვით.

მოპოვებულ მასალებს მიენიჭა დროებითი საველე ნომერი, აღიწერა საველე პირობებში და გატარდა შესაბამის დავთრებში. გადაღებულ იქნა ნეგატიური, პოზიტიური და ციფრული ფოტოები.

ნამოსახლარზე მოპოვებული მასალები და საველე დოკუმენტაცია გადმოტანილ იქნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრში ლაბორატორიული დამუშავებისათვის.

3. არქეოლოგიური ძეგლი გამოვლინდა ენერგოკორიდორის გაზსადენის მონაკვეთში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების დროს. ნამოსახლარი განლაგებულია მდინარისპირა მეორე ტერასაზე. დასახლება განფენილი ყოფილა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დახრილ მინდორზე, რომელიც მდინარისაკენ ეშვება. ენერგოკორიდორში მოქცეული ფართობი და მიმდებარე ტერიტორია აიგემა ტოპოგრაფიულად.
4. პალეობოტანიკური და პალინოლოგიური ანალიზისათვის ნიმუშები აღებულია ყველა სახლიდან და ორმოდან.

კამერალური კვლევის მეთოდები:

1. არტეფაქტები და სხვა მასალა დამუშავებული, აღნუსხული, კატალოგიზირებული და შესანახადაა მომზადებული. ოსტეოლოგიური მასალის, პალინოლოგიური და პალეობოტანიკური ნიმუშების, კერამიკის და სხვათა დამუშავების მეთოდები სხვა უბნებისათვის გამოყენებული მეთოდების იდენტურია (იხ. ზემოთ).

2. მონაცემები კომპიუტიზირებულია Microsoft Word; Microsoft Excel; Adobe Photoshop; Autodesk Land Destop 3; AutoCAD; Hp scanjet; Nero პროგრამებში.
3. ნამოსახლარზე მოპოვებული მასალები დაცული იქნება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

თ ა ვ ი V

კ ვ ლ ე ვ ი ს უ ე ღ ე ბ ე ბ ი

ბ. ნარიშანიშვილი, რ. დავლიანიძე,
ბ. მურვანიძე, ნ. შანშაშვილი, მ. კვაჭაძე

§ 1.

ო მ ე რ ა ს ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი

იმერას სამაროვანი

მდებარეობს სოფ. იმერას აღმოსავლეთით. ტერიტორია, სადაც სამარხები გაითხარა ენერგოკორიდორის 107-110 კილომეტრებს შორისაა მოქცეული, ბედენის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე და მის ქვემოთ არსებულ მინდორზეა გამართული (სურ. 1 - 1, 2).

დღეისათვის ენერგოკორიდორის 107-110 კილომეტრებზე მთლიანადაა მოხსნილი 0,3-0,5 მ სისქის ჰუმუსური ფენა („ტოპ-სოილი“), ნავთობსადენის მიღების დიდი ნაწილი ჩაწყობილია შესაბამის თხრილებში და შევსებულია მიწით. ენერგოკორიდორში მოხსნილი ჰუმუსი დაგროვილია გაზსადენის მხარეს.


კონტრაქტი (HL-067) ითვალისწინებდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ენერგოკორიდორის ამ მონაკვეთზე 2003 წელს მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების დროს გამოვლენილი ქვაყრილების ხასიათის და დანიშნულების გარკვევას. ჩვენი მიზანი იყო 107-110 კილომეტრებს შორის მოქცეული ფართობის არქეოლოგიური ძეგლებისაგან განთავისუფლება (სურ. 1 – 3, 1-4, 1-5).




სურ. 1-1. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ენერგოკორიდორის 107-ე კმ. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.




სურ. 1-2. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ენერგოკორიდორის
107-ე კმ. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.



სურ. 1-3. რუკა 1. წრით აღნიშნულია სამაროვნის მდებარეობა.



სურ. 1-4. ტოპოგეგმა 2003 წ. იმერას სამაროვანი – 110-ე კმ.



სურ. 1-5. გენგეგმა. 2003 წ. იმერას სამაროვანი, 110-ე კმ.

უბნის ზოგადი აღწერილობა

ენერგოკორიდორის 107-110 კილომეტრებს შორის მოქცეული ფართობი ბედენის ქედის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. სამაროვანი ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე და მის ქვემოთ არსებულ მინდორზეა გამართული. 109-ე კილომეტრთან ენერგოკორიდორს წყალმცირე მდინარე პონლუჩაი კვეთს, რომელიც აქვე უერთდება მდ. ეგრიჩაის. ეს უკანასკნელი სამხრეთიდან უვლის 110-ე კილომეტრზე გამოვლენილ სამაროვანს და სოფ. იმერას გავლით წალკის წყალსაცავს უერთდება. KP - 107-110 შორის მოქცეული მონაკვეთი მკვეთრად ნაოჭიანია, რელიეფი დამრეცია და ჩრდილოეთისაკენ მიმართული. ფერდობებს მცირე ხეები და ნაკადულები კვეთს (სურ. 1-6, რუკა 2; 1-7).

107-109 კმ-ზე ენერგოკორიდორი ფერდობს მიუყვება. მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორია დღეისათვის სათიბად და საძოვრად გამოიყენება. ენერგოკორიდორის 110-ე კმ ვაკე ადგილზე მდებარეობს, რომელიც დღემდე სახნავ-სათეს სავარგულებს წარმოადგენს (სურ. 1-1, 2). 110-ე კმ-ზე გამოვლენილი სამარხების მახლობლად ორი ნახევრად დამშრალი ტბა მდებარეობს.

იმერას სამაროვნის ჩრდილოეთით თბილისი-წალკის სამანქანო გზა გადის.

ძველის ფუნქციონირების პერიოდში საკვლევი ფართობის გამოყენების შესახებ ინფორმაცია მოპოვებული არ არის (არ ჩატარებულა აღებული ნიმუშების პალეოზოოლოგიური, პალეობოტანიკური და პალინოლოგიური გამოკვლევა).

დღეისათვის ენერგოკორიდორის 107-110 კმ ნიშნულებზე მთლიანადაა მოხსნილი 0,3-0,5 მ სისქის ჰუმუსი (ტოპ-სოილი), ნავთობსადენის მილების დიდი ნაწილი ჩაწყობილია შესაბამის თხრილებში და შევსებულია მიწით. ენერგოკორიდორში მოხსნილი ჰუმუსი დაგროვილია გაზსადენის მხარეს.

კვლევის დანიშნულება

მენეჯმენტის მიზნები:

კონტრაქტი ითვალისწინებდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ენერგოკორიდორის 107-110 კილომეტრებზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების დროს გამოვლენილი ქვყარილების ხასიათის და დანიშნულების გარკვევას და ენერგოკორიდორის აღნიშნული მონაკვეთის არქეოლოგიური ძეგლებისაგან განთავისუფლებას.

მიზნის მისაღწევად გამოყოფილი იყო 14 სამუშაო დღე. საველე სამუშაოებში მონაწილეობა უნდა მიეღო 17 თანამშრომელს და 12 მუშას.

კვლევის თემა:

არქეოლოგიური ობიექტის შესახებ ენერგოკორიდორის მშენებლობამდე ინფორმაცია არ მოგვეპოვებოდა.

მშენებლობის დროს გამოვლენილი ქვყარილები სავარაუდოდ სამარხებს მიეკუთვნებოდა, რაც გათხრების პროცესში დადასტურდა (სურ. 1-8; 1-9; 1-10).


ენერგოკორიდორის მოცემულ მონაკვეთზე სამარხები ორ ჯგუფად, 109-ე და 110-ე კილომეტრნიშნულებზეა განლაგებული.

როგორც ჩანს, სამარხთა გამოვლენილი ჯგუფები ორ სამაროვანს განეკუთვნება, რომელთა მხოლოდ მცირე, პერიფერიული ნაწილი მოხვდა მშენებლობის ზონაში.


სავარაუდოა, რომ სამარხთა ნაწილი გაზსადენის მშენებლობის ზონაშიც დაფიქსირდეს.



სურ. 1-7. რუკა 3. იმერა, კპ. 107.



სურ. 1-8. ტოპოგეგმა 2004 წ. იმერას სამაროვანი. კრ. 107.



სურ. 1-10. გენგეგმა 2004 წ. იმერას სამაროვნის 110-ე კმ.

კვლევის პროცესში წამოჭრილი კითხვები:

არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე საკვლევ ფართობზე მხოლოდ ქვაყრილების ფრაგმენტები ჩანდა. მათი ანთროპოგენურობა ეჭვს არ იწვევდა, თუმცა ქვაყრილების ხასიათის ზუსტი განსაზღვრა შესწავლის გარეშე ძნელი იყო. წინასწარული ვარაუდით ეს ქვაყრილები სამარხებს ეკუთვნოდა.

ამდენად მიკვლევული ობიექტის შესწავლის დაწყებისას რამდენიმე ძირითადი კითხვა იდგა:

1. რა ხასიათის ძეგლია (ქვაყრილები ნამდვილად განეკუთვნობოდა თუ არა სამარხებს).
2. სამარხების არსებობის შემთხვევაში გასარკვევი იქნებოდა ინტენსიურ სამაროვანთან გვაქვს საქმე, სამარხთა ჯგუფთან თუ ცალკეულ სამარხთან.
3. როგორია სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი.
4. რომელ ეპოქას მიეკუთვნება.
5. სამაროვნისა და საცხოვრებლის ურთიერთმიმართების გარკვევა.
6. რა სახის ახალი ინფორმაცია შეიძლება მოვიპოვოთ.

საკვლევ კითხვების საპასუხოდ გამოყენებული ანალიზისა და მეთოდების აღწერილობა:

1. ფართობები აიგეგმა ტოპოგრაფიულად, შედგა კვადრატების ბადე, დაფიქსირდა ძეგლების მდგომარეობა გათხრებამდე.
2. გამოვლენილი ობიექტები გაითხარა ძეგლის სტრატეგრაფიული შესწავლის მეთოდით, შედგა შესაბამისი გეგმები და ჭრილები, შესრულდა ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია. გამოვლენილი ობიექტები და არტეფაქტები აღწერილ იქნა საველე პირობებში.
3. გამოვლენილ სამარხებში დაკრძალულ მიცვალებულთა ჩონჩხების ცუდი დაცულობის გამო მათი ანთროპოლოგიური შესწავლა საველე პირობებში ჩატარდა.
4. ლაბორატორიული ანალიზისთვის აღებულ იქნა მიწისა და ხის ნიმუშები.
5. ნამოსახლარის მიკვლევის მიზნით ვიზუალურად შემოწმდა ენერგოკორიდორის ახლოს მდებარე ტერიტორია. ამ მიზნით შემდგომში ჩასატარებელია აეროარქეოლოგიური კვლევა.
6. სამაროვნების საზღვრების დადგენის მიზნით ენერგოკორიდორის მონაკვეთში გაჭრილ იქნა რამდენიმე სადაზვერვო თხრილი.

მეთოდები

მოპოვებული საარქივო მასალები: კერამიკა; ლითონის, ქვის და პასტის მძივები და სამკაულები; საქონლის ძეგლები; ტოპოგრაფიული რუკები; გათხრილი ფართობების გეგმები და ჭრილები; ცალკეული სამარხების გეგმები და ჭრილები; ნეგატიური ფერადი ფირები; პოზიტიური ფერადი ფირები; ციფრული ფოტო მასალა; თანამშრომელთა საველე დღიურები; საველე დავთრები.

ლაბორატორიული დამუშავების პროცესში და სრული დოკუმენტური ანგარიშის დასრულებამდე ველზე მოპოვებული ყველა მასალა და დოკუმენტი დაცული იქნება აკც-ს ლაბორატორიებში და საცავში.

ლაბორატორიული სამუშაოების დასრულების შემდეგ არტეფაქტები, შესაბამისი დოკუმენტაციით, გადაეცემა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს.

შედეგები

გათხრილი ერთეულების რიცხვი, სიდიდე და ადგილმდებარეობა:

107-ე კმ-ზე არქეოლოგიური ობიექტები არ აღმოჩნდა. აქ გავლებულ იქნა ოთხი საძიებო თხრილი, რომელთა ზომებია - № 1 თხრილის ჩრდილოეთისა და დასავლეთის კიდეები 7-7 მეტრია, აღმოსავლეთის - 6 მ, სამხრეთის - 8 მ.; № 2 თხრილის ჩრდილოეთი კიდე 4,5 მ-ია, სამხრეთისა - 5 მ, აღმოსავლეთისა - 4 მ, დასავლეთისა - 2,5 მ.; № 3 თხრილის ჩრდილოეთისა და დასავლეთის კიდეები 4-4 მ-ია, აღმოსავლეთისა - 4,5 მ, სამხრეთისა - 2,5 მ.; № 4 თხრილის ზომა კი 2,5 X 2,5 მ. (სურ. 1-8).

იმის გამო, რომ ენერგოკორიდორში მიწის გარკვეული დონე უკვე აღებული იყო ტექნიკით, ობსიდიანების დიდი ნაწილი არ აღმოჩნდა in situ, თუმცა შორიდან გადმოადგილებული არ უნდა იყოს და მათი ადგილსამყოფელი იქვე ახლომანლო ივარაუდება.

იმერას სამაროვნის ტერიტორიაზე ზედაპირულად აკრეფილი მასალა.¹

1. გვერდულა საფხეკ-სატეხი (ინვ. № 1), ობსიდიანის, დამზადებულია მასიურ, დიდი ზომის ანატეკეზე² (სურ. 1-11, 1; ტაბ. 1-I, 1).

2. ბოლოკიდურა საფხეკი (ინვ. № 2), ობსიდიანის, დამზადებულია მასიურ ფირფიტისებრ ანატეკეზე (სურ. 1-11, 2; ტაბ. 1-I, 4).

3. ბოლოკიდურა-გვერდულა საფხეკ-სატეხი (ინვ. № 3), ობსიდიანის, დამზადებულია საშუალო ზომის ანატეკეზე, საფხეკის სამუშაო პირები ჩამოყალიბებულია საპირისპირო რეტუმით³ (სურ. 1-11, 7; ტაბ. 1-I, 2).

4. ბოლოკიდურა საფხეკი (ინვ. № 4), ობსიდიანის, დამზადებულია საშუალო ზომის მასიურ ანატეკეზე. დაკბილული სამუშაო პირი გაფორმებულია მუცლის მხრიდან (ტაბ. 1-I, 3).

5. გვერდულა საჭრისი (ინვ. № 5), ობსიდიანის, დამზადებულია ფირფიტისებრ ანატეკეზე. სიგანე - 1,8 სმ., (სურ. 1-13, 3; ტაბ. 1-I, 5).

6. ბოლოკიდურა საფხეკი (ინვ. № 6), ობსიდიანის, დამზადებულია მცირე ზომის სამკუთხა ანატეკეზე, რომელსაც აქვს მკვეთრად გამოხატული დარტყმითი ბურცობი⁴.

7. სახვრეტი (ინვ. № 7), ობსიდიანის, დამზადებულია მცირე ზომის ანატეკეზე, მოკლე წვერი გამოყვანილია სასაჭრისე და ამოღარული ანატეკეების ალებით (სურ. 1-12, 3; ტაბ. 1-II, 3).

¹ ინვ. №№ 1-46 მოპოვებულია KP-110-ზე, №№ 47-48 კი - KP-109-ზე.

² ინვ. №№ 1, 2, 4, 7, 9, 14, 14ა, 26, 39 მიეკუთვნება მუსტიეს ეპოქას. განსაზღვრა ი.მ.კ. ლიდა ჭელიძემ.

³ ინვ. №№ 3, 5, 10, 11, 13, 16ა, 16ბ, 17, 22, 24, 27, 29, 30, 35, 41, 43 მიეკუთვნება ენეოლითის ხანას. განსაზღვრა ი.მ.კ. ლიდა ჭელიძემ.

⁴ ზოგიერთი არტეფაქტის მიკუთვნება კონკრეტული ეპოქისათვის კვლევის ამ ეტაპზე შეუძლებელია. განსაზღვრა ი.მ.კ. ლიდა ჭელიძემ.

8. კუთხურა საჭრისი (ინვ. № 8), ობსიდიანის, დამზადებულია ფირფიტისებრ ანატკეცზე. სიგანე - 1,5 სმ.

9. სატეხი (ინვ. № 9), ობსიდიანის, დამზადებულია საშუალო ზომის ანატკეცზე. აქვს ერთი სამუშაო პირი (ტაბ. 1-II, 2).

10. გვერდულა საფხეკ-სახვრეტი (ინვ. № 10), ობსიდიანის, დამზადებულია მცირე ზომის სამკუთხა ანატკეცზე. სახვრეტის ნისკარტისებრი ფორმის სამუშაო წვერი გამოყვანილია წვრილი ანატკეცების ალებით (სურ. 1-11, 9; ტაბ. 1-II, 4).

11. ანატკეცი ამოღარული (ინვ. № 11), ობსიდიანის, მცირე ზომის, აქვს ბრტყელი ურთიერთშემხვედრი ანატკეცების ალების კვალი მუცელზე (დაუმთავრებელი სატეხია) (სურ. 1-13, 1; ტაბ. 1-II, 5).



სურ. 1-11.

იმერას სამაროვნის ტერიტორიაზე ზედაპირულად აკრეფილი მასალა:

1. გვერდულა საფხეკ-სატეხი (ინვ. № 1); 2. ბოლოკიდურა საფხეკი (ინვ. № 2); 3. საფხეკ-სახვრეტი (ინვ. № 30); 4. სახვრეტ-საჩეხი (ინვ. № 26); 5. ნუკლეუსი (ინვ. № 36); 6. სატეხი (ინვ. № 22); 7. ბოლოკიდურა-გვერდულა საფხეკ-სატეხი (ინვ. № 3); 8. მიკრონუკლეუსი (ინვ. № 19); 9. გვერდულა საფხეკ-სახვრეტი (ინვ. № 10); 10. ამოღარული ანატკეცი (ინვ. № 14ა).

12. ანატკეცი ამოღარული (ინვ. № 12), ობსიდიანის, მცირე ზომის, ჩამოყალიბებულია მცირე ზომის ამოღარული ჩამონატეხებით ზურგის მხრიდან.

13. ლამელის ფრაგმენტი (ინვ. № 13), ობსიდიანის, აქვს წვრილი დამაბლაგვებელი რეტუში ზურგის მხარეზე. სიგანე - 1,1 სმ. (სურ. 1-12, 5; ტაბ. 1-II, 7).

14. ანატკეცები ამოღარული (ინვ. № 14-14ა), ობსიდიანის, აქვთ თითო ამოღარვა მუცელზე (სურ. 1-11, 10; ტაბ. 1-III, 3, 4).

15. ანატკეცები რეტუშირებული (ინვ. № 15), ობსიდიანის, 2 ც., დამზადებულია მასიურ, საშუალო ზომის ანატკეცებზე. აქვთ წვრილი გამაფხიანებელი რეტუში.



სურ. 1-12.

სამაროვნის ტერიტორიაზე შედაპირულად აკრეფილი მასალა:

1. გვერდულა საფხეკი (ინვ. № 24); 2. ამოღარული ანატკეცი (ინვ. № 27); 3.

სახვრეტი (ინვ. № 7); 4. ბურღისებრი იარაღი (ინვ. № 29); 5. ლამელა რეტუშირებული (ინვ. № 13); 6. ლამელა გამოყენების კვალით (ინვ. № 17); 7. ლამელა დაუმუშავებული (ინვ. № 18).

16. ანატკეცები რეტუშირებული (ინვ. № 16), ობსიდიანის, 3 ც., აქვთ წვრილი დამაბლაგვებელი რეტუში.

17. ანატკეცი რეტუშირებული (ინვ. № 16ა), ობსიდიანის, აქვს წვრილი დამაბლაგვებელი რეტუში მუცლის მხრიდან (ტაბ. 1-III, 7).

18. ანატკეცი რეტუშირებული (ინვ. № 16ბ), ობსიდიანის, აქვს წვრილი დამაბლაგვებელი რეტუში ზურგზე (ტაბ. 1-III, 2).

19. ლამელის ფრაგმენტი (ინვ. № 17), ობსიდიანის, კიდევზე აქვს გამოყენების კვალი. სიგანე - 2 სმ., (სურ. 1-12, 6; ტაბ. 1-III, 8).

20. ლამელის ფრაგმენტი (ინვ. № 18), ობსიდიანის, დაუმუშავებელი. სიგანე - 2,2 სმ., (სურ. 1-12, 7; ტაბ. 1-III, 9).
21. მიკრონუკლეუსი (ინვ. № 19), ობსიდიანის, ამორფული (სურ. 1-11, 8; ტაბ. 1-II, 6).
22. ნუკლეუსები (ინვ. № 20), ობსიდიანის, 4 ც., სხვადასხვა ფორმის - 2 ბრტყელი, 1 ამორფული, 1 მომრგვალებული.
23. ნატეხები ნუკლეუსის (ინვ. № 21), ობსიდიანის, 3 ც.
24. სატეხი (ინვ. № 22), ობსიდიანის, დამზადებულია დიდი ზომის ოთხკუთხა ფორმის ანატაკეცზე (სურ. 1-11, 6; ტაბ. 1-II, 1).
25. სატეხი (ინვ. № 23), ობსიდიანის, დამზადებულია დიდი ზომის ოთხკუთხა ფორმის ანატაკეცზე.
26. გვერდულა საფხეკი (ინვ. № 24), ობსიდიანის, დამზადებულია ანატაკეცზე, აქვს რეტუში ზურგზე (სურ. 1-12, 1; ტაბ. 1-III, 6).
27. ანატაკეცი რეტუშირებული (ინვ. № 25), ობსიდიანის, დამზადებულია საშუალო სიდიდის ანატაკეცზე, აქვს დამაბლაგვებელი რეტუში ზურგის ერთ მხარეს.
28. სახვრეტ-საჩეხი იარაღი (ინვ. № 26), ობსიდიანის, დამზადებულია დიდი ზომის ანატაკეცის გვერდზე. სახვრეტის წვერი არ არის გამოყოფილი (სურ. 1-11, 4; ტაბ. 1-III, 1).
29. ანატაკეცი ამოღარული (ინვ. № 27), ობსიდიანის, დამზადებულია მცირე ზომის ანატაკეცზე, ზურგზე აქვს დამაბლაგვებელი რეტუში (სურ. 1-12, 2; ტაბ. 1-III, 5).
30. ანატაკეცი ამოღარული (ინვ. № 28), ობსიდიანის, დამზადებულია დიდი ზომის ანატაკეცზე, ამოღარულია მთელ პერიმეტრზე.
31. ბურღი (ინვ. № 29), ობსიდიანის, დამზადებულია მცირე ზომის ნუკლეუსის ნარჩენზე. სამუშაო პირი ჩამოყალიბებულია საჭრისისებრი ჩამონატეხებით ყველა მხრიდან (სურ. 1-12, 4; ტაბ. 1-IV, 1).
32. საფხეკ-სახვრეტი (ინვ. № 30), ობსიდიანის, დამზადებულია დიდი ზომის მასიურ ანატაკეცზე. საფხეკის სამუშაო პირი ჩამოყალიბებულია ანატაკეცის ქვედა ბოლოზე ზურგიდან; სახვრეტის სამუშაო წვერი ჩამოყალიბებულია რეტუშითა და წვრილი ჩამონატეხების ადებით (სურ. 1-11, 3; ტაბ. 1-IV, 3).
33. ანატაკეცი რეტუშირებული (ინვ. № 31), ობსიდიანის, დამზადებულია დიდი ზომის ანატაკეცზე, ზურგზე აქვს წვრილი გამაფხიანებელი რეტუში.
34. სატეხი (ინვ. № 32), ობსიდიანის, დამზადებულია საშუალო ზომის ანატაკეცზე.
35. ანატაკეცი რეტუშირებული (ინვ. № 33), ობსიდიანის, დამზადებულია საშუალო ზომის ანატაკეცზე, ზურგზე აქვს წვრილი გამაფხიანებელი რეტუში (სურ. 1-13, 2).
36. ანატაკეცი რეტუშირებული (ინვ. № 34), ობსიდიანის, დამზადებულია საშუალო ზომის ანატაკეცზე, მუცელზე აქვს წვრილი დამაბლაგვებელი რეტუში.
37. ანატაკეცი რეტუშირებული (ინვ. № 35), ობსიდიანის, დამზადებულია მცირე ზომის ანატაკეცზე, მუცელზე აქვს წვრილი დამაბლაგვებელი რეტუში (ტაბ. 1-IV, 6).
38. ნუკლეუსი (ინვ. № 36), ობსიდიანის, დისკოსებრი ფორმის (სურ. 1-11, 5; ტაბ. 1-IV, 4).
39. ნუკლეუსი (ინვ. № 37), ობსიდიანის, ბრტყელი.
40. ანატაკეცი რეტუშირებული (ინვ. № 38), ობსიდიანის, დამზადებულია დიდი ზომის ოთხკუთხა ფორმის ანატაკეცზე. ზურგზე აქვს დამაბლაგვებელი რეტუში ერთ მხარეზე, მუცელზე. იმავე მხარეს აქვს ბრტყელი ჩამონათალის კვალი.

41. ლამელა რეტუშირებული (ინვ. № 39), ობსიდიანის, დამზადებულია არაწესიერი ფორმის, მცირედ მოხრილი პროფილის ფირფიტაზე. ზურგზე აქვს დამაბლაგვებელი რეტუში (ტაბ. 1-IV, 2).

42. ანატკეცი რეტუშირებული (ინვ. № 40), ობსიდიანის, დამზადებულია მასიურ, დიდი ზომის ანატკეცზე, ზედა ბოლოზე აქვს ციცაბო რეტუში მუცლის მხრიდან, დაკბილული აქვს ერთი კიდე.



სურ. 1-13.

იმერას სამაროვანის ტერიტორიაზე ზედაპირულად აკრეფილი მასალა:

1. ამოღარული ანატკეცი (ინვ. № 11);
2. ანატკეცი რეტუშირებული (ინვ. № 33);
3. გვერდულა საჭრისი (ინვ. № 5);

43. ანატკეცი (ინვ. № 41), ობსიდიანის, მცირე ზომის, მუცლის მხრიდან ერთ კიდეზე აქვს ბრტყელი ჩამონატეხების კვალი (ტაბ. 1-IV, 5).

44. ანატკეცი (ინვ. № 42), ობსიდიანის, დიდი ზომის, ზურგზე ერთი კიდის გასწვრივ აქვს ბრტყელი ჩამონატეხების კვალი.

45. ანატკეცი რეტუშირებული (ინვ. № 43), ობსიდიანის, მცირე ზომის, ზურგზე ერთი კიდის გასწვრივ აქვს წვრილი ფხისმიმცემი რეტუში (ტაბ. 1-IV, 7).

46. სატეხი (ინვ. № 44), ობსიდიანის, დამზადებულია მცირე ზომის ნუკლეუსზე, აქვს ერთი სამუშაო პირი.

47. ნუკლეუსი (ინვ. № 45), ობსიდიანის, მცირე ზომის, ამორფული.

48. ანატკეცი (ინვ. № 46), ობსიდიანის, მცირე ზომის, ბრტყელადაა გათლილი მუცელზე ერთი კიდის გასწვრივ.

49. ლამელის ფრაგმენტები (ინვ. № 47), ობსიდიანის, დაუმუშავებელი. სიგანე - 2,3 სმ; 2,5 სმ.

50. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 48), თიხის, თიხაში შერეულია მსხვილმარცვლოვანი ქვიშა და ობსიდიანის ნატეხები.

სამარხებისა და სამარხეული მასალის აღწერილობა

ენერგოკორიდორის 109-110-ე კილომეტრებზე გაითხარა 7 სამარხი, მათ შორის 2 ძლიერ დაზიანებული. 5 მათგანი (№№ 1-5) მდებარეობს 110-ე კმ-ზე, 2 (№№ 6-7) 109 კმ-ზე.

სამარხი № 1.



სურ. 1-14. სამარხი № 1. ხელი დასავლეთიდან.

აღმოჩნდა ენერგოკორიდორის 110+435-ე კმ-ზე, I ნაკვეთის მე-4, 5, 7, 8 კვადრატებში.

სამარხი გამოვლინდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,35 მ სიღრმეზე. წრიული ქვაყრილი, განსაკუთრებით მისი სამხრეთი ნაწილი, დაზიანებულია სამშენებლო სამუშაოების დროს (სურ. 1-14; 15-18). ყრილს შემოუყვება ქვის ორმაგი წრე (სურ. 1-16); გარეთა წრე დიდი ზომის ქვებითაა შედგენილი, შიდა - უფრო მომცროთი (ტაბ. 1-V). წრეებს შორის სივრცე შევსებულია საშუალო და მცირე ზომის რიყის ქვებით (გარეთა წრის დმ - 7 მ-ია; შიდა წრის დმ - 5,3 მ).




სურ. 1-15. სამარხი № 1. ხედი სამხრეთიდან.



სურ. 1-16. სამარხი № 1. კრომლები და სამარხი კამერის თავზე შემორჩენილი ქვყარილი. ხედი სამხრეთიდან.



სურ. 1-17. სამარხი № 1. სამარხი კამერის გადახურვის ძელების ნაშთი. დეტალი.



სურ. 1-18. სამარხი № 1. სამარხი კამერის გადახურვის ძელების ნაშთი. ხედი სამხრეთიდან.



სურ. 1-19. სამარხი № 1. სამარხი კამერის გადახურვის ძელები ნაშთი. დეტალი.



სურ. 1-20. სამარხი № 1. სამარხი კამერის გადახურვის ძელები ნაშთი.



სურ. 1-21. სამარხი № 1. კრომლეხი და სამახი კამერა



სურ. 1-22. სამარხი № 1. სამახი კამერა.
საერთო ხედი სამხრეთიდან.

ქვაყრილში აღმოჩნდა ობსიდიანის ანატკეცები (ინვ. №№ 49-83; 91, 97), ყრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დაფიქსირდა დასაკრძალავი ორმო, რომელიც დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (სურ. 1-21). ორმო შევსებულია საშუალო და მცირე ზომის ქვებით, სამი დიდი ქვა იღო სამარხის ჩრდილოეთ

ნაპირთან (ტაბ. 1-VI). კამერის შევსების განაპირა ქვები ვერტიკალურადაა ჩალაგებული. ქვების ორი რიგის ალაგების შემდეგ გამოიკვეთა ხის ძელების ნაშთი, რომელიც ანაბეჭდის სახითაა შემორჩენილი (სურ. 1-17-20). ძელები დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და ჩაზნექილია სამარხის ცენტრში (ტაბ. 1-VIII). ძელების ნაშთი შედარებით კარგადაა შემორჩენილი სამარხის სამხრეთ ნაწილში (ტაბ. 1-VII) - ძელის ბოლოები ზემოთაა აწეული და ორმოს ნაპირს ებჯინება (სურ. 1-18, 19) (შემორჩენილი ძელების ზომებია: სიგრძე - 1,9 მ, სიგანე სამხრეთ ნაწილში - 0,6 მ-ია) (ტაბ. 1-IX).

დასაკრძალავი ორმო (2,0x1,10x0,6 მ) ჩაჭრილია ყვითელი ფერის თიხა-მიწაში. ორმოში დაკრძალულია ერთი ინდივიდი - 25-29 წლის მამაკაცი, კიდურებმოხრილი, მარჯვენა გვერდზე თავით ჩრდილოეთით. თავის ქალა და ჩონჩხი ძლიერ იყო დაზიანებული.⁵

კამერის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გაიწმინდა თიხის ორი ჭურჭელი (ინვ. №№ 98, 99); ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ალაპის ნაშთი (სურ. 1-22; ტაბ. 1-X, XI).

სამარხში აღმოჩნდა:

2003 წლის 25 აგვისტოს KP-116-ზე (ელი-ბაბას სამაროვანი) სამუშაოების დასრულების შემდეგ ექსპედიცია აკც-ს დირექციის ბრძანებით თბილისში დაბრუნდა. ამ დროისათვის სამშენებლო სამუშაოები სამაროვნის სავარაუდო ტერიტორიაზე არ მიმდინარეობდა. ექსპედიციას არც სამშენებლო სამუშაოების დაწყების შესახებ ჰქონდა ინფორმაცია და არც მათ მონიტორინგზე გვექონდა რაიმე უფლება. მხოლოდ უკვე ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ჩემი პირადი ინიციატივით მოპოვებულმა მასალებმა მოგვცა გარკვეული ინფორმაციის მიღების საშუალება. ყველა ეს ინფორმაცია კი, როგორც შემდგომში განვითარებული მოვლენებიდან ჩანს, ან არ იყო გათვალისწინებული არქეოლოგიური სამუშაოების დაგეგმვისას, ან

საერთოდ იგნორირებული იყო, რამაც აკც-სა და BP-ის არაკორდინირებული მოქმედება გამოიწვია. ინფორმაციის არქონამ, ან დაგვიანებით მიღებამ, არქეოლოგიური ძეგლების შემდგომ ბედზე მნიშვნელოვნად იმოქმედა. ძეგლების სასიკეთოდ არც გაჭიანურებული მოლაპარაკებების პროცესი მოქმედებდა.

მიუხედავად იმისა, რომ აკც-მ იცოდა სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მიმართულებების შესახებ, 2003 წლის 26 აგვისტოს ექსპედიცია სრული შემადგენლობით იქნა დაბრუნებული თბილისში. სექტემბრის დასაწყისში კი BP-ის საველე ოფიცერმა ვ.შატერაშვილმა 117-ე კილომეტრზე დაზიანებული ყორღანი დააფიქსირა, რომლის შესწავლასაც ექსპედიცია 19-28 სექტემბერს აწარმოებდა. ენერგოკორიდორის მიმდებარე მონაკვეთების დათვალიერებისას 120-ე კილომეტრზე დაზიანებული სამარხების ჯგუფი დადასტურდა. სამწუხაროდ, ოფიციალურად არც ეს სამუშაოები არ ყოფილა დაგეგმილი.



სურ. 2-3. საფარ-ხარაბას სამაროვანი. № 30-ე სამარხის ტერიტორია გათხრების დაწყებამდე. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

120-ე კილომეტრზე მიწის ზედაპირი მშენებლების მიერ უკვე მოხსნილი დაგვხვდა. ჰუმუსური ფენა კი გაზსადენის მონაკვეთში იყო დასაწყობებული. მთელ ტერიტორიაზე სამარხთა დაზიანებული ქვაყრილები და სამარხთა გადახურვის ფილები მოჩანდა. ზოგიერთ სამარხს მთლიანად ჰქონდა მოხსნილი ყრილი. მიუხედავად იმისა, რომ ენერგოკორიდორის მიმდებარე ტერიტორიაზე ბ. კუფტინს უკვე ჰქონდა სამარხები გათხრილი, ხოლო მშენებლების მიერ სამარხთა დაზიანებული ქვაყრილები აშკარად

ჩანდა, აკც-ს მიერ მოვლინებულ კომისიასთანაც კი გაჭირდა ამ მონაკვეთში ძეგლის არსებობის დადასტურება. აღარაფერს ვამბობთ BP-ის არქეოლოგიური მონიტორინგის ოფიცრების მოქმედებაზე, რომლებმაც საერთოდ ვერ დააფიქსირეს ძეგლი. მხოლოდ რთული მოლაპარაკებების შემდეგ, გადაწყდა სამაროვნის შესწავლის დაწყება.

2003 წელს სამუშაოები 2 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე მიმდინარეობდა. გაირკვა, რომ სამაროვანი ნავთობსადენის კორიდორს სიგანეში მთლიანად მოიცავს, სიგრძეში კი 1200 მ-ზე ვრცელდება. გაითხარა 29 სამარხი. ქვაყრილთა ნაშთების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ენერგოკორიდორის ამ მონაკვეთზე 70-მდე სამარხი მაინც უნდა იყოს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სამარხთა ნაწილს ქვაყრილი აღარ შემორჩა, შეიძლება მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდოს (სურ. 2-4).


ექსპედიციამ 2003 წელს, BP-ის მოთხოვნით, ენერგოკორიდორის მხოლოდ ის ნაწილი შეისწავლა, სადაც ნავთობის მილი უნდა ჩადებულყო. შესაბამისად გაითხარა 8-12 მ სიგანის ზოლი, რის შედეგადაც აღნიშნული ზოლი მთლიანად განთავისუფლდა სამარხებისაგან. შესასწავლი დარჩა სოფ. საფარ-ხარაბადან სოფ. ყარაყუმისაკენ მიმავალი სასოფლო გზის მონაკვეთი და ენერგოკორიდორის ის მონაკვეთი, სადაც გაზსადენის მილები უნდა ჩაეწყოს.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ აკც-ს დირექციის მხრიდან სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე არასრულყოფილი კონტროლის გამო საფარ-ხარაბას სამაროვანი მნიშვნელოვნად დაზიანდა. მოლაპარაკებების გაჭიანურებამ კი არქეოლოგიური გათხრების დაწყების დაგვიანება გამოიწვია. სამუშაოები რთულ კლიმატურ პირობებში მიმდინარეობდა, რაც ასევე მოქმედებდა ძეგლების შესწავლის ხარისხზე და ტემპზე. ექსპედიციის შემადგენლობის მუდმივი, ხშირ შემთხვევაში გაუმართლებელი, როტაცია ასევე უარყოფითად აისახებოდა გათხრების მეთოდოლოგიაზე, ფიქსაციაზე და შრომის ორგანიზაციაზე.

სამწუხაროდ დღემდე გაურკვეველი რჩება საველე სამუშაოებისათვის აუცილებელი ინვენტარით ექსპედიციის მომარაგების საკითხი. აკც-სა და BP-ის შორის დადებულ ყოველ კონტრაქტში გათვალისწინებულია თანამშრომლებისა და მუშების ხელფასები, თანამშრომელთა საველე ანაზღაურება (კვების და განთავსების ხარჯები), ავტოტრანსპორტის დაქირავების ხარჯები, მაგრამ იმ ჩამონათვალში, რომელიც ხელშეკრულებებშია მოცემული, ინვენტარის შექენასთან დაკავშირებული პუნქტიც კი არ არის შეტანილი. რადგან აკც-ს დირექციას ამ საკითხზე ნათელი პასუხი არა აქვს და არც ინვენტარით მომარაგებაზე ზრუნავს, საველე სამუშაოების მინიმალურ დონეზე უზრუნველყოფის მიზნით, იძულებული ვიყავით ექსპედიციის წევრების საველე ანაზღაურებიდან შეგვეგროვებინა გარკვეული თანხა. ამ თანხით იქნა შეძენილი ინვენტარი, გადახურვის კონსტრუქციები, დარაჯის საცხოვრებელი ვაგონი, ფერადი და შავ-თეთრი ნეგატიური ფირები, სლაიდები, სამხატვრო და ტოპოგრაფიული სამუშაოებისათვის საჭირო მასალები, საკანცელარიო ინვენტარი, გამუღავნდა სლაიდები და ფირები, გაკეთდა ფოტოანაბეჭდები, შექენილ

იქნა სხვადასხვა ზომის საქაღალდეები, ბაინდერები, საკანცელარიო წიგნები და სხვა. ამ თანხის ნაწილი დაიხარჯა ლაბორატორიულ სამუშაოზეც, რადგანაც სამუშაოების არც ეს ნაწილია დაფინანსებული. შეიძლება ჩვენი მოქმედება სცილდება ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს და გადავამეტოთ კიდევ უფლებამოსილებას, მაგრამ არქეოლოგიური ძეგლების გადარჩენის, სრულყოფილი კამერალური სამუშაოების ჩატარების და დოკუმენტური ანგარიშის სათანადო დონეზე მომზადების მიზნით განხორციელებულმა ქმედებამ შეიძლება გაამართლოს ყოველივე ის, რაზეც ზევით ვისაუბრეთ. თანამშრომელთა მაღალი ხელფასები აკც-სა და BP-ის არ ანთავისუფლებს ექსპედიციების საჭირო ინვენტარითა და მასალებით უზრუნველყოფისაგან. ვფიქრობ, რომ ექსპედიციების ასეთ პირობებში ჩაყენება ან არასწორად შედგენილი ძირითადი ხელშეკრულება (რომელიც, იმ მოტივით, რომ კონფიდენციალურია, დღემდე არ გაუცვნიათ ჩვენთვის), ან ამ ხელშეკრულების გარკვეული პუნქტების შეუსრულებლობა. ყოველ შემთხვევაში ის ქმედებები, რომლებიც საველე თუ ლაბორატორიულ სამუშაოებთან დაკავშირებით აკც-სა და BP-ის (?) მხრიდან ხორციელდება, არ შეესაბამება არქეოლოგიური ძეგლების ინტერესებს.

ექსპედიციამ საფარ-ხარაბას სამაროვანზე ორი დაზიანებული სამარხი, ერთი სამარხის ნაშთი გათხარა და ენერგოკორიდორში მოქცეული არხის თუ მცირე ხევის კვალი დააფიქსირა (სურ. 2-72, 2-73).



სურ. 2-4. საფარ - ხარაბა. ტოპოგეგმა. Kp. 120.

სამარხი № 30

სამარხი ენერგოკორიდორის 119+750 კილომეტრზე გამოვლინდა. იგი სოფ. საფარ-ხარაბადან სოფ. ყარაყომისაკენ მიმავალი სამანქანო გზისა და ენერგოკორიდორის გადაკვეთის ადგილზე აღმოჩნდა (სურ. 2-3). სამარხის სამხრეთი ნაწილი მოჭრილია მილსადენის თხრილის გავლების დროს. სამარხის გათხრის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ განადგურებულია დასაკრძალავი კამერის ერთ მესამედზე მეტი.



სურ. 2-5. სამარხი № 30 ქვაყრილი. I დონე.
ხელი სამხრეთიდან.

მიწის ზედაპირზე სამარხის კვალი არ შეინიშნებოდა. ამიტომ გაიჭრა 10 მ სიგრძის და 2 მ სიგანის თხრილი, რომელშიც ქვების ყრილი დაფიქსირდა (სურ. 2-5). ქვაყრილის გავრცელების მიხედვით გაფართოვდა თხრილი და შემოისაზღვრა ყრილის საზღვრები. ბაზალტის ქვებით შედგენილი ინტენსიური ქვაყრილი ორიენტირებულია ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე. მისი სიგრძე 3,5 მ, სიგანე 1,9 მ-ია (დიდი ქვის ზომები 0,65 X 0,3 მ-ს უდრის, უმცირესისა 0,25 X 0,2 მ-ს). ქვაყრილის (I დონე) ზედა (პირველი) ფენის მოხსნის შემდეგ გამოიკვეთა დასაკრძალავი კამერის კონტურები (ტაბ. 2-1). ქვაყრილის მეორე ფენაც დიდი ზომის (0,7 X 0,6 მ) ქვებით არის წარმოდგენილი. სამარხი კამერის დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებთან ხის ძელების ნაშთები დადასტურდა. ძელების თავები თითქოს კამერის კედლების კიდებზეა ჩამოდებული. მათი სიგრძე 0,25-0,3 მ-ია, სიგანე 0,18 მ, სისქე – 0,14 მ. ძელები იმდენად ძლიერადაა

დაშლილი, რომ მხოლოდ ლაქების სახითაა შემორჩენილი. მეორე ფენის ქვაყრილის ადების შემდეგ, ქვების კიდევ ორი ფენა დაფიქსირდა. ამ დონეებზე ქვაყრილი მეჩხერი იყო. სამარხი კამერის კედლების დაფიქსირებული ზედა დონიდან (შემდეგში სიღრმეები ამ დონიდან იქნება მოცემული), ორმოს კედლები 0,6 მ სიღრმეზე დეფორმირებულია, რაც ქვაყრილის სიმძიმით უნდა იყოს გამოწვეული. 0,75 მ-ს ქვემოთ ქვები აღარ გვხვდება. აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი ზომის ქვები ქვედა (მეხუთე) ფენაში დადასტურდა.

სამარხი კამერის ქვებისაგან განთავისუფლების შემდეგ (0,8 – 1,3 მ სიღრმეზე) ყვითელი თიხნარი ფენა გამოვლინდა, რომელშიც ალაგ-ალაგ შავი ლაქები შეინიშნებოდა. 1,3 მ სიღრმეზე (სამარხი კამერის II დონე; I დონედ მივიჩნევთ ქვებით შევსებულ ნაწილს), სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში თიხის ჭურჭლის (ინვ. №256) კონტურები გამოჩნდა (III დონე). მის გვერდით კიდევ ერთი ჭურჭელი (ინვ. №257) იდგა (ტაბ. 2-II; სურ. 2-6).



სურ. 2-6. სამარხი № 30. დასაკრძალავი კამერა.
ურემი (III დონე). ხედი ჩრდილოეთიდან

სამარხის სამხრეთ ნაწილში, 1,4 მ სიღრმეზე (IV დონე), ხის ძელების ნაშთები დაფიქსირდა (სურ. 2-12). მათი პრეპარაციის შედეგად გაირკვა,


რომ სამარხში ურმის დეტალები იყო ჩაწყობილი. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ხე ცუდად არის შემონახული. იგი ლაქების სახითაა შემორჩენილი, ძირითადი ნაწილი გამიწებულია და შავი, მკვრივი მასის სახე აქვს მიცემული. ურმის დეტალების ფორმის და ზომების დადგენა ყვითელ თიხნარში შემორჩენილი შავი მასის დაფიქსირებით მოხერხდა (სურ. 2-6).



სურ. 2-7. სამარხი № 30. დასაკრძალავი კამერა. ურემი (III დონე). ხედი სამხრეთიდან.



სურ. 2-8. სამარხი № 30. დასაკრძალავი კამერა. ურმის კოფოს (III დონე) სამხრეთით მდებარე მიცვალებული (VI დონე). ხედი სამხრეთიდან.



სურ. 2-9. სამარხი № 30. დასაკრძალავი კამერა
(III დონე). ხელი აღმოსავლეთიდან.



სურ. 2-10. სამარხი № 30. დასაკრძალავი კამერა.
ურეში (III დონე). ხელი სამხრეთიდან.



სურ. 2-11. სამარხი № 30. დასაკრძალავი კამერა
(III ღონე). ხედი აღმოსავლეთიდან.



სურ. 2-12. სამარხი № 30. დასაკრძალავი კამერა.
(III-IV ღონე). ხედი სამხრეთიდან



სურ. 2-13.
სამარხი № 30.
დასაკრძალავი კამერა
(III-IV ღონე).
ხედი სამხრეთიდან



სურ. 2-14.
სამარხი № 30.
დასაკრძალავი კამერა (III-IV
ღონე).
ხედი სამხრეთიდან



სურ. 2-15.
სამარხი № 30. დასაკრძალავი კამერა
(III დონე). დეტალი.



სურ. 2-16.
სამარხი № 30. ურმის კოვო (III დონე).



სურ. 2-17.
სამარხი № 30. ურმის წინა
ნაწილი მომრგვალებული
თავით (IV დონე).



სურ. 2-18.
სამარხი № 30. დასაკრძალავი კამერა
(IV დონე).
ხედი სამხრეთიდან.



სურ. 2-19.
სამარხი № 30. ურემი (IV-V დონე).
ხედი ჩრდილოეთიდან.




ურ. 2-20.
სამარხი № 30. ურემის დეტალი (IV დონე).
მიცვალებულის ჩონჩხი (VII დონე). ხედი სამხრეთიდან.



სურ. 2-21.
სამარხი № 30. ურემი
(III-IV დონე). ხედი
ჩრდილოეთიდან.



სურ. 2-22.
სამარხი № 30. ურემის დეტალები: ძარა (III დონე), ძარას წინა ნაწილი (IV
დონე), უღელი და ხელნა (V დონე).



სურ. 2-23.
სამარხი № 30. ურმის ძარა (III დონე),
მიცვალებულის ჩონჩხი (VII დონე).



სურ. 2-24.
სამარხი № 30. ურმის კოფო (III დონე).



სურ. 2-25.

სამარხი № 30. ურმის ძარას უკანა ნაწილი კოფოს აღმოსავლეთ ნაწილის ადებამდე.



სურ. 2-26.

სამარხი № 30.
 ურმის კოფოს
 აღმოსავლეთ ნაწილის
 ადების შემდეგ
 დაფიქსირებული ძარა
 (V დონე); ბატკნის ან
 ციკნის ძელები და
 მიცვალებულის ჩონჩხი
 (VII დონე).



სურ. 2-27.

სამარხი № 30. ურმის
კოფოს აღმოსავლეთ ნაწილის
აღების შემდეგ
დაფიქსირებული დონეები:
ძარა (V დონე); ბატკნის ან
ციკნის ძვლები და
მიცვალებულის ჩონჩხი (VII
დონე).



სურ. 2-28.

სამარხი № 30. ურმის ძარაზე მოთავსებული ჭურჭლები.



სურ. 2-29.

სამარხი № 30. სამარხი კამერა. ურმის ძარა, მომრგვალებული წინა ნაწილით. ხედი სამხრეთიდან.

სამარხში აღმოჩენილი ურმის აღწერილობას ქართული ეთნოგრაფიული ტერმინოლოგიით ვიძლევი, ამიტომ მოკლედ მოვიტანთ მის დახასიათებას:



სურ. 2-30.

სამარხი № 30. სამარხი კამერა. ურმის ძარა (V დონე). ხედი სამხრეთიდან.

„ურემი სამი მთავარი ნაწილისაგან შედგება – უბე, ღერძ-ბორბალი და უღელი.

ურმის უბე ეწოდება მთლიან ნაკეთობას, რომელზედაც უშუალოდ თავსდება ტვირთი. იგი ღერძ-ბორბალზეა შედგმული, ხოლო თავით უღელს ეყრდნობა. უბე შედგება ცალკე ნაწილებისაგან – ხელნები, დანდლები,

კოფოები, ჭალები-ჭავლები, ზეწრები და სხვა. უბის ძირითადი ნაწილია ორი გრძელი ოთხკუთხად გამოთლილი ხე ხელნა, რომლებიც თავებით ერთდებიან და ქმნიან ტოლფერდა სამკუთხედს. ხელნები არ არის აბსოლუტურად სწორი, მათ ერთგვარი მოხრილობა ახასიათებთ“ [მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი. თბ., 1956, გვ. 48-50].



სურ. 2-31.
სამარხი № 30. დასაკრძალავი კამერის V-VII დონეები.
ხედი სამხრეთიდან.

№30 სამარხის ცენტრალურ ნაწილში ურმის ძარა-უბე არის ჩადგმული (სურ. 2-7 – 2-18; 2-21 – 2-23; 2-26; 2-27; 2-29 – 2-37; 2-43; 2-46). იგი რთული შედგენილობისაა. მისი საერთო სიგრძე 2,1 მ-ია, სიგანე ბოლოში 1,1 მ-ს უდრის. ძარას დეტალები ძირითადად ოთხკუთხად გათლილ ხეებს წარმოადგენს. უბეს თავწაკვეთილი თუ თავმომრგვალებული სამკუთხედის ფორმა აქვს. ძარას ჩარჩო შეკრულია დიდი ძელებით, დანდლებით და წინა და უკანა კოფოებით (სურ. 2-13, 14, 15, 19). ჩარჩოს მარცხენა ძელი, თითქოს, ორი ნაწილისაგან შედგება. ერთი დიდი ძელი ძარას უკანა ნაწილშია მოქცეული. მისი სიგრძე 1,25 მ-ს უდრის, სიგანე – 0,12 მ, სიმაღლე კი 0,11 მ-ია. ძელი ბოლოში მორკალულია და ზევით აზიდული (სურ. 2-8, 2-14, 2-20, 2-23, 2-25, 2-26 – 2-31). ამ ნაწილში ძარას სიმაღლე, ძელთან ერთად, 0,28-0,3 მ-ია. მეორე ძელის სიგრძე 0,85 მ-ია. მას, 0,1 მ სიგრძეზე, დიდ ძელზე თავი აქვს მიდებული. ამ დეტალთან 0,03 მ სისქის შავი ლაქის (ხის ნაშთები ?) მოხსნის შემდეგ გაირკვა, რომ ორივე ძელს ნაჭდვევი აქვს გაკეთებული. ნაჭდვევები ისეა გამოჭრილი, რომ ერთმანეთში მჭიდროდაა ჩასმული (ტაბ. 2-IV). როგორც ჩანს, ეს მონაკვეთი მათი გადაბმის ადგილს წარმოადგენს (სურ. 2-7, 2-8, 2-10 – 2-14, 2-16 – 2-19, 2-21 – 2-27, 2-29 – 2-31), სადაც ორივე ძელის სისქე 0,09 მ-ია, სიგანე 0,1 მ. ძარას თავთან, ვიწრო ნაწილში, მეორე ძელის სისქე 0,05 მ, სიგანე 0,06 მ უდრის. ურმის ძარას დასაწყისში ეს ძელი მომრგვალებულია და ძარას მარჯვენა ძელს უერთდება. ახლა ძნელი სათქმელია, ძარას ეს ნაწილი ერთი ხისაგან იყო გამოთლილი, თუ რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა. აქვე, ამავე დონეზე, ფიგურული ძელის ორი ნაშთი დაფიქსირდა. ურმის უბეს თავმომრგვალებული სამკუთხედის ფორმა აქვს (სურ. 2-29).

ძარას ამ მონაკვეთში ზედა ძელების ადების შემდეგ (V დონე), ხისაგან დამზადებული ოთხკუთხა ჩარჩო დაფიქსირდა, რომელიც ძირითად ძარასთან კონსტრუქციულად არის დაკავშირებული. შეიძლება ეს ორი ოთხკუთხად გათლილი ძელი დანდალი იყოს, რომლებიც ურმის კონსტრუქციაში ძირითადი ჩარჩოს დამაკავშირებელს წარმოადგენდა (სურ. 2-35, 2-43, 2-46) (ტაბ. 2-4). პირველი დანდლის სიგრძე 0,30 მ-ია და შესაბამისად ურმის ჩარჩოს სიგანე წინა ნაწილში 0,33 მ-ს უდრის. მეორე დანდალი პირველისაგან 0,2 მ-ითაა დაცილებული. მისი სიგრძე 0,45 მ-ია. პირველი დანდლის სიგანე 0,005 მ, მეორესი 0,007 მ-ია, ორივეს სიმაღლე 0,007 მ.

არ არის გამორიცხული, რომ ზედა, დანდლებზე დაფიქსირებული სტრუქტურა ძარაზე თავდაპირველად ვერტიკალურად იდგა და მისი წაქცევის შემდეგ მივიდეთ ხის ნაშთების ორი ფენა. აღსანიშნავია, რომ აქვე, გარდა ზემოთ ნახსენები ფიგურული ძელებისა, იქნა აღმოჩენილი სხვადასხვა ფორმის ხის ნაშთები. ერთი მათგანი მცირე ზომის ბორბალს მოგვაგონებს-ს აღწევს.



სურ. 2-32.

სამარხი № 30. დასაკრძალავი კამერა. ურმის დეტალები: ხელნა, უღელი და ძარა (V დონე); ძარას უბის ქვეშ აღმოჩენილი ძელები (VI დონე); მიცვალებულის ჩონჩხი (VII დონე).
ხედი დასავლეთიდან..



სურ. 2-33.

სამარხი № 30. ხელნასა და ძარას შორის დაფიქსირებული მრგვალი ლაქა; ურმის ძარას მარჯვენა ძელი და მის ქვეშ მოქცეული ხის დეტალები (VI დონე).



სურ. 2-34.

სამარხი № 30. ურმის ძარას წინა ნაწილში დაფიქსირებული დეტალები; უბის ქვეშ აღმოჩენილი ძელები (VI დონე).

ძარას ოთხკუთხა ნაწილი ზევიდან ეღო ხის ფიცარს (წინა კოფო ?), რომლის სიგანე 0,25 მ-ია (VI დონე) (სურ. 2-33, 34, 35). სივრცეში იგი ძარას ორივე მხარეს სცილდება და მისი სიგრძე 0,75 მ-ს აღწევს. ფიცარი მხოლოდ ანაბეჭდის სახითაა შემორჩენილი. ამ მონაკვეთში, სამხრეთიდან, ძარაზე მიდებული იყო წრიული ფორმის (დიამეტრი 0,35 მ), ხის ბრტყელი ფირფიტა, რომელიც ზემოთ აღწერილ ფიცარზე დევს. ამავე ფიცრის კიდეზე ორკაპა ხელნის თავია ჩამოღებული (სურ. 2-31, 32).




სურ. 2-35.

სამარხი № 30. ურმის კოფოსა და ძარაზე დალაგებული ჭურჭლების მოსხნის შემდეგ დაფიქსირებული სიტუაცია (VI–VII დონე). ხედი დასავლეთიდან.



სურ. 2-36.

სამარხი № 30. ურმის ძარა, ჭურჭლების ალაგების შემდეგ (VI–VII დონეები).



სურ. 2-37

სამარხი № 30. ურმის დეტალები: ხელნა და უღლის ნაწილი (V–VII
დონეები).



სურ. 2-38

სამარხი № 30. ურმის
კოფოს ჭრილი,
(V–VII დონეები).



სურ. 2-39

სამარხი № 30. ურმის ხელნა, უღელი და ძარას ქვეშ დაფიქსირებული ძელი (V-VII დონეები).



სურ. 2-40.

სამარხი № 30. ურმის ხელნა და უღელი. ხელი სამხრეთიდან.

როგორც აღწერილობიდან ჩანს, ურმის ძარას წინა ნაწილი რთული შედგენილობისა იყო. მისი ფორმის ზუსტი აღდგენა კვლევის ამ ეტაპზე ძნელია. თუმცა ბერიკლდეებისა და ლჭაშენში აღმოჩენილი მსგავსი, თანადროული ურმები, რომლებიც უკეთესადაა შემორჩენილი, საფარ-ხარაბას ურმის რეკონსტრუქციის გარკვეულ საშუალებას იძლევა. არ არის გამორიცხული, რომ საფარ-ხარაბას ურემსაც მსუბუქი გადახურვის კონსტრუქცია ჰქონდა.

ძარას მარჯვენა, სამარხი კამერის დასავლეთ კედელთან მდებარე ძელი, ორი, შეიძლება სამი ნაწილისაგან შედგება. წვერიდან 0,25 მ დაცილებით ძელზე რელიეფური სარტყელია გამოყვანილი, აქვე შეინიშნება ნაჭდვეი, რომელიც სხვა ძელთან გადაბმის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა რაიმეს გადაჭრით თქმა ძნელია. მეორე ძელის სიგრძე 0,75 მ-ია, სიგანე ჩრდილოეთ ნაწილში 0,09 მ, სამხრეთ ნაწილში (თუ დაზიანებული არ არის) – 0,04 მ. ძელზე შეინიშნება ოთხკუთხა ფორმის ფოსოები (სურ. 2-44). მათი სიგრძე 0,04 მ-ია, სიგანე 0,02 მ, სიღრმე კი 0,05 მ უდრის. ასეთივე სამი ფოსო მესამე ძელზეც დასტურდება. ეს ფოსოები ჭალების ან მსუბუქი გადახურვის კარკასისათვის იყო ალბათ განკუთვნილი. ამ ძელების დონეზე, დასავლეთი კედლის ძირში, ორი ფიგურული დეტალი დაფიქსირდა (ტაბ. 2-IV).



სურ. 2-41.

სამარხი № 30. ურმის ხის უღელი, დეტალი.

მესამე ძელის სიგრძე 1,0 მ-ია, სიგანე 0,08-0,1 მ-ს, სიმაღლე კი 0,12 მ უდრის. ძარას ბოლო ნაწილში ძელი ზევითაა აზიდული და მსგავსია ძარას

მარცხენა ძეგლისა. ასეთი კონსტრუქცია მიუთითებს, რომ ურმის ბოლო შემადგებელი იყო. ძარას ორივე, ძირითადი ძეგი, შემადგებელი ნაწილებით, ერთმანეთთან ხის ფიცრითაა (უკანა კოფო) დაკავშირებული. მისი სიგრძე 1,1 მ-ია, სიგანე 0,17 მ-ია. ფიცარი თხლად ყოფილა გათლილი. ასეთივე ფიცრის ფრაგმენტები ძარაზეც დაფიქსირდა. ერთი ფიცრის სიგრძე 0,7 მ-ია, სიგანე 0,14 მ, მეორეს სიგრძე 0,9 მ-ია, სიგანე 0,15 მ. ფიცრები ძარას ჩარჩოს ძირითადი ძეგლების პარალელურად აწყვეია.



სურ. 2-42.

სამარხი № 30. ურმის დეტალები: ხის უღელი, ხელნა, ძარას ძეგი და მათ შორის დაფიქსირებული წრიული ხის ნაშთი (V–VI დონე).

ძარას მთელ ფართობზე ხის მცირე ნაშთები დასტურდებოდა, თუმცა მათი მიხედვით რაიმე ფორმის დადგენა ვერ მოხერხდა. ყველა ფიცარზე შავი ფერის, თხელი, მკვრივი ფენა დაფიქსირდა, რომელიც, შეიძლება ტყავის ან ჭილოფის ანაბეჭდი ყოფილიყო.


ძარას უბის შიდა სივრცეში აღმოჩენილი ფიცრები ურმის იატაკს უნდა წარმოადგენდეს (ტაბ. 2-II).

ურმის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ფიცრებზე თიხის ორი ჭურჭელი დგას (სურ. 2-37, 38). ერთი მათგანი მოზრდილი დერგია (№ 258), მეორე ქოთანის (№ 259; ტაბ. 2-III). დერგის შევსებულია საქონლის ძეგლებით. №258 ჭურჭელთან ორი, დაუმუშავებელი რიყის ქვა იღო. მათგან ჩრდილოეთით, 0,4 მ დაცილებით, ძარას მარჯვენა ძეგლთან, ობსიდიანის ანატაკეცი (ინგ. №262) აღმოჩნდა. იგი ფიცრებზე იღო.



სურ. 2-43.
სამარხი № 30. დასაკრძალავი კამერა (V-VII დონეები).
საერთო ხედი სამხრეთიდან.

სამარხი კამერის აღმოსავლეთ კედელთან ოთხკუთხად გათლილი ძელი აღმოჩნდა. მისი სიგრძე 2,0 მ-ია, სიგანე და სისქე 0,06 მ-ს უდრის.



სურ. 2-44.

სამარხი № 30. ურმის ძარას მარჯვენა ძელი ჭალის ფოსოთი.

სამარხის სამხრეთ ნაწილში, ურმის კონსტრუქციის ორი დეტალი დაფიქსირდა. ერთი მათგანი ძარას მარცხენა ძელის ანალოგიურია და თითქოს მის გაგრძელებას წარმოადგენს. მეორე კი ურმის უკანა ნაწილის (კოფოს) პარალელურად დევს. თუმცა ეს ორი დეტალი უფრო მაღლაა (IV დონე) განლაგებული ვიდრე ძარას ძირითადი კონსტრუქცია.

სამწუხაროდ, სამარხის სამხრეთი ნაწილი სამშენებლო სამუშაოების დროს მთლიანად განადგურდა, რამაც ურმის და მისი დეტალების სრული ფიქსაციის საშუალება არ მოგვცა. სამარხში მიცვალებულის ძვლების მდებარეობის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამარხ კამერას ერთ მესამედზე მეტი აქვს ჩამოჭრილი. ვფიქრობთ, სამარხეული ინვენტარის ნაწილი და ურმის ზოგიერთი დეტალი ამ ნაწილშიც უნდა ყოფილიყო.



სურ. 2-45.

სამარხი № 30. ძარას დეტალებს შორის დაფიქსირებული ბატკნის ან ციკნის ძვლები (VI–VII დონეები).

სამარხი კამერის აღმოსავლეთ კედელთან, ზემოთ აღწერილი ხის ძელის ქვეშ, ურმის ორი ძირითადი დეტალი – ხელნა და უდელი დაფიქსირდა (სურ. 2-21; 2-22; 2-51). ისინი ძარას პარალელურად აწყვია და ნაწილობრივ მის ქვეშ ექცევიან (სურ. 2-39; 40; 41; 42; 49; 50).

ხელნა ერთი ხისაგანაა გამოთლილი. მას ორკაპი დაბოლოება აქვს, წვერი კი კაუჭით არის გაფორმებული. მისი სიგრძე 1,45 მ-ია. ორკაპის საერთო სიგრძე 0,3 მ-ია, შვერილების სიგანე 0,07-0,08 მ-ია. მათ შორის მანძილი 0,15 მ-ია, ორკაპის სიღრმე 0,22 მ-ია. ხელნის სიგანე კაპების განტოტვის ადგილთან 0,17 მ, სიმაღლე – 0,06 მ. ორკაპის ბოლოდან 0,8 მ დაცილებით, ხელნაზე ორი ბურცობი შეინიშნება, რომლებიც 0,3 მ სიგრძეზე მას ფიგურულ ფორმას აძლევენ. კაუჭისაკენ ხელნა თანდათან ვიწროვდება, სადაც მისი სიგანე და სიმაღლე 0,04 მ-ია. რჩება

შთაბეჭდილება, რომ ხელნას ეს ნაწილი მომრგვალებული იყო. ორკაპის ერთ-ერთ შვერილზე 0,05 მ სიგრძის ნაჭდევია გაკეთებული. მეორეზე ასეთი ნაჭდევი არ შეინიშნება, ეს უკანასკნელი კი პირველთან შედარებით, 0,03 მ მოკლეა. არ არის გამორიცხული, რომ ნაჭდევებით ხელნა ძარაზე მაგრდებოდა. ხელნის წვერი და ფიგურული ნაწილი ადგილზე გამაგრდა, მოიჭრა და წამოღებული იქნა.



სურ. 2-46.

სამარხი № 30. დასაკრძალავი კამერა (V–VII დონეები). ძარაზე დაწყობილი ფიცრების ადების შემდეგ დაფიქსირებული (VI დონე) მიცვალებულის ჩონჩხი და ბატკნის ან ციკნის ძვლები (VII დონე).



სურ. 2-47.

სამარხი № 30. დასაკრძალავი კამერა. დეტალი: მიცვალებულის ჩონჩხი და ბატკნის ან ციკნის ძვლები (VII დონე).



სურ. 2-48.

სამარხი № 30. დასაკრძალავი კამერა. ორი ბატკნის ან ციკნის ჩონჩხი (VII ღონე).

უღელი ერთი ხისაგანაა გამოთლილი. მისი ერთი ნაწილი ძარას ქვეშ იდო და იმდენად იყო დაზიანებული, რომ ფორმა აქვს დაკარგული. უღლის საერთო სიგრძე 1,4 მ-ია, სიგანე 0,04 მ-ს, სიმაღლე 0,05 მ-ს უდრის. საქედე ნაწილი ნახევარმთვარისებურად არის მოხრილი, რომლის დასაწყისიც ოთხკუთხა ფიგურითაა გაფორმებული (სურ. 2-41). აქვე ნახვრეტის კვალიც შეინიშნება. საქედესთან უღელს მეორე ნახვრეტიც უნდა ჰქონოდა. სამწუხაროდ მისი კვალი გათხრების დროს დაფიქსირებული ვერ იქნა (ტაბ. 2-V).

სამარხის შემორჩენილ ნაწილში არც ურმის ღერძი და ბორბლები აღმოჩენილა. ეს ფაქტი შეიძლება ორი გარემოებით აიხსნას: ეს დეტალები ან სამარხის დაზიანებულ ნაწილში იყო მოთავსებული, ან თავდაპირველადვე არ იყო ჩატანებული. გათხრების პროცესში გაჩნდა ეჭვი, რომ სამარხში მარხილი იყო ჩადგმული და არა ურემი. ეს ვარაუდი ძარას უკანა ნაწილის ფორმის გამო იქნა უარყოფილი, რადგან მარხილს თავი უნდა ჰქონდეს აზიდული და არა ბოლო.



სურ. 2-49.

სამარხი № 30. დასაკრძალავი კამერა. ურმის უღლისა (V დონე) და
ძარას მარცხენა ძელის ურთიერთმიმართება.

ურმის ძარას ჩარჩოზე დაწეობილი ფიცრების ადების შემდეგ, თიხის ჭურჭლების ქვეშ, ორი ბატკნის სრული ჩონჩხი დაფიქსირდა (სურ. 2-25; 26; 28; 43; 45-48). აღმოსავლეთით ჩასვენებული ბატკანი მარჯვენა გვერდზე წევს, დასავლეთით მდებარე კი - მარცხენაზე. ამ უკანასკნელის თავი ურმის ძარას მარჯვენა ძელის ქვეშაა მოქცეული. წინა ფეხებთან ობსიდიანის ანატაკეცი (ინვ. №260) უდევს (სურ. 2-48; ტაბ. 2-IV).



სურ. 2-50.

სამარხი № 30. დასაკრძალავი კამერა. ურმის უღლისა (V დონე) და ძარას მარცხენა ძელის ურთიერთმიმართება. დეტალი.

მიცვალებული სამარხის იატაკზე, უშუალოდ უკანა კოფოს სამხრეთით არის დასვენებული. შემორჩენილია მხოლოდ თავის ქალა, ხერხემლის, ლავიწის და წინამხრის ძვლები. დანარჩენი მოჭრილია მშენებლობის დროს (სურ. 2-20, 2-23).

მიცვალებული დაკრძალული ყოფილა მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთით (ტაბ. 2-IV). სახის წინ ობსიდიანის ანატკეცი (ინვ. №261) დევს.

ამდენად, სამარხ კამერაში აღმოჩენილი ინვენტარი, მასალები და მიცვალებულის ძვლები დონეების მიხედვით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:



სურ. 2-51.

სამარხი № 30. ურმის ხელნა და უღელი.

I ღონე ქვაყრილს წარმოადგენს და 0-დან 0,8 მ სიღრმეზე ჩადის.

II ღონე წარმოდგენილია ყვითელი თიხნარით და 0,8-1,3 მ სიღრმეს მოიცავს.

III ღონე შეესაბამება 1,3-1,4 მ სიღრმეს. ამ ღონეზე თავი იხინა სამარხში აღმოჩენილმა თიხის დიდი ზომის ჭურჭლებმა (№№256, 258); (სურ. 2-7-11, 15, 16, 24, 25).

IV დონე 1,4-1,45 მ სიღრმეს შეესაბამება, სადაც ურმის ძარას ზედა დონე დაფიქსირდა (წინა ნაწილში მომრგვალებული თავით), ასევე ოთხკუთხა ძელი – აღმოსავლეთ კედელთან და კერამიკა (სურ. 2-17, 18, 29).

V დონე 1,45-1,5 მ სიღრმეზე დაფიქსირდა, სადაც გამოვლინდა ძარას ოთხკუთხა თავი, ორკაპა ხელნა (რომლის ოდნავ ქვევით უღლის ერთი საქედური გამოვლინდა). უღლის მეორე საქედური ძარას ქვეშ არის მოქცეული და ამდენად იგი VII დონემდე ჩადის. V დონეზევე, თავხესთან, წრიული ფიცარი აღმოჩნდა (სურ. 2-27,30).



სურ. 2-52.

სამარხი № 30. უღელი (ინვ. №271). დეტალი.



სურ. 2-53.

სამარხი № 30. ურმის დეტალი (ინვ. №272).



სურ. 2-54.

სამარხი № 30. ურმის ხელნა (ინვ. №273). დეტალი.

VI დონე 1,5-1,55 მ სიღრმეზე ვრცელდება, სადაც წინა კოფო, ძარაზე დაწყობილი ფიცრები და ძარას მარჯვენა ძელის ქვეშ მოქცეული დეტალები დაფიქსირდა.

VII დონე 1,55-1,6 მ შეესაბამება. ეს დონე სამარხი კამერის იატაკს წარმოადგენს. მასზე დაწყობილი ყოფილა უღელი და ორი ოთხკუთხა ხე, რომლებიც ძარას მარცხენა ძელთან ახლოსაა მოთავსებული და მის პარალელურად არიან განლაგებული. ძარაზე მოთავსებული ფიცრებისა და თიხის ჭურჭლების ქვეშ, ორი ბატკნის (თხის ?) ჩონჩხია მოთავსებული. ჩრდილოეთით დასვენებული ბატკნის თავი ძარას მარჯვენა ძელის ქვეშაა მოქცეული. ურმის უკანა კოფოს სამხრეთით მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა, რომლის თავზეც, IV დონეზე, ორი უფორმო ძელის ნაშთი დაფიქსირდა.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სამარხი კამერის იატაკზე ჯერ დაუსვენებიათ მიცვალებული, თავთან დაუწყვიათ ბატკნები, ხოლო გრძივი კედლების ძირში მოუთავსებიათ ურმის გარკვეული დეტალები. შემდეგ ჩაუდგიათ ურმის ძარა, ისე, რომ ბატკნები და ურმის ზოგიერთი დეტალი უბის – იატაკის ქვეშ აღმოჩნდა. შემდეგ ძარაზე გადაუფარებიათ ტყავი თუ ჭილოფი და ურმის უკანა კოფოსთან ორი ჭურჭელი დაუდგამთ. ორი ჭურჭელია ჩადგმული სამარხი კამერის ჩრდილოეთ ნაწილშიც. ამ პროცედურის ჩატარების შემდეგ სამარხი კამერა, გარკვეულ დონეზე ყვითელი თიხით არის შევსებული. სამარხი კამერის პირზე აღმოჩენილი ძელების ნაშთები, მისი გადახურვის შესაძლებლობის დაშვების საშუალებას იძლევა. როგორც ჩანს, სამარხი დაგვირგვინებული იყო მასიური ქვაყრილით, რომლის ნაშთი სამარხ კამერაში აღმოჩნდა.

სამარხში აღმოჩნდა:



სურ. 2-55.

სამარხი № 30. დერგი (იხვ. № 256).



სურ. 2-55ა.

სამარხი № 30. დერგი (იხვ. № 256). დეტალი.

1. დერგი (ინვ. № 256), თიხის, ლეგა-მოყავისფროდ გამომწვარი, ზედა და შიდაპირზე შავი ლაქებით, თიხაში შერეულია წვრილმარცვლოვანი მინარეკები. პირი გადაშლილია, ყელი დაბალი, მუცელი მომრგვალებული, ძირი ბრტყელი. მხარი შემკულია ირიბი ნაჭდევებით, რელიეფური და ამოღარული ტალღისებრი სარტყლებით და ოთხი ბრტყელზედაპირიანი მრგვალი დანაძერწით (დმ - 1 სმ), რომელზეც სვასტიკაა (სურ. 2-55ა) ამოკაწრული. ძირს ირიბი ნაჭდევები შემოუყვება (სურ. 2-55). აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში.



სურ. 2-56.
სამარხი № 30. ქილა (ინვ. № 257).



სურ. 2-57.
სამარხი № 30. ქილა (ინვ. № 257). დეტალი.

2. ქილა (ინვ. № 257), თიხის, შავად გამომწვარი. პირი გადაშლილია, ყელი დაბალი, მუცელი მხართან გამობერილი, ძირისკენ ვიწროვდება, ძირი ბრტყელი. მხარი შემკულია ამოდარული სარტყლებით და სამკუთხედისებურად განლაგებული ნაპრიალები ორნამენტით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან, № 256 დერგის აღმოსავლეთ მხარეს (სურ. 2-56, 57; ტაბ. 2-VII,1).



სურ. 2-58.

სამარხი № 30. დერგი (ინვ. № 258).



სურ. 2-59.

სამარხი № 30. დერგი (ინვ. № 258). დეტალი.

3. დერგი (ინვ. № 258), თიხის, შავად გამომწვარი. პირი გადაშლილია, ყელი დაბალი, ძირი ბრტყელი. მხარი შემკულია ამოღარული სარტყლებით (სურ. 2-58, 59; ტაბ. 2-VII,3).



სურ. 2-60.

სამარხი № 30. ქილა (ინვ. № 259).

4. ქილა (ინვ. № 259), თიხის, შავად გამომწვარი, პირი გადაშლილია, ყელი დაბალი, მუცელი მხართან გამობერილი. მხარი შემკულია ამოღარული სარტყლებით და სამკუთხედისებურად განლაგებული ნაპრიალები ორნამენტით (სურ. 2-60; 2-VII,2).



სურ. 2-61.

სამარხი № 30. ობსიდიანის ანატკეცვები: 1. ინვ. № 262; 2. ინვ. № 261; 3. ინვ. № 260.

5. ანატკეცი (ინვ. № 260), ობსიდიანის, დაუმუშავებელი. აღმოჩნდა ურემზე, მარჯვენა გვერდთან (სურ. 2-61,3).

6. ანატკეცი (ინვ. № 261), ობსიდიანის, დაუმუშავებელი. აღმოჩნდა მიცვალებულის სახის წინ (სურ. 2-61,2).

7. ანატკეცი (ინვ. № 262), ობსიდიანის, დაუმუშავებელი. აღმოჩნდა ბატკნის ჩონჩხთან, № 256 დერგის ქვეშ (სურ. 2-61,1).



სურ. 2-62.

სამარხი № 30. ძროხის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 263).

8. ძროხის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 263) (სურ. 2-62).



სურ. 2-63.

სამარხი № 30. ბატკნის ან ციკნის მარჯვენა ქვედა (1) და ზედა (2) ყბები (ინვ. № 264).

9. ბატკნის ან ციკნის მარჯვენა ზედა და ქვედა ყბები (ინვ. № 264), (სურ. 2-63; 1 - ქვედა, 2 - ზედა) .

10. ბატკნის ან ციკნის ჩონჩხის ნაწილები: ბარძაყის ფრაგმენტი, მალეები, ნეკნები, ბეჭი და სხვ. (ინვ. № 265); (სურ. 2-64).



სურ. 2-64.

სამარხი № 30. ბატკნის ან ციკნის ლულოვანი ძვლის ფრაგმენტი (ინვ. № 265).

11. ცხოველის ძვლები თუ ძვლის ნივთი (?) (ინვ. № 266), ფორმის დადგენა შეუძლებელია.

12. ცხვრის (?) თავის ქალა (ინვ. № 267).

13. ხელნის ფრაგმენტი (ინვ. № 270), ხის. ერთი ბოლო შესქელებული და მომრგვალებულია (სურ. 2-54).

14. ულის ფრაგმენტი (ინვ. № 271), ხის (სურ. 2-52).

15. ურმის ფრაგმენტი (ინვ. № 272), ხის (სურ. 2-53).

16. ურმის ფრაგმენტი (ინვ. № 273), ხის.

სამარხი №31

აღმოჩნდა ენერგოკორიდორის 119+195 კილომეტრზე. დაზიანებულია მშენებლობის დროს. ნავთობის მილისათვის გაჭრილი თხრილის სამხრეთი კედლის პროფილში, ყვითელ თიხნარში ჩაჭრილი, შავი ლაქა შეინიშნებოდა. ამ მიმართულებით 2,2 X 2,5 მ ფართობზე მოიხსნა 0,4 მ სისქის მიწის ფენა, სადაც წაგრძელებული ფორმის ქვაყრილი დაფიქსირდა. იგი დამსრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე, ოდნავი გადახრით. მისი სიგრძე 1,6 მ-ია, სიგანე 1,0 მ. ქვაყრილი შედგენილია დიდი და საშუალო ზომის (0,3 X 0,4; 0,4 X 0,7 მ) ბაზალტის ქვებით. ყრილი სამარხის იატაკამდე ჩადის. მისი სიმძლავრე 0,95 მ-ს უდრის (სურ. 2-65-68; ტაბ. 2-VIII).

ქვაყრილის აღების შემდეგ სამარხი ორმოს კონტურები დაფიქსირდა. ორმოს კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის ფორმა აქვს. მისი სიგრძე 1,6 მ, სიგანე 0,85 მ-ია, მაქსიმალური სიღრმე 0,9 მ-ს უდრის (ტაბ. 2-IX).

სამარხში ერთი მიცვალებულია დაკრძალული. იგი მარცხენა გვერდზეა დასვენებული, ხელფეხმოკეცილი, თავით დასავლეთით. მიცვალებულს ფეხები სამარხის იატაკზე დადებულ ბრტყელ ქვაზე უწყვია (ტაბ. 2-X; სურ. 2-69, 70).

სამარხში მხოლოდ თეთრი ფერის პასტის იოტები აღმოჩნდა, რომლებიც ყელის არეში იყო მიმოფანტული.



სურ. 2-65.

სამარხი № 31. ქვაყრილი (I დონე).

ხედი ჩრდილოეთიდან.



სურ. 2-66.

სამარხი № 31. ქვაყრილი (I დონე). ხედი ჩრდილოეთიდან.



სურ. 2-67.

სამარხი № 31. ქვაყრილი (II დონე). ხედი დასავლეთიდან.



სურ. 2-68.

სამარხი № 31. ქვყერილი (II დონე). ხედი ჩრდილოეთიდან.



სურ. 2-69.

სამარხი № 31. დასაკრძალავი კამერა. ხედი დასავლეთიდან.



სურ. 2-70.
სამარხი № 31. დასაკრძალავი კამერა. ხედი ჩრდილოეთიდან.



სურ. 2-71.
სამარხი № 31. დასაკრძალავი კამერა. მიცვალებულის ჩონჩხის ნაშთი. ხედი აღმოსავლეთიდან.

სამარხში აღმოჩნდა:

17. მძივები (ინვ. № 277). თეთრი პასტის, 2 ც., ცილინდრული ფორმის. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელის არეში.

18. მძივები (ინვ. № 278). თეთრი პასტის იოტები, 9 ც., ცილინდრული ფორმის. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალის არეში.

სამარხის ქვაყრილთან აღმოჩნდა:

19. ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 274), თიხის, 2 ც., შავად გამომწვარი. თიხაში შერეულია წვრილი თეთრი მინარევეები. დიდ ფრაგმენტზე წიბოა შემორჩენილი.

20. საფხეკი (ინვ. № 275), იასპის, ოვალური სამუშაოპირიანი, ციცაბო რეტეში დაკბილულ კიდეს ქმნის, რომლის წიბოები გადაღესილია.

21. ნატეხი (ინვ. № 276), იასპის, წითელი ფერის.



სურ. 2-72.
საფარ-ხარაბა. არხის ნაშთი.



სურ. 2-73.
საფარ-ხარაბა. არხის ნაშთი.

რეკომენდაცია

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ საფარ-ხარაბას სამაროვნის ენერგოკორიდორში მოქცეული ტერიტორიის მხოლოდ მცირე ნაწილია შესწავლილი. ამდენად დიდი არქეოლოგიური სამუშაოებია ჩასატარებელი.

წალკის რაიონში მალე განახლდება გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოები, რომელიც აუცილებლად შეეხება 120-ე კილომეტრს. ძველის მასშტაბების და სამშენებლო სამუშაოების მაღალი ტემპის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ სამაროვანს შეიძლება საფრთხე დაემუქროს. ასეთი ფაქტი უკვე მოხდა საფარ-ხარაბას სამაროვანზე. 2004 წლის გაზაფხულზე, ნავთობის მილის ჩასადებად თხრილის ამოღებისას რამდენიმე სამარხი დაზიანდა. ერთ-ერთ სამარხში (№ 30) ურემი დაფიქსირდა, რაც პირველი შემთხვევაა საფარ-ხარაბას სამაროვნისათვის. სამწუხაროდ, სამარხის დიდი ნაწილი სამშენებლო სამუშაოებს შეეწირა და შესაბამისად მნიშვნელოვანი ინფორმაციაც დაიკარგა. ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ მიუთითებს აკც-სა და BP-ის არაკოორდინირებულ მოქმედებაზე.

ამიტომ მიმაჩნია, რომ BP-ის წარმომადგენლებთან წინასწარ, ახლავე უნდა იქნეს განხილული ყველა ის საკითხი, რომლებიც საფარ-ხარაბას სამაროვნის შესწავლასთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში უნდა გაირკვეს თუ რა ფართობზე მოგვეცემა გათხრების ჩატარების საშუალება, გავრცელდება თუ არა ტერიტორიული შეზღუდვა საფარ-ხარაბას სამაროვნის მიმართაც, როგორი იქნება ის გრაფიკი, რომლითაც ვიმოქმედებთ არქეოლოგები და მშენებლები.

საჭიროდ მიმაჩნია ამ საკითხების სასწრაფოდ გადაწყვეტა, რათა არ მოხდეს საფარ-ხარაბას სამაროვნის დაზიანება და სრულად იქნას შესწავლილი ყველა ის სამარხი, რომლებიც ენერგოკორიდორში მოექცა.

§ 2. საფარ-ხარაბას სამაროვანი სურათების აღწერა

- სურ. 2-1. რუკა 1. საფარ-ხარაბა. KP 119-120.
- სურ. 2-2. საფარ-ხარაბას სამაროვანი. საერთო ხედი დასავლეთიდან.
- სურ. 2-3. საფარ-ხარაბას სამაროვანი. №30-ე სამარხის ტერიტორია გათხრების დაწყებამდე. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.
- სურ. 2-4. საფარ-ხარაბა. ტოპოგეგმა - KP 120.
- სურ. 2-5. სამარხი №30. ქვაყრილი (I დონე). ხედი სამხრეთიდან.
- სურ. 2-6. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერა. ურემი (III დონე), ხედი ჩრდილოეთიდან.
- სურ. 2-7. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერა. ურემი (III დონე). ხედი სამხრეთიდან.
- სურ. 2-8. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერა. ურმის კოფოს (III დონე) სამხრეთით მდებარე მიცვალებული (VI დონე).
- სურ. 2-9. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერა (III დონე). ხედი აღმოსავლეთიდან.
- სურ. 2-10. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერა (III დონე). ხედი სამხრეთიდან.
- სურ. 2-11. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერა (III დონე). ხედი აღმოსავლეთიდან.
- სურ. 2-12. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერა (III-IV დონე). ხედი სამხრეთიდან.
- სურ. 2-13. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერა (III-IV დონე). ხედი სამხრეთიდან.
- სურ. 2-14. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერა (III-IV დონე). ხედი სამხრეთიდან.
- სურ. 2-15. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერა (III დონე). დეტალი.
- სურ. 2-16. სამარხი №30. ურმის კოფო (III დონე).
- სურ. 2-17. სამარხი №30. ურმის წინა ნაწილი მომრგვალებული თავით (IV დონე).
- სურ. 2-18. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერა (IV დონე). ხედი სამხრეთიდან.
- სურ. 2-19. სამარხი №30. ურემი (IV-V დონე). ხედი აღმოსავლეთიდან.
- სურ. 2-20. სამარხი №30. ურმის დეტალი (IV დონე); მიცვალებულის ჩონჩხი (VII დონე). ხედი სამხრეთიდან.
- სურ. 2-21. სამარხი №30. ურემი (III-IV დონე). ხედი ჩრდილოეთიდან.
- სურ. 2-22. სამარხი №30. ურმის დატალები: ძარა (III დონე), ძარას წინა ნაწილი (IV დონე), უღელი და ხელნა (V დონე).
- სურ. 2-23. სამარხი №30. ურმის ძარა (III დონე); მიცვალებულის ჩონჩხი (VII დონე).
- სურ. 2-24. სამარხი №30. ურმის კოფო (III დონე).
- სურ. 2-25. სამარხი №30. ურმის ძარას უკანა ნაწილი კოფოს აღმოსავლეთ ნაწილის აღებამდე.
- სურ. 2-26. სამარხი №30. ურემის კოფოს აღმოსავლეთ ნაწილის ალების შემდეგ დაფიქსირებული ძარა (V დონე); ბატკნის ან ციკნის ძელები და მიცვალებულის ჩონჩხი (VII დონე).
- სურ. 2-27. სამარხი №30. ურმის კოფოს აღმოსავლეთ ნაწილის ალების შემდეგ დაფიქსირებული დონეები: ძარა (V დონე), ბატკნის ან ციკნის ძელები და მიცვალებულის ჩონჩხი (VII დონე).
- სურ. 2-28. სამარხი №30. ურმის ძარაზე მოთავსებული ჭურჭლები.
- სურ. 2-29. სამარხი №30. ურმის ძარა, მომრგვალებული წინა ნაწილით. ხედი სამხრეთიდან.
- სურ. 2-30. სამარხი №30. ურმის ძარა (V დონე). ხედი სამხრეთიდან.
- სურ. 2-31. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერის V-VII დონეები. ხედი სამხრეთიდან.
- სურ. 2-32. სამარხი №30. ურმის დეტალები: ხელნა, უღელი და ძარა (V დონე); ძარას უბის ქვეშ აღმოჩენილი ძელები (VI დონე); მიცვალებულის ჩონჩხი (VII დონე). ხედი დასავლეთიდან.


- სურ. 2-33. სამარხი №30. ხელნასა და ძარას შორის დაფიქსირებული მრგვალი ლაქა; ურმის ძარას მარჯვენა ძელი და მის ქვეშ მოქცეული ხის დეტალები (VI დონე).
- სურ. 2-34. სამარხი №30. ურმის ძარას წინა ნაწილში დაფიქსირებული დეტალები, უბის ქვეშ აღმოჩენილი ძელები (VI დონე).
- სურ. 2-35. სამარხი №30. ურმის კოფოსა და ძარაზე დალაგებული ჭურჭლების მოხსნის შემდეგ დაფიქსირებული სიტუაცია (VI-VII დონეები). ხედი დასავლეთიდან
- სურ. 2-36. სამარხი №30. ურმის ძარა, ჭურჭლების ალაგების შემდეგ (VI-VII დონეები).
- სურ. 2-37. სამარხი №30. ურმის დეტალები: ხელნა და უღლის ნაწილი (V-VII დონეები).
- სურ. 2-38. სამარხი №30. ურმის კოფოს ჭრილი (V-VII დონეები).
- სურ. 2-39. სამარხი №30. ურმის ხელნა, უღელი და ძარას ქვეშ დაფიქსირებული ძელი (V-VII დონეები).
- სურ. 2-40. სამარხი №30. ურმის ხელნა და უღელი. ხედი სამხრეთიდან.
- სურ. 2-41. სამარხი №30. ურმის ხის უღელი. დეტალი.
- სურ. 2-42. სამარხი №30. ურმის დეტალები: ხის უღელი, ხელნა, ძარას ძელი და მათ შორის დაფიქსირებული წრიული ხის ნაშთი (V-VI დონეები).
- სურ. 2-43. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერა (V-VII დონეები). საერთო ხედი სამხრეთიდან.
- სურ. 2-44. სამარხი №30. ურმის ძარას მარჯვენა ძელი ჭალის ფოსოთი.
- სურ. 2-45. სამარხი №30. ძარას დეტალებს შორის დაფიქსირებული ბატკნის ან ციკნის ძელები (VI-VII დონეები).
- სურ. 2-46. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერა (V-VII დონეები). ძარაზე დაწყობილი ფიცრების ალების შემდეგ დაფიქსირებული დონე (VI), მიცვალებულის ჩონჩხი და ბატკნის ან ციკნის ძელები (VII დონეები).
- სურ. 2-47. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერა, დეტალი. მიცვალებულის ჩონჩხი და ბატკნის ან ციკნის ძელები (VII დონე).
- სურ. 2-48. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერა, ორი ბატკნის ან ციკნის ჩონჩხი (VII დონე).
- სურ. 2-49. სამარხი №30. ურმის უღლის (V დონე) და ძარას მარცხენა ძელის ურთიერთმიმართება.
- სურ. 2-50. სამარხი №30. ურმის უღლისა (V დონე) და ძარას მარცხენა ძელის ურთიერთმიმართება. დეტალი.
- სურ. 2-51. სამარხი №30. ურმის ხელნა და უღელი.
- სურ. 2-52 სამარხი №30. უღელი (ინვ. № 271). დეტალი.
- სურ. 2-53 სამარხი №30. ურმის დეტალი(ინვ. № 272).
- სურ. 2-54 სამარხი №30. ხელნა(ინვ. № 273). დეტალი.
- სურ. 2-55 სამარხი №30. დერგი (ინვ. №256).
- სურ. 2-55ა. სამარხი №30. დერგი (ინვ. №256), დეტალი.
- სურ. 2-56. სამარხი №30. ქილა (ინვ. №257).
- სურ. 2-57. სამარხი №30. დერგი (ინვ. №257), დეტალი.
- სურ. 2-58. სამარხი №30. დერგი (ინვ. №258)
- სურ. 2-59. სამარხი №30. დერგი (ინვ. №258), დეტალი.
- სურ. 2-60. სამარხი №30. ქილა (ინვ. №259).
- სურ. 2-61. სამარხი №30. ობსიდიანის ანატკეცები: 1. ინვ. №262; 2. ინვ. №261; 3. ინვ. №260.
- სურ. 2-62. სამარხი №30. ძროხის მხრის ფრაგმენტი (ინვ. №263).


- სურ. 2-63. სამარხი №30. ბატკნის ან ციკნის მარჯვენა ქვედა (1) და ზედა (2) ყბები (ინვ. №264).
- სურ. 2-64. სამარხი №30. ბატკნის ან ციკნის ლულოვანი ძვალი (ინვ. №265).
- სურ. 2-65. სამარხი №31. ქვაყრილი (I დონე). ხედი ჩრდილოეთიდან
- სურ. 2-66. სამარხი №31. ქვაყრილი (I დონე). ხედი ჩრდილოეთიდან.
- სურ. 2-67. სამარხი №31. ქვაყრილი (II დონე). ხედი ჩრდილოეთიდან.
- სურ. 2-68. სამარხი №31. ქვაყრილი (II დონე). ხედი ჩრდილოეთიდან.
- სურ. 2-69. სამარხი №31. დასაკრძალავი კამერა. ხედი დასავლეთიდან.
- სურ. 2-70. სამარხი №31. დასაკრძალავი კამერა. ხედი ჩრდილოეთიდან.
- სურ. 2-71. სამარხი №31. დასაკრძალავი კამერა. მიცვალებულის ჩონჩხის ნაშთი. ხედი აღმოსავლეთიდან.
- სურ. 2-72. საფარ-ხარაბა. არხის ნაშთი.
- სურ. 2-73. საფარ-ხარაბა. არხის ნაშთი.


§ 2. საფარ-ხარაბას სამართკანო

ტაბულების აღწერა


- ტაბ. 2-I. სამარხი №30. ქვაყრილი, I დონე. გეგმა და ჭრილი.
- ტაბ. 2-II. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერა (III-IV დონეები). გეგმა და ჭრილები.
- ტაბ. 2-III. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერა (V-VII დონეები). გეგმა და ჭრილები.
- ტაბ. 2-IV. სამარხი №30. დასაკრძალავი კამერა (VI-VII დონეები). გეგმა და ჭრილები.
- ტაბ. 2-V. სამარხი №30. ურმის დეტალები.
- ტაბ. 2-VI. სამარხი №30. 1. დერგი (ინვ. №256).
- ტაბ. 2-VII. სამარხი №30. 1. ქილა (ინვ. 257); 2. დერგი (ინვ. №259); 3. ქილა (ინვ. №258).
- ტაბ. 2-VIII. სამარხი №31. ქვაყრილი (I დონე). გეგმა და ჭრილი.
- ტაბ. 2-IX. სამარხი №31. ქვაყრილი (II დონე). გეგმა და ჭრილები.
- ტაბ. 2-X. სამარხი №31. სამარხი კამერა (III დონე). გეგმა და ჭრილები.









ՅճԹ. 2-IV



ՅձԺ. 2-V




ՃՏԾ. 2-VI




Է

ՅձԾ. 2-VII




ՅձԺ. 2-VIII




1 - 1



ჭაბ. 2-IX



Յժծ. 2-X



ბ. ნარიმანიშვილი, რ. ღვვლიანიძე

§ 3.

სადრენაჟო სისტემა სოფ. სანთასთან

(ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის
129-ე კილომეტრზე
ჩატარებული სამუშაოები)

**სადრენაჟო სისტემა სოფ. სანთასთან
(ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის 129-ე კილომეტრზე
ჩატარებული სამუშაოები)**

ობიექტი ენერგოკორიდორის 129+750-ე კილომეტრზე, სოფ. სანთის სამხრეთ-დასავლეთით გაშლილ მინდორზე მდებარეობს (სურ. 3-1. ტოპორუკა 1).

სოფ. სანთის მიდამოებში მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლია აღრიცხული და შესწავლილი. სოფლის ჩრდილოეთით გაწოლილი ქედის თხემზე „ციკლოპური“ სიმაგრე და ნამოსახლარია განლაგებული. სოფლის სამხრეთით, XX საუკუნის 30-იან წლებში ბ.კუფტინმა ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანები გათხარა. დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით გვიანი ბრინჯაოს ხანის და ადრეშუასაუკუნეების სამაროვნებს მიაკვლია.

ენერგოკორიდორის თავდაპირველი მარშრუტი უფრო ჩრდილოეთით გადიოდა. ამდენად იგი ყორღანების და ნერონ-დერესის ხევის ნაპირებზე მდებარე ანტიკური ხანის ნამოსახლარისა და სამაროვნის ზონაში ექცეოდა. ჩვენი და BP-ის შესაბამისი სამუშაო ჯგუფის ერთობლივი სავსე სამუშაოების შედეგად ენერგოკორიდორმა, არქეოლოგიური ძეგლების გათვალისწინებით, გარკვეული ცვლილება განიცადა.

მიუხედავად იმისა, რომ ენერგოკორიდორი მნიშვნელოვნად დასცილდა არქეოლოგიურ ძეგლებს, ერთ მონაკვეთზე მაინც დარჩა გარკვეული ეჭვი, ამიტომ 2002 წელს ერსპედიციამ მცირე სადაზვერვო სამუშაოები ჩატარა (იხ. 2002 წლის ანგარიში).

სოფ. სანთის სამხრეთით 2002 წელს სადაზვერვო თხრილებით შემოწმდა ენერგოკორიდორის 126-128 კილომეტრები (იხ. წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2002 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში).

მშენებლობასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოები სანთა-წინწყაროს მიდამოებში 2003 წელს დაიწყო (სურ. 3-2; 3-3). ენერგოკორიდორის 129-130-ე კილომეტრებზე მიწის ზედაპირის მოხსნის შემდეგ, ყვითელ თიხნარში წაგრძელებული ფორმის შავი ლაქები დაფიქსირდა.

2004 წელს, აკც-სა და BP-ის შორის დადებული კონტრაქტის საფუძველზე, ამ მიდამოებში ექსპედიციამ 3 დღე (12-14 მაისი) იმუშავა. ენერგოკორიდორის 129+750-ე კილომეტრზე, მშენებლების მიერ მოსწორებული ზედაპირის ნაყარი მიწისაგან განთავისუფლებისთანავე გამოიკვეთა არხის კონტურები (სურ. 3-4, 3-5). იგი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენაა მიმართული და მთლიანად კვეთს ენერგოკორიდორს (სურ. 3-6).

განათხარ ფართობზე არქეოლოგიური მასალები არ აღმოჩენილა.

არხის გამოვლენილი სიგრძე 44 მ-ს უდრის, სიგანე 2,0 მ, სიღრმე კი 1,1 მ-ია (ტაბ. 3-I; სურ. 3-7, 3-8, 3-9, 3-10).

მიმდებარე ტერიტორიის დათვალიარების შედეგად გაირკვა, რომ იმ მინდორის ჩრდილოეთი ნაწილი, სადაც ენერგოკორიდორი გადის დაჭაობებულია. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი სადრენაჟო არხი დღესაც

ფუნქციონირებს. როგორც ჩანს ჩვენს მიერ გამოვლენილი არხიც, ოდესღაც სადრენაჟო სისტემის ნაწილი იყო.

სადრენაჟო სისტემა სოფ. სანთასთან

სურათების აღწერა

სურ. 3-1. ტოპორუკა 1.

სურ. 3-2. გათხრების დაწეების პროცესი.

სურ. 3-3. ენერგოკორიღორის საერთო ხედი.

სურ. 3-4. ენერგოკორიღორის ხედი გათხრების დაწეებამდე.

სურ. 3-5. სადრენაჟო არხის ხედი ჩრდილოეთიდან.

სურ. 3-6. სადრენაჟო არხის ხედი სამხრეთიდან.

სურ. 3-7. სადრენაჟო არხი. ხედი სამხრეთიდან (დეტალი).


სურ. 3-8. სადრენაჟო არხის ჭრილი. ხედი სამხრეთიდან.

სურ. 3-9. სადრენაჟო არხი. კალაპოტის შევსება, ფორმა და ჭრილი.

სურ. 3-10. სადრენაჟო არხი. კალაპოტის შევსება.

ტაბულის აღწერა

ტაბ. 3-1. არხი. გეგმა და ჭრილი.



სურ. 3-1. ტოპორუკა.



სურ. 3-2. სანთა. გათხრების დაწევის პროცესი.



სურ. 3-3. სანთა. ენერგოკორიდორის საერთო ხედი.



სურ. 3-4. სანთა. ენერგოკორიდორის ხედი გათხრების დაწყებამდე.



სურ. 3-5. სანთა. სადრენაჟო არხის ხედი ჩრდილოეთიდან.



სურ. 3-6. სანთა. სადრენაუო არხის ხედი სამხრეთიდან.



სურ. 3-7. სანთა. სადრენაუო არხი. ხედი სამხრეთიდან (დეტალი).



სურ. 3-8. სანთა. სადრენაუო არხის ჭრილი. ხედი სამხრეთიდან.




სურ. 3-9. სანთა. სადრენაუო არხი. კალაპოტის შევსება, ფორმა და ჭრილი.



სურ. 3-10. სანთა. სადრენაუო არხი. კალაპოტის შევსება.

გაბ. 3-I.



სანთა. არხი. გეგმა და ჭრილი.

პ. ამირანაშვილი, ბ. ნარმაანიშვილი

§ 4.

ქინისის ნამოსახლარი

ჰინისის ნამოსახლარი

უბნის ზოგადი აღწერილობა


ენერგოკორიდორის 136-ე კილომეტრზე გამოვლენილი ნამოსახლარი წალკის რაიონის ჩრდილო-დასავლეთ, სოფ. ჯინისის უკიდურეს ჩრდილოეთ განაპირას, ჯინისი-გუმბათის სამანქანო გზის დასავლეთით, მარცხენა მხარეს 30 მ დაშორებით მდებარეობს (სურ. 4-3; ტაბ. 4-I).


ნამოსახლარი მდ. გუმბათისწყალის მარცხენა ნაპირზე მეორე ტერასაზეა გამართული. რელიეფი, ნამოსახლარის ტერიტორიაზე, დასავლეთის მიმართულებით თანაბრად დამრეცია, ხოლო მდინარისაკენ დახრის კუთხე მატულობს და მდინარის მარცხენა ნაპირთან ფაქტიურად დავაკებულია. მდ. გუმბათისწყალი მდ. ქციას ჩრდილოეთიდან უერთდება (სურ. 4-4; ტაბ. 4-Iა).

არქეოლოგიური ძეგლის სავარაუდო ნიშნები აქ გამოვლინდა ე.წ. "ტოპსოილის" ალების შემდეგ, რომელიც წარმოადგენდა მოყვითალო დედაქანში მოშავო ფერის ოვალური ფორმის "ლაქებსა" და ქვის გაურკვეველ წყობებს (სურ. 4-4, 4-5).

ძეგლზე არქეოლოგიური გათხრები რამდენიმე ეტაპად წარიმართა.

I კამპანიის ჩატარების შემდეგ გამოვლინდა ნამოსახლარის 5 ნაგებობის ნაშთი, სადაც გამოიკვეთა ქვის რამდენიმე კედლის წყობა (სურ. 4-8; ტაბ. 4-II, 4-V). საერთოდ "ტოპსოილი" აქ აღებულია 0,30-0,50 მეტრის სიმაღლეზე, რის გამოც ნამოსახლარის ზედა ფენა განადგურებულია. მიწის ნაყარში შეგროვილ იქნა კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც შუა და გვიანი ბრინჯაოს, განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების პერიოდებს მიეკუთვნება.





რუკა 1. ჯიხის ნამოსახლარი.
კრ. 136+510

II კამპანიის დროს განახლდა ამ ნამოსახლარის გათხრები. აქ უნდა აღინიშნოს, რომ მძიმე სამშენებლო ტექნიკის მოძრაობამ შესასწავლი ფართობის ზედაპირი ისე ძლიერად დატკეპნა, რომ ამ "ქერქოვანი" ფენის მოხსნაზე, არქეოლოგიური სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, საკმაოდ ბევრი დრო დაიხარჯა.

ძეგლის საკვლევი ფართობიდან აღებულია ნიმუშები პალეობოტანიკური და პალინოლოგიური გამოკვლევებისთვის.



სურ. 4-1. ჯინისის ნამოსახლარის სავარაუდო ტერიტორიის საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. უკანა პლანზე ჩანს სოფლები ავრანლო და ყიზილ-ქილისა.

კვლევის დანიშნულება

მენეჯმენტის მიზნები:

კონტრაქტები (HL-049, HL-068, HL-072, HL-073 და HL-074) ითვალისწინებდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ენერგოკორიდორის 136-ე კილომეტრზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების დროს გამოვლენილი მოშავო ფერის ლაქების, ქვის კედლების ხასიათისა და დანიშნულების გარკვევას; ამ მონაკვეთის არქეოლოგიური ძეგლებისაგან განთავისუფლებას.




სურ. 4-2. ჯინისის ნამოსახლარი. გაზსადენის მიწების შეღებვის პროცესი. ხედი დასავლეთიდან.

მიზნის მისაღწევად დადებულ იქნა ხუთი კონტრაქტი:

1. HL-049 კონტრაქტის მიხედვით გამოყოფილი იყო 7 სამუშაო დღე. საველე სამუშაოებში მონაწილეობა მიიღო 8 თანამშრომელმა და 6 მუშამ.
2. HL-068 კონტრაქტის მიხედვით გამოყოფილი იყო 5 სამუშაო დღე. საველე სამუშაოებში მონაწილეობა მიიღო 9 თანამშრომელმა და 10 მუშამ.
3. HL-072 კონტრაქტის მიხედვით გამოყოფილი იყო 5 სამუშაო დღე. საველე სამუშაოებში მონაწილეობა მიიღო 10 თანამშრომელმა და 15 მუშამ.
4. HL-073 კონტრაქტის მიხედვით გამოყოფილი იყო 4 სამუშაო დღე. სამუშაოებში მონაწილეობდა 10 თანამშრომელი და 15 მუშა.
5. HL-074 კონტრაქტის მიხედვით გამოყოფილი იყო 7 სამუშაო დღე. საველე სამუშაოებში მონაწილეობა მიიღო 12 თანამშრომელმა და 15 მუშამ.



სურ. 4-3. ნავთობსადენის ტრასის 136-ე კმ. ხედი აღმოსავლეთიდან.



კვლევის თემა:

არქეოლოგიური ობიექტის შესახებ ენერგოკორიდორის მშენებლობამდე ინფორმაცია არ მოგვეპოვებოდა.

მშენებლობის დროს გამოვლენილი ქვის წყობები და შავი ლაქები სავარაუდოდ ნამოსახლარს და სამეურნეო ორმოებს მიეკუთვნებოდა, რაც გათხრების პროცესში დადასტურდა.

ენერგოკორიდორის მოცემულ მონაკვეთზე გამოვლენილი ნამოსახლარი ძირითადად განლაგებულია მის ჩრდილოეთ ნაწილში და გახსადენის სექტორს მოიცავს.



სურ. 4-4. ჯინისის ნამოსახლარის საერთო ხედი აღმოსავლეთიდან.

კვლევის პროცესში წამოჭრილი კითხვები:


არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე საკვლევ ფართობზე მხოლოდ ქვყარილების ფრაგმენტები და შავი ლაქები ჩანდა. მათი ანთროპოგენურობა ეჭვს არ იწვევდა, თუმცა მათი ხასიათის ზუსტი განსაზღვრა შესწავლის გარეშე ძნელი იყო. წინასწარული ვარაუდით ეს ქვყარილები ნამოსახლარს ეკუთვნოდა.




სურ. 4-5. საველე სამუშაოების დასაწყისი. ხედი აღმოსავლეთიდან.

ამდენად მიკვლეული ობიექტის შესწავლის დაწყებისას რამდენიმე ძირითადი კითხვა იდგა:

1. რა ხასიათის ძეგლია (ქვაყრილები ნამდვილად განეკუთვნობოდა თუ არა ნამოსახლარს).
2. ნამოსახლარის არსებობის შემთხვევაში გასარკვევი იქნებოდა დასახლების ხასიათი, ნამოსახლარის ინტენსივობა და ძეგლის სტრატეგრაფია.
3. ყროგორია ნაგებობათა არქიტექტურა, მშენებლობის ტექნიკა, კედლების წყობის ხასიათი, ინტერიერი და სხვ.
4რომელ ეპოქას მიეკუთვნება.
4. ნამოსახლარისა და სამაროვნის ურთიერთმიმართების გარკვევა.
ნრა სახის ახალი ინფორმაცია შეიძლება მოვიპოვოთ.
5. ნამოსახლარის გავრცელების საზღვრების დადგენა.





სურ. 4-6. ტექნიკის მუშაობის დროს გამოჩენილი ქვის კედლის წყობის ფრაგმენტი.

საკვლევი კითხვების საპასუხოდ გამოყენებული ანალიზისა და მეთოდების აღწერილობა:

1. ფართობები აიგეგმა ტოპოგრაფიულად. გასათხრელი ფართობი 18 X 24 მ ნაკვეთებად დაიყო, რომლებიც 6 X 6 მ კვადრატებად დანაწილდა. ხოლო კვადრატები 2 X 2 მ მონაკვეთებად დანაწევრდა. დაფიქსირდა ძეგლების მდგომარეობა გათხრებამდე (სურ. 4-4, 5, 6, 7; ტაბ. 4-II, III, IV).
2. გამოვლენილი ობიექტები შესწავლილ იქნა ძეგლის სტრატეგრაფიული შესწავლის მეთოდით, შედგა შესაბამისი გეგმები და ჭრილები, შესრულდა ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია. გამოვლენილი ობიექტები და არტეფაქტები აღწერილ იქნა საველე პირობებში.
3. გამოვლენილ ნაგებობებში დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი და ძვლოვანი მასალა.
4. ლაბორატორიული ანალიზებისათვის აღებულ იქნა მიწის და ძვლის ნიმუშები.
5. სამაროვნის მიკვლევის მიზნით ვიზუალურად შემოწმდა ენერგოკორიდორის ახლოს მდებარე ტერიტორია. ამ მიზნით შემდგომში ჩასატარებელია აეროარქეოლოგიური კვლევა.
6. ნამოსახლარის საზღვრების დადგენის მიზნით ენერგოკორიდორის მონაკვეთში გაჭრილ იქნა რამდენიმე სადაზვერვო თხრილი



სურ. 4-7. ჯინისის ნამოსახლარის საერთო ხედი დასავლეთიდან.
სამუშაოს საწყისი ეტაპი.



სურ. 4-8. ჯინისის ნამოსახლარის საერთო ხედი დასავლეთიდან.
ფართობზე კვადრატების ბადის გავლება.

მეთოდები

მოპოვებული საარქივო მასალები:

კერამიკა; ლითონის, ქვის და ძვლის იარაღები; საქონლის ძვლები; ტოპოგრაფიული რუკები; გათხრილი ფართობების გეგმები და ჭრილები; ცალკეული სამარხების გეგმები და ჭრილები; ნეგატიური ფერადი ფირები; პოზიტიური ფერადი ფირები; ციფრული ფოტო მასალა; თანამშრომელთა საველე დღიურები; საველე დავთრები.

ადგილი, სადაც დაცული იქნება მასალა და ჩანაწერები:

1) ლაბორატორიული დამუშავების პროცესში და სრული დოკუმენტური ანგარიშის დასრულებამდე ველზე მოპოვებული ყველა მასალა და დოკუმენტი დაცული იქნება აკც-ს ლაბორატორიებში და საცავში.

2) ლაბორატორიული სამუშაოების დასრულების შემდეგ არტეფაქტები, შესაბამისი დოკუმენტაციით, გადაეცემა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს.



სურ. 4-9. სახლი 1, თხრის საწყისი ეტაპი. ხედი სამხრეთიდან.



სურ. 4-10. თხრის საწყისი ეტაპი. ხედი აღმოსავლეთიდან. წინა პლანზე №1 სახლი.



სურ. 4-11. სახლი № 1. ჩანს ქვის კედლების კონტურები. ხედი სამხრეთიდან.



სურ. 4-12 . სახლების ქვის კედლების კონტურები.
ხედი აღმოსავლეთიდან.



სურ. 4-13 . სახლი № 1. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 98)


შედეგები

შესასწავლ მონაკვეთზე გაითხარა 4 სათავსო, მათ შორის 1 ნაწილობრივ (მისი დიდი ნაწილი ენერგოკორიდორის ფარგლებს სცილდება (ტაბ. 4 - II, V, VI).

ნაგებობების მოკლე აღწერილობა:

1. ყველა სათავსო გამართულია მოყვითალო დედაქანში ამოჭრილ ოთხკუთხა მოყვანილობის სხვადასხვა ზომის ორმოში, რომლის პირზე ამოყვანილია ძირითადად ერთ მწკრივიანი ქვის კედელი, შემაკავშირებელ მასალად მიწათიხის ხსნარია გამოყენებული. კედლების შიდა პირი შედარებით სწორპირიანია. ქვის კედლების გადაბმის ადგილები ზოგი მომრგვალებულია, ზოგი კი შედარებით სწორკუთხაა.

2. კედლების შიდაპირთან და იატაკზე განლაგებულია ბრტყელი ქვები და პატარა ზომის ორმო-ბუდეები სახურავის კონსტრუქციის დასამაგრებელი ელემენტის - ხის ბოძების დასამაგრებლად.



ჯინისის ნამოსახლარი. გენგეგმა.

სახლი № 1

მდებარეობს III ნაკვეთის მე-5, 6, 8, 9, 11, 12 კვადრატებში (სურ. 4-14; ტაბ. 4-VI). დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. წარმოადგენს ნახევრადმიწურ ნაგებობას. სახლის ასაშენებლად, ყვითელ თიხნარში, თავდაპირველად ამოჭრილია წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის ორმო, რომლის კედლებიც ქვებითაა ამოშენებული (სურ. 4-15; ტაბ. 4-VIII). კედლების შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 0,8 მ-ია. გასათვალისწინებელია, რომ სამშენებლო სამუშაოების დროს მოხსნილია 0,4 მ სისქის მიწის ფენა. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქვით ნაგები კედლების სიმაღლე 1,2 მ მაინც უნდა ყოფილიყო (სურ. 4-16).



178. თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 231), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ძირი ბრტყელია, გვერდი შემკულია ამოღარული ვერტიკალური ზოლებით. კეცის სისქე - 0,9 სმ. 6-G კვ-ის ცენტრალურ ნაწილში (სურ. 4-52,2; ტაბ. 4-XIV,7).

179. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 232), თიხის, მოშავო-მოყავისფრო, არათანაბრად გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,9 სმ. 6-G კვ-ის ცენტრალურ ნაწილში.

180. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 233), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირს ნაპრიალები ზოლები ეტყობა. კეცის სისქე - 0,9 სმ. 6-E კვ-ის ცენტრალურ ნაწილში.

181. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 234), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, პირი გადაშლილია, ყელი შეზნექილი. 6-D კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში.

182. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 235), თიხის, შავად გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,7 სმ. 6-D კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის ღონეზე.

183. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 236), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ ნატეხებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი ოდნავ გადაშლილი, ყელი გამოყვანილი. კეცის სისქე - 0,7 სმ. 8-F კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (ქვის ფილებზე, იატაკის ღონეზე. სურ. 4-53,2).

184. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 237), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, ზედაპირი ნაპრიალები, ბაკო მრგვალი აქვს, ყელი მაღალი-შეზნექილი, გამოყვანილი. კეცის სისქე - 0,5 სმ. 8-F კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (ქვის ფილებზე, იატაკის ღონეზე. სურ. 4-51,1; ტაბ. 4-XX,6).

185. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 238), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ძირი ბრტყელია. კეცის სისქე - 0,9 სმ. 8-F კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (ქვის ფილებზე, იატაკის ღონეზე. სურ. 4-52,1; ტაბ. XX,7).

186. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 239), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი ოდნავ გადაშლილი, ყელი შეზნექილი. კეცის სისქე - 0,9 სმ. 8-F კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (ქვის ფილებზე, იატაკის ღონეზე. სურ. 4-51,3; ტაბ. 4-XX,5).

187. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 240), თიხის, შავი ზედაპირითა და მოყავისფრო შიდაპირით, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. ზედაპირი ამოღარული აქვს, კეცის სისქე - 0,5 სმ. 5-E კვ-ის ცენტრალურ ნაწილში.

188. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 241), თიხის, მონაცრისფრო ზედაპირითა და მოყავისფრო შიდაპირით, თიხა მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,7 სმ. 5-E კვ-ის ცენტრალურ ნაწილში.

189. ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 242), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი, მხარი მკვეთრად დაქანებული. კეცის სისქე - 1,3 სმ. 6-G კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში (სურ. 4-50,2).

190. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 243), თიხის, შავი ნაპრიალები ზედაპირითა და მოყავისფრო შიდაპირით. კეცის სისქე - 0,5 სმ. 6-G კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-53,1).

191. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 244), თიხის, ზედაპირი ყავისფრად, ხოლო შიდაპირი შავადაა გამომწვარი, ხელით ნაძერწი, თიხა ობსიდიანის მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 1,3 სმ. 6-G კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში.

192. ჭურჭლის პირ-გვერდისა და ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 245), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ხელით ნაძერწი, ბაკო მრგვალი აქვს, გვერდი სწორი, ძირთან მომრგვალებული, ძირი ბრტყელი, გვერდზე და ძირზე თითო გამჭოლი ნახვრეტია დატანილი. კეცის სისქე - 0,9 სმ. 9-D კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-54,1; ტაბ. 4-XXIII,4).

193. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 246), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,5 სმ. 9-D კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

194. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 247), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, შიდაპირი ნაპრიალები აქვს. ბაკო - ფართოდ დაღარული. კეცის სისქე - 0,9 სმ. 8-I კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. 4-XXI,3).

195. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 248), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ხელით ნაძერწი. კეცის სისქე - 0,9 სმ. 8-I კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში.



სურ. 4-62. სახლი 1. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. №249).

196. ჭურჭლის მხრისა და მუცლის ფრაგმენტი (ინვ. № 249), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, მუცელი სფერული აქვს, მხარს ორი ღრმა კონცენტრული ღარი შემოუყვება. კეცის სისქე - 0,7 სმ. 8-A კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-62; ტაბ. 4-XXII,5).

197. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 250), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი სწორე. კეცის სისქე - 0,9 სმ. 9-D კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში (იატაკის დონეზე).

198. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 251), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,4 სმ. 9-D კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში (იატაკის დონეზე).

199. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 252), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,9 სმ. 9-D კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში (იატაკის დონეზე).

200. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 253), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,7 სმ. 5-G კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში (კედელთან).

201. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 254), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,7 სმ.

203. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 255), თიხის, შავად გამომწვარი, შიდაპირი ყავისფერი აქვს, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,8 სმ. 5-G კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში (კედელთან).

204. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 256), თიხის, აგურისფრად გამომწვარი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი შეზნეპილი. კეცის სისქე - 0,7 სმ. აღმოჩნდა ქურის გარშემო.

205. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 257), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,9 სმ. აღმოჩნდა ქურის გარშემო.

206. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 258), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, დაღარული ზედაპირით. კეცის სისქე - 0,5 სმ. 6-D კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-59,1; ტაბ. 4-XIV,9).

207. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 259), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირს ამოღარული ვიწრო ზოლებისაგან შედგენილი სარტყელი და ხორბლისებრი ორნამენტი ამკობს. კეცის სისქე - 0,6 სმ. 5-H კვ-ის დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-57,1; ტაბ. 4-XV,1).

208. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 260), თიხის, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ ნატეხებს შეიცავს, ხელით ნაძერწი. კეცის სისქე - 0,9 სმ. 5-H კვ-ის დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.

209. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 261), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალია, პირი სწორი. კეცის სისქე - 0,9 სმ. 5-F კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ SO ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-55,5).

210. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 262), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალია, პირი გადაშლილი. კეცის სისქე - 0,7 სმ. 8-A კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-56,3; ტაბ. 4-XV,3).

211. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 263), თიხის, მოყავისფრო შიდაპირითა და კეცით, ზედაპირი შავად აქვს ნაპრიალები. კეცის სისქე - 0,6 სმ. 8-A კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-53,2; ტაბ. 4-XXII,6).

212. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 264), თიხის, მოყავისფრო შიდაპირითა და კეცით, ზედაპირი შავად აქვს ნაპრიალები, ზედაპირს ამოღარული ვიწრო ზოლისაგან შედგენილი სარტყელი შემოუყვება. კეცის სისქე - 0,8 სმ. 8-A კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-57,4; ტაბ. 4-XIV,8).

213. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 265), თიხის, მოყავისფრო შიდაპირითა და კეცით, ზედაპირი შავად აქვს ნაპრიალები, ზედაპირი შემკულია ამოღარული

ზოლებით. კეცის სისქე - 0,7 სმ. 8-A კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-57,2; ტაბ. 4-XXII,9).

214. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 266), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევეებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი სწორი, მხარი მომრგვალებული. კეცის სისქე - 1,2 სმ. 8-A კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-58,2; ტაბ. 4-XXII,3).

215. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 267), თიხის, მოყავის-ფროდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ ნატეხებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს. 8-A კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. 4-XXII,4).

216. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 268), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევეებს შეიცავს, ხელით ნაძერწი. კეცის სისქე - 0,8 სმ. 8-A კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

217. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 269), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ მინარევეებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,9 სმ. 8-A კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

218. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 270), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევეებს შეიცავს, ზედაპირი შავად აქვს ნაპრიალები. კეცის სისქე - 0,8 სმ. 5-G კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

219. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 271), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევეებს შეიცავს, ხელით ნაძერწი. კეცის სისქე - 0,9 სმ. 5-G კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.



სურ. 4-63. სახლი 1. ქოთანის (ინვ. №278).

220. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 272), თიხის, მოყავისფრო-მოშავო ზედაპირითა და შავი შიდაპირით, თიხა წვრილ მინარევეებს შეიცავს, ძირი ბრტყელია. კეცის სისქე - 0,8 სმ. 6-D კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.

221. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 273), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევეებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს. კეცის სისქე - 1,2 სმ. 6-D კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-55,3).

222. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 274), თიხის, შავადაა ნაპრიალები, ბაკო მრგვალი აქვს. კეცის სისქე - 0,6 სმ. 5-C კვ-ში (ტაბ. 4-XV,7).

223. სასმისის პირ-გვერდის ნაწილი (ინვ. № 275), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი ოდნავ მოყრილი, მუცელი გამობერილი. კეცის სისქე - 0,8 სმ. 5-C კვ-ში (სურ. 4-55,1; ტაბ. 4-XV,6).

224. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 276), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, შავადაა ნაპრიალები, ზედაპირს ფართო ამოღარული ზოლები დაუყვება. კეცის სისქე - 0,8 სმ. 8-B კვ-ის დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-57,3; ტაბ. 4-XVI,10).

225. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 277), დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, ზედაპირი მოყავისფრო-მოშავო, ოდნავ ნაპრიალები. კეცის სისქე - 0,5 სმ. 8-B კვ-ის დასავლეთ ნაწილში (იატაკის დონეზე).



სურ. 4-64. სახლი 1. თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 284).

226. ქოთანის ფრაგმენტული (ინვ. № 278), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ არათანაბრად გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ ნატეხებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი და გამოყვანილია, მხარი მომრგვალებული, მუცელი სფერული. კეცის სისქე - 1,2 სმ. 8-E კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-63,1; ტაბ. 4-XIX,3).

227. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 279), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი, გამოყვანილი. კეცის სისქე - 0,56 სმ. 8-B კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-56,1; ტაბ. 4-XVI,7).

228. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 280), თიხის, მონაცრისფრო ზედაპირითა და მოყავისფრო შიდაპირით, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირს ერთი ამოღარული სარტყელი და ნაპირალები ვერტიკალური ზოლები ამკობს. კეცის სისქე - 1,2 სმ. 8-B კვ-ის დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.

229. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 281), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ ნატეხებს შეიცავს, ხელით ნაძერწი. კეცის სისქე - 1,1 სმ. კეცის სისქე - 1,2 სმ. 8-B კვ-ის დასავლეთ ნაწილში (იატაკის დონეზე).

230. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 282), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,9 სმ. კეცის სისქე - 1,2 სმ. 8-B კვ-ის დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.

231. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 283), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,7 სმ. 6-H კვ-ის ცენტრალურ ნაწილში, იატაკის დონეზე.

232. ჭურჭლის პირ-ყელის და მხრის ნაწილი (ინვ. № 284), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ მინარევებს შეიცავს. ბაკო მრგვალი აქვს, პირი ფართო, ყელი დაბალი, მხარი მომრგვალებული. კეცის სისქე - 0,9 სმ. 8-I კვ-ის დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-64,1; ტაბ. 4-XXI,1).

233. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 285), თიხის, ღია ნაცრისფრად გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი, გამოყვანილი. კეცის სისქე - 0,9 სმ. 8-I კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში, მცირე ორმოში (სურ. 4-56,2; ტაბ. 4-XXI,2).

234. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 286), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ხელით ნაძერწი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 1,3 სმ. 8-I კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში, მცირე ორმოში.

235. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 287), თიხის, მოვარდისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი. კეცის სისქე - 0,9 სმ. იატაკის დონეზე.

236. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 288), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,9 სმ. 8-E კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში (იატაკის დონეზე).

237. ჭურჭლის 3 ფრაგმენტი (ინვ. № 289), თიხის მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირი ნაპრიალები აქვს. კეცის სისქე - 0,4 სმ. 8-E კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში (იატაკის დონეზე).

238. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 290), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,9 სმ. 8-H კვ-ის ცენტრში (იატაკის დონეზე).

239. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 291), თიხის, მოყავისფრო ზედაპირითა და შავი შიდაპირით, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,8 სმ. 9-G კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (იატაკის დონეზე).

240. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 292), თიხის, შავი ზედაპირითა და მოყავისფრო შიდაპირით, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მომრგვალებული აქვს. კეცის სისქე - 1,5 სმ. 8-D კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-55,4; ტაბ. 4-XVIII,4).

241. ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 293), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი სწორი, მხარი მომრგვალებული, ძირი ბრტყელი. კეცის სისქე - 0,9 სმ. 8-D კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-55,6; ტაბ. 4-XVIII,3).

242. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 294), თიხის, მოყავისფრო ზედაპირითა და შავი შიდაპირით, თიხა ობსიდიანის მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,9 სმ. 8-G კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (იატაკის დონეზე).

243. ჭურჭლის ყელისა და მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 295), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მომრგვალებული აქვს. კეცის სისქე - 0,7 სმ. 8-G კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (იატაკის დონეზე).

244. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 296), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მომრგვალებული აქვს, პირი სწორი. კეცის სისქე - 0,8 სმ. 9-B კვ-ის ცენტრალურ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-55,2; ტაბ. 4-XXIII,8).

245. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 297), თიხის, მოყავისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი, ზედაპირზე შავი ლაქებით, ხელით ნაძერწი, ბაკო და მხარი მომრგვალებული აქვს. მხარზე გამჭოლი ნახვრეტით. კეცის სისქე - 1,2 სმ. 8-G კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში, საყრდენი ბოდის (?) მცირე ორმოში (სურ. 4-58,1; ტაბ. 4-XVI,1).



სურ. 4-65. სახლი 1. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 303)

246. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 298), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირს ერთი ამოღარული სარტყელი და წნევით დატანილი ვერტიკალური ნაპრიალები ზოლები ამკობს. კეცის სისქე - 1,1 სმ. 8-G კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში, საყრდენი ბოდის (?) მცირე ორმოში.

247. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 299), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,7 სმ. 8-A კვ-ის სამხრეთ ნაწილში (იატაკის დონეზე).

248. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 300), თიხის, კეცი ყავისფერი აქვს, თიხა კარგადაა განლექილი, ზედაპირი შავადაა ნაპრიალები. კეცის სისქე - 0,6 სმ. 8-A-D კვ-ების საზღვარზე.

249. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 301), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,7 სმ. 8-A-D კვ-ების საზღვარზე.

250. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 302), თიხის, კეცი ყავისფერი აქვს, ზედაპირი შავადაა ნაპრიალები და ირიბი ამოღარული სახეები ამკობს. კეცის სისქე - 0,5 სმ. 8-A-D კვ-ებს შორის, 0,45 მ სიღრმეზე (სურ. 4-59,2; ტაბ. 4-XXII,7).

251. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 303), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირზე ოვალურგანივკვეთიანი ყურის ფრაგმენტია შემორჩენილი. კეცის სისქე - 0,9 სმ. 8-A-D კვ-ების საზღვარზე (სურ. 4-65,1).



სურ. 4-66. სახლი 1. სასრესი (ინვ. № 304).

252. სასრესი (ინვ. № 304), ქვის, სფერული. 8-A კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, საყრდენი ბოძის (?) მცირე ორმოში (სურ. 4-66,1; ტაბ. 4-XXII,2)



სურ. 4-67. სახლი 1. ქვის ხელსაფქვავის ფრაგმენტი (ინვ. №305).

253. ხელსაფქვავის ფრაგმენტი (ინვ. № 305), ბაზალტის, ნავისებური, ზურგამობურცული. სიგრძე - 30 სმ., სიგანე - 13 სმ. 8-D კვადრატი (სურ. 4-67,1; ტაბ. XVII,1).



სურ. 4-68. სახლი 1. ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები (1. ინვ. №307;
2. ინვ. № 315; 3. ინვ. №306).

254. ნუკლეუსი დისკოსებრი (ინვ. № 306), ობსიდიანის, მცირე ზომის, დასარტყმელი მოედანი ბუნებრივი კაჭრითაა. 8-I კვ-ის დასავლეთ ნაწილში (სურ. 4-68,3; ტაბ. 4-XXV,2).

255. სატეხი (ინვ. № 307), ობსიდიანის, დამზადებულია ანატკეცზე, საშუალო ზომის, სამი სამუშაო პირით. 8-I კვ-ის დასავლეთ ნაწილში (სურ. 4-68,1; ტაბ. 4-XXV,1).

256. ანატკეცები (ინვ. № 308), ობსიდიანის, დაუმუშავებელი (10 ც.). 8-I კვ-ის დასავლეთ ნაწილში.



სურ. 4-69. სახლი 1. ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები (1. ინვ. № 310;
2. ინვ. № 316; 3. ინვ. №312; 4. ინვ. №320;

257. ანატკეცები (ინვ. № 309), ობსიდიანის, დაუმუშავებელი (10 ც.). 8-G კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (იატაკის დონეზე).

258. ანატკეცი (ინვ. № 310), ობსიდიანის, ერთი კიდის გასწვრივ აქვს ციცაბო რეტუში. 8-G კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-69,1).

259. სატეხი (ინვ. № 311), ობსიდიანის, დამზადებულია ბრტყელ ნუკლეუსზე, აქვს ერთი სამუშაო პირი. 8-G კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (ტაბ. XXV,4).

260. სახვრეტი (ინვ. № 312), ობსიდიანის, დამზადებულია საშუალო ზომის ანატეცზე. ორი სამუშაო პირით. 5-F კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-69,3; ტაბ. 4-XXVI,3).

261. ანატეცები (ინვ. № 313), ობსიდიანის, დაუმუშავებელი. 5-F კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

262. ანატეცები (ინვ. № 314), ობსიდიანის, დაუმუშავებელი. 5-H კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

263. სატეხი (ინვ. № 315), ობსიდიანის, დამზადებულია მასვეურ ანატეცზე. 5-H კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (სურ. 4-68,2; ტაბ. 4-XXVI,1).

264. სახვრეტი (ინვ. № 316), ობსიდიანის, დამზადებულია საშუალო ზომის ანატეცზე. 5-F კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-69,2; ტაბ. 4-XXV,5).

265. ანატეცები (ინვ. № 317), ობსიდიანის, (7 ც.), დამზადებულია მსხვილ ანატეცზე. 5-E კვ-ის ცენტრალურ ნაწილში.

266. საფხეკი (ინვ. № 318), ობსიდიანის, დამზადებულია მსხვილ ანატეცზე. 5-E კვ-ის ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. 4-XXVI,2).

267. ანატეცები (ინვ. № 319), ობსიდიანის, (9 ც.), დაუმუშავებელი. 5-E კვ-ის ცენტრალურ ნაწილში.

268. საფხეკ-სახვრეტი (ინვ. № 320), ობსიდიანის, დამზადებულია საშუალო ზომის ანატეცზე, საფხეკის სამუშაო პირი წვრილადაა დაკბილული. 5-G კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-69,4; ტაბ. 4-XXVI,4).

269. ანატეცები (ინვ. № 321), ობსიდიანის, (6 ც.), დაუმუშავებელი.

270. ანატეცი რეტუშირებული (ინვ. №322), ანდეზიტის, აქვს დამაბლავებელი რეტუში. აღმოჩნდა ნასახლარის გარეთ, დაზვერვების დროს.

271. ანატეცები (ინვ. № 323), ობსიდიანის, (8 ც.) დაუმუშავებელი. 9-G კვ-ის დასავლეთ ნაწილში.

272. ანატეცები (ინვ. № 324), ობსიდიანის, (4 ც.) დაუმუშავებელი. 6-H კვ-ის დასავლეთ კუთხეში.

273. ანატეცები (ინვ. № 325), ობსიდიანის (2 ც.), ქალცედონის (2 ც.), დაუმუშავებელი. 12-A კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

274. ანატეცები (ინვ. № 326), ობსიდიანის, (4 ც.), დაუმუშავებელი. 6-ED კვ-ის დასავლეთ ნაწილში.

275. ანატეცები (ინვ. № 327), ობსიდიანის, (9 ც.), დაუმუშავებელი. 8-F კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (იატაკის დონეზე).

276. ანატეცები (ინვ. № 328), ობსიდიანის, (6 ც.), დაუმუშავებელი. 8-G კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (იატაკის დონეზე).

277. ანატეცები (ინვ. № 329), ობსიდიანის, (16 ც.), დაუმუშავებელი. 5-G კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

278. ანატეცები (ინვ. № 330), ობსიდიანის, (5 ც.), დაუმუშავებელი. 5-G კვ -ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.

279. ანატეცები (ინვ. № 331), ობსიდიანის, (5 ც.), დაუმუშავებელი. 9-B კვ-ის ცენტრალურ ნაწილში, იატაკის დონეზე.

280. ანატეცი რეტუშირებული (ინვ. № 332), ობსიდიანის, დამზადებულია მცირე ზომის, სამკუთხედისებრი ფორმის, მასიურ ანატეცზე, მუცელზე ერთი კიდის

გასწვრივ აქვს წვრილი გამაფხიანებელი რეტუში. 9-B კვ-ის ცენტრალურ ნაწილში, იატაკის დონეზე.

281. ანატკეცი რეტუშირებული (ინვ. № 333), ობსიდიანის, საშუალო ზომის, ზურგზე ერთი კიდის გასწვრივ აქვს წვრილი დამაბლაგვებელი რეტუში. 9-B კვ-ის ცენტრალურ ნაწილში, იატაკის დონეზე.



სურ. 4-70. სახლი 1. მახათი, ბრინჯაოსი (ინვ. №337).

282. ანატკეცები (ინვ. № 334), ობსიდიანის, (4 ც.), დაუმუშავებელი. 9-B კვ-ის ცენტრალურ ნაწილში, იატაკის დონეზე.

283. ანატკეცები (ინვ. № 335), ობსიდიანის, დაუმუშავებელი. აკრეფილია სათავსოს მთელ ტერიტორიაზე.

284. ანატკეცები (ინვ. № 336), ობსიდიანის, (13 ც.), დაუმუშავებელი, აკრეფილია სათავსოს მთელ ტერიტორიაზე.



სურ. 4-71. სახლი 1. უმბონი (ინვ. № 338).

285. მახათი (ინვ. № 337), ბრინჯაოსი, ღერო განვიკვეთში მრგვალია, თავთან გაბრტყელებული და გახვრეტილია. სიგრძე - 11,5 სმ. 5-G კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, იატაკის დონეზე (სურ. 4-70,1; ტაბ. 4-XV, 8).

286. უმბონი (ინვ. №338), ბრინჯაოსი, მრგვალი, შუა ნაწილში ამობურცული, კიდესთან გახვრეტილია. დმ - 3,5 სმ. 8-F კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში (სურ. 4-71,2; ტაბ. 4-XX,2).



სურ. 4-72. სახლი 1. მძივი (ინვ. № 339).

287. მძივი (ინვ. №339), პასტის, მომწვანო ფერის, მრგვალი, დაღარულზედაპირიანი. 8-A კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკიდან 10 სმ სიმაღლეზე (სურ. 4-72).




სურ. 4-73. სახლი 1. ოსტეოლოგიური ფრაგმენტები (1. ინვ. №356; 2. ინვ. № 367; 3-4. ინვ. №363; 5. ინვ. №340).

288. მცირე ზომის ცხენის ან შინაური ვირის ქვედა ბოლო კბილი (ინვ. № 340). 8-A კვ-ის ცენტრალურ ნაწილში (სურ. 4-73,5; 74,2).

289. ძროხის ქვედა ბოლო კბილი (ინვ. № 341). 6-E კვ-ის დასავლეთ ნაწილში.

290. ცხვრის ან თხის ზედა კბილი (ინვ. № 342), 6-E კვ-ის დასავლეთ ნაწილში. ბი (1. ინვ. № 363; 2. ინვ. № 340).

291. ძროხის ზედა კბილი და ლულოვანი ძვლები (ინვ. № 343).
292. ცხვრის ან თხის პრემოლარი (კბილი) და ლულოვანი ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 344). 9-D კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.
293. ძროხის საჭრელი კბილი (ინვ. № 345). 8-G კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში.
294. ცხვრის ან თხის ზედა კბილი (ინვ. № 346). 8-G კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში.
295. ძროხის პირველი ფალანგა, მეტაპოდიუმის ფრაგმენტები (ინვ. № 347). 8-I კვ-ის დასავლეთ ნაწილში.
296. 1. ძროხის ერთი კბილი, ბეჭის ფრაგმენტი, 2. ცხვრის ან თხის ქვედა ყბის ფრაგმენტი, სამი იზოლირებული კბილი (ინვ. № 348). 9-G კვ-ის სამხრეთ ნაწილში.
297. 1. ძროხის მენჯის ძვლის ფრაგმენტი, 2. ცხვრის ან თხის მეტაკარპალური ძვლის ქვედა ნახევარი, 3. ძაღლის დიდი წვივის ძვლის ზედა ბოლო (ინვ. № 349). 9-G კვ-ის სამხრეთ ნაწილში.



სურ. 4-74. სახლი 1. ოსტეოლოგიური ფრაგმენტე

298. 1. ძროხის იზოლირებული კბილი 2. ცხვრის ან თხის ბეჭი, ერთი ზედა და ქვედა კბილი (ინვ. № 350). 9-B კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.
299. ძროხის ბეჭის ფრაგმენტი და სხვა ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 351). 9-B კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.
300. ცხვრის ან თხის ორი ზედა კბილი და სხვა ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 352). აკრეფილია მთელი სათავსოს ტერიტორიაზე.
301. ძროხის ჩლიქი და სხვა ფრაგმენტები (ინვ. № 353). 9-G კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.
302. ძროხის დიდი წვივის ძვლის ქვედა ბოლო და სხვა ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 354). 8-I კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.
303. ცხვრის ან თხის კბილი და სხვა ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 355). 8-I კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.
304. ცხენის მეტაპოდიუმის ქვედა ბოლო (ინვ. № 356). 8-G კვ-ის დასავლეთ ნაწილში (სურ. 4-73,1).

305. ცხვრის ან თხის სხივის ძვლის ზედა ბოლო და სხვა ფრაგმენტები (ინვ. № 357). 8-B კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.
306. ცხვრის ან თხის კბილი და სხვა ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 358). 8-A კვ-ის დასავლეთ ნაწილში.
307. ძროხის მხრის ძვლის ქვედა ბოლო (ინვ. № 359). 6-H კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში.
308. ირმის რქა (?) (ინვ. № 360). 5-F კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში.
309. ცხვრის ან თხის საჭრელი კბილი (ინვ. № 361). 8-A კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში.
310. ცხვრის ან თხის ბეჭი (ინვ. № 362). 8-E კვ-ის ცენტრალურ ნაწილში.
311. ცხენის ეშვი და ზედა საძირე კბილი, ცხვრის ან თხის ორი კბილი და სხვ. ფრაგმენტები (ინვ. № 363). 8-E კვ-ის ცენტრალურ ნაწილში (სურ. 4-73,4; 4-74,1).
312. ძროხის კოჭი, ფალანგი და იზოლირებული. კბილი (ინვ. № 364). 8-E კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.
313. საქონლის ძვლის ფრაგმენტი (ინვ. № 365). 5-F კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.
314. საქონლის ძვლის ფრაგმენტი (ინვ. № 366). 8-G კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში.
315. ცხენის მეტაპოდიუმი (ინვ. № 367). 8-F კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-73,2,3).
316. ძროხის ქვედა კბილი და ძვლის ფრაგმენტი (ინვ. № 368). 6-G კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.
317. ცხოველის ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 369). 9-G კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.
318. ირმის რქის ნაშთი (ინვ. № 370). 8-E კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.
319. ძროხის ბარძაყის ძვლის ქვედა ბოლო (ინვ. № 371). 5-I კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.
320. ძროხის ორი საჭრელი კბილი და მხრის ძვლის ქვედა ბოლო (ინვ. № 372). 6-H კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში.
321. ცხვრის ან თხის კბილი (ინვ. № 373). 5-E კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში.
322. ძროხის კოჭის ფრაგმენტები (ინვ. № 374). 8-F კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (იატაკის დონეზე).
323. ცხვრის ან თხის იზოლირებული კბილი და სხვა ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 375). 8-F კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.
324. ძროხის კოჭი, მეორე ფალანგა (ინვ. № 376). 5-E კვ-ის ცენტრალურ ნაწილში.
325. ცხვრის ან თხის კბილი (ინვ. № 377). 5-E კვ-ის ცენტრალურ ნაწილში.
326. ძროხის პრემოლარი (კბილი), სხვა ძვლის ფრაგმენტი (ინვ. № 378). 6-G კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში.
327. ძროხის მეორე ფალანგა (ინვ. № 379). 6-D კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.
328. ცხვრის ან თხის სამი ზედა კბილი (ინვ. № 380). 5-D კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.
329. ძროხის (?) ქვედა კბილი (ინვ. № 381). 5-H კვ-ის დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.

330. საქონლის ნეკნის ფრაგმენტი (ინვ. № 382). 5-G კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.

331. ძროხის საჭრელი კბილი (ინვ. № 383). 5-F კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.

332. ძროხის საჭრელი კბილი პრემოლარი, მენჯის ძვლის ფრაგმენტი (ინვ. № 384). 5-G კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.

333. ცხვარის ან თხის ქვედა ყბის ფრაგმენტი, სარძევე კბილი (ინვ. № 385). 5-G კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.

334. 1. ხბოს ორი კბილი, ქვედა ყბის ფრაგმენტი, ორი იზოლირებული კბილი, 2. ქურციკის ორი კბილი, ფალანგი (ინვ. № 386). 8-H კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.

335. ცხვრის ან თხის კბილი, სხვა ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 387). 5-B კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.

336. ძროხის იზოლირებული, ზედა კბილი, პრემოლარი (ინვ. № 388). 8-H კვ-ის ცენტრში, იატაკის დონეზე.



სურ. 4-75. სახლი 1. წვრილფეხა საქონლის ქვედა ყბის ძვლები (1-ინვ. № 389; 2-ინვ. № 392-ა).

337. ცხვრის ან თხის ქვედა ყბა, ერთი ქვედა კბილი (ინვ. № 389). 8-H კვ-ის ცენტრში, იატაკის დონეზე (სურ. 4-75,1).

338. საქონლის ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 390). 9-G კვ-ის ცენტრალურ ნაწილში, იატაკის დონეზე.

339. ძროხის პირველი ფალანგა (ინვ. № 391). 8-I კვ-ის ცენტრალურ ნაწილში, იატაკის დონეზე.

340. ცხვრის ან თხის იზოლირებული ქვედა ყბა, პრემოლარი, სარძევე კბილი (ინვ. № 392-ა). 8-I კვ-ის ცენტრალურ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-75,2).



სურ. 4-76. სახლი 1. ირმის რქის ფრაგმენტები (ინვ. №392).

341. ირმის რქა (ინვ. № 392). 8-E კვ-ის სამხრეთ ნაწილში (სურ. 4-76,1; ტაბ. 4-XXIV,1).

342. ძროხის კბილი (ინვ. № 393). 8-G კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.

343. ცხენის ან თხის ფალანგა და სხვ. ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 394). 8-G კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.

344. ცხვრის ან თხის ზედა კბილი და სხვა ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 395). 8-G კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (იატაკის დონეზე).

345. ცხენის დამატებითი ძვლები: სეზამოიდალური და გრიფელდის (ინვ. № 396). 9-B კვადრატი, იატაკის დონეზე.

№1 სამეურნეო ორმო

აღმოჩნდა სახლის დასავლეთ კედელთან, III ნაკვეთის 8 A და 8 B კვადრატების საზღვარზე (სურ. 4-33; ტაბ. 4-VIII, IX, XI).

ორმოს აქვს ცილინდრული ფორმა. პირის და ძირის დიამეტრი 1,3 მ-ია, დაფიქსირებული სიღრმე 0,9 მ. ორმო შევსებული იყო საშუალო ზომის რიყის ქვებით და შავი ფერის მიწით.

ორმოში აღმოჩნდა:



სურ. 4-77. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 1; თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1-ინვ. №397; 2-ინვ. № 398).

346. ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 397), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, მხარს ფართო ნაჭდევები შემოუყვება, ძირი ბრტყელი აქვს. კეცის სისქე - 0,9 სმ. (სურ. 4-77,1; ტაბ. 4-XXVII,1)

347. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 398), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს. კეცის სისქე - 0,9 სმ. (სურ. 4-77,2; ტაბ. 4-XXVII,2)



სურ. 4-78. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 1 კატის ძვლები (ინვ. № 439).

348. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 399), თიხის, მოყავისფრო-მოვარდისფრო სარჩულით, თიხა ობსიდიანის წვრილ ნატეხებს შეიცავს, ხელით ნაძერწი. კეცის სისქე - 0,9 სმ.

349. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 400), თიხის, შავად გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირი გაპრიალებული და დაღარული აქვს. კეცის სისქე - 0,5 სმ. (ტაბ. 4-XXVII,3)

439. კატის ორი მეტაპოდიუმი (ინვ. № 439). იატაკიდან - 10-15 სმ-ის სიღრმეზე (სურ. 4-78).

440. ცხვრის ან თხის ზედა ყბის ფრაგმენტი, კვადრატული ძვალი; საჭრელი კბილის მეტაპოდიუმის ფრაგმენტი (ინვ. № 440). იატაკიდან - 10-15 სმ-ის სიღრმეზე.

441. ქურციკის იზოლირებული კბილი (ინვ. № 441). იატაკიდან - 10-15 სმ-ის სიღრმეზე.

442. ძროხის იზოლირებული ქვედა კბილი, მეორე ფალანგა (ინვ. № 442). იატაკიდან - 10-15 სმ-ის სიღრმეზე.

443. ძროხის კბილები (ინვ. № 443).

444. ქურციკის პირველი ფალანგა (ინვ. № 444).

445. ცხვრის ან თხის მეტატარზალური ძვლის ქვედა ბოლო (ინვ. № 445).



სურ. 4-79. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 1; კვერთხის თავი; ირმის რქის ფუძიდან დამზადებული ოთხკუთხა გამჭოლი ნახვრეტით (ინვ. № 446).

446. ირმის რქის ფრაგმენტი (ინვ. № 446), ოთხკუთხა ნახვრეტით. იატაკის დონიდან 0,5 მ სიღრმეზე (სურ. 4-79; ტაბ. 4-XXIV,2).

447. ცხენის I ფალანგა (ინვ. № 570).



სურ. 4-80. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 1; მსხვილფეხა საქონლის ძვლის ფრაგმენტი (ინვ. № 571).

448. ძროხის მეტაკარპული ძვალი (ინვ. № 571; სურ. 4-80).



სურ. 4-81. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 1; წვრილფეხა საქონლის ძვლების ფრაგმენტები (1. ინვ. № 572; 2. ინვ. № 575; 3. ინვ. № 587).

449. ცხვრის ან თხის ბარძაყის ძვლის ქვედა ბოლო (ინვ. № 572; სურ. 4-81,1).

№2 სამეურნეო ორმო

მდებარეობს III ნაკვეთის 5 F, 5 I და 6 D, 6 G კვადრატების საზღვარზე (სურ. 4-31; ტაბ. 4-VIII, IX, XI).

ორმოს პირის დიამეტრი სახლის იატაკის დონეზე 1,3 მ-ია, იატაკიდან 0,2 მ სიღრმეზე – 1,1 მ, ხოლო ძირის დიამეტრი 1,2 მ-ია. შევსებული იყო რიყის ქვებით და შავი მიწის მასით.

ორმოში აღმოჩნდა:

450. ჭურჭლის ზომორფული ყური (ინვ. №401), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ყური ოვალურგანივკვეთიანია. კეცის სისქე - 1,7 სმ. (სურ. 4-82,1; ტაბ. 4-XXVIII,7)



სურ. 4-82. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 2; თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. № 401; 2. ინვ. № 403; 3. ინვ. № 404).

451. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 402), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი, მხარი დაქანებული. კეცის სისქე - 1,2 სმ. (სურ. 4-83,1; ტაბ. 4-XXVIII,5)

452. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 403), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი. კეცის სისქე - 0,5 სმ. (სურ. 4-82,2; ტაბ. 4-XXVIII,3)

453. ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 404), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ ნატეხებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი სწორი. კეცის სისქე - 0,9 სმ. (სურ. 4-82,3; ტაბ. 4-XXVIII,4)



სურ. 4-83. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 2; თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. № 402; 2. ინვ. № 405).

454. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 405), თიხის, შავად გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირი გაპრიალებულია, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი. კეცის სისქე - 0,5 სმ. (სურ. 4-83,2; ტაბ. 4-XXVIII,2)



სურ. 4-84. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 2; თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (1. ინვ. № 406).

455. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 406), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, მხარი შემკულია ორ ამოღარულ სარტყელს შორის მოთავსებული ტალღისებრი ორნამენტით. კეცის სისქე - 1,2 სმ. (სურ. 4-48,1; ტაბ. 4-XXVIII,6)

456. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 407), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბრტყელი, ზედაპირი შავად ნაპრიალებია. კეცის სისქე - 0,7 სმ.

457. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 408), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი. კეცის სისქე - 0,9 სმ.

458. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 409), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, შიდაპირი შავი აქვს, თიხა ობსიდიანის ნატეხებს შეიცავს, ბრტყელძირა. კეცის სისქე - 0,9 სმ.

459. დანა (ინვ. № 426), დაზიანებული, რკინის, ყუნწიანი, სწორპირიანი. შემორჩენილი სიგრძე - 8,5 სმ. იატაკიდან 0,8 მ სიღრმეზე (სურ. 4-85,1; ტაბ. 4-XXVIII,1).



სურ. 4-85. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 2; რკინის დანა (ინვ. № 426).

460. ქალცედონის 2 ნატეხი (ინვ. № 410).

461. საქონლის ძვლის ნაშთი (ინვ. № 447).

462. ბატკნის ქვედა ყბა; ზრდასრული ცხვრის კოჭი, მეორე ფალანგა, ორი კბილი (ინვ. № 448).

463. ძროხის კბილები, სხივის ძვალი, მეორე ფალანგა, ერთი იზოლირებული კბილი (ინვ. № 449).

464. ცხვრის ან თხის ზედა კბილი (ინვ. № 450).

№ 3 სამეურნეო ორმო

მდებარეობს III ნაკვეთის 5 I, 6 G, 8 C და 9 A კვადრატების საზღვარზე (სურ. 4-32; ტაბ. 4-VIII, XII).

სახლის იატაკის დონეზე ორმოს პირის დიამეტრი 1,2 მ-ია, ძირის დიამეტრი უდრის 1,6 მ-ს, სიღრმე 1,15 მ-ია. შევსებული იყო შავი მიწის მასით.

ორმოში აღმოჩნდა:

465. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 411), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი სწორი. კეცის სისქე - 0,9 სმ. (სურ. 4-86,1; ტაბ. XXIX,2)



სურ. 4-86. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 3; თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. № 411; 2. ინვ. № 413; 3. ინვ. № 412).

466. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 412), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის ნატეხებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,9 სმ. (სურ. 4-86,3)



სურ. 4-87. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 3; თიხის სადღვებლის ფრაგმენტები (ინვ. № 428 - 1 - პირი; 2- მუცელი; 3-ძირი).

467. სადღვებელი (ინვ. № 428), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი-გამოყვანილი, მხარი ფართოდ გადგმული, მუცელი სფერული, ძირისკენ თანდათან შევიწროვებული, ძირი ბრტყელი, მხარს ერთი ამოღარული სარტყელი და ნაპრიალები ვერტიკალური ზოლები დაუყვება, ჩანს მხარზე სასულე ნახვრეტი ჰქონია დატანილი. დმ პირის - 15,5; ძირის - 12 სმ, კეცის სისქე - 0,5 სმ. სასულე ნახვრეტის დმ - 2 სმ. (სურ. 4-87,1,2,3; ტაბ. XXIX,1)



სურ. 4-88. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 3; ობსიდიანის ანატკეცი (ინვ. № 437).

468. ანატკეცი (ინვ. № 437), ობსიდიანის, საშუალო ზომის, ერთ ზედაპირზე აქვს ურთიერთმემხვედრი ჩამონათალები, ხოლო მეორე სიბრტყეზე - ბრტყელი ჩამონათალები კიდეების გასწვრივ.

- 469. ანატკეცები (ინვ. № 438), ობსიდიანის დაუმუშავებელი.
- 470. მსხვილფეხა საქონლის ნეკნის ფრაგმენტი (ინვ. № 451).
- 471. საქონლის ძვლის ნაშთი (ინვ. № 452).

№4 სამეურნეო ორმო

აღმოჩნდა III ნაკვეთის 9 A და 9 B კვადრატების საზღვარზე. იგი თითქმის ცილინდრული ფორმისაა – პირის დიამეტრი, იატაკის დონეზე 1,1 მ-ია, ძირისა 1,16 მ, სიღრმე 0,9 მ. ძირი უსწორმასწორო აქვს. შევსებული იყო შავი ფერის მიწით (სურ. 4-25; ტაბ. 4-VIII, IX, XII).

ორმოში აღმოჩნდა:

472. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. №413), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირი შავადაა ნაპრიალები. კეცის სისქე - 0,9 სმ. (სურ. 4-86,2)



სურ. 4-89. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 4; თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. № 417; 2. ინვ. № 418; 3. ინვ. № 416).

473. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 414), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი. კეცის სისქე - 0,6 სმ.

474. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 415), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,6 სმ.

475. ჯამის პირისა და მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 416), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, ბაკო მრგვალი აქვს, მხარი მომრგვალებული. კეცის სისქე - 0,9 სმ. (სურ. 4-89,3; ტაბ. 4-XXX,5)

476. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 417), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, აქვს გამჭოლი ნახვრეტი. კეცის სისქე - 0,7 სმ. (სურ. 4-89,1; ტაბ. 4-XXX,9)

477. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 418), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ძირი ბრტყელია. კეცის სისქე - 0,7 სმ. (სურ. 4-89,2; ტაბ. 4-XXX,7)

478. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 419), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირი ნაპრიალები ჰქონდა, განივკვეთში მრგვალი ყური უშუალოდ პირზე იყო დაძერწილი, რომელიც პატარა შვერილით ბოლოვდება (სურ. 4-91,1; ტაბ. 4-XXX,10).



სურ. 4-90. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 4; თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. № 423; 2. ინვ. № 420; 3. ინვ. № 422).

479. ჯამის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 420), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი სწორი, მხარი მომრგვალებული. კეცის სისქე - 0,9 სმ. (სურ. 4-90,2; ტაბ. 4-XXX,2).

480. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 421), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა კარგადაა განლექილი, ზედაპირს შტამპური ორნამენტი ამკობს. კეცის სისქე - 0,4 სმ. (სურ. 4-91,3; ტაბ. 4-XXX,8)

481. ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 422), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი მოყრილი, მხარი მომრგვალებული. კეცის სისქე - 0,9 სმ. (სურ. 4-90,3; ტაბ. XXX,3)

482. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 423), თიხის, მოყავისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ ნატეხებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს. კეცის სისქე - 1,3 სმ. (სურ. 4-90,1; ტაბ. XXX,4)



სურ. 4-91. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 4; თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. № 419; 2. ინვ. № 424; 3. ინვ. № 421).

483. ჭურჭლის პირ-ყელის ნაწილი (ინვ. № 424), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს. კეცის სისქე - 1,3 სმ. (სურ. 4-91,2; ტაბ. 4-XXX,6)

484. ჭურჭლის 2 ფრაგმენტი (ინვ. № 425), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირი შავადაა ნაპრიალები, ერთ ნატეხს ამოღარული ვიწრო ზოლი აქვს დატანილი. კეცის სისქე - 0,4 სმ.



სურ. 4-92. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 4; რკინის დანა (ინვ. № 427).

485. დანა (ინვ. № 427), რკინის, სწორპირიანი, დაჟანგულია. სიგრძე - 13 სმ; სიგანე - 1,7 სმ. იატაკიდან 0,8 მ სიღრმეზე (სურ. 4-92,1; ტაბ. 4-XXX,1)



სურ. 4-93. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 4; ცხვრის ან თხის ზედა და ქვედა ყბები (ინვ. № 453).

486. ცხვრის ან თხის ზედა და ქვედა ყბები (ინვ. № 453). აღმოჩნდა ორმოს თანამედროვე ზედაპირიდან 0,4 მ სიღრმეზე (სურ. 4-93,1,2).

487. ძროხის პირველი ფალანგა (ინვ. № 454). აღმოჩნდა ორმოს თანამედროვე ზედაპირიდან 0,4 მ სიღრმეზე.

488. ქურციკის ერთი კბილი (ინვ. № 455).

489. ცხვრის ან თხის კბილი (ინვ. № 456).

490. ძროხა ჩვეულებრივი (დიდი ზომის), მეტატარზალური ძვლის ქვედა ყბის ფრაგმენტი (ინვ. № 457).

№6 სამეურნეო ორმო

მდებარეობს III ნაკვეთის 9 D და 9 G კვადრატების საზღვარზე (ტაბ. XIII). ცილინდრული ფორმისაა – პირის და ძირის დიამეტრი 1,3 მ-ია, სიღრმე 1,0 მ. შევსებული იყო შავი მიწით.

ორმოში აღმოჩნდა:

491. ჭურჭლის პირის ნაწილი (ინვ. № 429), თიხის, მოჩალისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი და გადაშლილი აქვს, ზედაპირს რამდენიმე ამოღარული სარტყელი შემოუყვებოდა (ტაბ. 4-XXIX,3).

492. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 430), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, ბაკო მრგვალი აქვს. კეცის სისქე - 0,9 სმ. (; ტაბ. 4-XXIX,4)



სურ. 4-94. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 6; თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1-2. ინვ. № 434; 3. ინვ. № 431; 4. ინვ. № 432).

493. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 431), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირს ამოღარული სარტყლები შემოუყვება. კეცის სისქე - 0,4 სმ. (სურ. 4-94,3; ტაბ. 4-XXIX,5)

494. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 432), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირს ნაჭდევი ხორბლისებრი ორნამენტი შემოუყვება. კეცის სისქე - 1,1 სმ. (სურ. 4-94,4; ტაბ. 4-XXIX,6)

495. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 433), თიხის, მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირი ნაპრიალები აქვს, ეტყობა წნევით დატანილი ნაპრიალები ვერტიკალური ზოლები. კეცის სისქე - 0,9 სმ.

496. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 434), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირი გაპრიალებულია და ამოღარული სარტყლები შემოუყვება. კეცის სისქე - 0,7 სმ. (სურ. 4-94,1,2; ტაბ. 4-XXIX,7)

497. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 435), თიხის, მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირი შავადაა ნაპრიალები. კეცის სისქე - 0,6 სმ.

498. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 436), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი. კეცის სისქე - 1,4 სმ.



სურ. 4-95. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 6; მემინდვრია (ინვ. № 458).

499. მემინდვრია (ინვ. № 458. სურ. 4-95).



სურ. 4-96. სახლი 1. სამეურნეო ორმო № 6; კანჯარი (ინვ. № 459).

500. კანჯარის გვერდითი მეტაპოდიუმი (ინვ. № 459; სურ. 4-96).

501. ქურციკის (?) პირველი ფალანგა (ინვ. № 460).

502. ცხვრის ქვედა ყბა და ორი იზოლირებული კბილი (ინვ. № 461).

503. ძროხის ფალანგა, ხუთი იზოლირებული კბილი (ინვ. № 462).

504. ცხვრის ან თხის ახალგაზრდა მეტაპოდიუმი და სარძევე კბილი (ინვ. № 463).

ლაბორატორიული სამუშაოების დროს გაირკვა, რომ №1 სახლის იატაკის დონეზე, სხვადასხვა კვადრატებში, ასევე ორმოებში გამოვლენილი კერამიკის ფრაგმენტები ერთი ჭურჭლის ნატეხებს წარმოადგენენ. აღდგენილ ჭურჭლებს მიენიჭა ერთი საინვენტარო ნომერი. ფრჩხილებში მოცემულია როგორც საინვენტარო, ისე საველე ნომრები.

ასეთებია:

1. ტაფისებრი ჭურჭელი (ინვ. № 198) - 8E კვადრატის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, იატაკის დონეზე აღმოჩენილ ჭურჭლის ფრაგმენტს (საველე № 120) შეუერთდა 6 G კვადრატის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარესა და 8 D კვადრატის დასავლეთ მხარეს აღმოჩენილი ჭურჭლის ფრაგმენტები (საველე № 130, 177).

2. თიხის ჭურჭლის ძირი (ინვ. № 291), რომელიც აღმოჩნდა 9 G კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (საველე № 181), შეუერთდა იგივე კვ-ს იმავე ნაწილში აღმოჩენილი ჭურჭლის ფრაგმენტი (საველე № 173).

3. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტს (ინვ. № 203), რომელიც აღმოჩნდა 8 F კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (საველე № 121), შეუერთდა 8 B კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილ ჭურჭლის ფრაგმენტი (საველე № 163).

4. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 278), რომელიც აღმოჩნდა 8 E კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (საველე № 116), შეუერთდა 8 E კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და იმავე კვადრატის სამხრეთ ნაწილში აღმოჩენილ ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტს (საველე № 160, 161).

5. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 287), რომელიც აღმოჩნდა 8 B კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (საველე № 163), იატაკის დონეზე აღმოჩენილ ჭურჭლის ფრაგმენტს შეუერთდა 8 D კვ-ის დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე აღმოჩენილ ჭურჭლის ფრაგმენტს (საველე № 177).

6. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტს (ინვ. № 181), რომელიც აღმოჩნდა № 3 სამურნეო ორმოში (საველე № 172), შეუერთდა 8 F კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (საველე № 111) და 8 F კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (საველე № 134) აღმოჩენილი ჭურჭლის ფრაგმენტები.

7. თიხის ჭურჭელი (ინვ. № 214), რომლის ფრაგმენტებიც აღმოჩნდა № 3 სამურნეო ორმოში (საველე №№ 124, 172) შეუერთდა როგორც ერთმანეთს, ისე № 1 სამურნეო ორმოში (საველე № 141) და 8 F კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილი ჭურჭლის (საველე № 49) ფრაგმენტებს.

8. თიხის ჭურჭელი (ინვ. № 295) - № 3 სამურნეო ორმოში აღმოჩენილი ორი ფრაგმენტები (საველე № 172, 188) შეუერთდა ერთმანეთს.

9. სადღვებლი (ინვ. № 428) - № 3 სამურნეო ორმოში აღმოჩენილ ჭურჭლის ფრაგმენტებს (საველე № 124, 172) შეუერთდა №2 სამურნეო

ორმოში (საველე № 166) და 8 F კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (საველე № 121) აღმოჩენილი ჭურჭლის ფრაგმენტი.

10. თიხის ჭურჭელი (ინვ. № 288) 8 B კვადრატის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე აღმოჩენილ ფრაგმენტს (საველე № 163) შეუერთდა 8 E კვადრატის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე აღმოჩენილი ნატეხი (საველე № 178).

11. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 293) აღდგა 8 F კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (საველე № 111), 9 A კვადრატის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (საველე № 145), 5 H კვადრატის დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (საველე № 148), 8 E კვადრატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (საველე № 160), 8 D კვადრატის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (საველე № 186) აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით.

სახლი და ორმოები სხვადასხვა ეპოქას მიეკუთვნება. ამაზე, გარდა იმისა, რომ სახლის გათხრისას დაფიქსირდა სამეურნეო ორმოების მიერ ჩატრილი თიხატკეპნილი იატაკები, მიუთითებს ლაბორატორიული სამუშაოების დროს აღდგენილი ჭურჭლებიც. გარკვეულია, რომ ერთმანეთს შეუერთდა მხოლოდ იატაკის დონეზე აღმოჩენილი კერამიკის ნატეხები. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ არა მხოლოდ ერთ ორმოში, არამედ სხვადასხვა ორმოებში აღმოჩენილი ფრაგმენტები მიეკუთვნება ერთ ჭურჭელს. მხოლოდ 8 F კვადრატში ნაპოვნი რამდენიმე ფრაგმენტი (საველე № 49, 111, 121, 134) ისეთი, რომლებიც შეუერთდა № 1 სამეურნეო ორმოს (საველე № 141), № 2 სამეურნეო ორმოს (საველე № 166) და № 3 სამეურნეო ორმოს (საველე № 124, 172). როგორც ჩანს ორმოების გამართვის დროს დაზიანდა არა მხოლოდ სახლის ის ნაწილები სადაც ორმოები იქნა ჩაშვებული, არამედ ის ადგილიც რომელიც 8 F კვადრატში მოექცა. შეიძლება ამ ადგილზე გამართული იყო კიდევ ერთი, დაბალი სამეურნეო ორმო, რომლის ფსკერმაც მხოლოდ იატაკის დონეს მიაღწია. როგორც აღვნიშნეთ სახლის შევსების ერთგვაროვანი მასის, მასში შერეული ქვების ინტენსიური ყრილის და შეზღუდული სამუშაო დროის გამო ორმოების პირის დაფიქსირება ვერ მოხერხდა. ორმოების ნაწილი შეიცავს სახლების თანადროულ ინვენტარსაც. ისინი, როგორც ჩანს ორმოების ამოთხრის დროს ამოიყარა მიწის ზედაპირზე და ამოვსების დროს კი მათ შევსებაში მოხვდნენ.

საინტერესო სურათი მოგვცა პალინოლოგიურმა კვლევამ. სახლებიდან აღებული ნიმუშების ანალიზი უჩვენებს, რომ ისინი არ შეიცავენ ტყის ელემენტებს და გვიმრებს, მაშინ როდესაც ორმოები დიდი რაოდენობით შეიცავენ მას. პალინოლოგიური დასკვნის მიხედვით ორმოები ღია ცის ქვეშ იყო გამართული.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ჯინისის ნამოსახლარი ორ ფენას შეიცავს. ქვედა ფენას მიეკუთვნება გათხრების შედეგად გამოვლენილი ყველა სახლი, ზედას სამეურნეო ორმოები. ქვედა ფენა თარიღდება ძვ.წ. XVII-XVI სს-ით, ზედა ძვ.წ. VIII-VII სს.

სახლი №2

მდებარეობს №1 სახლის ჩრდილო-დასავლეთით 3-4 მ დაშორებით, II ნაკვეთის მე-6, 9 კვადრატებსა და III ნაკვეთის მე-4, 7 კვადრატებში (ტაბ. 4-VII). გეგმაში წარმოადგენს წაგრძელებულ ოთხკუთხედს, რომლის სიგრძე 7 მეტრია, სიგანე 5,8 მეტრი. დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთ სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე (სურ. 4-97; ტაბ. 4-XXXI).



სურ. 4-97. სახლი 2. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ნაგებობის შიდა სივრცე შევსებული იყო მოშავო-მოყავისფრო მიწით და კედლების ნანგრევებით (სურ. 4-98, 99, 100, 101).

სახლი წარმოადგენს ნახევრადმიწურს. თიხაში ჩატრილი ოთკუთხა ფორმის ორმოს კიდეები ამოშენებულია ცალპირად დაწყობილი რიყის ქვების ჰორიზონტალური წყობით (სურ. 4-97). კედლის ქვედა რიგი დიდი ზომის ქვებისაგანაა (0,6 X 0,5 X 0,35 მ) შედგენილი, ზედა რიგები – შედარებით მომცრო ქვებით. ჩრდილო-დასავლეთ კედელში (სიგრძე 7 მ) წყობის სამი რიგია (ტაბ. 4-XXXII) შემორჩენილი (სიმაღლე 0,6 მ); ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლის (სიგრძე 5,8 მ) დასავლეთ ნაწილში ორი რიგია (სიმაღლე 0,6 მ. სურ. 4-102; ტაბ. 4-XXXII), აღმოსავლეთ ნაწილში კი ერთი რიგი (სიმაღლე 0,3-0,4 მ); სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი დაზიანებულია

(შემორჩენილი სიგრძე 5,8 მ), დარჩენილია ქვის წყობის ერთი რიგი (სიმაღლე 0,3-0,4 მ), რომელის შუა ნაწილში და სამხრეთის მხარეს ქვები საერთოდ არ შემორჩა; სამხრეთ-დასავლეთი კედლიდან მხოლოდ რამდენიმე ქვაა შემორჩენილი (სურ. 4-102, 103, 104, 112, 114). ქვები იატაკის დონიდან 0,15 მ-ით მაღლა, თიხნარ დედაქანზეა დაწყობილი. ქვის კედელი იატაკის დონიდან კი არ იწყება, არამედ მისთვის სპეციალური ბაქანია მოწყობილი. ამგვარად, გამართული კედლის შემორჩენილი სიმაღლე 0,35 მ-ს უდრის.



სურ. 4-98. სახლი 2. თხრის I ეტაპის დასაწყისი.
ხელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

სამხრეთ-დასავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში კარის ღიობი ყოფილა გაჭრილი (სურ. 4-104, 109; ტაბ. 4-XXXI). ამ ადგილზე პატარა დაქანების პანდუსია გამართული (სურ. 4-104, 105, 109, 111, 112), რომელიც ყვეთელ თიხნარშია ჩატრილი და შავი მიწის ფენითაა შევსებული. მისი საერთო სიგრძე 0,5 მ, სიგანე 1,3 მ-ია. კედლის სისქე კარებთან 0,45-0,5 მ. ამდენად კარის ღიობის ჭრილი 1,3 მ-ა, სისქე 0,5 მ. პანდუსი სამხრეთით მიემართება და კედელს 0,4 მ-ით სცილდება. პანდუსის სამხრეთით 0,32 მ დაცილებით № 8 ორმოა გამართული (სურ. 4-105, 110-112; ტაბ. 4-XXXI).

სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე მომრგვალებულია (სურ. 4-103, 105), ჩრდილო-დასავლეთისა მართი კუთხეა (სურ. 4-103-106). სხვა კუთხეები შემორჩენილი არ არის (ტაბ. 4-XXXI).

სახლის ინტერიერი მარტივადაა მოწყობილი. იგი ერთი დარბაზისაგან შედგება (სურ. 102, 104, 105, 112, 116), რომელიც ცენტრალურ ნაწილში დაწყობილი საბოძე ბალიშებით ორადაა (სურ. 4-97, 102-105, 112, 116)

გაყოფილი - აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით იატაკში ჩადგმულია 0,07 სისქის ორი ბრტყელი ქვა (0,45 X 0,5 მ, 0,35 X 0,38 მ), რომელთა გაყოლებაზე, სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი კედლების ძირში ასეთივე, წრიული (დიამეტრი 0,25 და 0,30 მ) ქვები დაფიქსირდა (სურ. 4-97). გადახურვის საყრდენი ბოძების ბალიშებს (ბაზისები) შორის მანძილი დაახლოებით 1,5-1,7 მ-ია (ტაბ. 4-XXXI).

სახლს თიხატკეპნილი იატაკი აქვს. იატაკი ალაგ-ალაგ დაზიანებულია. მის ქვეშ მოჩანდა კიდევ ერთი შელესილობის კვალი. ზედა დონის იატაკის მოსხნის შემდეგ, 0,05 მ დაბლა გაიწმინდა ქვედა დონის იატაკი, რომელიც ძლიერაა დაზიანებული. იატაკის ეს დონე ქვის ბალიშებზეა შემოღესილი. როგორც ჩანს, ამ სახლს, № 1 სახლისაგან განსხვავებით, საფუძვლიანი რეკონსტრუქცია არ განუცდია. აქ მხოლოდ იატაკი ჩანს განახლებული. ქვედა იატაკის დონეზე არტეფაქტები არ აღმოჩენილა.



სურ. 4-99. სახლი 2. თხრის II ეტაპის დასაწყისი.
ჩრდილო-დასავლეთი კედლის ხედი სამხრეთიდან

სახლის ჩრდილო-დასავლეთ კედელთან, 9 A კვადრატში კერის ნაშთი დაფიქსირდა (სურ. 102, 103ა, 105, 108). იგი თიხით ყოფილა ნაშენები და უშუალოდ კედლის ძირშია გამართული. შემორჩენილია ბორცის ნაწილი და ძირი. შიდა სივრცეში დაფიქსირდა 0,3 X 0,3 X 0,04 მ ზომის ბრტყელი ქვა – ძლიერი ცეცხლის კვალით (სურ. 4-108). მის გარშემო, 0,7 მ დიამეტრის ფართობზე, ნაცრის სქელი ფენა (0,08 მ) დადასტურდა. როგორც ჩანს, კერაც ასეთი ფორმის და ზომის უნდა ყოფილიყო (სურ. 4-103ა, 106).



სურ. 4-100. სახლი 2. ჩრდილო-დასავლეთი კედელი 0,1-0,3 მ. მიწის ფენის ალების შემდეგ. ხელი სამხრეთიდან.



სურ. 4-101. სახლი 2. საერთო ხელი სამხრეთ-დასავლეთიდან 0,2-0,3 მ მიწის ფენის ალების შემდეგ.

იატაკში თიხით ამოლესილი ოთხი ჩაღრმავება შეინიშნება (სურ. 103, 103ა, 104, 105). დიდი დიამეტრის მრგვალი ლაქები გათხრის პროცესში სამეურნეო ორმოებად იქნა მიჩნეული, ამიტომ სავსე დოკუმენტაციაში შესულია როგორც სამეურნეო ორმოები.

პირველი ჩაღრმავება II ნაკვეთის 9 B კვადრატის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდებარეობს (ტაბ. 4-XXXI). იგი გეგმაში მრგვალია და ცილინდრული ფორმა აქვს. პირის დიამეტრი 0,32 მ-ია, ძირისა 0,3 მ, სიღრმე 0,14 მ.



სურ. 4-102. სახლი 2. ინტერიერი: ცენტრში ქვისფილებიანი იატაკის ფრაგმენტი და ხის ბოძების ქვის ბალიშები. კედლების წინ გამოიკვეთა ორმოების კონფიგურაცია. საერთო ხედი სამხრეთიდან.

მეორე ჩაღრმავება II ნაკვეთის 9 F და III ნაკვეთის 7 D კვადრატების საზღვარზე დაფიქსირდა და უშუალოდ კედლის ძირშია გამართული. მას წაგრძელებული ოთხკუთხედის (0,54 X 0,45 მ) ფორმა აქვს (ტაბ. XXXI). მისი სიღრმე კედელთან 0,3 მ-ია, იატაკთან 0,15 მ. ჩაღრმავების იატაკზე ბრტყელი ქვა იდო (სამეურნეო ორმო № 5).

მესამე ჩაღრმავება III ნაკვეთის 7 A კვადრატის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშია გამოვლენილი (ტაბ. 4-XXXI). მას ელიფსის ფორმა არ აქვს. მისი სიგრძე 0,66 მ-ია, სიგანე 0,5 მ. კედლები დამრეცად ჩადის ძირისაკენ. ჩაღრმავების სიმაღლე 0,05 მ-ია.

მეოთხე ჩაღრმავება II ნაკვეთის 9 B და 9 F კვადრატების საზღვარზე, სახლის ცენტრალურ ნაწილში, საბოძე ბალიშების სამხრეთით მდებარეობს. პირის დიამეტრი 0,8 მ-ია, ძირისა 0,7 მ, სიღრმე 0,2 მ-ია (სურ. 4-103ა; ტაბ. 4-XXXI, XXXII, XXXV).

სახლის იატაკზე, საბოძე ქვის ბალიშების ჩრდილოეთით (II ნაკვეთის 9 C კვადრანტი), ქვის ფილებით მოგებული მოედანია გამართული (სურ. 4-102, 103, 107, 109; ტაბ. 4-XXXI).



სურ. 4-103. სახლი 2. ქვის ფილებიანი იატაკის დონე ორმოების ამოსუფთავების შემდეგ. ხელი სამხრეთიდან.

სახლის შიდა პერიმეტრზე 6 სამეურნეო ორმო გაითხარა (სურ. 104, 105, 112, 113, 114, 114, 115, 116; ტაბ. 4-XXXI, XXXII). ყველა მათგანს თიხატკეპნილი იატაკი აქვს ჩაკვეთილი. სამი ორმო (№№ 1-3) ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის გასწვრივაა გათხრილი, ერთი (№ 4) სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, № 7 ორმო საბოძე ბალიშების წინ არის გამართული, № 6 ორმო კი სახლის შესასვლელშია გაჭრილი (სურ. 105, 112, 116). ყურადღებას იქცევს სახლის სამხრეთ-დასავლეთი კედლის სამხრეთით, 0,85 მ დაცილებით (9 H კვადრანტის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში) გამოვლენილი ორმო (№ 8). იგი სახლის იატაკიდან 0,5 მ-ით მაღლა მდებარეობს და უშუალოდ სახლის შესასვლელის დასაწყისშია გამართული. მისი დმ-ი 1,0 მ-ია, სიღრმე 0,2 მ-ს უდრის. იგი, ისევე როგორც სხვა ორმოები, შევსებული იყო შავი მიწით. შიგნით მხოლოდ სამი რივის ქვა იყო ჩაგდებული. № 6 და № 8 ორმოების განლაგება მიუთითებს, რომ ისინი აშკარად სახლის დანგრევის შემდეგაა ამოთხრილი.



სურ. 4-103ა. სახლი 2. ჩრდილო-დასავლეთი კედელი. კედლის ცენტრალურ ნაწილში კერა. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.



სურ. 4-104. სახლი 2. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. მარცხნივ № 6 სამეურნეო ორმო და კარის დაზიანებული დიობი.



სურ. 4-105. სახლი 2. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. მარცხენა დაბალ კუთხეში კარის ღიობის ნაშთი და № 8 ორმო პრეპარაციამდე.



სურ. 4-106. სახლი 2. დასავლეთი ნაწილის ხედი სამხრეთიდან. კედლის ცენტრალურ ნაწილში კერის ნაშთი.



სურ. 4-107. სახლი 2. 9 C კვადრატში დაფიქსირებული ქვის ფილებით მოგებული იატაკის ნაშთი, მარჯვენა დაბალ კუთხეში ხის ბოდის ქვის ბალიში.



სურ. 4-108. სახლი 2. სამხრეთ-დასავლეთი კედლის ძირის შუა ნაწილში გამართული კერის ნაშთი.



სურ. 4-109. სახლი 2. სამხრეთი ნახევრის ხედი. წინა პლანზე ქვის იატაკის ფრაგმენტი და ხის ბოძების ქვის ბაზისები. უკანა პლანზე სამხრეთი კედლის ფრაგმენტები. ჭრილში ჩანს კარის ღიობის ნაშთი.



სურ. 4-110. სახლი 2. სამხრეთი ნაწილის ხედი აღმოსავლეთიდან. სამხრეთი კედლის ფრაგმენტები, კარის ღიობის ნაშთი. კარის ღიობის სამხრეთ ნაწილში გამართული № 8 სამეურნეო ორმო.



სურ. 4-111. სახლი 2. სამხრეთი ნაწილის ხედი დასავლეთიდან. კედლების სამხრეთ-დასავლეთი კუთხე, კარის დიობის ნაშთი და მის შესასვლელში გამართული №8 ორმო, რომლის სამხრეთითაა №8 ორმო.



სურ. 4-112. სახლი 2. საერთო ხედი სამხრეთიდან. წინა პლანზე კარის დიობი, №8 და №8 სამეურნეო ორმოები.



სურ. 4-113. სახლი 2. ჩრდილოეთი კედლის წინ გამართული №№ 1, 2 და 3 სამეურნეო ორმოები პრეპარაციის შემდეგ. ხედი აღმოსავლეთიდან.



სურ. 4-114. სახლი 2. ორმოების განლაგება. ხედი სამხრეთიდან.



სურ. 4-115. სახლი 2. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.



სურ. 4-116. სახლი 2. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან გათხრების დასრულების შემდეგ.



სურ. 4-117. სახლი 2. ჩრდილო-დასავლეთი კუთხეში გამოვლენილი სამეურნეო ორმო № 1 პრეპარაციამდე.



სურ. 4-118. სახლი 2. ჩრდილო-დასავლეთი კუთხეში გამოვლენილი სამეურნეო ორმო № 1 პრეპარაციის პროცესში. ხედი დასავლეთიდან.



სურ. 4-119. სახლი 2. ჩრდილო კედლის შუა ნაწილში გამოვლენილი სამეურნეო ორმო № 2 პრეპარაციის პროცესში. ხედი სამხრეთიდან.



სურ. 4-120. სახლი 2 და 1. საერთო ხედი დასავლეთიდან გათხრების შემდეგ.

№ 2 სახლში აღმოჩენილი მასალების კატალოგი:

505. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 11), მოყავსფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,8 სმ. ნაკვ. II, კვ. 5-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ქვის კედლის ზედა დონიდან 0,10 მ სიღრმეზე.

506. ნუკლეუსის ანატკეცი (ინვ. № 12), დაუმუშავებელი. ნაკვ. II, კვ. 2-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. 0,10 მ სიღრმეზე.

507. ანატკეცი ობსიდიანის (ინვ. № 13), დაუმუშავებელი. ნაკვ. II, კვ. 2-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. 0,10 მ სიღრმეზე (ტაბ. 4-CXII,3).

508. ანატკეცი ობსიდიანის (ინვ. № 14), დაუმუშავებელი. ნაკვ. II, კვ. 2-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. 0,10 მ სიღრმეზე.

509. თიხის ჭურჭლის ძირისა და გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 20), ხელით ნაძერწი. ნაკვ. I, 1-2 კვადრატების საზღვარზე. 0,10 მ სიღრმეზე.

510. ობსიდიანის ანატკეცი (ინვ. № 21), დაუმუშავებელი. ნაკვ. I, 1-2 კვადრატების საზღვარზე. 0,10 მ სიღრმეზე.

511. საქონლის ძვლები (ინვ. № 22), ნაკვ. I, 1-2 კვადრატების საზღვარზე. 0,10 მ სიღრმეზე.

512. ქოთნის პირ-ყელის ნაწილი (ინვ. № 464), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი. კეცის სისქე - 0,6 სმ. 9-D კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

513. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 465), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,9 სმ. 9-D კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.



სურ. 4-121. სახლი 2. ქოთანი. (ინვ. №466).

514. ქოთნის პირ-გვერდის ნაწილი (ინვ. № 466), თიხის, შავადაა გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი-შეზნექილი, მხარი მკვეთრად დაქანებული, წიბოიანი, მხარზე ირიბი, ხორბლისებრი ნაჭდევები და ნაპრიალები ვერტიკალური ზოლებით. პირის შიდა ნაწილი ნაპირალებია. კეცის სისქე - 0,5 სმ. 9-D კვ-ის ცენტრალურ ნაწილში (სურ. 4-121; ტაბ. 4-XXXIX,1).

515. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 467), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირზე რამდენიმე ფართო

ამოღარული სარტყლით. კეცის სისქე - 0,6 სმ. 9-I კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-128,3; ტაბ. 4-XL,5).



სურ. 4-122. სახლი 2. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. №469; 2. ინვ. № 468).

516. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 468), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირზე რამდენიმე ფართო ამოღარული სარტყელით. კეცის სისქე - 0,6 სმ. 9-I კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-122,2; ტაბ. 4-XL,4).

517. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 469), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, ხელით ნაძერწი, ბაკო დაბრტყელებული აქვს, პირი სწორი. გამჭოლი ნახვრეთით. კეცის სისქე - 0,9 სმ. 9-D კვ-ის სამხრეთ მხარეს (სურ. 4-122,1; ტაბ. 4-XXXIX,2).



სურ. 4-123. სახლი 2. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1-ინვ. №470; 2-ინვ. № 489).

518. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 470), თიხის, ყავისფერი კეციითა და შავად ნაპრიალები ზედაპირით, მხარს სავარცხლის კბილისებური შტამპით დატანილი ორნამენტი შემოუყვება. კეცის სისქე - 0,4 სმ. 9-D კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში (სურ. 4-123,1; ტაბ. 4-XXXIX,6).

519. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 471), თიხის, მოვარდისფრო ზედაპირითა და შავი შიდაპირით, ხელით ნაძერწი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 1,2 სმ. 9-D კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში (სურ. 4-125,3).

520. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 472), თიხის, მოვარდისფრო ზედაპირითა და შავი შიდაპირით, თიხა წვრილ მინარეგებს შეიცავს, ხელით ნაძერწი. 9-D კვ-ის სამხრეთ მხარეს.

521. ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 473), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარეგებს შეიცავს, ბაკო დაბრტყელებული აქვს, პირი სწორი, მხარი შეზნექილი-წიბოიანი. კეცის სისქე - 0,4 სმ. 9-B კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში (სურ. 4-128,2; ტაბ. 4-XL,1)).

522. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 474), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარეგებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,9 სმ. 6-H კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.



სურ. 4-124. სახლი 2. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. №475).


523. ჭურჭლის ყურ-გვერდის ნაწილი (ინვ. № 475), თიხის, მოყავისფრო ზედაპირითა და შავი შიდაპირით, ხელით ნაძერწი, თიხა კენჭნარევი, ზედაპირზე განივკვეთში მრგვალი ყური აქვს დაძერწილი. კეცის სისქე - 1,5 სმ. 6-I კვ-ის ცენტრალურ ნაწილში (სურ. 4-124; ტაბ. 4-XXXVI,4).

524. ჭურჭლის მხრის ნაწილი (ინვ. № 476), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარეგებს შეიცავს, ზედაპირზე ნალარი ხორბლისებრი და წრიული სარტყლებით. კეცის სისქე - 0,8 სმ. 7-A კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

525. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 477), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ობსიდიანის წვრილ ნატეხებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, მხარი მომრგვალებული, მხართან გახვრეტილია. კეცის სისქე - 1,2 სმ. 9-F კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. 4-XXXVII,2).

526. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 478), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, ხელით ნაძერწი, თიხა წვრილ მინარეგებს შეიცავს, ბაკო დაბრტყელებული აქვს. 9-F კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-127,4; ტაბ. 4-XXXVII,6).

527. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 479), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ ნატეხებს შეიცავს, ბრტყელია. კეცის სისქე - 0,8 სმ. 9-F კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-127,5; ტაბ. 4-XXXVII,7).



სურ. 4-125. სახლი 2. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. №481; 2. ინვ. № 484; 3. ინვ. №471; 4. ინვ. №483; 5. ინვ. №480).

528. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 480), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი სწორი. 9-I კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში (სურ. 4-125,5; ტაბ. 4-XL,3).

529. ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 481), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშილი, ყელი დაბალი-შეზნექილი. კეცის სისქე - 0,9 სმ. 9-I კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში (სურ. 4-125,1; ტაბ. 4-XL,2).

530. ქოთნის ფრაგმენტი (ინვ. № 482), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირზე ფართო ნალარი სარტყელით. კეცის სისქე - 0,6 სმ. 6-II კვ-ის ცენტრალურ ნაწილში.

531. ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 483), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო დაბრტყელებული აქვს, პირი სწორია. კეცის სისქე - 1,2 სმ. 9-D კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-125,4; ტაბ. 4-XXXIX,3).

532. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 484), თიხის, შავად გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი სწორია, შიდაპირი ნაპრიალებია. კეცის სისქე - 0,8 სმ. 6-I კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-125,2; ტაბ. XXXVI,1).

533. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. №485), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,7 სმ. 9-E კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.



სურ. 4-126. სახლი 2. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. №487; 2. ინვ. № 486; 3. ინვ. №486ა.).

534. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 486), თიხის, ღია ყავისფერი ზედაპირითა და შავი შიდაპირით, ხელით ნაძერწი, თიხა წვრილ მინარეგებს შეიცავს, ჭურჭელს საწური ჰქონია დატანილი. კეცის სისქე - 0,9 სმ. 9-D კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-126,2,3; ტაბ. 4-XXXIX,5).

535. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 487), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარეგებს შეიცავს, ძირი ბრტყელი და ფართოა. კეცის სისქე - 0,9 სმ. 9-D კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-126,1; ტაბ. 4-XXXIX,4).



სურ. 4-127. სახლი 2. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. №492; 2. ინვ. № 488; 3. ინვ. №493; 4. ინვ. №478; 5. ინვ. №479).

536. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 488), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარეგებს შეიცავს, ბაკო დაბრტყელებული აქვს, პირი სწორი. კეცის სისქე - 0,8 სმ. 7-A კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (სურ. 4-127,2; ტაბ. 4-XXXVI,5).

537. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 489), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, სავარცხლის კბილისებური შტამპით შესრულებული ორნამენტით, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,6 სმ. 7-A კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (სურ. 4-123,2; ტაბ. 4-XXXVI,6).



სურ. 4-128. სახლი 2. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. №490; 2. ინვ. № 473; 3. ინვ. №467; 4. ინვ. №491).

538. ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 490), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ ნატეხებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი შეზნექილი. კეცის სისქე - 0,9 სმ. 9-E კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-128,1; ტაბ.4-XL,6).

539. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 491), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, ჩალისფერი სარჩულით, თიხა ობსიდიანის წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,9 სმ. 9-E კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-128, 4).

540. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 492), თიხის, მოყავისფრო ზედაპირითა და შავი შიდაპირით, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი. 9-F კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-127,1).

541. ჭურჭლის საწური (ინვ. № 493), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, მრგვალი ფორმის, დმ-3,5 სმ. 9-F კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-127,3; ტაბ. 4-XXXVII,8).



სურ. 4-129. სახლი 2. ჯამის პირ-გვერდი (ინვ. №494).

542. ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 494), თიხის, შავად გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები, ბაკო დაბრტყელებული აქვს, პირი სწორი, მხარი წიბოიანი, კალთა დაქანებული. კეცის სისქე - 0,6 სმ. 9-F კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-129; ტაბ. 4-XXXVII,1)).



სურ. 4-130. სახლი 2. კეის იარაღი (1-ინვ. №497).



სურ. 4-131. სახლი 2. სალესი ქვა (ინვ. №495).

543. სალესი ქვა (ინვ. № 495), ჰემზის, ოთხკუთხა, ბოლოებმომრგვა-ლებული, სიგრძე - 12,5; სიგანე - 8 სმ. 9-A კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში ქვებს შორის (სურ. 4-131; ტაბ. 4-XLI,1)



სურ. 4-132. სახლი 2. ქვის სანაყი (ინვ. №496).

544. სანაყი (ინვ. № 496), რიყის ქვის, ერთ ბოლოზე ეტყობა გამოყენების კვალი. სიგრძე - 9,5; სიგანე - 6,5 სმ. 9-D კვ-ის სამხრეთ ნაწილში (სურ. 4-132; ტაბ. 4-XXXVIII,2).

545. სასრესი (ინვ. № 497), რიყის ქვის, სიგრძე - 8 სმ; სიგანე - 6 სმ. 9-D კვ-ის სამხრეთ ნაწილში (სურ. 4-130; 4-XXXVIII,3).



სურ. 4-133. სახლი 2. ქვის სანაყი (ინვ. №498).

546. სანაყი (ინვ. № 498), რიყის ქვის, ბოლოებში მოგრვალეებული, სიგრძე - 27 სმ; სიგანე - 8 სმ. 9-D კვ-ის ცენტრალურ ნაწილში, იატაკის ღონეზე (სურ. 4-133; ტაბ. 4-XXXVIII,1).



სურ. 4-134. სახლი 2. ქვის ხელსაფქვაკვი (ინვ. №499).

547. ხელსაფქვაკვი (ინვ. № 499), ბაზალტის, ოთხკუთხა, ბრტყელი. სიგრძე - 29 სმ; სიგანე - 29,5 სმ. 9-A კვ-ის ცენტრალურ ნაწილში, ლუმელში (სურ. 4-134; ტაბ. 4-XLI,2).

548. ანატკეცი (ინვ. № 500), ობსიდიანის, მცირე ზომის, ამოღარული, რეტუშირებული ქვედა ბოლოთი. 9-D კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. 4-XLII,4).

549. ანატკეცი (ინვ. № 501), ობსიდიანის, დაუმუშავებელი, რეტუშირებული ქვედა ბოლოთი. 9-D კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში.



სურ. 4-135. სახლი 2. ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები (1. ინვ. №502; 2. ინვ. № 507; 3. ინვ. №505; 4. ინვ. №508).

550. ნუკლეუსი (ინვ. № 502), ობსიდიანის, ბრტყელი. 9-E კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-135,1; ტაბ. 4-XLII,1).

551. სახვრეტი (ინვ. № 503), ობსიდიანის. 9-E კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (ტაბ. 4-XLII,2).

552. ანატკეცები (ინვ. № 504), ობსიდიანის, დაუმუშავებელი. 9-E კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.

553. ნუკლეუსი (ინვ. № 505), ობსიდიანის, ბრტყელი. 9-A კვ-ის სამხრეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-135,3; ტაბ. 4-XLII,3).


554. ანატკეცები (ინვ. № 506), ობსიდიანის, დაუმუშავებელი. 9-A კვ-ის სამხრეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.

555. ბოლოკიდურა საფხეკ-სახოკი (ინვ. № 507), ობსიდიანის, დამზადებულია მცირე ზომის, ანატკეცზე, გაფორმებულია ზურგის მხრიდან (სურ. 4-135,2; ტაბ. 4-XLIII,1).

556. ანატკეცი რეტუშირებული (ინვ. № 508), ობსიდიანის, დამზადებულია მცირე ზომის ანატკეცზე, მუცლის მხრიდან გაფორმებულია წვრილი დამაბლაგვებელი რეტუშით (სურ. 4-135,4; ტაბ. 4-XLIII,3).

557. სატეხი (ინვ. № 509), ობსიდიანის, დამზადებულია მცირე ზომის ანატკეცზე, აქვს ერთი სამუშაო პირი (ტაბ. 4-XLIII,2).

558. ანატკეცები (ინვ. № 510), ობსიდიანის, დაუმუშავებელი, 26 ც. საშუალო ზომის - 7 ც.; მცირე ზომის - 19 ც.).



სურ. 4-136. სახლი 2. ძროხის კოჭი (1. ინვ. №511; 2. ინვ. № 516).

559. ძროხის კოჭი (ინვ. № 511). 9-F კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-136,1).

560. ძროხის 1 ქვედა ყბა კბილი (ინვ. № 512). 9-F კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში.

561. ძროხის მენჯის ძვალი (ინვ. № 513). 9-F კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში.

562. ირმის 2 კბილი (ინვ. № 514). 9-D კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

563. ძროხის რქის ფრაგმენტი (ინვ. № 515). 9-E კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

564. ძროხის კოჭი (ინვ. № 516). 9-E კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-136,2).

565. ცხვრის ან თხის ზედა კბილი (ინვ. № 517). 9-E კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.



სურ. 4-137. სახლი 2. ცხენის ძვლები (1. ინვ. №522;
2. ინვ. № 518).

566. ცხენის სხივის ძვლის ზედა ბოლო (ინვ. № 518). 9-D კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-137, 2).

567. ცხენის ორი საჭრელი კბილი (ინვ. № 519). 9-D კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

568. ცხენის საძირე კბილი (ინვ. № 520), 1 ც. 9-D კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

569. ძროხის რქის ოთხი ფრაგმენტი (ინვ. № 521). 9-D კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

570. ცხენის მეტაპოდიუმი (ინვ. № 522). 9-E კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-137,1).

571. ძროხის ერთი იზოლირებული კბილი (ინვ. № 523). 9-E კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.



სურ. 4-138. სახლი 2. ძროხის დიდი ტერფის ძვალი (ინვ. №524).

572. ძროხის დიდი ტერფის ძვალი (სურ. 4-138); რქის ფრაგმენტი; საჭრელი კბილი (ინვ. № 524). 7-A კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

573. ცხვრის ან თხის სამი ქვედა კბილი (ინვ. № 525). 7-A კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

574. ბებერი ცხენის 5 კბილი (ინვ. № 526). 7-E კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

575. ცხვრის ან თხის ორი კბილი (ინვ. № 527). 7-E კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

576. ანატკეცი (ინვ. № 614), ობსიდიანის, დაუმუშავებელი, 2 სამუალო ზომის, 5 - მცირე. 9-F კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

მდებარეობს II ნაკვეთის 6 E და 6 H კვადრატების საზღვარზე, სახლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, კედლებიდან 0,4 მ დაცილებით (სურ. 4-105, 106, 113, 114, 117, 118; ტაბ. 4-XXXI, XXXII, XXXIII). იატაკის დონეზე პირის დიამეტრი 1,0 მ-ია. ორმოს, დასაწყისში, 0,4 მ სიღრმეზე ცილინდრული ფორმა აქვს, შემდეგ თანდათან ფართოვდება. ძირის დიამეტრი 1,4-1,5 მ-ს უდრის, სიმაღლე 1,6 მ-ია. ორმო შევსებული იყო რიყის ქვებით და შავი მიწის მასით.

ორმოში აღმოჩნდა:

577. ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 528), თიხის, მოყავისფრო-მოშავო ზედაპირითა და ყავისფერი შიდაპირით, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი შეზნექილი, მხარი მკვეთრად დაქანებული. კეცის სისქე - 0,7 სმ. (სურ. 4-140,1; ტაბ. 4-XLIV,3).

578. ჭურჭლის პირ-ყელისა და მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 529), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი მაღალი შეზნექილი. კეცის სისქე - 0,9 სმ. (სურ. 4-140,2; ტაბ. 4-XLIV,5).

579. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 530), თიხის, ყავისფერი შიდაპირითა და შავი ზედაპირით, თიხა ობსიდიანის წვრილ ნატეხებს შეიცავს. კეცის სისქე - 1,5 სმ.

580. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 531), თიხის, მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,7 სმ.

581. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 532), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი სწორი, ტანი ცილინდრული, ოღნავ გამობერილი. კეცის სისქე - 0,5 სმ (სურ. 4-140,4; ტაბ. 4-XLIV,6).

582. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 533), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი შეზნექილი. კეცის სისქე - 0,5 სმ. (სურ. 4-140,5; ტაბ. 4-XLIV,2).

583. ჭურჭლის ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 534), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ნაპრიალები ზედაპირით. კეცის სისქე - 0,6 სმ (ტაბ. 4-XLIV,4).



სურ. 4-139. სახლი 2. ქვის სანაყი (ინვ. №564; 1 – გვერდხედი; 2 – ზედხედი).

584. სანაყი (ინვ. № 564), რიყის ქვის, სიგრძე - 8,5; სიგანე - 6 სმ. (სურ. 4-139; ტაბ. 4-XLIV,1).

585. ძროხის სარძევე კბილი (ინვ. № 573).

586. თხის ან ცხვრის მენჯის ძვალი (ინვ. № 574).

587. თხის ან ცხვრის ქუსლის ძვალი (ინვ. № 575; სურ. 4-81,2).

588. თხის ან ცხვრის კვადრატული ძვალი (ინვ. № 576).

589. თხის ან ცხვრის დიდი წვივის ძვალი (ინვ. № 577).

590. თხის ან ცხვრის კისრის მეორე მალა (ინვ. № 578).

591. თხის ან ცხვრის ზედა ყბის ფრაგმენტი (ინვ. № 579).

ორმო № 2

გამოვლინდა № 1 ორმოს აღმოსავლეთით 0,75 მ და ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლიდან 0,15 მ დაცილებით, მდებარეობს II ნაკვეთის 6 I კვადრატის ცენტრალურ ნაწილში (სურ. 4-104, 105, 113, 114, 119; ტაბ. 4-XXXI, XXXII, XXXIII). პირის დიამეტრი 1,0 მ-ია. 0,3 მ სიღრმემდე ორმოს ცილინდრული ფორმა აქვს, ძირისაკენ თანდათან ფართოვდება. ძირის დიამეტრი 1,3 მ-ია, სიმაღლე 1,4 მ. ორმო შევსებულია ქვებით და შავი ფერის მიწით.

ორმოში აღმოჩნდა:


592. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 535), თხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თხა წვრილ მინარევებს შეიცავს. ხელით ნაძერწი. კეცის სისქე - 1,4 სმ. იატაკიდან 0,6 მ-ის სიღრმეზე.



სურ. 4-140. სახლი 2. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. №528; 2. ინვ. № 529; 3-ინვ. №536; 4. ინვ. №532; 5. ინვ. №533; 6. ინვ. №550).

593. ტაფისებური ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 536) თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, შავი ლაქებით, ხელით ნაძერწი, თიხა წვრილ მინარევეს შეიცავს, ბაკო დარტყელებული აქვს, გვერდი სწორი, გვერდის h-5,5 სმ; კეცის სისქე - 1,5 სმ. 0,6 მ-ის სიღრმეზე (სურ. 4-140,3; ტაბ. 4-XLV,3).

594. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 537), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ხელით ნაძერწი. კეცის სისქე - 1,5 სმ. 0,6 მ-ის სიღრმეზე.



სურ. 4-141. სახლი 2. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1-5 ინვ. №538).

595. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 538), თიხის, მოყავისფრო კეცითა და შავი ნაპრიალები ზედაპირით, ვიწრო ამოღარული წრიული და შტამპისებური ორნამენტით. კეცის სისქე - 0,8 სმ. 0,6 მ-ის სიღრმეზე. (სურ. 4-141; ტაბ. 4-XLV,4-8).

596. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 539), თიხის, ყავისფერი შიდაპირითა და შავი ზედაპირით, თიხა წვრილ მინარევეს შეიცავს, ხელით ნაძერწი. კეცის სისქე - 1,2 სმ. 0,6 მ-ის სიღრმეზე (ტაბ. 4-XLV,2).



სურ. 4-142. სახლი 2. მძივი (ინვ. №563).

597. მძივი (ინვ. № 563), პასტის, ცისფერი, მრგვალი ფორმის. 1,2 სიღრმეზე, ორმოს ჩრდილოეთ ნაწილში (სურ. 4-142; ტაბ. 4-XLV,1).

598. ანატკეცი (ინვ. № 565), ობსიდიანის, დიდი ზომის, წვრილად ჩამომტვრეული კიდეებით. 0,6 მ-ის სიღრმეზე.

599. ანატკეცი (ინვ. № 566), ობსიდიანის, დიდი ზომის, მუცლის მხრიდან 1 კილის გასწვრივ ამოღებული ჩამონათლებით. 0,6 მ-ის სიღრმეზე.

600. ანატკეცი (ინვ. № 567), ობსიდიანის, დაუმუშავებელი, 2 საშუალო ზომის, 6 - მომცრო. 0,6 მ-ის სიღრმეზე.

601. ცხენის ქვედა კბილი (ინვ. № 580).

602. ძროხის რქის ფრაგმენტი (ინვ. № 581).

603. ძროხის სარძევე და საჭრელი კბილი (ინვ. № 582).

604. ცხვრის ან თხის ბეჭი (ინვ. № 583).

605. თხის ან ცხვრის ქვედა კბილი (ინვ. № 584).

606. თხის ან ცხვრის ქვედა ბოლო კბილი (ინვ. № 585).

607. თხის ან ცხვრის ქუსლის ძვალი (ინვ. № 586; სურ. 4-81,3).

608. თხის ან ცხვრის პირველი ფალანგა (ინვ. № 587).

609. თხის ან ცხვრის კოჭი (ინვ. № 588).

ორმო № 3

მდებარეობს სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში III ნაკვეთის 4 G და 7 A კვადრატების საზღვარზე, კედლებიდან 0,25 მ და 0,4 მ დაცილებით (სურ. 4-103, 105, 112, 113, 114; ტაბ. 4-XXXI, XXXII, XXXIV). პირის დიამეტრი 1,1 მ-ია. 0,85 მ სიღრმემდე ორმოს ცილინდრული ფორმა აქვს, ძირისკენ თანდათან ფართოვდება. ძირის დიამეტრი 1,5 მ-ია, სიმაღლე 1,7 მ-ს უდრის. ორმო შევსებული იყო რიყის ქვებით და შავი მიწის მასით.

ორმოში აღმოჩნდა:

610. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 540), თიხის, მოშავო-მოყავისფრო, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირი ნაპირალები აქვს. კეცის სისქე - 0,8 სმ.

611. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 541), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირი ნაპირალები აქვს. კეცის სისქე - 0,5 სმ (ტაბ. 4-XXXVI,3).

612. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 542), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, მხარი დაქანებული. კეცის სისქე - 0,4 სმ (სურ. 4-135,1; ტაბ. 4-XXXVI,2).

613. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 543), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო დაბრტყელებული აქვს, პირი ოდნავ მოყრილი, პირს შვერილის ფრაგმენტი ემჩნევა. კეცის სისქე - 0,5 სმ (ტაბ. 4-XLV,9).

614. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 544), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ნაპირალები ზედაპირით. კეცის სისქე - 0,7 სმ.

615. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 545), თიხის, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ძირი ბრტყელია. კეცის სისქე - 0,9 სმ. 1,6 მ-ის სიღრმეზე (ტაბ. 4-XLV,10).

616. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 546), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,9 სმ. 1,6 მ-ის სიღრმეზე.

617. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 547), თიხის, ნაცრისფერი შიდაპირითა და მოყავისფრო ნაპირალები ზედაპირით, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირზე ვიწრო კანელურებით. კეცის სისქე - 0,8 სმ. 1,6 მ-ის სიმაღლეზე (ტაბ. 4-XLV,11).

618. ხბოს ქვედა ყბა (ინვ. № 589).

619. ხბოს იზოლირებული კბილი (ინვ. № 590).

620. ხბოს მეტაპოლიუმის ძვლის ზედა ნახევარი (ინვ. № 591).



სურ. 4-143. სახლი 2. ქვედა ყბა (ინვ. №592).

621. ცხვრის ან თხის ქვედა ყბა (ინვ. № 592; სურ. 4-143).

622. ცხვრის ან თხის 2 საჭრელი კბილი (ინვ. № 593).

623. ცხვრის ან თხის პირველი ფალანგა (ინვ. № 594).

624. ირმის პრემოლარი (ინვ. № 595).

625. ცხვრის ან თხის ზედა ყბის ფრაგმენტები (ინვ. № 596).

626. ცხვრის ან თხის 2 იზოლირებული ზედა კბილი და ბოლო ქვედა კბილი (ინვ. № 597).

გაითხარა სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, II ნაკვეთის 9 F კვადრატის სამხრეთ ნაწილში (სურ. 103, 105, 112, 113; ტაბ. 4-XXXI, XXXII, XXXIII). ორმოს პირი უშუალოდ ებჯინება სახლის კედლებს. ძირი კი მათ ქვეშ შედის.

პირის დიამეტრი 1,0 მ-ია. 0,4 მ სიღრმეზე ორმოს ცილინდრული ფორმა აქვს, ძირისკენ თანდათან ფართოვდება. ძირის დიამეტრი 1,4 მ-ს უდრის, სიმაღლეც 1,4 მ-ია. ორმო შევსებული იყო შავი ფერის მიწით.

ორმოში აღმოჩნდა:

627. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 548), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი. კეცის სისქე - 0,9 სმ (ტაბ. 4-XXXVII,5).

628. ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 549), თიხის, შავად გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, ბაკო დაბრტყელებული აქვს, მხარი მომრგვალებული. კეცის სისქე - 0,9 სმ (ტაბ. 4-XXXVII,3).

629. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 550), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, ყელი დაბალი. კეცის სისქე - 0,9 სმ (სურ. 4-140,6; ტაბ. 4-XXXVII,4).

630. ანატაკეცი (ინვ. № 568), ობსიდიანის, დიდი ზომის, ოთხკუთხა ფორმის, ერთი კილის გასწვრივ ურთიერთსაპირისპირო რეტუშით (ტაბ. 4-XLIII,4).

631. ანატაკეცები (ინვ. № 569), ობსიდიანის, დაუმუშავებელი.




სურ. 4-144. სახლი 2. ბეჭი (ინვ. №598).

632. ცხვრის ან თხის ბეჭი (ინვ. № 598; სურ. 4-144).
633. ძროხის ზედა საღეჭი კბილი (ინვ. № 599).
634. ძროხის რქა (ინვ. № 600), 2 ფრაგმენტი.
635. ძროხის ქვედა კბილი (ინვ. № 601).
636. თხის ან ცხვრის ქვედა კბილი (ინვ. № 602).
637. ღორის პირველი ფალანგა (ინვ. № 603).
638. თხის ან ცხვრის პირველი ფალანგა (ინვ. № 604).

მდებარეობს II ნაკვეთის 9 E კვადრატის სამხრეთ ნაწილში, სახლის ზღურბლთან (სურ. 103ა, 104, 105, 111, 112, 114, 116; ტაბ. 4-XXXI, XXXII, XXXV). თითქმის ცილინდრული ფორმა აქვს. პირის დიამეტრი 1,3 მ-ს, ძირისა 1,4 მ-ს უდრის. შევსებული იყო შავი ფერის მიწით.

ორმოში აღმოჩნდა:

639. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 551), თიხის, მონაცრისფოდ გამომწვარი თიხა ობსიდიანის წვრილ მინარევებს შეიცავს, ძირი ბრტყელია. კეცის სისქე - 0,8 სმ (ტაბ. 4-XLVI,5).



სურ. 4-145. სახლი 2. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. №552).

640. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტები (ინვ. № 552), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირი ნაპრიალები აქვს, ზედაპირზე ფართო ნალარი წრიული და შტამპისებრი ორნამენტით. კეცის სისქე - 0,9 სმ. (სურ. 4-145; 4-146,3; ტაბ. 4-XLVII,3,6).



სურ. 4-146. სახლი 2. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. №554; 2. ინვ. № 553; 3. ინვ. №552).

641. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 553), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ნაპრიალები ზედაპირი, ფართო ამოღარული წრიული და შტამპისებრი ორნამენტით. კეცის სისქე - 0,7 სმ. (სურ. 4-146,2; ტაბ. 4-XLVII,8).

642. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 554), თიხის, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირი ნაპრიალები აქვს, ვიწრო ამოღარული სარტყელით და ფართო რელიეფური ზოლებით. კეცის სისქე - 0,9 სმ. (სურ. 4-146,1; ტაბ. 4-XLVII,4).

643. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 555), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, ბაკო მრგვალი აქვს. კეცის სისქე - 0,9 სმ (ტაბ. 4-XLVI,6).

644. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 556), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირნაპრიალები, რელიეფური ვერტიკალური ზოლებით. კეცის სისქე - 0,8 სმ (ტაბ. 4-XLII,7).

645. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 557), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი. კეცის სისქე - 0,6 სმ (ტაბ. 4-XLVI,4).

646. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 558), თიხის, ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი ოდნავ მოყრილი, მხარი მომრგვალებული. კეცის სისქე - 1,2 სმ (ტაბ. 4-XLVI,1).

647. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 559), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირზე ამოღარული წრიული სარტყელით და ხორბლის მარცვლისებრი ორნამენტით. კეცის სისქე - 0,9 სმ (ტაბ. 4-XLVII,5,9).

648. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 560), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი სწორი. კეცის სისქე - 0,8 სმ (ტაბ. 4-XLVI,7).

649. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 561), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი ფართოდ გადაშლილი, ყელი დაბალი, მხარი მკვეთრად დაქანებული. კეცის სისქე - 0,9 სმ (ტაბ. 4-XLVI,3).

650. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 562), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი. კეცის სისქე - 0,8 სმ (ტაბ. 4-XLVI,2).

651. თიხის ან ცხვრის მეტაკარპული ძვლის ზედა ბოლოს ფრაგმენტი (ინვ. № 605).



სურ. 4-147. სახლი 2. ცხენის ფალანგა (ინვ. №610).

- 652. თხის ან ცხვრის 2 ჩლიქი (ინვ. № 606).
- 653. ცხვრის ან თხის ქვედა ყბის პატარა ფრაგმენტი (ინვ. № 607).
- 654. თხის ან ცხვრის იზოლირებული ზედა კბილი (ინვ. № 608).
- 655. ღორის (?) მხრის ძვლის ქვედა ბოლო (ინვ. № 609).
- 656. ცხენის პირველი ფალანგა (ინვ. № 610; სურ. 4-147,1).
- 657. მსხვილფეხა საქონლის ბოლო ქვედა კბილი (ინვ. № 611).
- 658. ახალ დაბადებულის ხბოს ჩლიქი (ინვ. № 612).



სურ. 4-148. სახლი 2. თხის ან ცხვრის პირველი ფალანგა, გახვრეტილები (1- ინვ. №613).

- 659. თხის ან ცხვრის პირველი ფალანგა (ინვ. № 613), 2 ც. (სურ. 4-148, 1 და 2; ტაბ. 4-XLVII,1,2).
- 660. ანატკეცი (ინვ. № 614), ობსიდიანის, დაუმუშავებელი 7 ც, 2 საშუალო ზომის, 5 - მცირე.
- 661. ანატკეცი (ინვ. № 615), ობსიდიანის, დაუმუშავებელი 12 ც, 4 საშუალო, 8 - მცირე.

ორმო № 8

მდებარეობს № 2 სახლის გარეთ, 9 H კვადრატის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. გამართულია სახლში შესასვლელი პანდუსის სამხრეთით, უშუალოდ მის გაგრძელებაზე (სურ. 105, 109-112; ტაბ. 4-XXXI, XXXII). პირის დიამეტრი 1,2 მ-ია, ძირისა 1,25 მ. სიღრმე 0,2 მ-ია. გამოვლინდა მშენებლების მიერ მიწის ზედაპირის მოხსნის შემდეგ, რამაც ორმოს ზედა ნაწილის დაზიანება გამოიწვია. ჩატრილია ყვითელ თიხნარში. ორმო შევსებული იყო შავი მიწით, ძირზე იდო რიყის სამი ქვა.

ორმოში არქეოლოგიური მასალები არ აღმოჩნდა.

ჯინისის ნამოსახლარის ტერიტორიაზე ზედაპირის აღებისას შეგროვებული იქნა რამდენიმე არტეფაქტი:

სახლი 2-ის ჩრდილოეთით აღმოჩნდა

662. ქალცედონის ნატეხი (ინვ. № 8), ნაკვ. II, კვ. 2-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. ტოპსოილის დონიდან 0,10 მ სიღრმეზე.

663. ნუკლეუსი ობსიდიანის, (ინვ. № 9), შავი ფერის, მოყავსფრო ძარღვებით. ნაკვ. II, კვ. 2-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. 0,10 მ სიღრმეზე (ტაბ. CXII,3).

664. ანატკეცი ობსიდიანის (ინვ. № 10), ფირფიტისებრი ფორმის, დაუმუშაველი. ნაკვ. II, კვ. 2-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. 0,10 მ სიღრმეზე (ტაბ. CXII,2).

სახლი 2-ის ჩრდილო-აღმოსავლეთით

665. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (დერგის?) (ინვ. № 15), მოჭიქული. კეცის სისქე - 0,9 სმ. ნაკვ. III, კვ. 4-ის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. ტოპსოილის დონიდან 0,5-0,1 მ სიღრმეზე.

ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების დროს გაირკვა, რომ სხვადასხვა ორმოში აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტები ერთი ჭურჭლის ნატეხებს წარმოადგენდა.

ასეთებია:

1. თიხის ჭურჭელი (ინვ. № 475) აღდგა № 2 სამერნეო ორმოს თავზე, კედლის ზედა დონიდან 0,1-0,15 მ სიღრმეზე (საველე № 23), № 3 სამეურნეო ორმოში, ორმოს პირიდან 1,6 მ სიღრმეზე (საველე № 45) და № 4 სამეურნეო ორმოს თავზე, 0,1-0,15 მ სიღრმეზე (საველე № 25) აღმოჩენილი ნატეხებისაგან.
2. თიხის ჭურჭელი (ინვ. № 492) აღდგა № 4 ორმოს თავზე, იატაკის დონეზე (საველე № 40) და № 5 (საველე № 46) სამეურნეო ორმოებში აღმოჩენილი ნატეხებისაგან.

3. თიხის ჭურჭლის (ინვ. № 544) ფრაგმენტები აღმოჩნდა № 3 ორმოში (საველე № 45) და № 6 ორმოს თავზე (საველე № 31). № 45 აღმოჩნდა 1,6 მ სიღრმეზე №31 – 0,1-0,15 მ სიღრმეზე.
4. თიხის ჭურჭელი (ინვ. № 552) ნაწილობრივ აღდგა № 4 (საველე № 43) და № 6 (საველე № 47) სამეურნეო ორმოებში აღმოჩენილი ნატეხებით.
5. თიხის ჭურჭელი (ინვ. № 486) აღდგა № 4 სამეურნეო ორმოში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის (საველე № 43) და № 4 ორმოს თავზე (კედლის ზედა დონიდან 0,1-0,15 მ სიღრმეზე) ნანახი ნატეხებისაგან (საველე № 40). ამავე ნატეხებს შეუერთდა 0,1 მ სიღრმეზე აღმოჩენილი (საველე №№ 32, 48) და № 3 ორმოს თავზე (საველე № 24) აღმოჩენილი ნატეხები.
6. თიხის ჭურჭელი (ინვ. № 468) აღდგა № 3 სამეურნეო ორმოს თავზე, კედლის დონიდან 0,1-0,15 მ სიღრმეზე (საველე № 24) და № 4 ორმოს პირიდან 0,48 მ სიღრმეზე (საველე № 35) აღმოჩენილი ნატეხებით.
7. № 6 სამეურნეო ორმოში აღმოჩენილი ორი ნატეხი გაერთიანდა (ინვ. № 552).

აღწერილი სიტუაცია გვიჩვენებს, რომ ორმოების თავზე და კედლების ზედაპირიდან 0,1-0,15 მ სიღრმეზე აღმოჩენილი ნატეხები წარმოადგენენ უშუალოდ ორმოებში დადასტურებული თიხის ჭურჭლების ნაწილებს. ამის გამო დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ორმოების პირები სახლის კედლების დღეისათვის შემორჩენილ სიმაღლეზე მაინც ვივარაუდოთ (გასათვალისწინებელია, რომ მშენებლების მიერ ამ დონეზეა მოხსნილი მიწის ფენა).

ის ფაქტი, რომ ერთი ჭურჭლის ფრაგმენტები სხვადასხვა ორმოში იქნა აღმოჩენილი მიუთითებს მათ თანადროულ ფუნქციონირებაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ ორმოებში და სახლის იატაკზე აღმოჩენილი კერამიკული ნატეხები ერთმანეთს არ დაკავშირებია.

მიუხედავად იმისა, რომ ორმოების ლაქები (საიდანაც დაიწყო მათი ამოსუფთავება) სახლის იატაკის დონეზე იყო დადასტურებული, ყოველივე ზემოთმეული და ის ფაქტი, რომ №№ 6, 8 ორმოები უშუალოდ შესასვლელშია გამართული და ყველა ორმოს ჩაკეტილი აქვს თიხატკეპნილი იატაკი, სახლის და ორმოების სხვადასხვა დროს ფუნქციონირებაზე მიუთითებს. ამის დასტურია პალინოლოგიური მონაცემებიც (იხ. ე. ყვავაძე, წალკის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალის პალინოლოგიური შესწავლის ანგარიში).

სახლი № 3

მდებარეობს № 2 სახლის ჩრდილო-დასავლეთით 4 მეტრის დაშორებით. მოიცავს II ნაკვეთის 4, 5, 7, 8 კვადრატებს.



სურ. 4-149. სახლი 3. გათხრის დასრულების შემდეგ. საერთო ხედი სამხრეთიდან.

სახლის შიდა სივრცე შევსებული იყო შავი ფერის მიწით და კედლის ნანგრევებით (სურ. 4-150, 151, 152).

სახლი წარმოადგენს ნახევრადმიწურ ნაგებობას. შენობა დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთ-თისაკენ. მის გასამართად ყვითელ თიხნარში ამოღებულია ოთხკუთხა მოყვანილობის ორმო, რომლის ნაპირები ქვითაა ამოშენებული. კედლები აგებულია პორიზონტალურ რიგებად დაწყობილი რიყის ქვით, მშრალი წყობით, ცალპირად. კედლების ქვედა რიგი დიდი ზომის ქვებით არის გამართული, ყოველი ზედა რიგის ქვების ზომა კი თანდათან მცირდება (სურ. 4-149; ტაბ. 4-XLVIII).



სურ. 4-150. სახლი 3. თხრის I ეტაპი.
ხედი სამხრეთიდან.

ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის სიგრძე 6,0 მ-ია, სიგანე 0,5 მ, შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 1,2 მ-ს უდრის და წყობის ხუთ რიგს შეიცავს (ტაბ. 4-XLIX).

ჩრდილო-დასავლეთი კედელი ძლიერაა დაზიანებული. მისი სამხრეთი ნაწილი იატაკის დონემდე მთლიანად მორღვეულია. სახლის ზომის მიხედვით ამ კედლის სიგრძე 6,0 მ უნდა ყოფილიყო. დღეისათვის შემორჩენილი კედლის სიგრძე 2,5 მ-ია. ამ ნაწილში კედლის სიმაღლე 1,1 მ-ს უდრის და წყობის ხუთ რიგს შეიცავს (ტაბ. 4-XLIX).

სამხრეთ-დასავლეთი კედელიც ძლიერაა დაზიანებული. ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილია ქვის წყობის ერთ რიგი. ხოლო აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში დარჩენილია - ორი რიგი. დასავლეთი ნაწილი, კუთხიანად მთლიანად მორღვეულია (ტაბ. 4-XLIX). ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის მიმართულების მიხედვით, ამ კედლის სიგრძე 6,5 მ უნდა ყოფილიყო. შემორჩენილია 5,5 მეტრი. კედლის მაქსიმალური სიმაღლე, დასავლეთ ნაწილში 0,75 მ-ია. აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც № 2 სახლის სამხრეთი კედელი, ამ კედლის ნაწილი 0,25 მ სიმაღლის ბაქანზეა დაფუძნებული, რომელიც თიხნარ დედაქანშია დატოვებული.



სურ. 4-151. სახლი 3. თხრის II ეტაპი. სახლის პერიმეტრის დადაგენა. ხედი სამხრეთიდან.

სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი კარგადაა შემონახული. მისი სიგრძე 6,0 მ-ია. შემორჩენილია ქვის წყობის ხუთი რიგი, რომელთა სიმაღლე 1,25 მ-ს უდრის (ტაბ. 4-XLIX).

სახლის კუთხეები მომრგვალებულია. კარის ღიობი შემორჩენილი არ არის. ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლებში შესასვლელი არ ყოფილა გაჭრილი. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ-დასავლეთი კედელი ძლიერაა დაზიანებული, არც ამ კედელში ჩანს დატოვებული კარის ღიობი. ჩვენი აზრით, სახლში შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან ახლოს, ჩრდილო-დასავლეთ კედელში უნდა ყოფილიყო გამართული (სურ. 4-153). ჯინისის ნამოსახლარზე გათხრილ დანარჩენ სახლებს შესავლელი სამხრეთიდან აქვს.



სურ. 4-152. სახლი 3. თხრის III ეტაპი. ჩაქცეული კედლების პრეპარაციის პროცესი. მარჯვენა დაბალ კუთხეში ირმის რქა (ინვ. №958), მის გვერდით № 3 სამეურნეო ორმოს კონტურები. ხელი სამხრეთიდან.

№ 3 სახლის ინტერიერი მარტივია. იგი წარმოადგენს მართკუთხა ფორმის დარბაზს, რომელიც სახურავის საყრდენი ბოძებით ორადაა გაყოფილი. ისინი, სხვა სახლებისაგან განსხვავებით, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზეა განლაგებული (სურ. 4-149), რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ სახლის კარი ამ ხაზის მოპირდაპირედ, ჩრდილო-დასავლეთ კედელში უნდა ყოფილიყო გაჭრილი. ხის ბოძების საყრდენებად ქვის ბრტყელი ფილებია გამოყენებული (0,45 X 0,5 X 0,08 მ; 0,35 X 0,35 X 0,07 მ). ქვის ბალიშები სახლის ცენტრალურ ნაწილშია განლაგებული და კედლებიდან 1,65 მ-ითაა დაცილებული. მათთან ერთ ხაზზე მდებარეობს ქვის ერთი ბალიში, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის ძირში დევს.



სურ. 4-153. სახლი 3. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. კედლები, იატაკის დონე ორმოების ამოსუფთავებამდე. წინა პლანზე ჩანს მორღვეული კედელი და კარის ღიობი.


იატაკი თიხატკეპნილია. ასეთივე მასითაა შემოღესილი ქვის ბალიშებიც (სურ. 4-156, 157). იატაკი ჩატრილია სამეურნეო ორმოებით (სურ. 4-154, 155), რომელთა ჭრილში ქვედა იატაკის დონე დაფიქსირდა. ზედა იატაკის დონიდან 0,05-0,07 მ ქვეშ მეორე იატაკი გაიწმინდა, რომელიც ძლიერაა დაზიანებული. ამ დონეზე აღმოჩნდა საბოძე ორმოები. მათი დიამეტრი 0,2-0,25 მ-ია, სიღრმე 0,3-0,4 მ-ს უდრის. ისინი კედლების გასწვრივაა განლაგებული. ერთი კი, სამხრეთით მდებარე ქვის ბალიშის სიახლოვეს გამოვლინდა (5 I კვადრატის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი). ჩრდილოეთით მდებარე ქვის ბალიშში ოდნავ ფარავს ქვედა იატაკის დონეზე არსებულ ჩაღრმავებას (4 F კვადრატის აღმოსავლეთი ნაწილი). მისი დიამეტრი – 1,0 მ-ია, სიღრმე 0,1 მ. ძირი და კედლები შეღესილი იყო თიხის თხელი ხსნარით. ზედა იატაკზე გამოვლენილი საბოძე ქვის ბალიშის დასავლეთით, 0,3 მ დაცილებით, ქვედა იატაკის დონეზე, საბოძე ქვის ბალიშში დაფიქსირდა (სურ. 4-155, ნაჩვენებია ისრით), რომელიც 5 I კვადრატში აღმოჩენილი საბოძე ორმოს უნდა შეესაბამებოდეს. ყოველ შემთხვევაში ორივე ზედა იატაკის ქვეშ იქნა გათხრილი.

სახლს საფუძვლიანი რეკონსტრუქცია აქვს ჩატარებული. როგორც ჩანს ცენტრალური ბოძები გამოცვლილია. სტრატეგრაფია უჩვენებს, რომ სახლის სახურავი თავდაპირველად ორმოებში ჩამაგრებულ ხის ბოძებს ეყრდნობოდა. რეკონსტრუქციის შემდეგ ბოძების ბალიშებად უკვე ქვის ფილებია გამოყენებული.



სურ. 4-154. სახლი 3. გათხრების პროცესი. იატაკამდე 0,1-0,15 მ მაღლა ჩანს სამეურნეო ორმოების კონტურები, საბოძე ქვის ბალიშები (ცენტრში). ხედი სამხრეთიდან.

სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში კერებია გამართული. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გამართული კერა ზედა დონის იატაკის ადების შემდეგ გამოვლინდა. კერა ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზე ყოფილა მიდგმული (სურ. 4-159, 160), ხოლო ჩრდილო-დასავლეთი კედლიდან 1,1 მ-ითაა დაცილებული. იგი ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილია თიხით ამოყვანილი ბორცის მცირე ნაწილი. იატაკი თიხის ხსნარით არის შელესილი. შიდა სივრცე ნაცრით იყო შევსებული. ნაცრის კვალი დაფიქსირდა ჩრდილო-დასავლეთ კუთხეშიც. კერის შემორჩენილი სიმაღლე 0,05 მ-ს უდრის. მის კონსტრუქციაზე და ფორმაზე მსჯელობა ძნელია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი წრიული ან ოვალური ფორმისა იყო. მისი სავარაუდო დიამეტრი კი 0,75-0,8 მ უნდა ყოფილიყო. ამ მონაკვეთში იატაკის ზედა დონეზე აღმოჩნდა ქოთანის (ინვ № 766) და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. №№ 726-728, 764-765), ქვედა დონეზე კი ტაფისებური ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 762). ქოთანის (ინვ № 766) ამოღებული მიწა შესწავლილი იქნა პალინოლოგების მიერ. გაირკვა, რომ პალინოლოგიური სპექტრი არ შეიცავს ხე-მცენარეების, ეზოს და საძოვრის სარევეებს. მასში არც ტყის ჯგუფის ელემენტები დადასტურდა. სამაგიეროდ ბევრია სათესი მარცვლოვნების (ხორბალი) და მათთან დაკავშირებული მტვრის მარცვლები. ქოთანს ძლიერი ცეცხლის კვალი ეტყობა. როგორც ჩანს იგი საკვების მოსამზადებლად გამოიყენებოდა. ქოთანში აღმოჩენილი ხორბალი შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ მასში ფაფას ხარშავდნენ.



სურ. 4-155. სახლი 3. იატაკის დონე და სამეურნეო ორმოები გათხრების დასრულების შემდეგ. ისრით ნაჩვენებია საბოძე ქვის ბალიში. ხედი სამხრეთიდან.



სურ. 4-156. სახლი 3. კედლები, იატაკის I დონე, სამეურნეო ორმოები. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

მეორე კერა სამხრეთ-დასავლეთის კედელზეა მიდგმული, სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლიდან კი 0,75 მ-ითაა დაცილებული. იგი წრიული ფორმისაა (დიამეტრი 0,75 მ). მისი ბორტები (სიმაღლე 0,1 მ) წვრილი ქვებით და თიხის ხსნარით ყოფილა ამოყვანილი. იატაკი ქვის ოთხი ფილითაა მოგებული. კერის დასავლეთი ნაწილი ნახევარწრიულადაა ჩამოკვეთილი. ამ ადგილზე კერის ნაცროვან ფენას, სრულიად განსხვავებული შავი მიწის ფენა ენაცვლება. ეს უკანასკნელი მიეკუთვნება № 8 ორმოს, რომლის ძირიც სახლის იატაკიდან 0,1 მ-ით დაბლა წყდება. ორმოში აღმოჩნდა კანელურებიანი დოქი (ინვ. № 754), კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. № 652-654, 726-728), ნაპრიალები ზოლებით შემკული თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. № 680-682, 694). ორმოსა და ქვის კედელს შორის აღმოჩნდა ტაფისებური ჭურჭელი (ინვ. № 762-763), რომელიც ამავე დონეზეა, მაგრამ კერის ფენას მიეკუთვნება. ამ ფრაგმენტებთან რიყის ორი მოზრდილი ქვა დაფიქსირდა. მათ შორის კი ქვის თხელი ფილაა ჩადებული. ეს მონაკვეთი ნაცრის და დამწვარი (ბათქაში ?) მიწის ფენას შეიცავს (სურ. 4-165).



სურ. 4-157. სახლი 3. კედლები, იატაკის I დონე, სამეურნეო ორმოები. ზედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

კერის შიდა სივრცე შევსებული იყო ნაცრით. ნაცარი აღმოჩნდა სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეშიც. აქ აღმოჩნდა ობსიდიანის ანატაკეცი, ცხენის ეშვი (ინვ. № 939), ძროხის საჭრელი კბილი (ინვ. № 940), საქონლის ძვლის ფრაგმენტი (ინვ. № 941). ამ ფენის თავზე (0,3 მ-ით მაღლა) აღმოჩნდა ირმის რქა (ინვ. № 958; სურ. 4-152, 163). ნაცროვანი ფენის და ზედა იატაკის

აღების შემდეგ, უშუალოდ კუთხეში, ორი საბოძე ორმო დაფიქსირდა. ერთის დიამეტრია 0,3 მ, სიღრმე - 0,2 მ, მეორისა დიამეტრია 0,2 მ, სიღრმე - 0,15 მ.



სურ. 4-158. სახლი 3. ხედი დასავლეთიდან.

ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ცერზე დაყენებული სამი ქვისაგან შეკრული ყუთი, რომლის წინ კიდევ ერთი ქვა იდო (სურ. 4-159, 160). დასავლეთით მდებარე ქვის სიგრძე 0,4 მ-ია, სიმაღლე 0,3 მ, სისქე 0,1 მ, აღმოსავლეთი ქვის სიგრძე 0,3 მ-ს, სიმაღლე 0,3 მ-ს, სიგანე 0,08 მ-ს უდრის, სამხრეთით დაფიქსირებული ქვის სიგრძე 0,25 მ-ია, სიმაღლე 0,3 მ, სისქე 0,1 მ. ქვის ყუთი ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზეა მიდგმული. ჩრდილო-დასავლეთი კედლიდან მისი უკანა მხარე 0,2 მ-თაა დაცილებული, წინა მხარე კი 0,5 მ-ით. ქვებისაგან შეკრულ ყუთსა და კერას შორის 0,35 მ-ია. ქვაყუთის ძირი სტრატეგრაფიულად ქვედა დონეზე მდებარეობს. მას ზედა დონის იატაკი აქვს გაჭრილი. ქვაყუთის პირი იატაკის დონიდან 0,3 მ-ით მაღლა მდებარეობს. მისი ფუნქცია გაურკვეველი დარჩა. გამოითქვა აზრი, რომ მისი პირის დონეზე კიდევ ერთი იატაკი იყო გამართული. თუმცა ამ დონეზე იატაკის არავითარი კვალი არ აღმოჩენილა.

სახლი რამდენჯერმე ყოფილა შეკეთებული. ამაზე მიუთითებს კედლების გასწვრივ გამართული საბოძე ორმოები, რომლებიც ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს მდებარეობენ (მაგ. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში) და თიხატკეპნილი იატაკები. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ერთხელ ჩანს კაპიტალურად შეკეთებული.



სურ. 4-159. სახლი 3. ჩრდილო-დასავლეთი კუთხე, იატაკის II დონე. საბოძე ქვის ბალიში, №1 კერის ძირი, ქვის ყუთი. ხედი აღმოსავლეთიდან.



სურ. 4-160. სახლი 3. ჩრდილო-დასავლეთი კუთხე, იატაკის I დონე. ქვის ფილებით შედგენილი ყუთი, №1 კერა (მარჯვნივ) და იატაკზე აღმოჩენილი ინვენტარი. ხედი სამხრეთიდან.



სურ. 4-161. სახლი 3. სამეურნეო ორმო № 6. ხელსაფქვავის ქვები.



სურ. 4-162. სახლი 3. ირმის რქა (ინვ. №958).



სურ. 4-163. სახლი 3. ირმის რქა (ინვ. №958).



სურ. 4-164. სახლი 3. ირმის რქა (ინვ. №957).

№ 3 სახლში გათხრილი №№ 1-5, 7-8 სამეურნეო ორმოები (სურ. 4-153, 155) სახლის დანგრევის შემდეგაა გამართული. ყველა ამ ორმოს ჩაკვეთილი აქვს თიხათკეპნილი იატაკი. №3 სამეურნეო ორმოს ჩაკვეთილი აქვს ჩაქცეული კედლების ყრილი (სურ. 4-152). გარდა ამისა № 8 სამეურნეო ორმოს დაზიანებული აქვს № 2 კერა და მისი სანაცრე ნაწილი. № 4 სამეურნეო ორმო გამართულია კარის დიობში. გარდა ამისა პალინოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ სახლის იატაკის და სამეურნეო ორმოების პალინოლოგიური სპექტრი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სახლში დასტურდება კულტურული მარცვლოვნები, დიდი რაოდენობით არის ნათესების სარეველები, გვხვდება ეხოს და საძოვრის სარეველებიც. ორმოებიც დაახლოებით იგივე სპექტრს იძლევა, იმ განსხვავებით მათში დიდი რაოდენობით არის ხე-მცენარეების და გვიმრისნაირების მტვერი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ორმოების პირი ღია სივრცეში გადიოდა. ე. ყვავადის დასკვნით ორმოების პალეოკლიმატი უფრო თბილ კლიმატურ პირობებს უჩვენებს, ვიდრე სახლებისა.



სურ. 4-165. სახლი 3. № 8 სამეურნეო ორმოს ფსკერი თიხის ჭურჭლით (ინვ. №754). მარჯვნივ კედლის ძირში №2 კერის ნაშთი და სანაცრე ნაწილი.

№ 3 სახლში აღმოჩენილი მასალების კატალოგი:

666. თიხის ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 23; ტაბ. 4-CXV,5), ზედაპირი შავადაა გამომწვარი, შიდა პირი ყავისფერია, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირს ირიბი ნაჭდევები და ამოღარული კონცენტრული წრეები შემოუყვება. კეცის სისქე - 0,5 სმ. ნაკვ. II, მე-4-5 კვადრატების საზღვარზე. ტოპსოილის დონიდან 0,1-0,15 მ სიღრმეზე.

667. თიხის ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 24; ტაბ. 4-CXV,6), მოშავოდ გამომწვარი, ხელით ნაძერწი, თიხა ობსიდიანის მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,9 სმ. ნაკვ. II, მე-4-5 კვადრატების საზღვარზე. 0,1-0,15 მ სიღრმეზე.



სურ. 4-166. სახლი 3. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. №695; 2. ინვ. № 717; 3. ინვ. №718).

668. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 25), მოყავისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი, კეცი ნაცრისფერია, ხელით ნაძერწი. კეცის სისქე - 0,9 სმ. ნაკვ. II, მე-4-5 კვადრატების საზღვარზე. 0,1-0,15 მ სიღრმეზე.


669. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 26; ტაბ. 4-CXV,4), მოვარდისფროდ გამომწვარი, კეცი მონაცრისფრო-მოყავისფროა, ბაკო მრგვალი აქვს, პირი სწორი. თიხა ობსიდიანის წვრილ მინარევებს შეიცავს. ნაკვ. II, მე-4-5 კვადრატების საზღვარზე. 0,1-0,15 მ სიღრმეზე.

670. თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 27), ზედაპირი ყავისფრადაა გამომწვარი, შიდაპირი შავია, ხელითაა ნაძერწი, თიხა ობსიდიანის წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,9 სმ. ნაკვ. II, მე-4-5 კვადრატების საზღვარზე. 0,1-0,15 მ სიღრმეზე.

671. ობსიდიანის ამოღარული ანატაკეცები (ინვ. № 28; ტაბ. 4-CXV,1), რეტუში-რეზულია მუცლის მხრიდან. ნაკვ. II, მე-4-5 კვადრატების საზღვარზე. 0,1-0,15 მ სიღრმეზე.

672. ობსიდიანის კუთხურა საჭრისი (ინვ. №28ა), დამზადებულია მცირე ზომის ანატაკეცზე. ნაკვ. II, მე-4-5 კვადრატების საზღვარზე. 0,1-0,15 მ სიღრმეზე.

673. თიხის ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. №29), მოყავისფროდ გამომწვარი, კეცი ნაცრისფერია, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,9 სმ. ნაკვ. II, მე-4 კვადრატის ცენტრში. 0,1-0,15 მ სიღრმეზე.



სურ. 4-167. სახლი 3. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. №719; 2. ინვ. № 717; 3. ინვ. №718; 4. ინვ. №760; 5. ინვ. №715).



სურ. 4-168. სახლი 3. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. №642; 2. ინვ. № 756; 3. ინვ. №752).

674. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 30), ღია მოყავისფროდ გამომწვარი, შიდაპირი მუქი ყავისფერია, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,8 სმ. ნაკვ. II, მე-4ე კვადრატის ცენტრში. 0,1-0,15 მ სიღრმეზე.

675. თიხის ჭურჭლის მხარ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 31), მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, მხარს ირიბი ნაჭლევი შემოუყვება. კეცის სისქე - 0,7 სმ. ნაკვ. II, მე-4 კვადრატის ცენტრში. 0,1-0,15 მ სიღრმეზე (ტაბ. 4-CXV,7).

676. სატეხი, ობსიდიანის (ინვ. № 32), ერთი სამუშაო პირით, დამზადებულია მცირე ზომის ანატაკეცებზე. ნაკვ. II, მე-4 კვადრატის ცენტრში. 0,1-0,15 მ სიღრმეზე (ტაბ. 4-CXIV,2).

677. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 616), თიხის, შავად გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი, შეზნექილი. კეცის სისქე - 0,6 სმ. 5-Gკვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, 0,7 მ სიღრმეზე (ტაბ. 4-LXVII, 3).



სურ. 4-169. სახლი 3. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. № 767; 2. ინვ. № 759; 3. ინვ. № 775; 4. ინვ. № 758; 5. ინვ. № 764).

678. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 617), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირზე ამოღარული სარტყლით და ხორბლის მარცვლისებრი ორნამენტით. კეცის სისქე - 0,5 სმ. 5-Gკვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, 0,7მ სიღრმეზე (ტაბ. 4-LXVIII, 3).

679. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 618), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ ნატეხებს შეიცავს. კეცის სისქე - 1, 2 სმ. 5-Gკვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, 0,7 მ სიღრმეზე.

680. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 619), თიხის, მოყავისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, შავი ლაქებით, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი სწორი, გვერდი მომრგვალებული, მხარზე ორი ნახვრეტით. კეცის სისქე - 1, 2 სმ. 0,7 მ სიღრმეზე (სურ. 4-171, 2; ტაბ. 4-LXX, 4)

681. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 620), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0, 9 სმ. 9-Dკვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში, 0,7 მ სიღრმეზე .

682. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 621), თიხის, შავი ნაპირალები ზედაპირითა და ყავისფერი შიდაპირით, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0, 7 სმ. 9-Dკვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში, 0,7 მ სიღრმეზე .

683. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 622), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი

გადაშლილი, ყელი შეზნეილი. კეცის სისქე - 0, 8 სმ. 5-Gკვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში, 0,9 მ სიღრმეზე (ტაბ. 4-LXVII, 4).

684. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 623), თიხის, მონაწილისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0, 9 სმ. 5-E კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში, 0,9 მ სიღრმეზე .

685. იასპის ქვა (ინვ. № 624). 5-E კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში, 0,2 მ სიღრმეზე.

686. იასპის ქვა (ინვ. № 625). 5-E კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში, 0,7 მ სიღრმეზე.

687. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 26), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირი ნაპრიალებია. კეცის სისქე - 0, 8 სმ. 5-D კვ-ის სამხრ.-აღმოს. კუთხეში, 0,9 მ სიღრმეზე.

688. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 627), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირზე ამოღარული და ხორბლის მრაცვლისებრი ორნამენტით. კეცის სისქე - 0,8 სმ. 5-D კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, 0,7 მ სიღრმ. (ტაბ. 4-LXV, 8).



სურ. 4-170. სახლი 3. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. № 638; 2. ინვ. № 656; 3. ინვ. №628).

689. ჭურჭლის ყელისა და მხარის ფრაგმენტი (ინვ. № 628), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ყელი დაბალი აქვს, მხარი დაქანებული, ყელზე ირიბი ნალარი ზოლები შემოუყვება. კეცის სისქე - 0, 7 სმ. 8-A კვ-ის ცენტრალურ ნაწილში, 0,2 მ სიღრმეზე (სურ. 4-170, 3; ტაბ. 4-LXX, 6).

690. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 629), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, კეცი შავია, ბაკო მრგვალი, პირი მოყრილი, ტანი ოდნავ გამობერილი. კეცის სისქე - 0, 8 სმ. 4-H კვ-ის სამხრეთ ნაწილში. 0,2 მ სიღრმეზე (ტაბ. 4-LXII, 4).

დაუყვება ჩაღარული სარტყები (2), კეცის სისქე - 0,4-0,5 სმ. სათავსო 4, 3-E კვ-ის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში 0,6 მ. სიღრმეზე (სურ. 4-252; ტაბ. 4-LXXXVIII,2).

1174. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1083), 3 ც., თიხის, მოშავად გამომწვარი, თიხა ქარსნარევიან, ხელით უხეშად ნაძერწი, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს, კეცის სისქე - 0,5 სმ. სათავსო 4, 3-E კვ-ის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში 0,6 მ. სიღრმეზე.

1175. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1084), თიხის, მოყავისფრო-მოშვალად გამომწვარი, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს, კეცის სისქე - 0,5 სმ. სათავსო 4, 3-E კვ-ის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში 0,6 მ. სიღრმეზე (სურ. 4-253,1; ტაბ. 4-LXXXIX,3).

1176. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1085), 3 ც., თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს, ზედაპირზე დაუპყვება მკრთალი ნაპირალები ხაზები, კეცის სისქე - 0,5 სმ. სათავსო 4, 3-E კვ-ის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში 0,6 მ. სიღრმეზე (ტაბ. 4-LXXXVIII,4).

1177. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1086), 2 ც., თიხის, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს, პირგადმოკეცილი, კეცის სისქე - 0,4-0,7 სმ. სათავსო 4, I ნაკვ. 3-D კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში 0,5 მ. სიღრმეზე (ტაბ. 4-XCV,1).



სურ. 4-253. სახლი 4. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები
(1. ინვ. № 1084; 2. ინვ. № 1101).

1178. პირის ფრაგმენტი (ინვ. № 1087), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, ხელით უხეშად ნაძერწი, კეცის სისქე - 0,7-0,6 სმ. სათავსო 4, I ნაკვ., 3-d კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში 0,5 მ. სიღრმეზე (ტაბ. 4-XCV,2).


1178ა. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 1088) შავად ნაპრიალები, ორი რელიეფური ხაზით. I ნაკვ. 3 E კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში, 0,5 მ სიღრმეზე (ტაბ. 4-LXXXIX,5).

1179. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1089), თიხის, შავად გამომწვარი, თიხა ქარსნარევია, შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს, კეცის სისქე - 0,8-0,12 სმ. სათავსო 4, I ნაკვ., 3-C კვ-ის სამხრეთ ნაწილში, 0,5 მ. სიღრმეზე (ტაბ. 4-XCIII,4).

1180. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. №1090), 2 ც., თიხის, შავად გამომწვარი, ნაპირალები, კეცის სისქე - 0,5 სმ. სათავსო 4, I ნაკვ. 3-d კვ-ის სამხრეთ ნაწილში 0,5 მ. სიღრმეზე.

1181. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. №1091), თიხის, შავად გამომწვარი, ზედაპირნაპირალები, თხელკეციანი, თიხა შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს, ბაკო მომრგვალებული, კეცის სისქე - 0,5 სმ. სათავსო 4, I ნაკვ. 3-d კვ-ის სამხრეთ ნაწილში 0,5 მ. სიღრმეზე.

1182. ჭურჭლის ყელ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1092), თიხის, წითლად გამომწვარი, უხეშად ნაძერწი, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს, პირგადაშლილი, კეცის სისქე - 1,4 სმ. I ნაკვ. 3-E კვ-ის ჩრდილოეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე კედლის ზედაპირიდან (სურ. 4-254; ტაბ. 4-LXXXIX,2).



სურ. 4-254. სახლი 4. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 1092).

1183. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 1093), თიხის, შავად გამომწვარი, ხელით უხეშად ნაძერწი, თიხა ქარსნარევია, კეცის სისქე - 0,3-0,7 სმ. I ნაკვ. 3-B კვ-ის დასავლეთ ნაწილში, 0,5 მ. სიღრმეზე (ტაბ. 4-XCI,4).

1184. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 1094), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, ხელით უხეშად ნაძერწი, კეცის სისქე - 10 სმ. I ნაკვ. 3-B კვ-ის დასავლეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე (ტაბ. 4-XCI,3).

1185. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1095), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა შეიცავს მინარევებს, ზედაპირზე დაუყვება ფართო ჩალარული

სარტყელი. კეცის სისქე - 0,6 სმ. I ნაკვ. 3-B კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის ღონეზე (ტაბ. 4-XC,6).

1186. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1096), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, უხეშად ხელით ნაძერწი, თიხა ქარსნარევი. კეცის სისქე - 1,2 სმ. I ნაკვ. 3-B კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის ღონეზე, 0,7 მ. სიღრმეზე.

1187. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 1097), თიხის, მოშავო-მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხა შეიცავს მინარევებს. კეცის სისქე - 1,2 სმ. I ნაკვ. 3-B კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იატაკის ღონეზე, 0,7 მ. სიღრმეზე (ტაბ. 4-XC,4).

1188. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 1098), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, ბაკომომრგვალებული, პირგადაშლილი, დაბალყელიანი. კეცის სისქე - 0,5 სმ. I ნაკვ. 3-B კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იატაკის ღონეზე - 0,7 მ. სიღრმეზე (სურ. 4-255,2; ტაბ. 4-XCI,10).



სურ. 4-255. სახლი 4. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. № 1099; 2. ინვ. № 1098; 3. ინვ. № 1100).

1189. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 1099), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს, ბაკომომრგვალებული, პირგადაშლილი. კეცის სისქე - 0,4 სმ. I ნაკვ. 3-B კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იატაკის ღონეზე - 0,7 მ სიღრმეზე (სურ. 4-255,1; ტაბ. 4-XCI,9).

1190. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. №1100), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. ზედაპირზე ნაჭდევებით. კეცის სისქე - 0,4 სმ., I ნაკვ. 3-B კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იატაკის ღონეზე - 0,7 მ. სიღრმეზე (სურ. 4-255,3; ტაბ. 4-XC,5).

1191. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 1101), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ქარსნარევი. კეცის სისქე - 0,3 სმ. I ნაკვ. 3-B კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იატაკის ღონეზე - 0,7 მ სიღრმეზე (სურ. 4-253,2).

1192. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1102), თიხის, შავად გამომწვარი, უხეშად ხელით ნაძერწი, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს, ბაკომომრგვალებული, სწორი პირი, პირთან დატანილი აქვს ნახვრეტი, კეცის სისქე - 0,9 სმ. I ნაკვ., 3-B კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იატაკის დონეზე - 0,7 მ სიღრმეზე (სურ. 4-249,2; ტაბ. 4-XCI,1).

1193. ჭურჭლის პირის და მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 1103), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, შავი ლაქებით, ხელით ნაძერწი, თიხა შეიცავს მინარევებს, პირი სწორია, მხარი დაქანებული. კეცის სისქე - 1,1 სმ (სურ. 4-250,1; ტაბ. 4-XCI,5).

1194. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1104), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, შავი ლაქებით, თიხა შეიცავს მინარევებს. კეცის სისქე - 0,5 სმ. იატაკის დონეზე.

1195. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1105), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ხელით ნაძერწი, ბრტყელი ძირით. კეცის სისქე - 1,1 სმ. იატაკის დონეზე (სურ. 4-249,3; ტაბ. 4-XC,3).

1196. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 1106), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, შავი ლაქებით, უხეშადაა ნაძერწი, კეცის სისქე - 1,6 სმ, სათავსო 4. II ნაკვ. 4-D კვ-ის თითქმის ცენტრ. ნაწილში, იატაკის დონეზე, 0,7 მ სიღრმეზე.

1197. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 1107), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, შავი გაპრიალებული ზედაპირით, კეცის სისქე - 0,4 სმ, სათავსო 4. II ნაკვ. 4-D კვ-ის თითქმის ცენტრ. ნაწილში, იატაკის დონეზე, 0,7 მ სიღრმეზე.

1198. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 1108), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი. კეცის სისქე - 0,6 სმ, სათავსო 4. II ნაკვ. 4-D კვ-ის ცენტრ. ნაწილში, იატაკის დონეზე - 0,7 მ სიღრმეზე.

1199. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1109), თიხის, შავად გამომწვარი, ხელით უხეშად ნაძერწი, თიხა შეიცავს ობსიდიანის მინარევებს. კეცის სისქე - 0,7 სმ, სათავსო 4. I ნაკვ. 3-D კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.



სურ. 4-256. სახლი 4. ქოთანი (1-2. ინვ. № 1110).

1200. ქოთანი (ინვ. № 1110), თიხის, რუხ-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა შეიცავს მინარევებს, ხელითაა ნაძერწი, გადაშლილი პირით, დაბალი ყელით, მუცელგამობერილი, ბრტყელი ძირით, კეცის სისქე - 0,6 სმ. I ნაკვ. 3-D კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე(სურ. 4-256; ტაბ. 4-XCIV,1).



სურ. 4-257. სახლი 4. ქოთანი (ინვ. № 1111).

1201. ქოთანი (ინვ. № 1111), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა შეიცავს მინარევებს, ხელითაა ნაძერწი, მუცელი გამობერილი აქვს, ძირი ბრტყელი, კეცის სისქე - 0,6 სმ. I ნაკვ. 3-D კვ-ის თითქმის ცენტრალურ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-257; ტაბ. 4-XCIV,2).



სურ. 4-258. სახლი 4. ქოთანი (ინვ. № 1112).

1202. ქოთანი (ინვ. № 1112), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევიანია, შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს, ბაკომომრგვალებული, ოდნავ პირგადაშლილი, ცილინდრულყელიანი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირიანი. სიმაღლე

- 25, 8 სმ; დმ პირის - 16, 5 სმ; დმ ძირის - 11, 1 სმ. I ნაკვ. 3-D კვ-ის ჩრდილო ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-258; ტაბ. 4-XCIV,3).

1203. ჭურჭლის პირის ფრაგმენტები (ინვ. № 1113), თიხის, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, ხელითაა ნაძერწი. კეცის სისქე - 0,5-0,7 სმ. I ნაკვ. 3-B კვ-ის დასავლეთ ნაწილში (ტაბ. 4-XCI,8).

1204. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 1114), თიხის, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა შეიცავს მინარევებს, აქვს მომრგვალებული ბაკო, გადაშლილი პირი. კეცის სისქე - 0,5-0,7 სმ. I ნაკვ. 3-B კვ-ის დასავლეთ ნაწილში (ტაბ. 4-XCI,7).

1205. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 1115), თიხის, ყავისფრად გამომწვარი, თიხა შეიცავს მინარევებს, აქვს მრგვალი ბაკო, გადაშლილი პირი, კეცის სისქე - 0,5სმ. I ნაკვ. 3-B კვ-ის დასავლეთ ნაწილში (ტაბ. 4-XC,2).



სურ. 4-259. სახლი 4. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 1117).

1206. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 1116), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილია. კეცის სისქე - 0,6 სმ, I ნაკვ. 3-D კვ-ის ჩრდ. დასავლეთ ნაწილში. იატაკის დონეზე (ტაბ. 4-XCIV,5).

1207. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1117), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა შეიცავს მინარევებს, ბაკო მრგვალი, გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, მხარი შემკულია ნაპრიალები ირიბი ხაზებითა და ორი ამოღარული სარტყელით. კეცის სისქე - 0,1 სმ, I ნაკვ. 3-D კვ-ის ჩრდ. დასავლეთ ნაწილში. იატაკის დონეზე (სურ. 4-259; ტაბ. 4-XCIV,6).

1208. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 1118), თიხის, რუხი-მონაცრისფროდ გამომწვარი, უხეში, ზელით ნაძერწი, ბაკო მრგვალი, კეცის სისქე - 0,1 სმ. სათავსო 4. I ნაკვ. 3-D კვ-ის ჩრდ. დასავლეთ ნაწილში. იატაკის დონეზე (ტაბ. 4-XCIV,4).

1209. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1119), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, ზედაპირი გაპრიალებულია, თიხა შეიცავს მინარევებს. კეცის სისქე - 0,7 სმ. I ნაკვ. 3-d კვ-ის ჩრდ. დასავლეთ ნაწილში. იატაკის დონეზე.

1210. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1120), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, უხეში, ხელით ნაძერწი, ბაკო მრგვალი, ოდნავ პირმოყრილი, კეცის სისქე - 0,7 სმ. I ნაკვ. 3-D კვ-ის ჩრდ. დასავლეთ ნაწილში. იატაკის დონეზე (ტაბ. 4-XCV,6).

1211. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. №1121), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, ამოდარული ფრჩხილისებური ორნამენტით. კეცის სისქე - 0,4 სმ. I ნაკვ. 3-D კვ-ის ჩრდ. დასავლეთ ნაწილში. იატაკის დონეზე (ტაბ. 4-XCV,5).

1212. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1122) თიხის, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, გვერდი გამოზნექილი, ძირი ბრტყელი აქვს. კეცის სისქე - 0,8 სმ. I ნაკვ. 3-D კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. იატაკის დონეზე (ტაბ. 4-XCV,3).

1213. ქოთანის მცირე ზომის (ინვ. № 1123), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, შავი ლექვებით, თიხა შეიცავს ობსიდიანის ნატეხებს, ხელით ნაძერწი, მუცელგამობერილი, ძირი ბრტყელი აქვს, კეცის სისქე - 0,6 სმ, ძირის დმ - 6 სმ. სათავსო 4. I ნაკვ. 3-A კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. იატაკის დონეზე (სურ. 4-260; ტაბ. 4-LXXXVII,1).



სურ. 4-260. სახლი 4. ქოთანი (ინვ. № 1123).

1214. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1124), თიხის, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, ხელით უხეშად ნაძერწი, ბაკომომრგვალებული, ოდნავ პიგადაშლილი, დაბალყელიანი, კეცის სისქე - 0,4 სმ. სათავსო 4. I ნაკვ. 3-A კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. იატაკის დონეზე (ტაბ. 4-LXXXVII,2).

1215. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 1125), თიხის, შავად გამომწვარი, ხელით უხეშად ნაძერწი, დაუყვება მსხვილი ნაჭდევი (ფრჩხილისებური) სარტყელი. თიხა

შეიცავს ობსიდიანს. კეცის სისქე - 0,6-0,8 სმ. სათავსო 4. I ნაკვ. 3-A კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. იატაკის დონეზე (ტაბ. 4-LXXXVII,8).

1216. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1126), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, ხელით უხეშად ნაძერწი, თიხა შეიცავს ობსიდიანს მინარევებს. კეცის სისქე - 1,0 სმ. I ნაკვ. 3-H კვ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. იატაკის დონეზე.

1217. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 1127), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ხელით უხეშად ნაძერწი, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვანი მინარევებს, ბაკომომრგვალებული. კეცის სისქე - 1,3 სმ. I ნაკვ. 3-H კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. იატაკის დონეზე (ტაბ. 4-XCIII,6).

1218. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 1128), 2 ც., თიხის, მოშავოდ გამომწვარი, ხელით ნაძერწი. კეცის სისქე - 0,4-0,3 სმ. I ნაკვ. 3-H კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. იატაკის დონეზე.

1219. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 1129), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვანი მინარევებს, ემჩნევა ნაკაწრი ხაზები (?). კეცის სისქე - 0,6 სმ. სათავსო 4. I ნაკვ. 3-H კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. იატაკის დონეზე.

1220. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 1130), თიხის, შავად გამომწვარი, ხელით ნაძერწი. თიხა ქარსნარევიანია, დაუყვება 3 ღრმა ნაჭდევი ხაზი. კეცის სისქე - 0,4 სმ. სათავსო 4. I ნაკვ. 3-H კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. იატაკის დონეზე (ტაბ. 4-XCIII,7).



სურ. 4-261. სახლი 4. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. № 1141; 2. ინვ. № 1141; 3. ინვ. № 1147; 4. ინვ. № 1147).

1221. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1131), თიხის, შავად გამომწვარი, ნაპირალეპი, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს. კეცის სისქე - 0,6 სმ. სათავსო 4. I ნაკვ. 3-H კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. იატაკის ღონეზე.

1222. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1132), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ხელით უხეშად ნაძერწი, თიხა ქარსნარევია. კეცის სისქე - 1,3 სმ. სათავსო 4. I ნაკვ. 3-H კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. იატაკის ღონეზე.

1223. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1133), თიხის, შავად გამომწვარი, თიხა კარგადგანლექილია, ზედაპირზე დაუყვება შავად ნაპირალეპი ხაზები, კეცის სისქე - 0,4 სმ. სათავსო 4. I ნაკვ. 3-E კვ-ის სამხრეთ. აღმოსავლეთ ნაწილში. იატაკის ღონეზე (ტაბ. 4-LXXXVIII,3).



სურ. 4-262. სახლი 4. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1-2 ინვ. № 1142).

1224. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1134), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, უხეშად ხელით ნაძერწი, თიხა ქარსნარევია. კეცის სისქე - 0,8 სმ. სათავსო 4. I ნაკვ. 3-H კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. იატაკის ღონეზე.

1225. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1135), თიხის, შავად გამომწვარი, ზედაპირნაპირალეპი, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს. კეცის სისქე - 0,8 სმ. სათავსო 4. I ნაკვ. 3-B კვ-ის ცენტრალურ ნაწილის გაყოლებაზე გაფანტულ მდგომარეობაში. იატაკის ღონეზე.

1226. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1136), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს, ზედაპირზე დაუყვება მკრთალი ნაკაწრი და ნაჭდევი ხეხები. კეცის სისქე - 0,7 სმ. სათავსო 4. I ნაკვ. 3-B კვ-ის ცენტრალურ ნაწილის გაყოლებაზე გაფანტულ მდგომარეობაში. იატაკის ღონეზე.

1227. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 1137), თიხის, შავად გამომწვარი, ოდნავ პირგადაშლილი, ბაკოდებრტყელებული. კეცის სისქე - 0,4 სმ. სათავსო 4. I ნაკვ. 3-B კვ-ის ცენტრალურ ნაწილის გაყოლებაზე გაფანტულ მდგომარეობაში. იატაკის დონეზე (ტაბ. 4-XCII,2).

1228. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 1138), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი, ბაკო მორგვალელებული, პირს ქვემოთ დაუყვება ჩალარული ხაზები. კეცის სისქე - 0,4 სმ. სათავსო 4. I ნაკვ. 3-B კვ. იატაკის დონეზე (ტაბ. 4-XCII,1).

1229. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 1139), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ხელით, უხეშად ნაძერწი, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვან მიანრეკებს. კეცის სისქე - 0,5-0,8 სმ (ტაბ. 4-XCII,3).

1230. ჭურჭლის ყელ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1140), თიხის, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირი ნაპირალები, შეიცავს მსხვილმარცვლოვან მიანრეკებს, დაუყვება ვერტიკალური შავად ნაპრიალები ორნამენტები. კეცის სისქე - 0,7 სმ (ტაბ. 4-XCII,4).

1231. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 1141), თიხის, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვან მიანრეკებს, ზედაპირი შემკულია ნაჭდევი, ამოღარული სარტყლებითა და სამკუთხედებით, კეცის სისქე - 0,5-0,6 სმ (სურ. 4-261,1,2; ტაბ. 4-XCII,10,11).



სურ. 4-263. სახლი 4. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 1147).

1232. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1142), 4 ც., თიხის, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა ქარსნარევია. ქუსლიანი ბრტყელი ძირით, გვერდები შემკულია ორ-ორი ნაკაწრი ხაზებით, კეცის სისქე - 0,4-0,5 სმ (სურ. 4-262; ტაბ. 4-XCII,9).

1233. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1143), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვან მიანრეკებს. კეცის სისქე - 1,2 სმ.

1234. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1144), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თხელკეციანი, დაუყვება მონაცრისფროდ ნაპირალები ხაზები, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს. კეცის სისქე - 0,5 სმ.

1235. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 1145), თიხის, შავად გამომწვარი, ზედაპირნაპირალები, თიხა შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. კეცის სისქე - 0,4- სმ.

1236. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1146), თიხის, შავად გამომწვარი, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს, შიდაპირზე შეიმჩნევა მორგვისებული სარტყლები. კეცის სისქე - 0,6 სმ.



სურ. 4-264. სახლი 4. ხელსაფეკავი (ინვ. № 1157).

1237. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 1147), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირი გაპირალებულია, თიხა შეიცავს წვრილ მინარევებს, მხარზე სამი პარალელური ზოლია ამოღარული. კეცის სისქე - 0,6 სმ (სურ. 4-263; ტაბ. 4-C,6).

1238. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1155), თიხის, შავად გამომწვარი, თიხა ქარსის მინარევებით, ბაკო მრგვალი, პირი სწორი, კეცის სისქე - 0,5 სმ (ტაბ. 4-XCVIII,5).

1239. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1156), თიხის, მოვარდისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ხელით ნაძერწი. კეცის სისქე - 0,10 სმ (ტაბ. 4-XCVIII,1).

1240. ხელსაფეკავი ნაკლული (ინვ. № 1157), ქვა, ზურგამოზნექილი, სწორ-ზედაპირიანი, სიგრძე - 16 სმ; სიგანე - 19 სმ (სურ. 4-264; ტაბ. 4-XCIX,2).



სურ. 4-265. ქვის ნიმუშები (1. ინვ. № 1158; 2. ინვ. № 1160; 3. ინვ. № 115).

1241. იასპის ქვა (ინვ. № 1158), 0,5 მ სიღრმეზე (სურ. 4-265,1).

1242. წრიული ფორმის ქვა (ინვ. № 1159, დმ - 8 სმ. 0,5 მ სიღრმეზე (სურ. 4-265,3; ტაბ. 4-XCVIII,6).

1243. სასრესი (ინვ. № 1160), ქვის, წრიული ფორმის, ნამუშევარი ზედაპირით, დმ - 5, 5 სმ (სურ. 4-265,2; ტაბ. 4-XCIX,1).




სურ. 4-266. სახლი 4. ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები (1. ინვ. № 1165; 2. ინვ. № 1161; 3. ინვ. № 1168; 4. ინვ. № 1166).

1244. სახვრეტი (ინვ. № 1161), ობსიდიანის, საშუალო სიდიდის, ანატკეცზე მოკლე წვეტი გამოყოფილია ზურგის მხრიდან ორი რეტუშირებული ამოღარვით. სათავსო 4 (სურ. 4-266,2; ტაბ. 4-CII,2).

1245. სახვრეტი (ინვ. № 1162), ობსიდიანის, დამზადებულია მცირე ზომის ანატკეცზე მოკლე წვერით გაფორმებული, ურთიერთსაპირისპიროდ მიმართული ამოღარვით. სათავსო 4 (სურ. 4-267,2; ტაბ. 4-CII,3).

1246. ანატკეცები (ინვ. № 1163), 5 ც., ობსიდიანის, დაუმუშავებელი,
 1247. ანატკეცები (ინვ. № 1164), 2 ც., ობსიდიანის, დაუმუშავებელი,
 1248. სატეხი (ინვ. № 1165), ობსიდიანის, დამზადებულია ნუკლეუსზე, აქვს ერთი
 სამუშაო მხარე (სურ. 4-266,4; ტაბ. 4-CI,1,2).
 1249. სატეხი (ინვ. № 1166), ობსიდიანის, დამზადებულია მცირე ზომის
 ანატკეცზე ერთი სამუშაო პირით. აღმოჩნდა I ნაკვეთის 3-C კვ-ის აღმოსავლეთ
 ნაწილში (სურ. 4-266,4; ტაბ. 4-CI,2).
 1250. ნუკლეუსი (ინვ. № 1167), ობსიდიანის, ბრტყელი, ამორფული, ორმხრივ
 დამუშავებული, აღმოჩნდა I ნაკვეთის 3-C კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-267,1;
 ტაბ. 4-CI,1).



სურ. 4-267. სახლი 4. ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები (1. ინვ. № 1167;
 2. ინვ. № 1162; 3. ინვ. № 1173).

1251. საფხეკი (ინვ. № 1168), ობსიდიანის, დამზადებულია პატარა ანატკეცზე.
 აღმოჩნდა I ნაკვეთის 3-C კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 4-266,3; ტაბ. 4-CI,3).
 1252. ანატკეცები (ინვ. № 1169), ობსიდიანის, დაუმუშავებელი. აღმოჩნდა I
 ნაკვეთის 3-C კვ-ის აღმოსავლეთ ნაწილში.
 1253. ნუკლეუსი (ინვ. № 1170), ობსიდიანის, ამორფული. სათავსო 4. კედლის
 ზედაპირიდან 0,2-0,3 მ. სიღრმეზე.
 1254. ანატკეცი (ინვ. № 1171), ობსიდიანის, საშუალო სიდიდის, დაბლაგვებული
 რეტუშით, მუცლის მხრიდან. სათავსო 4. მთელს ტერიტორიაზე. 0,2-0,3 მ სიღრმეზე
 კედლის ზედაპირიდან (ტაბ. 4-CI,5).
 1255. ანატკეცი (ინვ. № 1172), ობსიდიანის, საშუალო სიდიდის, ორივე
 ზედაპირზე ბრტყელი ურთიერთსაპირსიპირო ამოღარვით. 0,2-0,3 მ სიღრმეზე
 კედლის ზედაპირიდან.

1256. ანატკეცი (ინვ. № 1173), ობსიდიანის, საშუალო სიდიდის, დაბლაგვებული რეტუშით, მუცლის მხრიდან. 0,2-0,3 მ. სიღრმეზე კედლის ზედაპირიდან (სურ. 4-267,3; ტაბ. 4-CI,4).

1257. ანატკეცი (ინვ. № 1174), ობსიდიანის, საშუალო სიდიდის, ორივე ზედაპირზე ბრტყელი ურითერთსაპირისპირო ამოდარვით. სათავსო 4. 0,2-0,3 მ სიღრმეზე კედლის ზედაპირიდან.



სურ. 4-268. სახლი 4. ობსიდიანის იარაღ-ანატკეცი (ინვ. № 1175).

1258. ანატკეცები და ნატეხები (ინვ. № 1175), ობსიდიანის, დაუმუშავებელი. კედლის ზედაპირიდან 0,2-0,3 მ. სიღრმეზე.

1259. ანატკეცი (ინვ. № 1176), ობსიდიანის, დაუმუშავებელი. კედლის ზედაპირიდან 0,2-0,3 მ. სიღრმეზე.



სურ. 4-269. საქონლის კოჭები (1. ინვ. № 1177; 2. ინვ. № 1183; 3. ინვ. № 1234).

1260. ძროხის კოჭი (ინვ. № 1183), სათავსო 4, I ნაკვ.-ის 3-ცკვ.-ის O ნაწილში. 10-30 სმ. სიღრმეზე (სურ. 4-269,2).



სურ. 4-270. სახლი 4. ცხოველთა ძვლები (1. ინვ. № 1239;
2. ინვ. № 1184).

1261. ბიზონის (?) ანუ ღომბის რქა (ინვ. № 1184), სათავსო 4, I ნაკვ.-ის 3-ცკვ-ის
O ნაწილში (სურ. 4-270,2; ტაბ. 4-XCIII,5).



სურ. 4-271. სახლი 4. ცხოველთა ძვლები (1. ინვ. № 1180; 2. ინვ. № 1185; 3. ინვ. №
1240; 4. ინვ. №1236; 5. ინვ. №1186).

1262. ცხვრის ქვედა ყბა (ინვ. № 1185), სათავსო 4, I ნაკვ.-ის 3-ცკვ-ის O
ნაწილში. 10-30 სმ. სიღრმეზე (სურ. 4-271,2).

1263. წერილფეხა საქონლის კოჭი (ინვ. № 1186), სათავსო 4, I ნაკვ.-ის 3-ცკვ-ის O ნაწილში. 10-30 სმ. სიღრმეზე (სურ. 4-271,5).

1264. საქონლის ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 1187), სათავსო 4, I ნაკვ.-ის 3-ცკვ-ის O ნაწილში 10-30 სმ. სიღრმეზე.

1265. ცხენის ქვედა კბილი (ინვ. № 1188), სათავსო 4, I ნაკვ.-ის 3-ფდა I კვ-ის საზღვარზე 10-30 სმ. სიღრმეზე.

1266. საქონლის ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 1189), სათავსო 4, I ნაკვ.-ის 3-ფდა I კვ-ის საზღვარზე 10-30 სმ. სიღრმეზე.

1267. ძროხის მხრის ძვლის ქვედა ბოლო, სხივის და იდაყვის ძვლები (ინვ. № 1190), სათავსო 4, 0,2-0,3 მ სიღრმეზე კედლის ზედაპირიდან (სურ. 4-273,1).

1268. ძროხის I ფალანგა (ინვ. № 1191). სათავსო 4, 0,2-0,3 მ სიღრმეზე კედლის ზედაპირიდან.



სურ. 4-272. სახლი 4. მაჩვის კბილი ზედხედი (ინვ. № 1181).

1269. ძროხის კბილები მათგან ერთი საჭრელი კბილია (ინვ. № 1191), 5 ც. სათავსო 4, 0,2-0,3 მ. სიღრმეზე კედლის ზედაპირიდან.

1270. ცხენის ქვედა კბილი (ინვ. № 1193). სათავსო 4, 0,2-0,3 მ. სიღრმეზე კედლის ზედაპირიდან (სურ. 4-274,7).

1271. ცხვრის ან თხის ქვედა კბილი (ინვ. № 1194). სათავსო 4, 0,2-0,3 მ. სიღრმეზე კედლის ზედაპირიდან.

1272. საქონლის ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 1195). სათავსო 4, 0,2-0,3 მ. სიღრმეზე კედლის ზედაპირიდან.

1273. ძროხის წვივის და ქუსლის ძვალი (ინვ. № 1196). სათავსო 4, II ნაკვ.-ის 4-A კვ-ის ცენტრალურ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე კედლის პირთან (სურ. 4-273,2).

1274. საქონლის ძვალი (ინვ. № 1197). სათავსო 4, II ნაკვ.-ის 4-A კვ-ის ცენტრალურ ნაწილში, 0,5 მ სიღრმეზე კედლის პირთან (სურ. 4-274,4).

1275. საქონლის კბილი (ინვ. № 1198), სათავსო 4, II ნაკვ.-ის 4-A კვ-ის ცენტრალურ ნაწილში. 0,5 მ სიღრმეზე კედლის პირთან (სურ. 4-274,6).

1276. საქონლის კბილი (ინვ. № 1199), სათავსო 4, II ნაკვ.-ის 4-A კვ-ის ცენტრალურ ნაწილში, 0,5 მ სიღრმეზე კედლის პირთან (სურ. 4-274,5).

1277. საჭრელი კბილი (ცხენის) (ინვ. № 1200). სათავსო 4, II ნაკვ.-ის 4-A კვ-ის ცენტრალურ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე კედლის პირთან (სურ. 4-274,3).



სურ. 4-273. სახლი 4. ძროხის ძვლები (1. ინვ. № 1190; 2. ინვ. № 1196)

1278. საჭრელი კბილი (ცხენის) (ინვ. № 1201). სათავსო 4, II ნაკვ.-ის 4-A კვ-ის ცენტრალურ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე კედლის პირიდან (სურ. 4-274,2).

1279. საჭრელი კბილი (ცხენის) (ინვ. № 1202). სათავსო 4, II ნაკვ.-ის 4-A კვ-ის ცენტრალურ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე კედლის პირიდან (სურ. 4-274,1).

1280. საქონლის ძვლების ფრაგმენტები (ინვ. № 1203). სათავსო 4, II ნაკვ.-ის 4-A კვ-ის ცენტრალურ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე კედლის პირთან.

1281. ცხენის საჭრელი კბილი (ინვ. № 1204), სათავსო 4.

1282. ძროხის ორი I ფალანგი (ინვ. № 1205), სათავსო 4.

1283. ცხენის ან თხის კბილი (ინვ. № 1206), სათავსო 4.

1284. საქონლის ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 1207), სათავსო 4.

1285. ძროხის ქვედა კბილი (ინვ. № 1208), სათავსო 4. I ნაკვ. 3-ე კვ-ის ცენტრალურ ნაწილში.

1286. ცხვრის I ფალანგა (ინვ. № 1209), სათავსო 4. I ნაკვ. 3-ე კვ-ის ცენტრალურ ნაწილში.

1287. საქონლის ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 1210), სათავსო 4. I ნაკვ. 3-ე კვ-ის ცენტრალურ ნაწილში.



სურ. 4-274. სახლი 4. ცხენის, წვრილ და მსხვილფეხა საქონლის კბილები (1. ინვ. № 1202; 2. ინვ. № 1201; 3. ინვ. № 1200; 4. ინვ. № 1197; 5. ინვ. № 1199; 6. ინვ. № 1198; 7. ინვ. № 1193; 8. ინვ. № 1188).

1288. ძროხის კბილი (ინვ. № 1208), 2 ც., სათავსო 4.

1289. ცხვრის ან თხის ქვედა ყბის ფრაგმენტი (ინვ. № 1212), სათავსო 4.

1290. ცხვრის I ფალანგი (ინვ. № 1213), სათავსო 4.

1291. საქონლის ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 1214), სათავსო 4.

1292. ძროხის ქვედა კბილი (ინვ. № 1215), სათავსო 4. I ნაკვეთის 3-ე კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე.

1293. ცხენის მაჯის ძვალი (ინვ. № 1216), სათავსო 4. I ნაკვეთის 3-ე კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე.

1294. საქონლის ძვლის ფრაგმენტი (ინვ. № 1217), სათავსო 4. I ნაკვეთის 3-ე კვ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე.

1295. ცხვრის ან თხის ქვედა ყბის ფრაგმენტი (ინვ. № 1218), სათავსო 4. I ნაკვეთის 3-ე კვ-ის სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე.

1296. ცხვრის ან თხის ზედა კბილი (ინვ. № 1219), სათავსო 4. I ნაკვეთის 3-ე კვ-ის სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე.

1297. ცხვრის ან თხის ზედა კბილი (ინვ. № 1220), სათავსო 4. I ნაკვეთის 3-C კვ-ის სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე.
1298. ცხვრის ან თხის ზედა კბილი (ინვ. № 1221), სათავსო 4. I ნაკვეთის 3-C კვ-ის სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე.
1299. ცხვრის ან თხის სარძევე კბილი (ინვ. №1222), სათავსო 4. I ნაკვეთის 3-C კვ-ის სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე.
1300. ძროხის კბილი (ინვ. № 1223), სათავსო 4. I ნაკვეთის 3-C კვ-ის სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე.
1301. ძროხის კბილი (ინვ. № 1224), სათავსო 4. I ნაკვეთის 3-C კვ-ის სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე.
1302. ძროხის სარძევე კბილი (ინვ. № 1225), სათავსო 4. I ნაკვეთის 3-C კვ-ის სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე.
1303. მეორე ფალანგა (ძროხის) (ინვ. № 1226), სათავსო 4. I ნაკვეთის 3-C კვ-ის სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე.
1304. მეტარტაზალური ძვლის ფრაგმენტი (ინვ. № 1227), სათავსო 4. I ნაკვეთის 3-C კვ-ის სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე.
1305. საქონლის ძვლის ფრაგმენტი (ინვ. № 1228), სათავსო 4. I ნაკვეთის 3-C კვ-ის სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე.
1306. ძროხის კბილი (ინვ. № 1229), 5 ც., სათავსო 4, აღმოჩნდა ზედაპირულ ფენაში.
1307. ცხვრის ან თხის სარძევე კბილი (ინვ. № 1230), 2 ც., სათავსო 4, აღმოჩნდა ზედაპირულ ფენაში.
1308. ცხვრის ან თხის სხივის ძვალი (ინვ. № 1231), 5 ც., სათავსო 4, აღმოჩნდა ზედაპირულ ფენაში.
1309. საქონლის ძვლების ფრაგმენტები (ინვ. № 1232), სათავსო 4, ზედაპირზე აკრეფილი.
1310. ძროხის მარჯვენა ზედა ყბა (ინვ. № 1233), სათავსო 4, II ნაკვ. 3-B კვადრატის დასავლეთ ნაწილში, 0,5 მ სიღრმეზე.
1311. ძროხის კოჭი (ინვ. № 1234), სათავსო 4, II ნაკვ. 3-B კვადრატის დასავლეთ ნაწილში, 0,5 მ სიღრმეზე (სურ. 4-269,3).
1312. ბატკნის ან ციკნის კოჭი (ინვ. № 1235), სათავსო 4, II ნაკვ. 3-B კვადრატის დასავლეთ ნაწილში, 0,5 მ სიღრმეზე.
1313. ბატკნის ან ციკნის კოჭი (ინვ. № 1236), სათავსო 4, II ნაკვ. 3-B კვადრატის დასავლეთ ნაწილში, 0,5 მ სიღრმეზე (სურ. 4-271,4).
1314. ცხენის საჭრელი კბილის ფრაგმენტი (ინვ. № 1237), სათავსო 4, II ნაკვ. 3-B კვადრატის დასავლეთ ნაწილში, 0,5 მ სიღრმეზე.
1315. საქონლის ძვლების ფრაგმენტი (ინვ. № 1234), სათავსო 4, II ნაკვ. 3-B კვადრატის დასავლეთ ნაწილში, 0,5 მ სიღრმეზე.
1316. ძროხის რქა (ინვ. № 1239), სათავსო 4, II ნაკვ. 3-A კვადრატის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-270,1).
1317. ცხვრის ან თხის მხრის ძვლის ქვედა ბოლო (ინვ. № 1240), სათავსო 4, II ნაკვ. 3-A კვადრატის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (სურ. 4-271,3).
1318. ცხვრის ან თხის პირველი ფალანგა (ინვ. № 1241), სათავსო 4, II ნაკვ. 3-A კვადრატის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.
1319. ძროხის იზოლირებული კბილი (ინვ. № 1242), სათავსო 4, II ნაკვ. 3-A კვადრატის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე.

1320. ცხვრის ან თხის თავის ქალის ფრაგმენტი (ინვ. № 1243), სათავსო 4, II ნაკვ. 3-A კვადრატის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის ღონეზე.

1321. საქონლის ძვლების ფრაგმენტები (ინვ. № 1244), სათავსო 4, 3-A კვადრატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის ღონეზე.

1322. ძროხის (ინვ. № 1245), ძვალი, სათავსო 4, 3-H კვადრატის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში.

1323. ძროხის კბილი (ინვ. № 1246), ძვალი, სათავსო 4, 3-H კვადრატის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში.

1324. საქონლის ძვლის ფრაგმენტი (ინვ. № 1247), სათავსო 4, 3-H კვადრატის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში.



სურ. 4-275. სახლი 4. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. № 1251; 2. ინვ. № 1262).

1325. ჭურჭლის ყურ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1251), თიხის, შავად გამომწვარი, თიხა შეიცავს მინარეგებს, მიძერწილი აქვს ბრტყელგანივკვეთიანი ყური, კეცის სისქე - 0,9 სმ, სათავსო 4, I ნაკვ. 3-d კვ. სამხ. ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან (სურ. 4-275,1; ტაბ. 4-XCV,7).

1326. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1252), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა შეიცავს ოხსიდიანის მინარეგებს, მრგვალი ბაკო, გადაშლილი პირი, ხელითაა ნაძერწი. კეცის სისქე - 0,9 სმ, სათავსო 4, I ნაკვ. 3-D კვ. სამხ. ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან (ტაბ. 4-XCIV,7).

1327. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 1253), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარეგებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი სწორი, კეცის სისქე - 0,9 სმ, სათავსო 4, I ნაკვ. 3-A კვ. სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან (ტაბ. 4-LXXXVII,3).

1328. ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1254), თიხის, მოშავად გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო ბრტყელი აქვს, დაქანებული-ჩაღარული, პირი სწორი, მხარი შეზნექილი, კეცის სისქე - 0,5 სმ, სათავსო 4, I ნაკვ. 3-A კვ. სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან (ტაბ. 4-LXXXVII,4).

1329. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 1255), თიხის, მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირი ნაპირალები აქვს, შემკულია ჩაღარული ვერტიკალური და ურთიერთგადამკვეთი ხაზებით, სისქე - 0,5 სმ, I ნაკვ. 3-A კვ. სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან (ტაბ. 4-LXXXVII,5).



სურ. 4-276. სახლი 4. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. № 1261; 2. ინვ. № 1264; 3. ინვ. № 1268; 4. ინვ. № 1256; 5. ინვ. № 1263; 6. ინვ. № 1265).

1330. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1256), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილმარცვლოვან მინარევებს შეიცავს, ზედაპირი შემკულია ნაღარი წრიული სარტყელითა და ირიბი ნაჭდევებით, კეცის სისქე - 0,9 სმ, სათავსო 4, I ნაკვ. 3-A კვ. სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან (სურ. 4-276,4; ტაბ. 4-LXXXVII,9).

1331. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1257), 2 ც., თიხის, შავი ნაპირალები ზედაპირით, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, კეცის სისქე - 0,5 სმ, სათავსო 4, I ნაკვ. 3-A კვ. სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან.

1332. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 1258), თიხის, შავად გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელითაა ნაძერწი, კეცის სისქე - 1,4 სმ, სათავსო 4, I ნაკვ. 3-A კვ. სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან (ტაბ. 4-LXXXVII,5).

1333. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 1259), თიხის, შავად გამომწვარი, ზედაპირი ნაპრიალებია, აქვს ღრუქუსლიანი ძირი, დმ - 5,7 სმ; კეცის სისქე - 0,6 სმ. სათავსო 4, I ნაკვ. 3-A კვ. სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან (ტაბ. 4-LXXXVII,6).

1334. ჭურჭლის ძირი (ინვ. № 1260), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, დმ - 10,5 სმ; კეცის სისქე - 0,9 სმ. სათავსო 4, I ნაკვ. 3-d კვ. სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან (ტაბ. 4-XCV,4).

1335. ტაფისებრი? ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 1261), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ ნატეხებს შეიცავს, კეცის სისქე - 1,1 სმ. სათავსო 4, I ნაკვ. 3-d კვ. სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან (სურ. 4-276,1; ტაბ. 4-XCV,8).

1336. ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1262), თიხის, მოჩაღისფრო, ალაგ შავი ლაქებით, თიხა მსხვილმარცვლოვან მინარევებს შეიცავს, ხელითაა ნაძერწი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი, შეზნექილი, მხარი მკვეთრად დაქანებული, განიგკვეთში ოვალური ყურის ერთი ბოლო მხარზე, ხოლო მეორე ბოლო უშუალოდ პირზე ქონდა დაძერწილი, კეცის სისქე - 1,1 სმ. სათავსო 4, I ნაკვ. 3-d კვ. სამხრეთ ნაწილში 0,5 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან (სურ. 4-275,2; ტაბ. 4-XCV,9).

1337. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1263), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი, მხარი დაქანებული, კეცის სისქე - 0,9 სმ. სათავსო 4, I ნაკვ. 0,2-0,3 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან (სურ. 4-276,5; ტაბ. 4-C,2).

1338. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1264), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი, მხარი გადგმული, კეცის სისქე - 0,7 სმ. სათავსო 4, I ნაკვ. 0,2-0,3 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან (სურ. 4-276,2; ტაბ. 4-C,3).

1339. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1265), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაკო დაბრტყელებული აქვს, პირი სწორი, მხარი მრგვალწიბოიანი, კეცის სისქე - 0,5 სმ. სათავსო 4, I ნაკვ. 0,2-0,3 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან (სურ. 4-276,6; ტაბ. 4-C,1).

1340. ჭურჭლის პირის ფრაგმენტები (ინვ. № 1266), თიხის, შავად გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, სწორპირიანი, ერთ ნატეხს აქვს ნახვრეტი, კეცის სისქე - 0,7 სმ. სათავსო 4, I ნაკვ. აკრეფილია სათავსოს მთელ ტერიტორიაზე 0,2-0,3 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან (ტაბ. 4-C,4).

1341. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 1267), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირზე ფრჩხილისებური ღარია დატანილი, კეცის სისქე - 0,9 სმ. სათავსო 4, I ნაკვ. აკრეფილია სათავსოს მთელ ტერიტორიაზე 0,2-0,3 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან.

1342. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 1268), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირს ნაღარი წრიული სარტყლები შემოუყვება, კეცის სისქე - 0,6 სმ. სათავსო 4, I ნაკვ. აკრეფილია სათავსოს მთელ ტერიტორიაზე 0,2-0,3 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან (სურ. 4-276,3; ტაბ. 4-C,5).

1343. ტაფისებური ჭურჭლის მხრისა და ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 1269), თიხის, შავად გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირს ნაღარი წრიული სარტყლები შემოუყვება, კეცის სისქე - 0,6 სმ. სათავსო 4, I ნაკვ.

აკრეფილია სათავსოს მთელ ტერიტორიაზე 0,2-0,3 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან.

1344. ჭურჭლის (ქოთნის?) გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1270), თიხის, მოვარდისფრო-მოშავოდ (არათანაბრად) გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ მინარევებს შეიცავს, (ხელითაა ნაძერწი), კეცის სისქე - 1,5 სმ. სათავსო 4, I ნაკვ. აკრეფილია სათავსოს მთელ ტერიტორიაზე 0,2-0,3 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან.

1345. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 1271), თიხის, შავად გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, კეცის სისქე - 0,9 სმ. სათავსო 4, I ნაკვ. აკრეფილია სათავსოს მთელ ტერიტორიაზე 0,2-0,3 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან.

1346. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1272), 3 ნატეხი, თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, კეცის სისქე 0,9 სმ. სათავსო 4, აკრეფილია ზედაპირზე 0,2-0,3 მ სიღრმეზე, კედლის ზედაპირიდან.

ორმო № 1

მდებარეობს II ნაკვეთის 4 A კვადრატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. გაითხარა ორმოს ერთი, სამხრეთი ნაწილი (სურ. 4-245; ტაბ. 4-LXXXIV, LXXXV, LXXXVI). პირის დიამეტრი 1,0 მ უნდა იყოს. ორმო ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება. ამოსუფთავდა 0,75 მ სიღრმეზე.

ორმოში აღმოჩნდა:

1347. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1248), თიხის, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, ბაკომომრგვალებული, კეცის სისქე - 0,5 სმ (ტაბ. 4-XCVII,10).

ორმო № 2

გამოვლინდა I ნაკვეთის 3 F და 4 D კვადრატების საზღვარზე. პირის და ძირის დიამეტრი 0,7 მ-ია, სიღრმე 0,6 მ. ჩაკვეთილი აქვს იატაკი (ტაბ. 4-LXXXIV, LXXXV, LXXXVI).

შევესებული იყო შავი მიწით.

ორმოში აღმოჩნდა:

1348. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 1249), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს, კეცის სისქე - 0,5 სმ.

1349. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. №1250), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს, კეცის სისქე - 0,8 სმ.



**სურ. 276ა. ჯინისის ნამოსახლარის საერთო ხედი
გათხრების დასრულების შემდეგ**

№4 სახლში, სხვადასხვა კვადრატებში, აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტები ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებისას ერთი თიხის ჭურჭლის შემადგენელ ნაწილებად დაფიქსირდა.

ასეთებია:

1. ინვ. № 1117, რომელიც აღდგა I ნაკვეთის 3 F და 3 I კვადრატების საზღვარზე, 0,3 მ სიღრმეზე (საველე № 4), II ნაკვეთის 4 A კვადრატის ცენტრალურ ნაწილში, 0,4-0,6 მ სიღრმეზე (საველე № 6), I ნაკვეთის 3 D კვადრატის ჩრდილოეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (საველე № 22) და ამავე კვადრატის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე დაფიქსირებული (საველე № 24) ნატეხებით.
2. ინვ. № 1109 აღდგენილია I ნაკვეთის 3 F და 3 I კვადრატების საზღვარზე, 0,3 მ სიღრმეზე (საველე № 4) და I ნაკვეთის 3 D კვადრატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (საველე № 20) აღმოჩენილი ფრაგმენტებით.
3. ინვ. № 1075 აღდგენილია I ნაკვეთის 3 D კვადრატის სამხრეთ ნაწილში (საველე № 7) და ამავე ნაკვეთის 3 E კვადრატის აღმოსავლეთ ნაწილში (საველე № 9), 0,3-0,4 მ სიღრმეზე აღმოჩენილი ნატეხებით.
4. ინვ. № 1042 აღდგა II ნაკვეთის 4 G კვადრატის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (საველე № 3) და I ნაკვეთის 3 E კვადრატის ჩრდილოეთ ნაწილში (საველე № 14), 0,3-0,4 მ სიღრმეზე აღმოჩენილი ნატეხებით.

5. ინგ. № 1142 აღდგენილია I ნაკვეთის 3 E კვადრატის ჩრდილოეთ ნაწილში, 0,3-0,4 მ სიღრმეზე (საველე № 14) და II ნაკვეთის 4 G კვადრატის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, იატაკის დონეზე (საველე № 32) ფრაგმენტებით.

სახლი №5

მდებარეობს I ნაკვეთის 1 და 2 კვადრატებში (სურ. 4-277; ტაბ. 4-VII, CIII, CIC). სახელწოდება პირობითია. „ტოპ-სოილის“ დონეზე, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 0,3 მ სიღრმეზე, ნამოსახლარის ამ მონაკვეთში ქვების უსისტემო ყრილი დაფიქსირდა. ქვაყრილი ფარავდა 6,0 X 4,0 მ ფართობს. მას მიეწინა სახლების რიგითი ნომერი და ასევე შევიდა სააღრიცხვო დოკუმენტაციაში (სურ. 4-278, 279, 280).



სურ. 4-277. სახლი 5. თხრის I ეტაპი. გამოვლენილია ქვაყრილი. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.



სურ. 4-278. სახლი 5. თხრის II ეტაპი. ქვყყრილის გაცყმენდა.
ხელი სამხრეთიდან.



სურ. 4-279. სახლი 5. ქვყყრილის ალების შუმდეგ გამოვლენილი სამეყრნეო ორმოები.
ხელი ჩრდილოეთიდან.

ქვაყრილის პრეპარაციის შედეგად სახლის კედლები არ დაფიქსირებულა. ყრილის ალების შემდეგ გაირკვა, რომ იგი ფარავდა ოთხ სამეურნეო ორმოს (სურ. 4-281).

ორმოები მიჯრით, ორ რიგადაა გამართული. ზოგიერთი ორმოს პირები იმდენად ახლოს მდებარეობდა, რომ კედლების სისქე ზედა ნაწილში 0,25 მ-ს არ აღემატებოდა. ისინი ქვაყრილის სიმძიმის გამო დეფორმირებული იყო და ამოსუფთავებისას მათი ნაწილი ჩაიშალა (სურ. 4-281; ტაბ. CIII, CIV).



სურ. 4-280. სახლი 5. ქვაყრილის ალების შემდეგ გამოვლენილი სამეურნეო ორმოები. ხედი სამხრეთიდან.



სურ. 4-281. სახლი 5. ქვყყრლის აღების შუმდეგ გამოვლენილი სამეურნეო ორმოები. ხელი სამხრეთიდან.



სურ. 4-282. სახლი 5. სამეურნეო ორმოები №1, 2, 3 და 4. ხელი სამხრეთიდან.

№ 5 სახლის თხრისას ზედაპირულად აღმოჩნდა:

1350. კვარცის ნატეხი (ინვ. № 1), ნაკვ. I, კვადრატი 2. აღმოჩნდა თანამედროვე ზედაპირიდან 0,4-0,5 მ სიღრმეზე, ტოპ-სოილის დონეზე.

1351. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 2), მოყავსფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილმინარევებიანია. კეცის სისქე - 0,6 სმ. ნაკვ. I, კვადრატი 2-ის ჩრდილოეთ ნაწილში. თანამედროვე ზედაპირიდან 0,4-0,5 მ სიღრმეზე, ტოპ-სოილის დონეზე.

1352. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 3), მოჩაღისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი (შიდაპირი ყავისფერი აქვს, გარეთა პირი მოჩაღისფრო), ხელითაა ნაძერწი. კეცის სისქე - 0,8 სმ. ნაკვ. I, კვადრატი 2. 0,4-0,5 მ სიღრმეზე, ტოპ-სოილის დონეზე.



სურ. 4-283. სახლი 5. ობსიდიანის იარაღი (ინვ. №1362)

1353. ანატაკეცი ობსიდიანის (ინვ. № 4), საშუალო ზომის. ზედა კიდეზე, ზურგიდან წვრილი დამაბლაგვებელი რეტუშით. ნაკვ. I, კვადრატი 2. 0,4-0,5 მ სიღრმეზე, ტოპ-სოილის დონეზე (ტაბ. 4-CXII,1).

1354. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. №37), მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, კეცის სისქე - 0,9 სმ. ნაკვ. I კვადრ. 2. აღმოჩნდა თანამედროვე ზედაპირიდან 0,4-0,5 მ სიღრმეზე, ტოპ-სოილის დონეზე, ქვაყრილში.

1355. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 1358), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თხა ობსიდიანის წვრილ ნატეხებს შეიცავს, ბაკო მრგვალია, პირი გადამლილი, ყელი შეზნექილი, კეცის სისქე - 1,0 სმ., სათავსო 5, ნაკვ. I. აღმოჩნდა ზედაპირული ფენის გაწმენდისას (ტაბ. 4-CX,1).

1356. ანატაკეცი (ინვ. № 1359), ობსიდიანის, სათავსო 5, აკრეფილია ზედაპირიდან.

1357. მცირე ზომის ნუკლეუსი (ინვ. №1360), ობსიდიანის, ამორფული, სათავსო 5, აკრეფილია ზედაპირიდან.

1358. ანატკეცი (ინვ. № 1361), 2 ც., ობსიდიანის, დაუმუშავებელი, სათავსო 5, აკრეფილია ზედაპირიდან.

1359. ანატკეცი (ინვ. № 1362), ობსიდიანის, რეტუშირებული, მცირე ზომის, აქვს მსხვილი დამაბლაგვებელი რეტუში ერთი კიდის გასწვრივ, ზურგის მხრიდან და რეტუშირებული ფოსო მუცლის მხრიდან. სათავსო 5, ზედაპირული ფენიდან (სურ. 4-283; ტაბ. 4-CXI,3).



სურ. 4-284. სახლი 5. ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები
(1. ინვ. №1363; 2. ინვ. №1331).

1360. ანატკეცი (ინვ. № 1363), ობსიდიანის, დიდი ზომის, აქვს ნახევრადციცაბო რეტუში ზურგის მხრიდან, სათავსო 5, ზედაპირული ფენიდან (სურ. 4-284,1; ტაბ. CXI,4).

1361. ლამელა (ინვ. № 1364), ობსიდიანის, რეტუშირებული, აქვს წვრილი დამაბლაგვებელი რეტუში ზურგის მხრიდან, სათავსო 5, ქვაყრილში (სურ. 4-28; ტაბ. 4-CXI,2).



სურ. 4-285. სახლი 5. ლამელა
(ინვ. № 1364).

1362. ანატკეცი (ინვ. № 1365), ობსიდიანის, რეტუშირებული, საშუალო ზომის, ზურგის მხრიდან აქვს ნაწილობრივი წვრილი დამაბლაგვებელი რეტუში, სათავსო 5, ქვაყრილში .

1363. ანატკეცები (ინვ. № 1366), ობსიდიანის, დაუმუშავებელი, სათავსო 5, ქვაყრილში.



სურ. 4-286. სახლი 5. ცხენის კოჭის ძვალი (ინვ. №1293, 1294).

1364. ცხენის კოჭის ძვალი (ინვ. № 1293), სათავსო 5, ნაკვ. I, ქვაყრილში (სურ. 4-286; ტაბ. 4-CX,2).

1365. ცხენის ქუსლის ძვალი (ინვ. № 1294), სათავსო 5, ნაკვ. I, ქვაყრილში (სურ. 4-286; ტაბ. 4-CX,2).

1366. ძროხის ქვედა ყბის ფრაგმენტი (ინვ. № 1295), სათავსო 5, ნაკვ. I, ქვაყრილში.



სურ. 4-287. სახლი 5. ძროხის კოჭი (ინვ. №1296).

1367. ძროხის კოჭის ძვალი (ინვ. № 1296), სათავსო 5, ნაკვ. I, ქვაყრილში (სურ. 4-287).

1368. ძროხის II კისრის მალას ფრაგმენტი (ინვ. № 1297), სათავსო 5, ნაკვ. I, ქვაყრილში.

1369. ძროხის I ფალანგის ფრაგმენტი (ინვ. № 1298), სათავსო 5, ნაკვ. I, ქვაყრილში.

1370. ცხვრის ან თხის იზოლირებული ზედა კბილი (ინვ. № 1299), სათავსო 5, ნაკვ. I, ქვაყრილში.

1371. ცხვრის ან თხის ქვედა ყბა (ინვ. № 1300), სათავსო 5, ნაკვ. I, ქვაყრილში (სურ. 288,1).



სურ. 4-288. სახლი 5. წვრილფეხა საქონლის ყბების ფრაგმენტები (1. ინვ. №1300; 2. ინვ. №1302; 3. ინვ. №1301).

1372. ცხვრის ან თხის ზედა ყბა (ინვ. № 1301), სათავსო 5, ნაკვ. I, ქვაყრილში (სურ. 4-288,3).

1373. ცხვრის ან თხის ზედა ყბის ფრაგმენტი (კბილებითურთ) (ინვ. № 1302), სათავსო 5, ნაკვ. I, ქვაყრილის დონეზე (სურ. 4-288,2).

1374. ცხვრის რქის ფრაგმენტი (ინვ. № 1303), სათავსო 5, ნაკვ. I, ქვაყრილში.

1375. საქონლის ძვლის ფრაგმენტები (ინვ. №1304), სათავსო 5, ნაკვ. I, ქვაყრილში.

ორმო № 1

მდებარეობს I ნაკვეთის 1 C და 1 F კვადრატების საზღვარზე (სურ. 4-281, 282, 289; ტაბ. CIII, CIV). მისი კედლები, რომლებიც № 3 და № 4 ორმოებისაკენ არის მიქცეული, შეეუღლია, ხოლო ჩრდილო-დასავლეთი კედელი ძირისაკენ ფართოვდება. № 3 ორმოსთან საერთო კედლის სისქე 0,25 მ-ია, № 1 ორმოსა და № 4 ორმოს პირებს შორის მანძილი 1,0 მ-ია, ძირები 0,65 მ-ითაა დაცილებული.

პირის დიამეტრი 1,0 მ-ია, ძირისა 1,25 მ, სიმაღლე 1,55 მ-ს უდრის. შევსებული იყო შავი მიწით.



სურ. 4-289. სახლი 5. სამეურნეო ორმო № 1. ხედი დასავლეთიდან.

ორმოში აღმოჩნდა:



სურ. 4-290. სახლი 5. ქოთანი (ინვ. № 1273).

1376. ქოთანი (ინვ. № 1273), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, შავი ლაქებით, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ბაგო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი-შეზნექილი, მუცელი გამობერილი, ძირი ფართოდ ბარტყელებული, სიმაღლე - 25, 5 სმ; პირის დმ - 21, 5 სმ. (სურ. 290; ტაბ. CV,1)



სურ. 4-291. სახლი 5. თიხის ჭურჭლი (ინვ. № 1274).

1377. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1274), თიხის, -შავად გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ ნატეხებს შეიცავს, ტანი გამოყვანილი აქვს, ძირი ბრტყელი, ხელითაა ნაძერწი, კეცის სისქე - 1,2 სმ (სურ. 291; ტაბ. 4-CVI,1).

1378. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1275), თიხის, -მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, კეცის სისქე - 0,9 სმ (ტაბ. 4-CVI,4).

1379. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1276), თიხის, -მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა მსხვილმინარევებს შეიცავს, ხელითაა ნაძერწი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი სწორი. კეცის სისქე - 0,9 სმ (ტაბ. 4-CV,7).

1380. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1277), თიხის, შავად გამომწვარი, თიხა მინარევებიანია, შემკულია ორი ჩალარული და ფრჩხილისებური ორნამენტით, კეცის სისქე - 0,7 სმ (ტაბ. 4-CV,8).



სურ. 4-292. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. № 1278; 2. ინვ. № 1279; 3. ინვ. № 1283; 4. ინვ. № 1281).

1381. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1278), თიხის, შავად ნაპრიალები, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, შემკულია ფრჩხილისებრი ორნამენტით, კეცის სისქე - 0,6 სმ (სურ. 292,1; ტაბ. 4-CVI,5).

1382. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1279), თიხის, შავად ნაპრიალები, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, შემკულია ნალარი ხაზებით, კეცის სისქე - 0,4 სმ (სურ. 292,2; ტაბ. 4-CVI,8).

1383. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 1280), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, შემკულია ფრჩხილისებრი ორნამენტით, კეცის სისქე - 0,9 სმ (ტაბ. 4-CVI,6).

1384. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1281), თიხის, მოშავად გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ძირი ბრტყელია, ქუსლგამოყვანილი, რომელსაც კიდებზე ირიბი ნაჭდევეები შემოუყვება, კეცის სისქე - 0,4 სმ (სურ. 292,4; ტაბ. 4-CVI,2).

1385. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1282), თიხის, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელითაა ნაძერწი, ბაკო დარბეყელებული აქვს, პირი სწორი, კალთა მომრგვალებული, პირზე შეერილია მიძერწილი, კეცის სისქე - 0,8 სმ., 1 მ სიღრმეზე (ტაბ. 4-CV,4).

1386. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1283), თიხის, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირ ნაპრიალებია, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, შემკულია შავად ნაპირალები ზოლებითა და ერთი ნაკაწრი ხაზით, კეცის სისქე - 0,6 სმ (სურ. 4-292,3).



სურ. 4-293. სახლი 5. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 1282).

1387. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1284), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, ნაპრიალებია, თიხა შეიცავს წვრილ მინარევებს, ზედ მკრათალი ნაპრიალები ზოლები ემჩნევა, კეცის სისქე - 0,9 სმ. 1,3-1,4 მ სიღრმეზე.

1388. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1285), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ხელითაა ნაძერწი, თიხა მსხვილმარცვლოვან მინარევებს შეიცავს, კეცის სისქე - 1,4 სმ. ორმო №1, 1,3-1,4 მ სიღრმეზე (ტაბ. CVI,3).

1389. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 1286), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, ხელითაა ნაძერწი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, კეცის სისქე - 0,6 სმ. სათავსო 5, ორმო №1, 1,3-1,4 მ სიღრმეზე.

1390. ძროხის საჭრელი კბილი (ინვ. № 1287), სათავსო 5, ორმო №1, 1,4 მ სიღრმეზე.

1391. ძროხის კისრის II მალა (ინვ. № 1288), სათავსო 5, ორმო №1, 1,4 მ სიღრმეზე.

1392. ცხვრის ან თხის ზედა ყბა (ინვ. №1289), სათავსო 5, ორმო №1, 1,0-1,4 მ სიღრმეზე.

1393. ცხვრის ან თხის ზედა კბილი (ინვ. № 1290), (3 ც.), სათავსო 5, ორმო №1, 1,0-1,4 მ სიღრმეზე.

1394. ცხვრის ან თხის II ფალანგა (ინვ. № 1291), სათავსო 5, ორმო №1, 1,0-1,4 მ სიღრმეზე.

1395. საქონლის ძვლის ფრაგმენტები (ინვ. № 1292), სათავსო 5, ორმო №1, 1,0-1,4 მ სიღრმეზე.

1396. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 1367), თიხის, შავად გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები, თიხა წვრილმარცვლოვან მინარევებს შეიცავს, ბაკომომრგვალებული, პირგადაშლილი, ყელზე შემოუყვება მკრთალი ჩაღარული სარტყლები. კეცის სისქე - 0,7 სმ (სურ. 294,2; ტაბ. 4-CV,3).



სურ. 4-294. სახლი 5. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. № 1369; 2. ინვ. № 1367; 3. ინვ. № 1268).

1397. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1368), თიხის, შავზედაპირიანი, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა მსხვილმარცვლოვანია, შემკულია ნაპრიალები სარტყლებით. კეცის სისქე - 0,6 სმ (სურ. 4-294,3).

1398. ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 1369), თიხის, შავად გამომწვარი, ნაპრიალები. თიხა განლეჟილია. შემკულია ფართო ჩაღარული სარტყლებით. კეცის სისქე - 0,8 სმ (სურ. 4-294,1; ტაბ. 4-CVI,7).

1399. ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1370), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა მინარევებიანია. ბაკო დაბრტყელებული, სწორპირიანი, გვერდი ჩალარული, კალთა მომრგვალებული. კეცის სისქე - 0,8 სმ (სურ. 4-295,1; ტაბ. 4-CV,6)



სურ. 4-295. სახლი 5. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. № 1370; 2. ინვ. № 1372; 3. ინვ. № 1371).

1400. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1371), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, ხელით უხეშად ნაძერწი, თიხა მინარევებს შეიცავს, ბაკო მომრგვალებული, სწორპირიანი, კალთა მომრგვალებული. კეცის სისქე - 1,3 სმ (სურ. 4-295,3; ტაბ. 4-CV,5).

1401. კოჭბის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1372), თიხის, ღია მოყავისფროდ გამომწვარი, უხეშად ხელით ნაძერწი. თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, მრგვალბაკოიანი, პირ-გადაშლილი, დაბალყელიანი, მრგვალმუცლიანი. კეცის სისქე - 0,6 სმ (სურ. 4-295,2; ტაბ. 4-CV,2).

1402. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1373), თიხის, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს, ზედაპირი შემკულია შავად ნაპრიალები ვერტიკალური ხაზებით. კეცის სისქე - 0,6 სმ.

1403. ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 1374), თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, ხელითაა ნაძერწი, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს. კეცის სისქე - 0,8 სმ.

მდებარეობს I ნაკვეთის 1 F, 1 I და 2 D, 2 G კვადრატების საზღვარზე (სურ. 4-281; ტაბ. 4-CIII, CIV).

ორმოს ჩრდილოეთი კედელი შეეუღლია, სამხრეთისა კი ძირისაკენ თანდათან ფართოვდება. პირის დიამეტრი 0,75 მ-ია, ძირისა 1,22 მ, სიმაღლე 1,25 მ-ს უდრის. № 2 ორმოსა და № 4 ორმოს გამყოფი კედლის სისქე 0,35 მ-ია. № 3 ორმოსთან კი – ქვედა ნაწილში 0,4 მ-ს, პირთან 0,75 მ-ს უდრის. შევსებული იყო შავი მიწით.

ორმოში აღმოჩნდა:



სურ. 4-296. ქოთანი (ინვ. № 1305).

1404. ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 1305), თიხის, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, (ხელითაა ნაძერწი), თიხა წვრილ მინარევეს შეიცავს, ბაკო მრგვალი აქვს, პირი გადაშლილი, ყელი დაბალი, მუცელი სფერული, მხარს ირიბნაჭდეებიანი სარტყელი შემოუყვება, კეცის სისქე - 0,7 სმ (სურ. 296,1; ტაბ. CVII,1).


1405. ქოთნის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 1306), თიხის, შავად გამომწვარი, ზადაპირნაპირალები, თიხა წვრილ მინარევეს შეიცავს, ხელითაა ნაძერწი, კეცის სისქე - 0,8 სმ.

1406. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 1307), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარევეს შეიცავს, ზედაპირი შემკულია ნალარი სარტყელებით, კეცის სისქე - 0,6 სმ (ტაბ. 4-CVII,8).

1407. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 1308), 3 ნატ., თიხის, შავად გამომწვარი, თიხა მსხვილმარცვლოვან მინარევეს შეიცავს, ხელითაა ნაძერწი, შემკულია მოკლე ნაჭდევი ხაზებით, კეცის სისქე - 1,0 სმ (სურ. 4-297,1; ტაბ. 4-CVII,6,7).

1408. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1309), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა მსხვილმარცვლოვან მინარეგებს შეიცავს, ხელითაა ნაძერწი. კეცის სისქე - 0,1 სმ.

1409. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1310), თიხის, მოშავოდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ მინარეგებს შეიცავს, ხელითაა ნაძერწი, კეცის სისქე - 0,7 სმ.



სურ. 4-297. სახლი 5. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. № 1311; 2. ინვ. № 1316; 3. ინვ. № 1308).

1410. ტაფისებრი ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 1311), თიხის, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, თიხა წვრილ მინარეგებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, აქვს მომრგვალებული დაბალი გვერდი და ბრტყელი ძირი. ორმო 2, აღმოჩნდა 0,3-0,5 მ სიღრმეზე (სურ. 4-297,1; ტაბ. 4-CVII,5).



სურ. 4-298. სახლი 5. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1. ინვ. № 1312; 2. ინვ. № 1313).

1411. ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 1312), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თიხა ობსიდიანის წვრილ მინარევებს შეიცავს, ხელით ნაძერწი, ბაკო მრგვალი აქვს, პირი სწორი, ყელი დაბალი, მხარი გადგმული, კეცის სისქე - 0,1 სმ. I, ორმო 2, აღმოჩნდა 0,3-0,5 მ სიღრმეზე (სურ. 4-298,1; ტაბ. 4-CVII,4).

- ტაბ. 4-LXV. სახლი №3. 1. ინვ. № 666; 2. ინვ. № 700; 3. ინვ. № 636; 4. ინვ. № 638; 5. ინვ. № 725; 6. ინვ. № 722; 7. ინვ. № 701; 8. ინვ. № 627.
- ტაბ. 4-LXVI. სახლი №3. 1. ინვ. № 706; 2. ინვ. № 705; 3. ინვ. № 704; 4. ინვ. № 657; 5. ინვ. № 782; 6. ინვ. № 658; 7. ინვ. № 695.
- ტაბ. 4-LXVII. სახლი №3. 1. ინვ. № 642; 2. ინვ. № 709; 3. ინვ. № 616; 4. ინვ. № 622; 5. ინვ. № 710; 6. ინვ. № 711; 7. ინვ. № 630; 8. ინვ. № 717; 9. ინვ. № 641; 10. ინვ. № 631; 11. ინვ. № 720; 12. ინვ. № 716; 13. ინვ. № 734.
- ტაბ. 4-LXVIII. სახლი №3. 1. ინვ. № 715; 2. ინვ. № 617; 3. ინვ. № 712; 4. ინვ. № 719; 5. ინვ. № 714; 6. ინვ. № 713; 7. ინვ. № 702; 8. ინვ. № 777; 9. ინვ. № 718; 10. ინვ. № 703; 11. ინვ. № 930.
- ტაბ. 4-LXIX. სახლი №3. 1. ინვ. № 780; 2. ინვ. № 781.
- ტაბ. 4-LXX. სახლი №3. 1. ინვ. № 754; 2. ინვ. № 958; 3. ინვ. № 756; 4. ინვ. № 619; 5. ინვ. № 755; 6. ინვ. № 628.

- ტაბ. 4-LXXI. სახლი №3. 1. ინვ. № 783; 2. ინვ. № 776; 3. ინვ. № 779.
- ტაბ. 4-LXXII. სახლი №3. 1. ინვ. № 825; 2. ინვ. № 810; 3. ინვ. № 799; 4. ინვ. № 809; 5. ინვ. № 802.
- ტაბ. 4-LXXIII. სახლი №3. 1. ინვ. № 816; 2. ინვ. № 818; 3. ინვ. № 817; 4. ინვ. № 809.
- ტაბ. 4-LXXIV. სახლი №3. 1. ინვ. № 792; 2. ინვ. № 797; 3. ინვ. № 824; 4. ინვ. № 798; 5. ინვ. № 801.
- ტაბ. 4-LXXV. სახლი №3. ორმო №1: 1. ინვ. № 967; 2. ინვ. № 963; 3. ინვ. № 965; 4. ინვ. № 964; 5. ინვ. № 972; 6. ინვ. № 971; 7. ინვ. № 968; 8. ინვ. № 970; 9. ინვ. № 969; 10. ინვ. № 973; 11. ინვ. № 960; 12. ინვ. № 962.
- ტაბ. 4-LXXVI. სახლი №3. ორმო №2: 1. ინვ. № 986; 2. ინვ. № 984; 3. ინვ. № 985; 4. ინვ. № 984; 5. ინვ. № 997.
- ტაბ. 4-LXXVII. სახლი №3. ორმო №2: 1. ინვ. № 990; 2. ინვ. № 992; 3. ინვ. № 996; 4. ინვ. № 991.
- ტაბ. 4-LXXVIII. სახლი №3. ორმო №2: 1. ინვ. № 993; 2. ინვ. № 987; 3. ინვ. № 988; 4. ინვ. № 989; 5. ინვ. № 995; 6. ინვ. № 994.
- ტაბ. 4-LXXIX. სახლი №3. ორმო №3: 1. ინვ. № 1002; 2. ინვ. № 1003; 3. ინვ. № 1004; 4. ინვ. № 1011; 5. ინვ. № 1010; 6. ინვ. № 1016; 7. ინვ. № 1015; 8. ინვ. № 1012.
- ტაბ. 4-LXXX. სახლი №3. ორმო №4: 1. ინვ. № 1028; 2. ინვ. № 1032; 3. ინვ. № 1033; 4. ინვ. № 1034;
 ორმო №5: 5. ინვ. № 1034ა; 6. ინვ. № 1032ა; 7. ინვ. № 1032ბ.
- ტაბ. 4-LXXXI. სახლი №3. ორმო №6: 1. ინვ. № 1034გ; 2. ინვ. № 1034დ.
- ტაბ. 4-LXXXII. სახლი №3. ორმო №4: 1-3. ხელსაფქვავის ქვები.
- ტაბ. 4-LXXXIII. სახლი №3. ორმო №6: 1,2. ხელსაფქვავის ქვები.
- ტაბ. 4-LXXXIV. სახლი №4. გეგმა
- ტაბ. 4-LXXXV. სახლი №4. ჭრილები.
- ტაბ. 4-LXXXVI. სახლი №4. ორმო № 1, 2. გეგმა და ჭრილები.
- ტაბ. 4-LXXXVII. სახლი №4. 1. ინვ. № 1123; 2. ინვ. № 1124; 3. ინვ. № 1253; 4. ინვ. № 1254; 5. ინვ. № 1258; 6. ინვ. № 1259; 7. ინვ. № 1255; 8. ინვ. № 1125; 9. ინვ. № 1256.
- ტაბ. 4-LXXXVIII. სახლი №4. 1. ინვ. № 1075; 2. ინვ. № 1082; 3. ინვ. № 1133; 4. ინვ. № 1082.
- ტაბ. 4-LXXXIX. სახლი №4. 1. ინვ. № 1076; 2. ინვ. № 1092; 3. ინვ. № 1084; 4. ინვ. № 1074; 5. ინვ. № 1088.
- ტაბ. 4-XC. სახლი №4. 1. ინვ. № 1068; 2. ინვ. № 1115; 3. ინვ. № 1105; 4. ინვ. № 1097; 5. ინვ. № 1100; 6. ინვ. № 1095.
- ტაბ. 4-XCI. სახლი №4. 1. ინვ. № 1102; 2. ინვ. № 1071; 3. ინვ. № 1094; 4. ინვ. № 1093; 5. ინვ. № 1103; 6. ინვ. № 1069; 7. ინვ. № 1114; 8. ინვ. № 1113; 9. ინვ. № 1099; 10. ინვ. № 1098; 11. ინვ. № 1070; 12. ინვ. № 1072.
- ტაბ. 4-XCII. სახლი №4. 1. ინვ. № 1138; 2. ინვ. № 1137; 3. ინვ. № 1139; 4. ინვ. № 1140; 5-9. ინვ. № 1142; 10,11. ინვ. № 1011.
- ტაბ. 4-XCIII. სახლი №4. 1. ინვ. № 1091; 2. ინვ. № 1077; 3. ინვ. № 1079; 4. ინვ. № 1089; 5. ინვ. № 1185; 6. ინვ. № 1127; 7. ინვ. № 1130.

- ტაბ. 4-XCIV. სახლი №4. 1. ინვ. № 1110; 2. ინვ. № 1111; 3. ინვ. № 1112; 4. ინვ. № 1118; 5. ინვ. № 1116; 6. ინვ. № 1117; 7. ინვ. № 1252.
- ტაბ. 4-XCV. სახლი №4. 1. ინვ. № 1086; 2. ინვ. № 1087; 3. ინვ. № 1122; 4. ინვ. № 1260; 5. ინვ. № 1121; 6. ინვ. № 1120; 7. ინვ. № 1251; 8. ინვ. № 1261; 9. ინვ. № 1262.
- ტაბ. 4-XCVI. სახლი №4. 1. ინვ. № 1066; 2. ინვ. № 1064; 3. ინვ. № 1063; 4. ინვ. № 1060; 5. ინვ. № 1052; 6. ინვ. № 1051; 7. ინვ. № 1056; 8. ინვ. № 1055.
- ტაბ. 4-XCVII. სახლი №4. 1. ინვ. № 1045; 2. ინვ. № 1042; 3. ინვ. № 1044; 4. ინვ. № 1048; 5. ინვ. № 1043; 6. ინვ. № 1050; 7,8. ინვ. № 1047; 9. ინვ. № 1041; ორმო №1: 10. ინვ. № 1248.
- ტაბ. 4-XCVIII. სახლი №4. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. № 1156; 2. ინვ. № 1150; 3. ინვ. № 1151; 4. ინვ. № 1152; 5. ინვ. № 1155; 6. ინვ. № 1159.
- ტაბ. 4-XCIX. სახლი №4. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. № 1160; 2. ინვ. № 1157.
- ტაბ. 4-C. სახლი №4. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. № 1265; 2. ინვ. № 1263; 3. ინვ. № 1264; 4. ინვ. № 1266; 5. ინვ. № 1268; 6. ინვ. № 1147.
- ტაბ. 4-CI. სახლი №4. 1. ინვ. № 1167; 2. ინვ. № 1166; 3. ინვ. № 1168; 4. ინვ. № 1173; 5. ინვ. № 1171.
- ტაბ. 4-CII. სახლი №4. 1. ინვ. № 1165; 2. ინვ. № 1161; 3. ინვ. № 1162.
- ტაბ. 4-CIII. სახლი №5. ორმო № 1-4. გეგმა.
- ტაბ. 4-CIV. სახლი №5. ორმო № 1-4. ჭრილები.
- ტაბ. 4-CV. სახლი №5. ორმო № 1: 1. ინვ. № 1273; 2. ინვ. № 1372; 3. ინვ. № 1367; 4. ინვ. № 1282; 5. ინვ. № 1371; 6. ინვ. № 1370; 7. ინვ. № 1276; 8. ინვ. № 1277.
- ტაბ. 4-CVI. სახლი №5. ორმო № 1: 1. ინვ. № 1274; 2. ინვ. № 1281; 3. ინვ. № 1285; 4. ინვ. № 1275; 5. ინვ. № 1278; 6. ინვ. № 1280; 7. ინვ. № 1369; 8. ინვ. № 1279.
- ტაბ. 4-CVII. სახლი №5. ორმო № 2: 1. ინვ. № 1305; 2. ინვ. № 1313; 3. ინვ. № 1315; 4. ინვ. № 1312; 5. ინვ. № 1311; 6,7. ინვ. № 1308; 8. ინვ. № 1307; 9. ინვ. № 1316.
- ტაბ. 4-CVIII. სახლი №5. ორმო № 3: 1. ინვ. № 1325; 2. ინვ. № 1329; 3. 1322; 4. ინვ. № 1326; 5. ინვ. № 1330; 6. ინვ. № 1327; 7. ინვ. № 1324; 8. ინვ. № 1328.
- ტაბ. 4-CIX. სახლი №5. ორმო № 4: 1. ინვ. № 1344; 2. ინვ. № 1340; 3. ინვ. № 1337; 4. ინვ. № 1341; 5. ინვ. № 1343; 6. ინვ. № 1342; 7. ინვ. № 1345; 8. ინვ. № 1338.
- ტაბ. 4-CX. სახლი №5. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. № 1358; 2. ინვ. № 1294.
- ტაბ. 4-CXI. სახლი №5. ორმო № 3: 1. ინვ. № 1331; 2. ინვ. № 1364; 3. ინვ. № 1362; 4. ინვ. № 1363.
- ტაბ. 4-CXII. სახლი №5. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. № 4. სახლი №2. 2. ინვ. № 10; 3. ინვ. № 9; 4. ინვ. № 13.
- ტაბ. 4-CXIII. სახლი №5. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. № 42ა; 2. ინვ. № 42; 3. ინვ. № 42ა; 4. ინვ. № 42გ.

ტაბ. 4-CXIV. სახლი №3. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. № 28; 2. ინვ. № 32; 3-5. ინვ. № 18.

ტაბ. 4-CXV. სახლი №2. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. № 15; 2,3. ინვ. № 20.


სახლი № 3. ზედაპირული მასალა: 4. ინვ. № 26; 5. ინვ. № 5; 6. ინვ. № 24; 7. ინვ. № 31


ტაბ. 4-CXVI. სახლი №4. ზედაპირული მასალა: 1. ინვ. № 35.

სახლი №5. ზედაპირული მასალა: 2. ინვ. № 40; 3. ინვ. № 41.


KP. 136: 4. ინვ. № 47; 5. ინვ. № 43; 6. ინვ. № 46.


ტაბ. 4-CXVII. KP. 136-ის სამხრეთ კიდეებთან: 1. ინვ. № 43ა; 2. ინვ. № 49; 3,4. ინვ. № 48.




















ჭრილი 1-1




ჭრილი 2-2




ჭრილი 3-3




ჭრილი 4-4





ს. ჯინისი
სახლი №1



ჭრილი 1-1




ჭრილი 2-2




ს. ჯინისი
სახლი №1


ორმო №1





ორმო №2



ჭრილი 1-1




ჭრილი 1-1




ს. ჯინისი
სახლი №1


ორმო №3





ორმო №4



ჭრილი 1-1




ჭრილი 1-1




ს. ჯინისი
სახლი №1


ორმო №5





ჭრილი 1-1





ორმო №6





ჭრილი 1-1
























































ჭრილი 1-1




ჭრილი 2-2



ჭრილი 3-3




ჭრილი 4-4




ს. ჯინისი
სახლი №2


ორმო №1





ორმო №2





ჭრილი 1-1




ჭრილი 1-1





ს. ჯიბისი
სახლი №2




ჭრილი 1-1





ჭრილი 1-1





ს. ჯიბისი
სახლი №2









































ჭრილი 1-1




ჭრილი 2-2



ჭრილი 3-3




ჭრილი 4-4




ს. ჯინისი
სახლი №3

ორმო №1




ჭრილი 1-1




ორმო №2



ჭრილი 1-1




ს. ჯიხისი
სახლი №3




ს. ჯინისი
სახლი №3


ორმო №5





ორმო №6



ჭრილი 1-1






ჭრილი 1-1





ს. ჯინისი


ორმო №1, №3 სახლოთან


ჭრილი 1-1































































































ჭრილი 6-6




ჭრილი 1-1




ჭრილი 2-2




ჭრილი 3-3



ჭრილი 4-4




ჭრილი 5-5





ს. ჯიხისი


სახლი №4
ორმო №1





ჭრილი 1-1





ორმო №2





ჭრილი 1-1





















Պատ. 4-СIII




ჭრილი 1-1




ჭრილი 2-2





ჭრილი 3-3





ჭრილი 4-4






































**წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ
2004 წელს ბათხრილი კმბლების შესწავლის შედეგები.**

ზოგადი დასკვნები

§ 1. იმერას სამაროვანი (KP 109-110)

ა). ენერგოკორიდორის 109-110 კილომეტრებზე აღმოჩენილი მასალა სამ ქრონოლოგიურ პერიოდს მიეკუთვნება.

ძველი ქვის ხანის (მუსტიეს ეპოქა) მასალები ქვის ინდუსტრიითაა წარმოდგენილი. ამ ეპოქის იარაღები, ცალკეული გამოწვლილების გარდა, ობსიდიანის ანატკეცვებზე და ფირფიტებზეა ჩამოყალიბებული.

ენეოლითის ეპოქას მიეკუთვნება ობსიდიანის იარაღების ნაწილი.

აღნიშნული ეპოქების იარაღების ნაწილი ენერგოკორი-დორში წარმოებულ მშენებლობასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოების დროს არის გადაადგილებული და შეგროვებულია „ტოპ-სოილის“ დონეზე. არტეფაქტების ნაწილი კი სამარხთა ქვაყრილებში აღმოჩნდა (იხ. წინამდებარე ანგარიშის V თავი).

ძვ.წ. XV-XIV სს მიეკუთვნება სამაროვანზე გათხრილი შვიდივე სამარხი.

ბ). **მუსტიეს და ენეოლითის ხანის** მასალები მიუთითებენ, რომ სამაროვნის ტერიტორია და ალბათ, მიმდებარე ფართობებიც აღნიშნულ ეპოქებში ადამიანს გარკვეული საქმიანობისათვის ჰქონია გამოყენებული. იმის გამო, რომ მასალები „in situ“ მდგომარეობაში არ აღმოჩენილა და არც ცხოვრების დამადასტურებელი სხვა ნაშთები დაფიქსირებულა, ძნელია იმის თქმა თუ რა დანიშნულებით იყო ეს ტერიტორია გამოყენებული ან რა საქმიანობას ეწეოდა ადამიანი. კოლექციაში არსებული საფხეკები, საფხეკ-სახოკები, საფხეკ-სახვრეტები, საფხეკ-სატეხები, საჭრისები და სახვრეტები კი ზოგადად მეურნეობის წარმოების სხვადასხვა სახეზე მიუთითებენ.

ძვ.წ. XV-XIV სს-ში KP 109-110-ს შორის მოქცეულ მონაკვეთზე სამაროვანია გამართული. თუ ენერგოკორიდორში გათხრილი სამარხების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს ტერიტორია არ ჩანს ინტენსიურად ათვისებული. თუმცა იმის დაშვებაც შეიძლება, რომ ენერგოკორიდორში მხოლოდ სამაროვნის პერიფერიული ნაწილი მოხვდა. იმის გამო, რომ დღეისათვის მხოლოდ შვიდი სამარხია გათხრილი და არ არის მიკვლეული თანადროული დასახლება, რთული დასადგენია საზოგადოების საქმიანობის ყველა მიმართულება. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მაღალ დონეზეა ასული კერამიკული წარმოება, ისრისპირების აღმოჩენა მიუთითებს სანადირო და საბრძოლო იარაღის გამოყენებაზე, № 1 სამარხში დადასტურებული ხის ძელები ხითხურობის განვითარებაზე, სამარხთა გამართვის ტექნიკა კი სამშენებლო საქმის ცოდნაზე მიუთითებენ. სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი გარკვეული რიტუალის და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების არსებობას ადასტურებენ.

მიცვალებულთა ორიენტაცია შეიძლება სოღარულ კულტთან იყოს დაკავშირებული. სამარხებში აღმოჩენილი სამკაულები მოსახლეობის მაღალი ესთეტიკური მოთხოვნების მაჩვენებელია.

პალეოლოგიურმა კვლევამ № 6 სამარხში აღმოჩენილ თიხის ჭურჭელში (ინვ. № 180) თაფლზე დამზადებული ალკოჰოლური სასმელის („თაფლუჭი“) არსებობა დაადასტურა, ხოლო № 7 სამარხის კუთვნილ თიხის ჭურჭლის (ინვ. № 187) შიგთავსი ცხოველურ ცხიმს შეიცავდა.

გ). სამარხებში აღმოჩენილი მასალები ახლო პარალელებს პოულობენ აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთ აზერბაიჯანში, სომხეთსა და ანატოლიაში გამოვლენილ ძვ.წ. XV-XIV სს-ით დათარიღებულ ძეგლებთან.

სამაროვანი ქრონოლოგიურად შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ ეპოქას მიეკუთვნება და ცენტრალურ სამხრეთ კავკასიაში გავრცელებული კულტურის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ტერიტორიულად და ქრონოლოგიურად იგი ახლოს დგას სოფ. საფარ-ხარაბასთან გათხრილ ნამოსახლარსა და სამაროვანთან.

§ 2. საფარ-ხარაბას სამაროვანი (KP 119-120)

ა). სამაროვანი მიეკუთვნება შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ ეპოქას და ძვ.წ. XV-XIV სს თარიღდება.

ბ). KP 119-120 კილომეტრებზე გამოვლენილია ვრცელი სამაროვნის ნაწილი, რომელიც ენერგოკორიდორს მთლიანად მოიცავს. სამაროვანი ენერგოკორიდორის გარეთაც ვრცელდება და სოფ. საფარ-ხარაბას ჩრდილოეთით მდებარე მინდორზეა გამართული. ეს ტერიტორია სხვა პერიოდების ნაშთებს თითქმის არ შეიცავს.

ენერგოკორიდორის ამ მონაკვეთში გამოვლენილი 80-მდე სამარხიდან 2003-2004 წლებში 31 გაითხარა.

სამაროვანზე დაფიქსირებულ სამარხთა აღნაგობა, დაკრძალვის წესი და ინვენტარი მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება:

კუთხეებმომრგვალებული, მართკუთხედის ფორმის სამარხი ორმოები გაჭრილია ყვითელ თიხნარში. ზოგიერთ მათგანს წაგრძელებული ფორმა აქვს და სიგრძეში 5 მ-ს აღემატება. სამარხები უმეტეს შემთხვევაში დიდი ზომის ქვის ფილებითაა გადახურული, რომლებიც ზევიდან ქვის ყრილითაა დაფარული. ქვაყრილებს მრგვალი ან მართკუთხა ფორმა აქვთ.

სამაროვანზე აღმოჩენილი მასალები მიუთითებენ, რომ საზოგადოებას, რომელსაც ეს სამარხები ეკუთვნის მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის, არამედ ახლო აღმოსავლეთის უბეგლეს ცივილიზაციებთან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 2003 წელს აღმოჩენილი მითანიური ცილინდრული საბეჭდავი („Kommon Mitanium“). ამ ტიპის საბეჭდავები სამხრეთ კავკასიაში იშვიათად გვხვდება, ისინი აქ იმპორტს წარმოადგენენ, რაც ამ რეგიონის გარე სამყაროსთან მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკურ კავშირებზე მიუთითებს. ასეთ ურთიერთობას საფარ-ხარაბას სამაროვანზე და სამხრეთ კავკასიის სხვა, თანადროულ ძეგლებზე აღმოჩენილი მესოპოტამიური, ანატოლიური და ეგვიპტური ნივთებიც ადასტურებენ.

გარდა ზემოთ აღნიშნული საბეჭდავისა საფარ-ხარაბას სამაროვანზე სხვა ცილინდრული და სკარაბეოიდის ტიპის საბეჭდავებიც აღმოჩნდა. აქვეა გამოვლენილი ე.წ. წინააზიური ტიპის სატევარი. იმპორტს წარმოადგენს მძივ-სამკაულის დიდი ნაწილიც.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამედიცინო იარაღების აღმოჩენის ფაქტი, რაც ასევე უნიკალური შემთხვევაა კავკასიის არქეოლოგიისათვის. ბრინჯაოსაგან დამზადებული სკალპელები ქირურგიის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებენ.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი შინაური ცხოველების ძვლების პალეოზოოლოგიური გამოკვლევა მესაქონლეობის (ძროხა, თხა, ცხვარი, ღორი), ხოლო პალინოლოგიური კვლევა მარცვლეული კულტურების (ხორბალი, ჭვავი) განვითარებაზე მიუთითებენ.

2004 წელს გათხრილ № 30-ე სამარხის თიხის ჭურჭელში (დიდი ზომის ქოთანი, სავ. № 256) მსხვილფეხა საქონლის ძვლები, ცხოველური ცხიმი, დიდი რაოდენობით ხორბალი და ქოლგოსნები (სანელებლები) დადასტურდა. ჭურჭელს აშკარად ეტყობა ცეცხლის კვალი. როგორც ჩანს,

ჭურჭელი, მომზადებული საჭმლით, მოათავსეს სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში. ქოთანზე გამოსახული სვასტიკები მის საკრალურობაზე მიუთითებს, ხოლო შიგთავსი გარკვეული სარიტუალო საკვების მომზადებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე 2003 წელს გათხრილ სამარხებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლებიდან აღებული ნიმუშების პალინოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყოფაში ასეთი და სხვა სახის საკვებიც ყოფილა:

№ 1 სამარხი, ქოთანი (ინვ. № 5) – ეზოს და ნათესების სარეველები (ძირითადად ნაცარქათამა), ბატკნის ან ციკნის ძვლები (ინვ. № 239);

№ 2 სამარხი, ქოთანი (ინვ. № 22) – ხარის (?) ძვლები (ინვ. № 241), ნაცარქათამა, წიწიბურასნაირი და სხვა საკვები მცენარეები;

№ 5 სამარხი, ქოთანი (ინვ. № 30) – მსხვილფეხა საქონლის ძვლები (ინვ. 243) და ქოლგისნაირები (სანელებლები);

№ 10 სამარხში აღმოჩენილ ქილაში (ინვ. № 101) თაფლი დადასტურდა; ქოთანში (ინვ. № 98) - სოკო და ძროხის ბარძაყის ძვალი, ნეკნები და მალეები (ინვ. № 246, 251); დერგში (ინვ. № 100) - ხორბალი, წაბლი, თხილი; პირვიწრო ქოთანში (ინვ. № 96) ცხოველური ცხიმი და ხორბალი; პირფართო ქოთანში (ინვ. № 99) ბატკნის ან ციკნის და მსხვილფეხა საქონლის ძვლები (ინვ. 244, 244ა).

№ 18 სამარხი, დერგი (ინვ. № 132) – ცხოველური ცხიმი;

№ 20 სამარხი, დერგი (ინვ. № 145) – ხარის ან ძროხის ძვლები (ინვ. № 253, 254);

№ 22 სამარხი, პირფართო დერგი (ინვ. № 148) – ცხოველური ცხიმი;

№ 25 სამარხი, პირფართო დერგი (ინვ. № 175) – ხორბალი, თხილი, ცაცხვის მტვერი;

№ 28 სამარხის იატაკზე, დამწვარ ნიადაგში, დიდი რაოდენობით დადასტურდა ხორბალი, ჭვავი და სხვა სათესი კულტურები, ჭინჭარი; აქვეა რცხილის, ცაცხვის, მუხის და წიფლის მტვრის ნაშთები.

№ 29 სამარხი, პირვიწრო ქოთანი (ინვ. № 203) - ღვიის დამწვარი ნაშთები და მტვრის მარცვლები; პირფართო ქოთანში (ინვ. № 202) ცხოველური ცხიმი, დიდი რაოდენობით ხორბალი, ნათესების სარეველები და საძოვრის ბევრი ელემენტი.

№ 30-ე სამარხში აღმოჩენილი ურემი და მისი დეტალები სატრანსპორტო საშუალებათა რთულ კონსტრუქციებზე მიუთითებენ. ურემის ძარა განსხვავდება შუაბრინჯაოს ხანის ოთხთვალა ურემის ძარის კონსტრუქციისაგან. სამარხში არც ბორბლები აღმოჩენილა და არც ღერძის ნაშთები (ისინი შეიძლება სამარხის დაზიანებულ ნაწილში ეწყოს), ამიტომ ძნელია მისი კონსტრუქციის სრული აღდგენა.

უღლის ფორმა და პარალელური მასალები (ბერიკლდეები) საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ საფარ-ხარაბას სამაროვნის № 30-ე სამარხში აღმოჩენილი ეტლის გამწვევ ძალას ცხენი წარმოადგენდა.

როგორც ჩანს, სოფ. საფარ-ხარაბას მიდამოებში ძვ.წ. XV-XIV სს არსებობდა ისეთი კულტურული და ბუნებრივი ეკოლოგიური გარემო,

რომელიც მოსახლეობას მიწათმოქმედების განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების საშუალებას აძლევდა.

სამარხებში აღმოჩენილი მხატვრული ხელოსნობის და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, სამეურნეო და საბრძოლო იარაღები, საკვების მრავალფეროვნება და მრავალკომპონენტურობა კულტურის მაღალი დონის მაჩვენებელია.

სასარგებლო წიაღისეულის (სპილენძი, ოქრო) ამავე რეგიონში არსებობა კი რეგიონის ეკონომიკურ აღმავლობას უწყობდა ხელს.

ამდენად, დღევანდელ სოფ. საფარ-ხარაბას ტერიტორიაზე ძვ.წ. XV-XIV ს-ში მცხოვრები საზოგადოება მაღალგანვითარებული კულტურის მატარებელი ჩანს, რომლისთვისაც დამახასიათებელია შრომის ორგანიზაციის მაღალი დონე, სოციალური დიფერენციაცია.

აღსანიშნავია სამაროვნის სამხრეთით მდებარე დიდი დასახლება, რომელსაც რთული თავდაცვითი სისტემა გააჩნია. იგი მდინარეთა შესართავში, ღრმა კანიონებს შორის მოქცეულ კონცხზეა გამართული, რაც თავდაცვისუნარიანობის გაზრდას უწყობდა ხელს. ნამოსახლარზე გათხრილი ძვ.წ. XV-XIV სს-ის ფენა სამ დონეს შეიცავს. იმის გამო, რომ სამაროვნზე სტრატეგრაფია არ ფიქსირდება, აქ აღმოჩენილი ინვენტარისა და ნამოსახლარის მასალების შედარებამ და კორელაციამ შეიძლება უფრო ვიწრო ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენის საშუალება მოგვცეს.

§ 3 სანთის სადრენაჟო სისტემა – KP 129

ენერგოკორიღორის 129+750 კილომეტრზე გათხრილი არხები სოფ. სანთის სამხრეთ-დასვლეთით არსებული დაჭაობებული მინდვრის დაშრობის მიზნით გამართული სადრენაჟო სისტემის ნაწილს წარმოადგენდა. სადრენაჟო სისტემა დღეისათვის მოშლილია, ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი არხი.

არხები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიემართებიან და როგორც ჩანს მდ. ქციას უერთდებოდნენ.

გათხრების შედეგად არტეფაქტები მოპოვებული არ ყოფილა, ამიტომ ჭირს მათი დათარიღება. მინდორი, უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში სახნავ-სათესად გამოიყენება. ჩვენი აზრით, სადრენაჟო სისტემა ან XIX საუკუნეშია გამართული, ან განვითარებულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება. თუ ეს არხები უფრო ძველი არ არის, სხვა ეპოქებში ასეთი დიდი სამუშაოების ჩატარება, რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, არარეალური ჩანს.

§ 4. ჯინისის ნამოსახლარი – KP 136

1. მრავალფენიანი ძეგლია.

უძველესი არტეფაქტები, რომლებიც მუსტიეს ეპოქას მიეკუთვნება ძირითადად გადაადგილებული სახითაა წარმოდგენილი. ისინი გვხვდება როგორც მიწის ზედაპირზე, ისე სახლების შევსებაში, იატაკის დონეზე და სამეურნეო ორმოებში.

გათხრების შედეგად გამოვლენილი სახლები შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულსა და გვიანი ბრინჯაოს ხანის უადრეს პერიოდს (ძვ. წ. XVII-XVI სს) მიეკუთვნება.

ნამოსახლარის ტერიტორიაზე ძვ.წ. VII-VI სს სამეურნეო ორმოებია გამართული, რომელთა თანადროული დასახლება მიკვლეული არ არის.

ნამოსახლარის ზედა ფენები ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების მასალის შემცველი უნდა ყოფილიყო. ეს ფენა „ტოპ სოილის“ მოხსნისას დაზიანდა.

სახლები, როგორც ჩანს, საცხოვრებელს წარმოადგენს და ნახევრად მიწურის ტიპს მიეკუთვნება, ორმოები კი ძირითადად მარცვლეულის შესანახად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ჯინისის ნამოსახლარზე გათხრილი სახლების თანადროული დასახლებები ნაკლებადაა შესწავლილი. დღეისათვის გამოკვეთილი არ არის მათი არქიტექტურული ფორმა და მშენებლობის ტექნიკა. უნდა აღინიშნოს, რომ ნახევრადმიწურები დამახასიათებელია ადრე და გვიანბრინჯაოს ხანის არქიტექტურისათვის. შესწავლილი ნამოსახლარი საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოდ ეს მონაცემები. მათი მშენებლობის ტექნიკა იდენტურია ამ პერიოდის ყორღანების (თოფ-კარი I და II, ზურტაკეტის ყორღანები) სამარხი კამერის ქვით ნაგები, ცალპირი კედლებისა. ამ ყორღანების სამარხი კამერები მიწისზედა დარბაზებს წარმოადგენენ, რომელთა კედლების ძირში და ცენტრალურ ნაწილში საბოძე ქვის ბალიშებია დაფიქსირებული. ჩამოთვლილ ყორღანებს და ჯინისის სახლებს ეს დეტალიც აახლოვებს და მათი გადახურვის მსგავსებაზეც მიუთითებს.

ჯინისის ნამოსახლარზე გათხრილი სახლები ნახევრადმიწურებს წარმოადგენენ. მიწაში ჩაჭრილი ორმოს გვერდები ამოშენებულია ცალპირად ნაგები ქვის კედლებით, რომელთა წინ და ინტერიერის ცენტრალურ ნაწილში ეწყო ქვის სხვადასხვა სიდიდის ბალიშები (ბაზები) სახურავის საყრდენი ხის ძელებისთვის. სახლების ინტერიერში დადასტურებული როგორც უბალიშო, ისე ბალიშიანი საბოძე ორმოები (ნაწილი ასეთი ორმოებისა იატაკის ზედა (პირველი) დონეს მიეკუთვნება, ნაწილი მეორე დონეს) და საყრდენი ბოძების ქვის ბაზისები გადახურვის ძირითადი კონსტრუქციის სხვადასხვა ეტაპზე და შეიძლება განსხვავებულ ტიპზეც მიუთითებდეს.

სახლების კუთხეები ზოგ შემთხვევაში მომრგვალებულია. ერთ ნაგებობაში გვხვდება როგორც სწორკუთხა, ისე მომრგვალებული კუთხეები. მომრგვალებული კუთხეები შეიძლება კედლების სიმყარისათვის

იგებოდა ან სამშენებლო ქვის ხასიათით (ისინი დაუმუშავებელი ქვარგვალეობა) იყო გამოწვეული.

სახლების არქიტექტურა, მშენებლობის ტექნიკა და სამშენებლო მასალები გვიჩვენებენ, რომ ისინი საკმაოდ მყარ ნაგებობებს წარმოადგენდნენ. მიუხედავად ამისა, მათ ნაწილს საფუძვლიანი რეკონსტრუქციის კვალი ემჩნევა. გადაკეთება-განახლება კი ყველა სახლს განუცდია.

სახლებში დაფიქსირებული სტრატეგრაფია - იატაკის დონეები, კერები, საბოძე ორმოები და ქვის ბალიშები ქრონოლოგიურ თანამიმდევრობაზე მიგვანიშნებს. ნამოსახლარზე გათხრილი სახლების გეგმარება, სივრცეში განლაგება და ურთიერთმიმართება მიუთითებს, რომ ნამოსახლარი ერთიანი გეგმის მიხედვით ყოფილა გაშენებული. მათში აღმოჩენილი მასალებიც ერთ ეპოქას მიეკუთვნება. ყოველივე ეს გვაგარაუდებინებს, რომ სახლების აშენება და რეკონსტრუქცია ქრონოლოგიურად დიდად არ არის დაშორებული.

ჩვენი აზრით, დასახლება დიდხანს არ ფუნქციონირებდა. სახლებში აღმოჩენილი კერამიკა, რომელიც წერტილოვანი შტამპებით დატანილი ორნამენტითაა შემკული (ინვ. №№ 86, 98, 99, 141, 421, 470, 489, 538, 552, 553, 713, 714, 1047, 1141, 1327) შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს მიეკუთვნება. ნამოსახლარზე აღმოჩენილი ჯამები (ინვ. №№ 120, 165, 636, 762, 988, 989, 1003, 1004, 1010, 1011, 1052, 1071, 1082, 1265) და რელიეფური სარტყლებით და ირიბი ნაჭდეგებით (ინვ. №№ 64, 259, 431, 466, 627, 664, 676, 678, 701, 719, 973, 995, 996, 1012, 1125, 1256, 1277, 1278, 1280, 1305, 1313) შემკული ჭურჭლები გვიანი ბრინჯაოს საწყის ეტაპს მიეკუთვნება. როგორც ჩანს, სახლები 100-150 წლის მანძილზე გამოიყენებოდა. დასახლება გაშენებული უნდა იყოს ძვ.წ. XVII საუკუნეში და XVI საუკუნის საწყის ეტაპსაც უნდა მოიცავდეს.

დროის მოკლე მონაკვეთში სახლების კაპიტალური შეკეთების გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობა ძნელია. თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სახლები ხანძრის შედეგად განადგურდა და მალევე იქნა აღდგენილი. ალბათ ეს არის იმის მიზეზი, რომ ქვედა დონის იატაკებიდან არტეფაქტები პრაქტიკულად არ მოგვეპოვება. მცირე განახლებების კვალი კი ცხოვრების მანძილზე შესრულებული შეკეთებების შედეგად არის დარჩენილი.

რაც შეეხება ცხოვრების საბოლოო შეწყვეტის საკითხს. როგორც ჩანს, მოსახლეობამ მიატოვა სამოსახლო და სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად. ასეთი ცვლილების გამომწვევ მიზეზებზე დღეისათვის პასუხის გაცემა ჭირს. თუმცა, უნდა აღიშნოს, რომ სახლების ინტერიერები პრაქტიკულად დაცლილია ინვენტარისაგან. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ სახლები რაიმე კატასტროფის შედეგად კი არ არის დანგრეული, არამედ მოსახლეობამ ძვ.წ. XVII ს-ის მიწურულს თუ ძვ.წ. XVI ს-ის დასწყისში თვითონ მიატოვა საცხოვრებელი. ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, დასახლება (მისი ნაწილი მაინც) ხანძრის შედეგად ძლიერ დაზიანებულა, მაგრამ სახლები მალევე განახლებულა.

დიდი ხნის შემდეგ, რკინის ფართო ათვისების ხანაში (ძვ.წ. VII-VI სს) ნამოსახლარის ტერიტორიაზე სამეურნეო ორმოებია გამართული. ამ ეპოქის დასახლების კვალი ჯერ-ჯერობით მიკვლეული არ არის. ორმოთა ნაწილი

სახლების კედლებს შორისაა მოქცეული, ნაწილი კი გარეთაა გამართული. სახლებში დაფიქსირებული ყველა ორმოს (გარდა № 3 სახლში გათხრილი № 6 ორმოსი) ჩატრილი აქვს თიხატკეპნილი იატაკი. ამასთან ერთად – № 1 სახლში გათხრილი № 1 ორმო აზიანებს სამხრეთ-დასავლეთ კედელთან გამართულ ღუმელს, № 4 ორმოს კი ჩატრილი აქვს № 2 კერა; № 2 სახლში გათხრილი № 4 ორმოს პირი სახლის კუთხეს აზიანებს, ძირი კი კედლის ქვეშ ექცევა, № 6 ორმო სახლის შესასვლელშია ამოთხრილი, № 8 ორმო კი პრაქტიკულად კეტავს კარის დიობს; № 3 სახლში გათხრილი № 4 ორმო შესასვლელშია გამართული, № 8 ორმოს ჩატრილი აქვს № 2 კერა და სანაცრე ნაწილი, თუ უფრო ძველი კერა.

სახლების გარეთ გათხრილი ორმოების პირი მშენებლების მიერ მოხსნილი („ტოპ-სოილი“) მიწის ფენის დონეზე (თანამედროვე ზედაპირიდან 0,3-0,4 მ სიღრმეზე) დაფიქსირდა. ისინი, ისევე როგორც სახლები, ყვითელ თიხნარშია ჩატრილი, ამიტომ მათი შავი ფერის შიგთავსი, ამ დონეზე, ადვილად გამოიკვეთა. სახლების შევსება ფერით არ განსხვავდებოდა ორმოების შიგთავსისაგან, ამიტომ მათი გამოყოფა გათხრების პროცესში ვერ მოხერხდა. თუმცა კერამიკული ფრაგმენტების ნაწილი, რომლებიც ორმოების თავზე, შესაბამის კვადრატებში იყო აღმოჩენილი, კამერალური სამუშაოების დროს ორმოში აღმოჩენილ ნატეხებს შეუერთდა, რაც მათ ერთი ორმოს არსებობას ადასტურებს (იხ. ზემოთ). აღსანიშნავია, რომ ერთმანეთს მიუდგა ერთი სახლის სხვადასხვა ორმოში აღმოჩენილი მასალებიც (იხ. ზემოთ). ეს ფაქტი კი იმაზე მიუთითებს, რომ ორმოების შევსება ერთდოულად, დროის მცირე მონაკვეთში მოხდა.

ორმოებისა და სახლების ქრონოლოგიურ სხვაობაზე პალინოლოგიური მონაცემებიც მიუთითებენ. სათავსოებიდან და ორმოებიდან აღებული ნიმუშების ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ სახლები არ შეიცავენ ხე-მცენარეებისა და გვიმრების მტვერს, ისინი მხოლოდ ორმოებში გვხვდება.

პალინოლოგიური კვლევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახლების იატაკის ზევით, ქვის კედლების დონეზე აღებული ნიმუშების და სამეურნეო ორმოების სპექტრი იდენტურია, ისინი შეიცავენ ტყის ელემენტებს, ბალახოვანი მცენარეების მტვერს და გვიმრისებრთა სპორებს. სახლების იატაკებიდან აღებული ნიმუშები არ შეიცავენ ტყის ელემენტებს, აქ ძირითადად მარცვლოვანი კულტურებისა და მათთან დაკავშირებული სარეველების ელემენტები გვხვდება. ასევე საყურადღებოა, რომ ისინი დიდი რაოდენობით შეიცავენ ეზოს სარეველების მტვერს. საინტერესოა ისიც, რომ არცერთ ორმოში, სახლებისაგან განსხვავებით, არყის ხის მტვერი არ დაფიქსირებულა.

ეს გამოწვეულია იმით, რომ სახლების იატაკებზე მოხვედრილი მასალა დახურული სივრცის, სახლების ფუნქციონირების დროს განამარხდა, ორმოები კი ღია სივრცეში იყო გამართული. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ორმოები იმ დროსაა ამოთხრილი, როდესაც სახლებს სახურავი არ ჰქონდათ.

სახლებისა და სამეურნეო ორმოების პალინოლოგიური გამოკვლევა უჩვენებს, რომ მათი ფუნციონირების დროს სხვადასხვა პალეოკლიმატური

პირობები იყო. ორმოები გამოყენებულია იმ დროს (ძვ.წ. VII-VI სს) როდესაც უფრო თბილი კლიმატი იყო, ვიდრე სახლების ფუნქციონირების დროს (ძვ.წ. XVII-XVI სს).

ორმოები სხვადასხვა ფორმის და ზომისაა. მათი სიღრმე 0,9 მ-დან 2,2 მ-მდე მერყეობს. ყველაზე ღრმა ორმოები № 3 სახლში გაითხარა. მათი სიღრმე იატაკის დონიდან 1,5 მ-ს უდრის. თუ სახლის შემორჩენილ სიმაღლესაც გავითვალისწინებთ მათი საერთო სიმაღლე 2,7 მ უნდა ვივარაუდოთ (№ 2 სახლის ყველაზე ღრმა ორმოს სიღრმე 2,2 მ იქნებოდა). სწორედ ამ ორმოებშია დადასტურებული სათესი მარცვლეული კულტურები (ხორბალი, ჭვავი). ასეთი სიღრმის ორმოებში ჩასვლა რთული უნდა ყოფილიყო. ამ მიზნით, როგორც ჩანს, ორმოების კედლებში საფეხურები იყო გამოჭრილი. ასეთი საფეხურების ნაშთები № 3 სახლის № 1 და № 3 ორმოებთან არის დადასტურებული.

არც სხვა სახლებში დაფიქსირებული ყველა ორმო არის ღრმა. ნაწილი ორმოებისა იატაკს მხოლოდ მცირე სიღრმეზე კვეთს, რაც მათ დაფიქსირებას აძნელებდა.

ორმოების განლაგება, მათი ფორმა და სიღრმე მიუთითებს, რომ, განსხვავებული ფორმისა და ზომის ორმოები სხვადასხვა მიზნით გამოიყენებოდა - № 3 სახლის ორმოებში დიდი რაოდენობით სათესი მარცვლოვნები (ხორბალი, ჭვავი) და მათთან დაკავშირებული სარეველა მცენარეები დაფიქსირდა; № 5 სახლის მხოლოდ ორი ორმოს (№ 3 და № 4) მასალის ანალიზმა მოგვცა შედეგი. გაირკვა, რომ აქ მარცვლეული კულტურები არ ინახებოდა. ისინი სანაგვე ორმოებს წარმოადგენდნენ. არ არის გამორიცხული, რომ მათი ახლოს განლაგების გამო ისინი მალე გამოვიდნენ წყობიდან და შემდეგ სანაგვე ორმოებად გამოიყენეს. № 5 სახლის № 4 ორმოში ადამიანის ნაწლავური პარაზიტების (ჰელმინტები) კვერცხები აღმოჩნდა, რაც ასევე გამორიცხავს საკვები პროდუქტების აქ შენახვას.

მარცვლეული კულტურები დაფიქსირდა სახლებშიც. №3 სახლში აღმოჩენილ ქოთანში (ინვ. № 766) და ქილაში (ინვ. № 754) დიდი რაოდენობით სათესი მარცვლეულობა (ხორბალი) და მათთან დაკავშირებული სარეველა მცენარეები აღმოჩნდა. მოსახლეობა საკვებად, როგორც ჩანს, ველურ მცენარეებსაც იყენებდა (ნაცარქათამა, ჭინჭარი და ეზოს მცენარეები). № 3 სახლის იატაკზე (№ 1 კერასთან) და № 4 სახლის კერასთან დიდი რაოდენობით აღმოჩნდა დამწვარი ხორბალი და სათესი მარცვლოვნები.

სახლების იატაკებზე აღმოჩენილი ხელსაფეხულების (ინვ. №№ 305, 499, 778, 779, 780, 781, 782, 784, 786, 788, 1157), სანაყებისა (ინვ. №№ 498, 496, 777, 783, 785, 789, 790, 791) და სასრესების (ინვ. №№ 140, 182, 304, 497, 786, 787, 1159, 1160) სიმრავლე, პალინოლოგიურ მონაცემებთან ერთად, ძვ.წ. XVII-XVI სს-ში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მძლავრ განვითარებაზე მიუთითებენ. ძირითად სათეს მარცვლოვნებს ხორბალი და ჭვავი წარმოადგენდა.

პალეოზოოლოგიური მასალები მსხვილფეხა (ინვ. №№ 341, 343, 345, 347-351, 353, 354, 359, 364-366, 368, 371, 372, 374, 376, 378, 379, 383, 384, 388,

390, 391, 393, 442, 443, 511-513, 515, 516, 521, 623, 524, 843- 846, 848-851, 854-857, 959-864, 867-868, 870, 872-75, 878, 880-882, 884, 885, 891, 893-895, 897, 899, 900, 901, 903, 904, 906-908, 913, 914, 916, 917, 920, 921, 923-925, 928, 933, 934, 936, 938, 940, 941, 945, 947, 950, 964-956, 959, 1178, 1182, 1183, 1189-1192, 1195-1199, 1203, 1205, 1207, 1208, 1210, 1211, 1214, 1215, 1217, 1223, 1224-1229, 1232-1234, 1238,1239, 1242, 1244-1247) და წვრილფეხა (ინვ. № 342, 344,352, 355, 357, 358, 361, 373, 375, 377, 380, 385, 392, 395, 440, 445, 517, 525, 527, 852, 869, 979, 883, 892, 898, 909-911, 919, 927, 930, 935, 937, 943, 946, 951, 1180, 1185, 1186, 1194, 1206, 1209, 1212, 1213, 1218, 1219-1222, 1230, 1231, 1240, 1241, 1243) საქონლის მოშენებას ადასტურებენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოშინაურებული ცხენის ძვლების (ინვ. №№ 340, 363, 367, 396, 518, 519, 520, 522, 526, 853, 858, 866, 877, 886-890, 896, 912, 922, 932, 939, 942, 1179, 1188, 1204, 1210, 1237) სახლების იატაკზე აღმოჩენის ფაქტები. ცხენის ძვლები სამეურნეო ორმოებშიც დადასტურდა (ინვ. №№ 570, 580, 610, 1038, 1293, 1294).

ჯინისის ნამოსახლარზე მოპოვებული მასალები ძვ.წ XVII საუკუნიდან ცხენის ფართოდ გავრცელებაზე და გამოყენებაზე მიუთითებენ. პალეოზოოლოგიური მონაცემით ადამიანი მას საკვებადაც იყენებდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელაა მითითებული, რომ სამხრეთ კავკასიაში მოშინაურებული ცხენი პირველად გვიანი ბრინჯაოს ხანაში ჩნდება. ამ მოსაზრების სასარგებლოდ შუა ბრინჯაოს ხანაში ყორღანებში ცხენის ნაშთების არაღმოჩენის ფაქტს ეყრდნობოდნენ. თუმცა მეცნიერთა ნაწილი (კ. შეფერი, ფ. ჰანჩარი) თვლიდა, რომ სამხრეთ კავკასიის მოსახლეობას ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევარში ცხენი უკვე მოშინაურებული ყავდა. ხოლო ყორღანებში მათ არარსებობას ისეთ დაკრძალვის რიტუალს უკავშირებენ, რომელშიც ცხენი არ მონაწილეობდა.

შემდგომი კვლევისას (ი. სულთანისვილის მიხედვით) გაირკვა, რომ ცხენის ძვლებს შეიცავდა თრიალეთის I, VI, VIII, X, XVII და ზველის № 1, 2 ყორღანები, ლორი-ბერდის № 6 სამარხი, უზერლიკ-თეფეს ნამოსახლარი, რომლებიც შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება.

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ცხენის დომესტიკაციის დაწყებას მკვლევარები ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოდან (რ. მუნჩაევი), მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე ვარაუდობენ.

ჯინისის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ცხენის ძვლების ასეთი დიდი რაოდენობა იმაზე მიუთითებს, რომ ცხენის მოშინაურების ადრე დაწყებულმა პროცესმა კულმინაციას შუა ბრინჯაოს საწყის ეტაპზე მიაღწია.

№ 1 სათავსოს იატაკზე პატარა ზომის ცხენის თუ შინაური ვირის (ინვ. № 340), ხოლო № 5 ორმოში კანჯარის ძვლები (ინვ. № 459) ძვლები აღმოჩნდა.

ნამოსახლარზე გათხრილი სახლებიდან მოპოვებული ხარის, ცხენის და ვირის ძვლები ამ ცხოველების გამწევ ძალად გამოყენებაზეც უნდა მიუთითებდეს.

სამეურნეო ორმოებიდან მოპოვებული მასალები (ხელსაფეკვავეები (ინვ. №№ 1016, 1034, 1034-ბ, 1034-გ), სანაყები (ინვ. №№ 564, 997, 1033, 1034-ა), ძვლოვანი მასალა, პალინოლოგიური მონაცემები) ძვ.წ. VII-VI სს-ში

სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მეცხოველეობის განვითარებულ ბაზის არსებობას ადასტურებენ.

ჯინისის ნამოსახლარზე გათხრილი სახლებიდან და სამეურნეო ორმოებიდან მოპოვებული მასალები მიუთითებენ, რომ ძვ.წ. XVII-VI სს-ში მეურნეობის ხასიათი არ შეცვლილა. ამას ადასტურებს სხვა, თანადროული ძეგლებიდან მოპოვებული მასალებიც.

სახლების იატაკზე აღმოჩენილი გარეული (კეთილშობილი ირემი - ინგ. №№ 370, 392, 871, 905, 918, 957, 958; დომბა - ინგ. №№ 1184, გარეული ცხვარი, ქურციკი - 386, 441, 444; მაჩვი - ინგ. №№ 926, 948, 1181) და შინაური ცხოველების (ცხენი, ძროხა, ცხვარი, თხა) ძვლები მიუთითებენ, რომ კარგად იყო განვითარებული მეცხოველეობა, თუმცა ნადირობასაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

იგივე სურათს იძლევა სამეურნეო ორმოებში აღმოჩენილი მასალები. ორმოებში მიკვლეულია: ცხენი (ინგ. № 570, 580, 610, 1038, 1293, 1294); ვირი (ინგ. № 340); ძროხა (ინგ. № 447, 449, 451, 452, 457, 454, 462, 571, 573, 581, 582, 599-601, 974-977, 979, 983, 1019, 1026, 1036, 1039, 1040); ხბო (ინგ. № 386, 589-591, 612, 978); ცხვარი-თხა (ინგ. № 448, 450, 453, 456, 461, 463, 572, 574, 579, 583, 588, 592-594, 596, 597, 598, 602, 604, 605-608, 613, 980-982, 1020, 1021, 1024, 1025, 1037, 1287, 1288, 1292, 1295-1298, 1304, 1317, 1318, 1335, 1353-1356); ღორი (ინგ. № 603, 609); კეთილშობილი ირემი (ინგ. № 446, ეს ნივთი კვერთხისთავს წარმოადგენს და როგორც ჩანს ძველ ფენას მიეკუთვნება; № 595); ქურციკი (ინგ. № 386, 441, 444, 455, 460); კანჯარი (ინგ. № 459);

საიტერესოა № 1 სათავსოში აღმოჩენილი კატის (ინგ. № 439) და № 3 სათავსოს იატაკზე აღმოჩენილი ძაღლის (ინგ. № 902) ჩონჩხები.

ნამოსახლარის ტერიტორია შუა საუკუნეებშიც ყოფილა ათვისებული. სამწუხაროდ ეს ფენა მშენებლების მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად ძლიერ დაზიანდა. თუმცა „ტოპ-სოილის“ დონეზე აკრეფილი იქნა ამ ეპოქის კერამიკის მცირე ზომის ფრაგმენტები. ქვედა დონეზე ისინი აღარ შეგვხვდრია. შუა საუკუნეების ნასოფლარი განათხარი ფართობის სამხრეთით 400-500 მ დაცილებით მდებარეობს. ენერგორიდორის ზონა მისი უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილია, სადაც, როგორც ჩანს, სუსტი კულტურული ფენა იყო და ნაგებობებს არ შეიცავდა.

ჯინისის ნამოსახლარის ის ნაწილი, რომელიც გაითხარა ნავთობსადენის ზონაშია მოქცეული. ჩრდილოეთით მდებარე მინდორი კი, საითაც გრძელდება ძველი სახნავ-სათესად გამოიყენება.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ნამოსახლარის ტერიტორია, დასახლების გამართვიდან დღემდე, ძლიერაა შეცვლილი. განსაკუთრებით დიდი სამუშაოებია ჩატარებული სამეურნეო ორმოების გამართვის დროს. ამავე დროს ჩანს დაზიანებული სახლების კედლები, რომელთა ნაწილი საფუძვლამდეა მოხსნილი.

პალეოზოოლოგიური და პალინოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჯინისის დასახლების ფუნქციონირებისა და თანამედროვე პერიოდის ლანდშაფტური პირობები გარკვეულწილად შეცვლილია.

ჯინისის ნამოსახლარზე მოპოვებული მასალები მიგვითითებენ, რომ იმ დროს მოსახლეობა მეცხენეობასაც მისდევდა, რაც მის მიდამოებში

გაშლილი ველის არსებობასაც გულისხმობს, თუმცა აქვე აღმოჩენილი ირმის, ღომბის, მაჩვის, ვასაკა ბაყაყისა და გომბეშოს ნაშთები აქვე ტყისა და ბუჩქნარის არსებობასაც ადასტურებენ.

პალინოლოგიური კვლევა უჩვენებს, რომ დასახლების ახლომდებარე მინდვრების ნახევარი სახნავ-სათესად, ნაწილი კი საძოვრად გამოიყენებოდა; ნამოსახლარის სიახლოვეს იზრდებოდა არყის ხეები, კაკალი და თხილი; რიგიონში კი იყო ტყეები ან დიდი კორომები, სადაც მუსა, მურყანი და თელა ხარობდა.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას ითქვას, რომ ჯინისსა და მის მიდამოებში ძვ.წ. II-I ათასწლ. I ნახევარში სულ მცირე ორი ლანდშაფტური ტიპი, მთის ველები და ტყე არსებობდა. ამგვარი ლანდშაფტი კი მნიშვნელოვნად განსხვავდება თანამედროვე ლანდშაფტური პირობებისაგან, რომელიც ტყის ბიოტიპების აშკარა სიღარიბით ხასიათდება.

რეზიუმე და რეკომენდაციები

§ 1. იმერას სამაროვანი

მდებარეობს ენერგოკორიდორის KP 107-110 მონაკვეთზე, ნავთობის მილის ზოლში და სამანქანო გზაზე.

გათხრები მიმდინარეობდა 2004 წლის 23 აგვისტოდან 07 სექტემბრის ჩათვლით (14 სამუშაო დღე).

საველე და კამერალური კვლევის მეთოდები:

1) საველე კვლევის მეთოდები:

1. KP 107-დან KP 110-მდე მონაკვეთზე გაითხარა 7 სამარხი, გავლებულ იქნა 10 თხრილი.
2. KP 107-109 მდებარეობს ბედენის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, KP 110 კი - ვაკეზე.
3. ენერგოკორიდორის 107-110 კილომეტრები დაიყო უბნებად, ნაკვეთებად და კვადრატებად. განისაზღვრა უბნების მდებარეობა ბალტიის ზღვის დონიდან. ყველა უბნისათვის დაფიქსირდა ნულოვანი წერტილი, საიდანაც აითვალა აღმოჩენილი არტეფაქტების სიღრმეები. ცალკეული ობიექტებისათვის შედგა გეგმები და შესაბამისი ჭრილები. საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა სიღრმეებისა და დონეების კორელაცია.
4. გათხრების დაწყების მომენტისათვის ენერგოკორიდორის ნავთობის მილის და სამანქანო გზის მონაკვეთებში მოხსნილი იყო ჰუმუსური ფენა, რომელიც დასაწყობებული იყო გაზსადენის ზონაში. ნავთობის მილი კი ჩადებული იყო შესაბამის თხრილში.
5. ენერგოკორიდორის ის მონაკვეთები, სადაც მიმდინარეობდა გათხრები აიგეგმა ტოპოგრაფიულად. გასათხრელი ფართობები დანაწილდა ნაკვეთებად და კვადრატებად.
6. ქვის იარაღები აღებული იქნა ნაკვეთების, კვადრატების, სამარხებისა და თხრილების ნომრების მიხედვით. სამარხებში აღმოჩენილი მასალები დატანილია გეგმებზე.
7. კერამიკული ჭურჭლების ნაწილი ძლიერ იყო დაზიანებული, ისინი ჩაიხატა საველე პირობებში, დაფიქსირდა ფოტოფირებზე. შემორჩენილი ნაშთები, შიგთავსთან ერთად, აღებული იქნა მთლიანად, შეიფუთა და შეინახა ექსპედიციის ბაზაზე.
8. ოსტეოლოგიური მასალა ცუდად იყო დაცული. ნიმუშების აღება ლაბორატორიული კვლევისათვის ვერ მოხერხდა.
9. ყველა მოპოვებულ მასალას მიენიჭა დროებითი საველე ნომერი, აღიწერა საველე პირობებში და გატარდა შესაბამის დავთრებში.

2) კამერალური კვლევის მეთოდები:

სამაროვანზე მოპოვებული მასალები სხვადასხვაგვარად დამუშავდა:

1. სამარხებში აღმოჩენილი კერამიკიდან ამოღებული იქნა მიწა, რომელიც გადაეცა პალინოლოგიური და პალეობოტანიკური კვლევისათვის. ვიზუალურად იქნა შესწავლილი ზედა და შიდაპირი. გარეცხვის შემდეგ მოხდა მათი რესტავრაცია;
2. სამკაული გაირეცხა სპირტით, გასუფთავდა და მომზადდა საკონსერვაციოდ.
3. ყველა არტეფაქტი დაინომრა, აღიწერა და გატარდა დავთარში; ჩაიხატა; გადაღებულ იქნა ნეგატიური, პოზიტიური და ციფრული ფოტოები.
4. უბანზე მოპოვებული პალინოლოგიური მასალები დამუშავდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის პალეობოტანიკური განყოფილების პალინოლოგიურ ლაბორატორიაში. სამუშაოებს აწარმოებდნენ გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი ელისო ყვავაძე და ლაბორანტი თამუნა ხახუტაშვილი (იხ. შესაბამისი ანგარიში).
5. პალეობოტანიკური გამოკვლევა მიმდინარეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ინტერდისციპლინარული კვლევის განყოფილებაში ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ნანა რუსიშვილის ხელმძღვანელობით (იხ. შესაბამისი ანგარიში).
6. პალეოზოოლოგიური მასალები დამუშავდა და განისაზღვრა არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, მოწვეული თანამშრომლის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ოლეგ ბენდუქიძის მიერ (იხ. შესაბამისი ანგარიში).
7. ქვის იარაღების ტრასოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ინტერდისციპლინარული კვლევის განყოფილებაში ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ქეთევან ესაკიას მიერ (იხ. შესაბამისი ანგარიში).
8. მონაცემები კომპიუტიზირებულია Microsoft Wor, Microsoft Excel, Adobe Photoshop, Hp scanjet, Nero პროგრამებში.
9. სამაროვანზე მოპოვებული მასალები დაცული იქნება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

გამოვლენილია ძვ.წ. XV-XIV სს სამაროვანი. გაითხარა შვიდი სამარხი. სავარაუდოა, რომ სამაროვანი ენერგოკორიდორის გარეთაც ვრცელდება.

სამაროვანზე აღმოჩენილი მასალები დიდ მსგავსებას იჩენს ენერგოკორიდორის 119-120 კილომეტრებზე გათხრილ საფარ-ხარაბას სამაროვნის მასალებთან.

რეკომენდაცია:

აუცილებელია ენერგოკორიღორის ჩრდილოეთ ნაწილში, გაზსადენის მონაკვეთში, „ტოპ-სოილის“ ადების სამუშაოებზე მონიტორინგის ჩატარება.

§ 2. საზარ-ხარაბას სამაროვანი

მდებარეობს ენერგოკორიდორის KP 119+750 – 120+460 შორის. ამ მონაკვეთში გამოვლენილია ვრცელი სამაროვანი, რომელიც ენერგოკორიდორის საზღვრებსაც სცილდება.

გათხრები მიმდინარეობდა 2004 წლის 11-21 მაისს (10 სამუშაო დღე).

საველე და კამერალური კვლევის მეთოდები:

I. საველე კვლევის მეთოდები:

1. სამაროვანზე გაითხარა ორი (№№ 30, 31) სამარხი. სამარხები განლაგებულია სოფ. საფარ-ხარაბას ჩრდილოეთით მდებარე ვაკეზე.
2. სამაროვნის ტერიტორია აიგეგმა ტოპოგრაფიულად, შედგა გენგეგმა. სამარხები გაითხარა ვერტიკალური სტრატეგრაფიის მეთოდის გამოყენებით.
3. სამარხები გამოვლინდა მშენებლების მიერ ნავთობის მილისათვის თხრილის გაჭრის დროს.
4. სამარხებში გამოვლენილი მასალები დატანილი იქნა გეგმებზე. გათხრების მიმდინარეობის პროცესი აღბეჭდილ იქნა შავ-თეთრ და ფერად ნეგატიურ და ფერად პოზიტიურ ფოტოფირებზე. მოხდა სამარხების აღწერა. ნივთებს მიენიჭა საველე ნომრები. № 30 სამარხში აღმოჩენილი ურმის დეტალები გამაგრდა ადგილზე, შემდეგ მოიჭრა მიწის ფენასთან ერთად.
5. კერამიკა ამოღებული იქნა შიგთავსთან ერთად. მიცვალებულისა და საქონლის ძვლები მოთავსდა შესაბამის ყუთებში.
6. სამაროვანზე მოპოვებული მასალები და საველე დოკუმენტაცია გადმოტანილ იქნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრში ლაბორატორიული დამუშავებისათვის.

II. კამერალური კვლევის მეთოდები:

1. არტეფაქტები, პალინოლოგიური და პალეობოტანიკური ნიმუშები, კერამიკა და სხვათა დამუშავების მეთოდები იმერას სამაროვნისათვის გამოყენებული მეთოდების იდენტურია.
2. მონაცემები კომპიუტიზირებულია Microsoft Word, Microsoft Excel, Adobe Photoshop, Hp scanjet პროგრამებში.
3. სამაროვანზე მოპოვებული მასალები დაცული იქნება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

2003-2004 წწ-ში სამაროვანზე გაითხრა 31 (ოცდათერთმეტი) სამარხი. წინასწარი მონაცემებით ენერგოკორიდორში დარჩენილია 80-მდე სამარხი. სამაროვანზე აღმოჩენილი ინვენტარის ნაწილი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე პირველად იქნა მიკვლეული, რაც ამ ძეგლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

სამაროვანი სამხრეთ კავკასიაში ყველაზე ნაკლებად შესწავლილ ეპოქას მიეკუთვნება და ძვ.წ. XV-XIV სს თარიღდება.

რეკომენდაცია:

1. KP 119-120 მონაკვეთებზე გამოვლენილი სამარონის შესწავლა შეიძლება მოხდეს ეტაპობრივად.
2. სასურველია არქეოლოგიური და სამშენებლო სამუშაოები წინასწარ შემუშავებული გეგმისა და გრაფიკის მიხედვით წარიმართოს.
3. არქეოლოგიური სამუშაოების დაჩქარების მიზნით საჭირო იქნება ტექნიკის დახმარება.
4. გაზაფხულზე სამარონის გათხრის დაწყების შემთხვევაში გასათვალისწინებელი იქნება სამარხი კამერების ატმოსფერული ნალექებისაგან დაცვა (გადახურვა, სადრენაჟო სისტემის მოწყობა).
5. საველე სამუშაოების ჩატარება, როგორც ჩანს შემჭიდროვებულ ვადებში წარიმართება. ამიტომ ეს ფაქტორი გათვალისწინებელი უნდა იყოს ექსპედიციის დაკომპლექტების დროს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება გამოვლენილ ძეგლთა ფიქსაცია.

§ 3. სანთის სადრენაჟო სისტემა

129-130 კილომეტრებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე გამოვლინდა სოფ. სანთის სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებული დაჭაობებული მინდვრის დასაშრობად გამართული სადრენაჟო სისტემის გაუქმებული არხები.

საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 11-13 მაისს.

საველე და კამერალური კვლევის მეთოდები:

I. საველე კვლევის მეთოდები:

1. KP 129-ზე გამოვლინდა და გაითხარა სადრენაჟო სისტემის ნაშთები. ლანდშაფტი წარმოადგენს სამხრეთისაკენ ოდნავ დახრილ მინდორს, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი დაჭაობებულია.
2. გაითხარა არხის ნაწილი. დაფიქსირდა, რომ არხი ენერგოკორიდორს კვეთს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ენერგოკორიდორის ჩრდილოეთ მონაკვეთში გაიჭრა საკონტროლო თხრილი, სადაც დაფიქსირდა არხის პროფილი და დანალექი ფენების დონეები.
3. არხის მოშავო-მოყავისფრო ლაქები ენერგოკორიდორის გაზსადენის მონაკვეთში მიმდინარე მიწის სამუშაოების დროს დაფიქსირდა. მონაკვეთი დატანილ იქნა ტოპოგრაფიულ რუკაზე, შედგა გათხრილი მონაკვეთის გენგეგმა და ჭრილები.
4. აღებული იქნა ფხვიერი მიწის ნიმუშები.

2) კამერალური კვლევის მეთოდები:

1. არტეფაქტები და სხვა მასალა არ აღმოჩენილა.
2. მონაცემები კომპიუტიზირებულია Microsoft Wor, Microsoft Excel, Adobe Photoshop, Hp scanjet პროგრამებში.

რეკომენდაცია

ენერგოკორიდორში სამშენებლო სამუშაოების ჩატარება შესაძლებელია.

§ 4. ჯინისის ნამოსახლარი

მდებარეობს ენერგოკორიდორის 136-ე კილომეტრზე.

საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2004 წლის 19-25 ივნისს და 21 აგვისტოდან 15 სექტემბრის ჩათვლით.

საველე და კამერალური კვლევის მეთოდები:

1) საველე კვლევის მეთოდები:

1. ნამოსახლარზე გაითხარა ხუთი სახლი, გავლელულ იქნა სადაზვერვო თხრილები. ნამოსახლარი განლაგებულია სოფ. ჯინისის ჩრდილოეთით მდებარე ვაკეზე, მდ. გუმბათისწყლის მარცხენა ნაპირზე.
2. ენერგოკორიდორის 136-ე კილომეტრი დაიყო ნაკვეთებად და კვადრატებად. განისაზღვრა მისი მდებარეობა ბალტიის ზღვის დონიდან. დაფიქსირდა ნულოვანი წერტილი, საიდანაც აითვალა აღმოჩენილი სახლების და არტეფაქტების სიღრმეები. ცალკეული სახლებისათვის შედგა გეგმები და შესაბამისი ჭრილები. სახლებში და ნამოსახლარის ტერიტორიაზე გათხრილი ორმოები დატანილი იქნა შესაბამისი სახლების გეგმებზე და გენგეგმაზე. ყოველი ორმო დამოუკიდებლად გამოიხაზა. ნამოსახლარზე მოპოვებული არტეფაქტები აღებული იქნა სახლების, ნაკვეთების, კვადრატების და დონეების მიხედვით.

მოპოვებულ მასალებს მიენიჭა დროებითი საველე ნომერი, აღიწერა საველე პირობებში და გატარდა შესაბამის დავთრებში. გადაღებულ იქნა ნეგატიური, პოზიტიური და ციფრული ფოტოები.

ნამოსახლარზე მოპოვებული მასალები და საველე დოკუმენტაცია გადმოტანილ იქნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრში ლაბორატორიული დამუშავებისათვის.

3. არქეოლოგიური ძეგლი გამოვლინდა ენერგოკორიდორის გასადენის მონაკვეთში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების დროს. ნამოსახლარი განლაგებულია მდინარისპირა მეორე ტერასაზე. დასახლება განფენილი ყოფილა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დახრილ მინდორზე, რომელიც მდინარისაკენ ეშვება. ენერგოკორიდორში მოქცეული ფართობი და მიმდებარე ტერიტორია აიგეგმა ტოპოგრაფიულად.
4. პალეობოტანიკური და პალინოლოგიური ანალიზისათვის ნიმუშები აღებულია ყველა სახლიდან და ორმოდან.

კამერალური კვლევის მეთოდები:

6. არტეფაქტები და სხვა მასალა დამუშავებული, აღნუსხული, კატალოგიზირებული და შესანახადაა მომზადებული. ოსტეოლოგიური მასალის, პალინოლოგიური და პალეობოტანიკური ნიმუშების, კერამიკის და სხვათა დამუშავების მეთოდები სხვა უბნებისათვის გამოყენებული მეთოდების იდენტურია (იხ. ზემოთ).
7. მონაცემები კომპიუტიზირებულია Microsoft Word, Microsoft Excel, Adobe Photoshop, Hp scanjet პროგრამებში.
8. ნამოსახლარზე მოპოვებული მასალები დაცული იქნება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

გამოვლენილია მრავალფენიანი ძეგლი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძვ.წ. XVII-XVI სს დათარიღებული ნამოსახლარი, რამდენადაც ამ ეპოქის დასახლებები სამხრეთ კავკასიაში ნაკლებადაა შესწავლილი. შტამპით შესრულებული ორნამენტით შემკული ჭურჭლები დღემდე მხოლოდ სამარხებიდან იყო ცნობილი. ნამოსახლარზე ისინი პირველად ჯინისში იქნა მოპოვებული.

ჯინისის ნამოსახლარი ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად შესწავლილ ეპოქას მიეკუთვნება და აქ აღმოჩენილი მასალების ანალიზი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ ხანის ქრონოლოგიის დაზუსტებას და ისტორიული პროცესის შეძლებისდაგვარად სრულყოფილი სურათის აღდგენას.

გათხრების შედეგად არქეოლოგიური ძეგლებისაგან განთავისუფლებულია ენერგოკორიდორის ნათობსადენის და გზის მონაკვეთები.

რეკომენდაცია

სასურველია №4 სახლის მთლიანად შესწავლა.